

# სსო მეტრი

სამოქალაქო საზოგადოების გარემოს  
შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის  
ქვეყნებში

*2021 წლის ოქტომბრის რედაქცია*



**სსო მეტრის 2019 წლის ანგარიშზე მომუშავე ექსპერტთა ძირითადი ჯგუფი:** მარიამ ლაცაბიძე (CSI), ვაჟა სალამაძე (CSI), ტატევიკ მარგარიანი (TIAC), მაჰამად გულუზადე (MG Consulting LLC), ემინ რზაიევი (MG Consulting LLC), ფლორინ ჯისკა (Promo-LEX), ალექსანდრე პოსტიკა (Promo-LEX), დარია სიდორენკო (UCIPR), მაქსიმ ლაციბა (UCIPR), ლუბენ პანოვი (ECNL), ჰანა ასიპოვიჩი (ECNL), ესუთერ ჰარტაი (ECNL)

**ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც შეიტანეს წვლილი სსო მეტრის ანგარიშის შემდგომ განვითარებაში (2020 და 2021 წლის ანგარიშში):** ქეთევან ირემაშვილი (CSI), ვაჟა სალამაძე (CSI), ანა ჯიქია (CSI), ეთერი გვრიტიშვილი (CSI), ანუშ ჰაკობიანი (TIAC), მაჰამად გულუზადე (MG Consulting LLC), ემინ რზაიევი (MG Consulting LLC), ფლორინ ჯისკა (Promo-LEX), დარია სიდორენკო (UCIPR), მაქსიმ ლაციბა (UCIPR), ლუბენ პანოვი (ECNL), ესუთერ ჰარტაი (ECNL)

**სხვა ექსპერტები:** ანდრეა ტოტ ჯუდიტი (ECNL), ვანია სკორიჩი (ECNL), ფრანჩესკა ფანუჩი (ECNL), პეტრა ბურაი (ECNL), კატერინა ჰადზი-მიკევა ევანსი (ECNL), სიმონა ოგნენოვსკა, მარლენა ვიშნიაკი (ECNL), ბერნა კესკინდემირი (ECNL), კაცარიინა პადვალკავა.

რედაქტორი: ჯეფრი ვიზე

თარიღი: 2021 წლის ოქტომბერი

პროექტი “CSO მეტრი: ხელსაყრელი გარემოსა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეგზური” განხორციელებულია არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრისა (ECNL) და მისი პარტნიორების - საერთაშორისო გამჭვირვალობა სომხეთში (TIAC); შპს MG ქონსალტინგი აზერბაიჯანში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) საქართველოში, პრომო-ლექს ასოციაცია მოლდოვაში და უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრი (UCIPR) - მიერ.



Funded by the  
European Union

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხის აგებენ მისი ავტორები, შესაბამისად დოკუმენტი შესაძლებელია არ გამოხატავდეს ევროკავშირის პოზიციას.

საავტორო უფლება: ECNL; TIAC; MG Consulting LLC; Lawtrend; CSI; Promo-LEX; UCIPR © 2020

# სარჩევი

აკრონიმები .....	2
წინათქმა .....	3
შესავალი .....	5
სტანდარტები და ინდიკატორები .....	9
სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის განმარტებითი შენიშვნა .....	25
დანართი.....	176

# აკრონიმები

ACHPR	ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია;
AML	ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა;
AML/CTF	ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა;
CoE	ევროპის საბჭო;
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (სსო);
CRPD	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა;
EC	ევროპის კომისია;
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
ECNL	არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი;
EU	ევროკავშირი;
FoAA	მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება;
FOE	გამოხატვის თავისუფლება;
HRIA	ადამიანთა უფლებების გავლენის შეფასება;
LGBTIQ	ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსგენდერების, ინტერსექსუალების და სხვა ქვიარ პირების თემი;
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ;
ICT	ინტერნეტი და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია;
OAS	ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია;
ODIHR	დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი;
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო);
SLAPP	სტრატეგიული სარჩელი საზოგადოებრივი მონაწილეობის წინააღმდეგ;
SMC	სოციალური-მედია კომპანია;
SMS	მოკლე ტექსტური შეტყობინების მომსახურება;
UN HRC	გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო.

# წინათქმა

ძვირფასო მკითხველებო,

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების ნებისმიერი სეგმენტის განვითარებაში - განურჩევლად იმისა, ეს არის მოხალისეობრივი ორგანიზაცია, მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტი, კვლევითი ინსტიტუტი, ბუნების კონსერვაციის ჯგუფი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაცია, პოლიტიკის ინსტიტუტი თუ საერთო ინტერესების მქონე სხვა ნებისმიერი ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავიანთი ბუნებით ძალზედ მრავალფეროვანია, ისინი ემსახურებიან ერთსა და იმავე ფუნდამენტურ მიზნებს და პასუხობენ ადამიანის ძირითად საჭიროებებს: სსო-ები ქმნიან სივრცეს, სადაც ადამიანები საკუთარ თავს საზოგადოების წევრებად გრძნობენ, ეხმარებიან სხვებს, გამოხატავენ საკუთარ პოზიციასა და ეწევიან სრულფასოვან ცხოვრებას.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მისიის შესრულების პროცესში, აუცილებელია სსო-ებს ჰქონდეთ საჭირო მხარდაჭერა და უწყვედით ხელსაყრელ გარემოში ოპერირება. სამოქალაქო საზოგადოების არსებული გარემოს შეფასება დაეხმარება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გამოავლინონ ხარვეზები თუ გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს საპასუხო ზომების მიღებას. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ასევე შესაძლებელია წარმატებული ისტორიების ხაზგასმა და შემდგომი რეფორმებისთვის სასარგებლო იდეების გენერირება. შესაძლებელია ერთი ქვეყნის მიერ მიღებული პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სხვა ქვეყნებისთვის, რაც წახალისებს ინფორმაციის გაცვლას, მხარდაჭერასა და ინოვაციების დანერგვას. ამის გათვალისწინებით, ჩვენ შევიმუშავეთ სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი.

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი მრავალ დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით შედეგია. იგი შემუშავებულ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ცალკეული ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან მიღებული საბაზისო მონაცემების საფუძველზე. სწორედ მათ მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ უზრუნველყო ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც ზედმიწევნით კარგად პასუხობს ადგილობრივ საჭიროებებს. პროცესს უძღვებოდნენ ჩვენი პარტნიორები - ექსპერტებისგან დაკომპლექტებული გუნდი, სიღრმისეული ცოდნით სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული საკითხების შესახებ: საერთაშორისო გამჭვირვალობა, ანტიკორუფციული ცენტრი (სომხეთი), შპს „MG ქონსულტინგი“ (აზერბაიჯანი), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (საქართველო), ასოციაცია პრომო-ლექსი (მოლდოვა) და უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრი. ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ მრჩეველთა საბჭოს წევრებს - ჯეფ ლოვიტს, თინათინ ცერცვაძეს, სიმონა ოგენოვსკას და ნატალია იერაშევიჩს - რომლებმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაგვიწიეს მთლიანი პროცესის მანძილზე ღირებული იდეებითა და მითითებებით. აღნიშნული პროექტი არ იქნებოდა, რომ არა ევროკავშირი, რომელმაც ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყო ინსტრუმენტის შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი ყოვლისმომცველი ძალისხმევით შედეგია, არ ვთვლით, რომ მისი შინაარსი გამორიცხავს ცვლილებების შესაძლებლობას. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ცოცხალი, მუდმივად განვითარებადი ინსტრუმენტია. 2019 წელს CSO Meter პილოტირება განხორციელდა ყველა ქვეყანაში და მომზადდა ეროვნული და რეგიონალურ ანგარიში. 2020 წელს შეფასდა მისი პრაქტიკული დანერგვის შედეგები და

ვუზრუნველყავით CSO meter - ის დაიხვეწა მიღებული გაკვეთილებიდან გამომდინარე და სხვა მნიშვნელოვანი საკითხის თუ პრობლემის გათვალისწინებით.

სამოქალაქო საზოგადოების გარემოზე ასევე სერიოზული გავლენა მოახდინა კოვიდ-19-მა და მთავრობების მიერ მიღებულმა საგანგებო ზომებმა. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნა სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის განახლების პროცესში. იმისთვის, რომ გვეპასუხა 2021 წლის გამოწვევებისთვის CSO meter-ს დაემატა ახალი, ციფრულ უფლებებთან დაკავშირებული სფერო, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უფლების დაცვის საკითხის უკეთ ასახვის მიზნით. საფუძვლიანად გადაიხედა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების მიმართულება.

ვიმედოვნებთ, რომ სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი ფართოდ იქნება გამოყენებული როგორც მთავრობების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მკვლევარებისა და პრაქტიკოსების, დონორების, გადაწყვეტილების მიმღებებისა და პოლიტიკოსების მიერ. უპირველეს ყოვლისა კი, ვიმედოვნებთ, რომ სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს გარემოს გაუმჯობესებასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

*ღრმა პატივისცემით,*

*ესზთერ ჰარტაი და ლუბენ პანოვი*

# შესავალი

## რა არის სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი?

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი არის მექანიზმი, რომელიც შემუშავებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების გარემოს შესაფასებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. იგი აერთიანებს რიგ სტანდარტებსა და ინდიკატორებს 11 სხვადასხვა მიმართულებით და უზრუნველყოფს როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკული გარემოს შეფასებას. მიმართულებები შერჩეულ იქნა რეგიონში არსებული საჭიროებებისა და ტენდენციების საპასუხოდ, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო სარეგულაციო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის მიზანია** შექმნას ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს იმ გარემოზე რეგულარული და თანმიმდევრული მონიტორინგის განხორციელებას, რომელშიც ოპერირებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო). აღნიშნული პროცესიდან მიღებული მონაცემები გამოყენებულია ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით რეკომენდაციების შესამუშავებლად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანიების წასამართად. დაინტერესებული მხარეები უკეთ იცნობენ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს სსო-ების სამუშაო გარემოზე. გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გამოიყენებულია საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს.

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის ფარგლებში, ტერმინი „სსო“ აღნიშნავს მოხალისეობრივ თვითმმართველ ორგანოს ან ორგანიზაციას, რომელიც დაარსებულია დამფუძნებლების ან წევრების მიერ არაკომერციული მიზნების მისაღწევად. სსო მოიცავს ორგანოს და ორგანიზაციას, დაფუძნებულს როგორც ინდივიდუალური პირების (ფიზიკური ან იურიდიული), ასევე პირთა ჯგუფების მიერ. სსო შესაძლებელია იყოს წევრობაზე დაფუძნებული. სსო შესაძლოა იყოს არაფორმალური ორგანიზაცია, ან კიდევ იურიდიული სტატუსის მქონე ორგანო. სსო შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, მაგალითად, ასოციაციის, ფონდის, არაკომერციული კომპანიის სახით ან სხვა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთმოცემულ კრიტერიუმებს. სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი არ ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე, რელიგიურ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებზე.

## როგორ მოხდა სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის შემუშავება?

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივი ძალისხმევით შედგება. იგი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროგრესის მონიტორინგი, ქმედებების გაძლიერება“ ფარგლებში, არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) მხარდაჭერით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში, პროცესი მხარდაჭერილ იქნა ადგილობრივი პარტნიორების მიერ:

- სომხეთი – საერთაშორისო გამჭვირვალობა, ანტიკორუფციული ცენტრი;
- საქართველო – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);
- მოლდოვა – ასოციაცია პრომო-ლექსი
- უკრაინა – უკრაინის დამოუკიდებელი პოლიტიკური კვლევების ცენტრი (UCIPR);
- აზერბაიჯანი - შპს MG ქონსულტინგი.

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის შემუშავების პროცესი იყო უაღრესად მონაწილეობითი. ინსტრუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე, ექსპერტთა ძირითადი ჯგუფი ფართოდ იყენებდა პროექტის მრჩეველებისა და პარტნიორი სსო-ებისგან მიღებულ მონაცემებს. ქვეყნის შიგნით მოეწყო კონსულტაციების სამი რაუნდი.

2019 წელს, ადგილობრივმა პარტნიორებმა 6 ქვეყანაში საცდელად ჩაუშვეს სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი და მეთოდოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების გარემოს შეფასებას 10 სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებულ სტანდარტებზე და ინდიკატორებზე დაყრდნობით. მონიტორინგის პროცესი საკმაოდ დინამიურად და აქტიურად მიმდინარეობდა, რაც აისახა ქვეყნების მიერ მომზადებულ რეპორტებში. 2020 წელს ჩვენ შევაფასეთ კოვიდ-19-ის გავლენა და სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის პრაქტიკაში დანერგვის გამოცდილება და მოვახდინეთ მისი მოდიფიკაცია, რაც მიღებული გამოცდილებისა და სხვა რელევანტური საკითხების ინტეგრირებას ისახავდა მიზნად. ამ მონაცემებსა და ტრენდებზე დაყრდნობით, 2021 წელს CSO Meter-ის განვრცობის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა ECNL-ის ექსპერტებთან ერთად, რის ფარგლებშიც გავიარეთ კონსულტაციები რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების ჰაბებთან, რამაც ჯამში მოიცვა 21 საზოგადოებრივი ორგანიზაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს რეგიონში (ასევე ჩვენი ძირითადი პარტნიორი ორგანიზაციები). ვიმუშავეთ ასევე CSO მეტრის გამოყენებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს შეფასების სისტემის (რაოდენობრივი შეფასება) შექმნაზე.

### რა არის სსო-ებისთვის ხელსაყრელი გარემოს მთავარი ელემენტები?

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი იძლევა ფართო განსაზღვრებას მასზე, თუ რა წარმოადგენს „ხელსაყრელ“ გარემოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ექსპერტები თანხმდებიან, რომ სახეზეა ხელსაყრელი გარემოს ძირითადი ფაქტორები, თუკი სსო-ებს შეუძლიათ:

- იმოქმედონ თავისუფლად, მთავრობის ყოველგვარი ჩარევის გარეშე;
- დაამყარონ კავშირი დაინტერესებულ მხარეებთან, შექმნან ქსელები ქვეყნის შიგნითა და გარეთ მთავრობის შეტყობინების ან მთავრობისგან ნებართვის მიღების გარეშე;
- მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, ადვოკატირება გაუწიონ საკუთარ ინტერესებს, მონიტორინგი გაუწიონ მთავრობის საქმიანობას და შეასრულონ დამკვირვებლის როლი;
- საჯაროდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, შეიკრიბონ და გამოხატონ პროტესტი წინასწარი ნებართვის გარეშე, ადმინისტრაციული თუ პრაქტიკული დაბრკოლებების გარეშე;
- მიდგომა სსო-ებისა და ბიზნეს სუბიექტების მიმართ თანასწორია;
- მოახდინონ რესურსების გენერირება საკუთარი საქმიანობისთვის (ეკონომიკური საქმიანობიდან, უცხოელი და ადგილობრივი დონორებისგან, სახელმწიფო ფონდებიდან ან გამოიყენონ სხვა მეთოდები, როგორცაა მაგ: ფონდების საჯარო მოზიდვა) და ჩართონ მოხალისეები;
- ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით, რაც საშუალებას მისცემს მათ მოიზიდონ რესურსები; ამგვარი შეღავათები სტიმულს აძლევს ინდივიდუალურ პირებსა და კომპანიებს განახორციელონ შემოწირულობები;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიზნით დაამყარონ კონსტრუქციული თანამშრომლობა სახელმწიფოსთან.

### როგორ არის ინსტრუმენტი სტრუქტურირებული და რა მიმართულებებს მოიცავს იგი?

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი მოიცავს 11 სხვადასხვა, მაგრამ მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ სფეროს. თითოეული სფერო, თავის მხრივ, შედგება სტანდარტებისგან და ამ სტანდარტების შეფასების ძირითადი მოთხოვნებისა და ინდიკატორებისგან. ინდიკატორები ითვალისწინებს როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკული გარემოს შეფასებას.

სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი იყოფა ორ ძირითად ნაწილად:

- **ძირითადი უფლებები და თავისუფლებები** – აღნიშნული ნაწილი მოიცავს იმ ძირითად სტანდარტებს, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის. სტანდარტები ეფუძნება ადამიანის იმ ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებითაც უნდა სარგებლობდნენ როგორც ინდივიდუალური პირები, ისე სსო-ები. სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის მიერ მოცულია შემდეგი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები:
  - გაერთიანების თავისუფლება
  - თანასწორი მოპყრობა
  - დაფინანსების ხელმისაწვდომობა
  - მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება
  - გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება
  - გამოხატვის თავისუფლება
  - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
  - სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება
- **აუცილებელი პირობები** – აღნიშნული ნაწილი მოიცავს სტანდარტებს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის, თუმცა, მხოლოდ მათი არსებობა – ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების გარეშე – არ არის საკმარისი ხელსაყრელი გარემოს უზრუნველსაყოფად.

**აუცილებელი პირობები:**

- სახელმწიფო მხარდაჭერა (მათ შორის, გადასახადების და მოხალისეობის კუთხით)
- სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა

2021 წლიდან დავამატეთ ახალი, ციფრული უფლებების მიმართულება. მიმართულება მოიცავს ორ სტანდარტს, რომელთაგანაც პირველი ეხება ციფრული ტექნოლოგიების შესაბამისობას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან, ხოლო მეორე სახელმწიფო პასუხისმგებლობას ყველასთვის უზრუნველყოს ციფრული უფლებებით სარგებლობის პირობები. იმის გათვალისწინებით, რომ სსო-მეტრი არის ცოცხალი ინსტრუმენტი, ხოლო ციფრული უფლებების სამყარო ვითარდება იმგვარად, რომ მოემსახუროს ძირითადი და სამოქალაქო უფლებების დაცვას, 2021 წელს ამ მიმართულების საპოლოტე მონიტორინგის შემდგომ ჩვენ გავაგრძელებთ სფეროს ინტეგრაციასა და მასზე შემდგომ დაკვირვებას.

**როგორ ხდება ინსტრუმენტის გამოყენება?**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ექსპრესივე ქვეყანის წარმომადგენელი სსო მეტრის ჰაბის წევრები, პროექტის პარტნიორების ხელმძღვანელობის ქვეშ, მოამზადებენ ქვეყნის ანგარიშს სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენებით. ქვეყანათა ანგარიშების შედეგები გამოყენებულ იქნება რეგიონულ ანგარიშში, რომელსაც ECNL მოამზადებს რეგიონული ტენდენციებისა და ქვეყნების სპეციფიკაციის გათვალისწინებით. სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი, ქვეყნებისა და რეგიონულ ანგარიშთან ერთად, გამოყენებულ უნდა იქნას:

- **თითოეულ სფეროში წლების მიხედვით ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესადარებლად**, პროგრესისა თუ რეგრესის შესაფასებლად;
- ერთ ქვეყანაში არსებული **მიღწევებისა და დაბრკოლებების** შესადარებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ნებისმიერ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან. ამან შესაძლოა დამატებითი სტიმული მისცეს გარემოს გაუმჯობესებას ან წარმოშვას იდეები სამომავლოდ გასატარებელი პოლიტიკებისა და ზომების შესახებ;

- **ადვოკატირებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.** სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეფორმებისთვის, რომლებიც საჭიროებს გატარებას, ან კიდევ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მთავრობისა და განვითარებაზე ორიენტირებული პარტნიორების მიერ პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. სსო-ებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ რეკომენდაციები ადვოკატირების ფარგლებში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.
- **დებატების მოსაწყობად** გამოვლენილი გამოწვევებისა და შეთავაზებული რეკომენდაციების ირგვლივ;
- **ინფორმაციისა და სხვა მასალების მოსამზადებლად,** სადაც წარმოდგენილი იქნება ქვეყნის ანგარიშის შედეგები;
- სსო გარემოში წარმოდგენილი **საკანონმდებლო ინიციატივების შესაფასებლად;**
- **განახლებული ინფორმაციის წარმოსადგენად** ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ, შემდგომი კვლევისა და ანალიზისთვის;
- **უფრო სიღრმისეული თემატური ანგარიშების მოსამზადებლად** 11-ვე სფეროში სტანდარტებისა და ინდიკატორების შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ. ცალკეული ანგარიშების მომზადება რესურსების ხელმისაწვდომობის ან სსო-ების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ).

# სტანდარტები და ინდიკატორები

## ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

### სფერო 1: გაერთიანების თავისუფლება

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
<b>I. ნებისმიერი პირი სარგებლობს სსო-ს დაფუძნების, მასში გაწევრიანების ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლებით</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>ნებისმიერ პირს თუ პირთა ჯგუფს, ფიზიკურს თუ იურიდიულს, ადგილობრივს თუ უცხოელს, აქვს უფლება დააფუძნოს სსო.</li> <li>ფუნქციონირებისთვის, სსო-ებს არ მოეთხოვებათ დარეგისტრირება ან სამართლებრივი სტატუსის მიღება.</li> <li>სსო-ების ფუნქციონირებისთვის, არ არსებობს ტერიტორიული შეზღუდვები, მათ აქვთ ონლაინ გაერთიანების შესაძლებლობა.</li> <li>ინდივიდუალურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ ან მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი სსო-ს საქმიანობაში, გახდნენ მისი წევრები, მოხალისეები ან მხარი დაუჭირონ სსო-ს ინიციატივებს.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>სახელმწიფო არ ქმნის პრაქტიკულ დაბრკოლებებს სსო-ს დაფუძნების, მასში გაწევრიანების ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების პროცესში.</li> <li>ინდივიდუალური პირების გადასაწყვეტია, შეუერთდებიან თუ არა სსო-ს ან მიიღებენ თუ არა მის საქმიანობაში მონაწილეობას.</li> </ol>
<b>II. სსო-ს იურიდიულ პირად რეგისტრაციის პროცედურა ნათელი, მარტივი, სწრაფი და ნაკლებად ხარჯიანი</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>რეგისტრაცია სწრაფი, ხელმისაწვდომი და ნაკლებად ხარჯიანი პროცესია</li> <li>იურიდიული სტატუსის მისაღებად საჭირო მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი, მარტივია და გამორიცხავს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ პროცესის განხორციელების შესაძლებლობას საკუთარი დისკრეციით.</li> <li>არსებობს შეზღუდული რაოდენობის მკაფიო და დასაბუთებული მიზეზები რეგისტრაციაზე უარის თქმისთვის.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული სტატუსის მინიჭებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. იგი არ აწესებს დამატებით სარეგისტრაციო მოთხოვნებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.</li> <li>ხდება განმცხადებლის ნათლად და დროულად ინფორმირება სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ნებისმიერი ხარვეზის შესახებ და არ ხდება განაცხადის უარყოფა მცირე ხარვეზების გამო;</li> </ol>

		3. სსო-ს სარეგისტრაციო განაცხადის უარყოფის შემთხვევაში, ხდება საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში.
III. სსო-ები თავისუფალნი არიან თავიანთი მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრის პროცესში. მათ შეუძლიათ იმოქმედონ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონი საშუალებას აძლევს სსო-ებს განსაზღვრონ თავიანთი ამოცანები და განახორციელონ კანონიერი ქმედებები.</li> <li>2. სსო-ებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი ამოცანები ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მათ შორის ეროვნული თუ საერთაშორისო გაერთიანებების ან ფედერაციების წევრობის გზით.</li> <li>3. კანონი არ ავალდებულებს სსო-ებს მოახდინონ თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია მთავრობის პოლიტიკასა და ადმინისტრაციასთან.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მარეგისტრირებელი ორგანოები არ იყენებენ საკუთარ დისკრეციას სსო-ების მიზნების განხილვის პროცესში.</li> <li>2. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ პრაქტიკულ დაბრკოლებებს, რომლებიც შეაფერხებდა სსო-ების მიერ კანონით დაშვებული საქმიანობის განხორციელებას.</li> </ol>
IV. ნებისმიერი დაწესებული სანქცია ნათელია და თანხვედრაშია პროპორციულობის პრინციპთან. ის ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული ზომაა სასურველი მიზნის მისაღწევად	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების სანქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი ყველაზე ნაკლებად არღვევს უფლებას გაერთიანების თავისუფლების შესახებ.</li> <li>2. საქმიანობის იძულებითი შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები ნათლად არის ჩამოთვლილი. ამგვარი ზომა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად ინტრუზიული ღონისძიებები არ არის საკმარისი.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ხდება სსო-ების სათანადოდ გაფრთხილება სავარაუდო დარღვევების შესახებ. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გამოასწორონ მდგომარეობა, ვიდრე მოხდება დამატებითი სანქციების გატარება.</li> <li>2. იძულებითი შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ კანონის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში.</li> </ol>
V. სახელმწიფო არ ერევა სსო-ების საქმიანობაში.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ები თავისუფალნი არიან შიდა მმართველობისა და ოპერაციების განსაზღვრის პროცესში.</li> <li>2. არსებობს მკაფიო წესები სახელმწიფოს მიერ სსო-ების მონიტორინგისა და შემოწმების, კრიტერიუმებისა და შეზღუდვების შესახებ.</li> <li>3. ანგარიშგების პროცედურა და მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი და შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ზომას ან/და მისი საქმიანობის მასშტაბს.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების შემოწმება არის დასაბუთებული, პროპორციული და ობიექტური.</li> <li>2. სსო-ებს მარტივად შეუძლიათ შეასრულონ ანგარიშგების მოთხოვნები ონლაინ ან/და ოფლაინ რეჟიმში.</li> </ol>

**სფერო 2: თანასწორი მოპყრობა**

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
<p><b>I. სახელმწიფო ეპყრობა სსო-ებს ისევე სამართლიანად, როგორც ბიზნეს სუბიექტებს</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების რეგისტრაციისა და საქმიანობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის წესი არ უკავშირდება უფრო მეტ ხარჯებს, არ საჭიროებს მეტ დროს და არ არის უფრო შრომატევადი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში.</li> <li>2. სსო-ები არ ექვემდებარებიან უფრო მკაცრ ადმინისტრაციულ და საოპერაციო მოთხოვნებს, ვიდრე ბიზნეს სუბიექტები.</li> <li>3. სსო-ებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო შესყიდვებში ბიზნეს სუბიექტებთან თანაბარ პირობებში, დამატებითი სირთულეებისა და მოთხოვნების გარეშე.</li> <li>4. დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, მათ შორის საზღვარგარეთ, სსო-ებისთვის არ არის იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებისთვის</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების რეგისტრაციის, საქმიანობის განხორციელებისთვის ან საქმიანობის შეწყვეტისთვის (გაუქმებისთვის), მარეგისტრირებელი ორგანოები არ აწესებენ ბიზნეს სუბიექტებისგან განსხვავებულ დამატებით მოთხოვნებს ან სხვა დაბრკოლებებს;</li> <li>2. სახელმწიფო არ უზღუდავს სსო-ებს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობას ან დაფინანსების სხვა წყაროებზე წვდომას მათი იურიდიული სტატუსის გამო</li> <li>3. სსო-ების შემოწმება და სანქციები არ ატარებს უფრო ხშირ ხასიათს, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში.</li> </ol>
<p><b>II. სახელმწიფოს მიდგომა ყველა სსო-ს მიმართ თანასწორია მათი დაფუძნების, რეგისტრაციისა და საქმიანობის კუთხით.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ებისადმი მიდგომა თანასწორია; ნებისმიერი პრივილეგირებული მიდგომა ეფუძნება მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს.</li> <li>2. უცხოელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მიერ ქვეყანაში დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაციები ანალოგიურად განიხილება, როგორც ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები თავს იკავებენ კონკრეტულ ორგანიზაციებთან მიმართებაში პრივილეგირებული მიდგომების გატარებისგან.</li> <li>2. არ ხდება იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მიზანმიმართული შეზღუდვა, რომლებიც გამოხატავენ სახელმწიფო მოხელეებისადმი და პოლიტიკისადმი კრიტიკულ შეხედულებებსა და პოზიციებს.</li> </ol>

**სფერო 3: დაფინანსების ხელმისაწვდომობა**

სტანდარტები	ინდიკატორები	პრაქტიკა
	კანონმდებლობა	
<p><b>I. სსო-ები თავისუფალნი არიან მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ფინანსური და მატერიალური რესურსები თავიანთი მიზნების მისაღწევად</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება ან არამატერიალური მხარდაჭერა საჯარო ან კერძო დონორების მხრიდან სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით.</li> <li>2. მოთხოვნები სსო-ების მიერ დონორებისგან დაფინანსების ან რაიმე სახის არამატერიალური დახმარების მიღების შესახებ არ აწევს მძიმე ტვირთად სსო-ებს.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ებისთვის მარტივია ნებისმიერი კანონიერი წყაროდან დაფინანსების ან სხვა სახის არამატერიალური მხარდაჭერის მიღება.</li> <li>2. სსო-ებს შეუძლიათ გამოიყენონ მრავალფეროვანი მეთოდები ფონდების მოსაზიდად.</li> <li>3. ფულად ან საბანკო ოპერაციებზე არსებული შეზღუდვები არ აფერხებს სსო-ს საქმიანობას.</li> </ol>
<p><b>II. არ არის განსხვავება უცხოურ და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებისადმი მიდგომასა და შიდა წყაროებიდან მიღებულ რესურსებიდან მიდგომას შორის</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არ არსებობს სპეციალური შეზღუდვები ან პროცედურები სსო-ების მიერ უცხოური და საერთაშორისო დაფინანსების ან არამატერიალური მხარდაჭერის მისაღებად; არ არსებობს შეზღუდვები დონორების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების კუთხით.</li> <li>2. უცხოურ და საერთაშორისო გრანტებზე, შემოწირულობებზე და საწევრო შეტანატენებზე ვრცელდება იგივე საგადასახადო პირობები, როგორც შიდა რესურსებზე.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად მიიღონ უცხოური დაფინანსება და პრაქტიკულად აითვისონ უცხოური წყაროები.</li> <li>2. არ ხდება იმ სსო-ების სტიგმატიზება, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას; ისინი არ არიან სახელმწიფო მხარდაჭერის მქონე მედიის ან მთავრობის თავდასხმის ობიექტები.</li> </ol>

**სფერო 4: მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება**

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
<p><b>I. ნებისმიერ პირს შეუძლია ისარგებლოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით შეკრებების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის მიღების გზით</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ნებისმიერ პირს, ადგილობრივს თუ უცხოელს, ამგვარი პირების ჯგუფებს, მათ შორის სსო-ებს, აქვთ უფლება მოაწიონ და/ან მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან შეკრებაში, რომელიც სათანადოდ არის დაცული კანონის ფარგლებში, იქნება ეს გარე თუ შიდა, საჯარო, კერძო თუ კომბინირებული ფორმით ან ონლაინ ფორმატში.</li> <li>2. კანონით დაშვებულია სპონტანური შეკრებების, პარალელური შეკრებებისა და კონტრ შეკრებების გამართვა.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არ არსებობს მშვიდობიან შეკრებებზე თვითნებური უარის თქმის ან დაშლის შემთხვევები.</li> <li>2. პირებს, პირთა ჯგუფებს ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აიძულებენ ან სისტემატურად არ უკრძალავენ მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობას.</li> <li>3. არ ხდება ფიზიკური პირების დაკავება ან დაშინება მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზების, მონაწილეობის მიღების ან არ მიღების გამო;</li> <li>4. არ ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისგებაში მიცემა ან დასჯა მშვიდობიანი შეკრების ორგანიზების ან შეკრებაში მონაწილეობის მიღების გამო, იქნება ეს გარე თუ შიდა, საჯარო, კერძო თუ კომბინირებული ფორმით ან ონლაინ ფორმატში.</li> </ol>
<p><b>II. სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს მშვიდობიან შეკრებებს</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მშვიდობიანი შეკრების ჩატარების უფლება არ ექვემდებარება წინასწარ ავტორიზაციას. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა არსებობდეს შეტყობინების მოთხოვნა, რომელიც უნდა იყოს ნათელი, მარტივი, უფასო და ითვალისწინებდეს წინასწარი შეტყობინების გონივრულ პირობებს.</li> <li>2. შეტყობინება არ მოითხოვება იმგვარი შეკრებებისთვის, რომელთა გავლენაც სხვა პირთა უფლებებზე მინიმალურია.</li> <li>3. საბოლოო გადაწყვეტილება მშვიდობიან შეკრებაზე დაწესებული შეზღუდვის გასაჩივრებასთან დაკავშირებით გაიცემა შეკრების დაგეგმილ თარიღამდე.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. შეტყობინება არ გამოიყენება, როგორც დე-ფაქტო ავტორიზაცია;</li> <li>2. შეზღუდვები პროპორციულია და ეფუძნება აუცილებლობის ობიექტურ მტკიცებულებებს.</li> <li>3. არ არის შეზღუდული ინტერნეტის ან/და სოციალური მედიის ხელმისაწვდომობა მშვიდობიანი შეკრებების შეფერხების მიზნით, იქნება ისინი ონლაინ თუ ოფლაინ ფორმატში.</li> </ol>

	<p>4. კანონმდებლობა იცავს მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზებისთვის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების უფლებას.</p>	
<p><b>III. სახელმწიფო არ უწესებს ზედმეტ მოთხოვნებს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. შეკრების ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელი საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე ან შეკრების დროს მომხდარ ქმედებებზე;</li> <li>2. ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ხდება მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების მხარდაჭერის მიზნით ან მაშინ, როცა შეკრება იძენს ძალადობრივ ხასიათს</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ გაუმართლებელ საფასურს მომსახურებაზე, რომლის მიწოდების ვალდებულება მათ აქვთ;</li> <li>2. არ ხდება მშვიდობიანი შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შეფერხება</li> <li>3. სახელმწიფო არ აწესებს არაპროპორციულ შეზღუდვებს მშვიდობიანი შეკრების დროს ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებაზე.</li> </ol>
<p><b>IV. სამართალდამცავი ორგანოები მხარს უჭერენ მშვიდობიან შეკრებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მათი წარმომადგენლების ქმედებებზე.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მშვიდობიანი შეკრებების დროს ძალის გამოყენებისას, სამართალდამცავი ორგანოები ხელმძღვანელობენ მკაფიოდ განსაზღვრული წესებით, რომლებიც ითავლისწინებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.</li> <li>2. არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, თუ მოხდება ძალის გადაჭარბებულად გამოყენება ან ვერ მოხდება მშვიდობიანი შეკრებების დროს მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.</li> <li>3. არსებობს ცხადი და კონკრეტული საკანონმდებლო წესები სათვალთვალო მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით პოლიციის მიერ შეკრებიათა მონიტორინგის მიზნით.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ძალის გამოყენებამდე ხდება წინასწარი გაფრთხილება, პოლიციის მიერ გამოიყენება პროგნოზირებადი და პროპორციული მიდგომა შეკრების ყველა ასპექტის მიმართ.</li> <li>2. სამართალდამცავი ორგანოები იცავენ შეკრების მონაწილეებს ნებისმიერი პირის ან ჯგუფისგან (მათ შორის, პროვოკატორებისგან), რომელიც ცდილობს შეკრების ჩაშლას.</li> <li>3. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები პასუხს აგებენ შეკრების თავისუფლების შელახვაზე.</li> <li>4. აღმასრულებელი ორგანოს ან/და სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები ღიად ახდენენ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, შეკრების მონიტორინგისთვის გამოიყენება თუ არა სათვალთვალო მოწყობილობები.</li> </ol>

**სფერო 5: გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღება**

სტანდარტები	ინდიკატორები	პრაქტიკა
	კანონმდებლობა	
<p><b>I. ყველას აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საჯარო კონსულტაციები სავალდებულოა იურიდიული და პოლიტიკური პროექტებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე ან კონკრეტულ სექტორებსა და ჯგუფებზე.</li> <li>2. კანონი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინკლუზიურ და გონივრულ სამოქალაქო მონაწილეობას; ნებისმიერი სახის შეზღუდვა მკაფიოდ და ვიწროდ არის განსაზღვრული.</li> <li>3. საკანონმდებლო ჩარჩო მკაფიოდ განსაზღვრავს მექანიზმებს, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის წესების დარღვევის შემთხვევაში.</li> <li>4. ყველა სსო-სთვის არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ნათელი კრიტერიუმები და თანაბარი შესაძლებლობები.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები იყენებენ სხვადასხვა სახის მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ საზოგადოების გონივრული მონაწილეობა.</li> <li>2. არ ხდება რაიმე ზომების გატარება იმ სსო-ების წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.</li> <li>3. ნებისმიერ სსო-ს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სსო-ს ტიპის ან მთავრობისამდი მისი განწყობის მიხედვით.</li> </ol>
<p><b>II. საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეგულარულად, ღიად და ეფექტურად არიან ჩართულები საჯარო პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საჯარო კონსულტაციების პროცედურები არის მარტივი და კანონით ნათლად გაწერილი.</li> <li>2. კანონი ითვალისწინებს საკონსულტაციო ორგანოს შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც ექნება ნათლად განსაზღვრული სტანდარტები და გამჭვირვალე მექანიზმები წევრების შესარჩევად და გადაწყვეტილებების მისაღებად.</li> <li>3. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვას პოლიტიკის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ინფორმაცია პროექტებისა და ვადების შესახებ უფასოდ ხელმისაწვდომია, სასურველია ერთ ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც მარტივად მოსახმარია.</li> <li>2. საკონსულტაციო ფორმატი უზრუნველყოფს ეფექტურ მონაწილეობას; სამოქალაქო ორგანიზაციების მოწვევა ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე და მათ ეძლევათ საკმარისი დრო მოსამზადებლად;</li> <li>3. საკონსულტაციო ორგანოს არსებობა არ ზღუდავს სხვა სსო-ების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ აქტუალურ საკითხზე საჯარო კონსულტაციებში.</li> </ol>

		<p>4. სახელმწიფო ორგანოები საჯაროდ აქვეყნებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და აზიარებენ საკუთარ პოზიციას.</p> <p>5. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის და პროგრამების განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მზარდია.</p>
<p><b>III. სსო-ებისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო ინფორმაცია.</b></p>	<p>1. კანონმდებლობა ადგენს ვადებსა და პირობებს სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საჭირო სრული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.</p> <p>2. საჭირო ინფორმაციაზე წვდომისთვის, კანონი ადგენს მარტივ და ნათელ პროცედურებს.</p>	<p>1. კანონპროექტები და პოლიტიკის დოკუმენტები გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია; სსო-ები სათანადოდ ინფორმირებულნი არიან კანონპროექტების საჯარო მოსმენის ან განხილვის შესახებ.</p> <p>2. სახელმწიფო ორგანოები პასუხობენ ინფორმაციის მოთხოვნებს დროულად და უფასოდ.</p>
<p><b>IV. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა განსხვავდება პოლიტიკური საქმიანობისა და ლობირებისგან</b></p>	<p>1. პოლიტიკურ საქმიანობაში სსო-ების მონაწილეობის შეზღუდვები ნათლად არის აღწერილი და ვიწროდ განსაზღვრული. ისინი გავლენას არ ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობაზე ჩაერთონ საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმიანობაში.</p> <p>2. ლობირების რეგულირება არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას ჩაერთონ საჯარო პოლიტიკისა და ადვოკატირების საქმიანობაში.</p>	<p>1. არ ხდება სსო-ების შევიწროება ან მათზე ზეწოლა მოსაზრებებისთვის, რომლებიც ემსახურება ან ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიების ინტერესებს.</p> <p>2. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ ადვოკატირების საქმიანობაში ჩართვა ლობისტებად ან პროფესიულ ადვოკატებად დარეგისტრირების ან დამატებითი ადმინისტრაციული თუ ფინანსური პროცედურების გავლის გარეშე.</p>

## სფერო 6: გამოხატვის თავისუფლება

სტანდარტები	ინდიკატორები კანონმდებლობა	პრაქტიკა
<p><b>I. ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობს ნებისმიერი პირი, მათ შორის სსო-ები, ადგილობრივი თუ უცხოური, ინდივიდუალური თუ ჯგუფური.</li> <li>2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული პირები თავისუფალნი არიან ნებისმიერი საშუალებით მოიძიონ, მიიღონ და გააზიარონ ინფორმაცია და იდეები, საზღვრების განურჩევლად.</li> <li>3. იკრძალება ნებისმიერი სახის ადვოკატირება, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულების ან ძალადობის წაქეზებას.</li> <li>4. სანქციები არ არის დაწესებული ფართო და ბუნდოვანი განმარტების მქონე „ყალბი ინფორმაციის/ნიუსის“ გავრცელებაზე, ასევე სანქციები არ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებაზე.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. აზრებისა და შეხედულებების გამოხატვას არ მოჰყვება უკურეაქცია ან არაპროპორციული სანქციები.</li> <li>2. სახელმწიფო არ აფერხებს იდეების, შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვას, რომლებიც არ შეესაბამება ან კრიტიკულია ოფიციალური პოლიტიკის მიმართ.</li> <li>3. სიმულვილის ენისთვის დაწესებული სანქციები აუცილებელი და პროპორციულია; შეუძლებელი იქნებოდა იმავე შედეგის მიღება ნაკლებად ინტრუზიული ზომების გამოყენებით.</li> <li>4. არ დაფიქსირებულა ჟურნალისტების, აქტივისტების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების დევნის ან გასამართლების ფაქტი ყალბი ინფორმაციის/ნიუსის ან დეზინფორმაციის შექმნის და გავრცელების ბრალდებით.</li> </ol>
<p><b>II. სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არ არის შეზღუდული მოსაზრებების გამოსახატად ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;</li> <li>2. ცენზურის წინააღმდეგ არსებობს დაცვის მძლავრი მექანიზმები და გარანტიები;</li> <li>3. კანონი იცავს მამხილებელი პირებისა და ჟურნალისტების საინფორმაციო წყაროების კონფიდენციალურობას;</li> <li>4. არსებობს მკაფიო და პროპორციული სანქციები ცილისწამების შემთხვევებისთვის; არ ხდება ამ უკანასკნელის კრიმინალიზება.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ტრადიციული და ონლაინ მედიის ბლოკირების შემთხვევები ყოველთვის ეფუძნება წმინდა სამართლებრივ მიზეზებს და ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულია.</li> <li>2. ინტერნეტში ინფორმაციის გამოქვეყნება არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ტრადიციული მედიისთვის მოქმედი კონკრეტულ ადმინისტრაციულ რეგულაციებთან შესაბამისობას.</li> <li>3. ადგილი არ აქვს პოლიციის მიერ ჟურნალისტების დაკავების ან მედია საიტებზე თავდასხმის შემთხვევებს ინფორმაციის წყაროების გამოვლენის მიზნით.</li> <li>4. სახელმწიფო უწყებები ხელს უწყობენ სანდო, გადამოწმებადი და სარწმუნო ინფორმაციის გავრცელებას.</li> </ol>

## სფერო 7: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
I. ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებით	<ol style="list-style-type: none"> <li>ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.</li> <li>კანონი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ან დარღვევისგან დაცვის მექანიზმებს, განურჩევლად იმისა, ხორციელდება თუ არა ამგვარი ქმედება სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ, ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმში.</li> <li>კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების მიერ კერძო პირების პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევის შემთხვევების გამოძიება და დასჯა;</li> <li>სსო-ები და მათთან დაკავშირებული პირები დაცული არიან პერსონალური ინფორმაციის არაკორექტული ან არაპროპორციული შეგროვებისგან, დამუშავებისა და შენახვისგან, ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში.</li> </ol>
II. სახელმწიფო იცავს სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას	<ol style="list-style-type: none"> <li>სსო-ების მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები იცავს წევრების, დონორების, გამგეობის წევრებისა და თანამშრომლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და მათი პირადი აქტივების კონფიდენციალურობას.</li> <li>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ობიექტური მიზეზებისა და შესაბამისი სასამართლო ნებართვის საფუძველზე.</li> <li>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე ან მასთან დაკავშირებულ პირებზე ზედამხედველობა არის პროპორციული, ლეგიტიმური და ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი ნებართვის საფუძველზე.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>ადგილი არ აქვს სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების პირად ცხოვრებაში ან კომუნიკაციაში არავტორიზებული ჩარევის შემთხვევებს;</li> <li>ადგილი არ აქვს სსო-ების ოფისებში შეჭრის და სსო-ს დოკუმენტებზე წვდომის შემთხვევებს სასამართლოს შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე.</li> </ol>

**სფერო 8: სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება**

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
<p><b>I. სახელმწიფო იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პირებს ჩარევისა და თავდასხმებისგან</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონი მოითხოვს სახელმწიფოსაგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების უფლებების დაცვას.</li> <li>2. სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირებისთვის ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოების მიმართ გასაჩივრების ეფექტური მექანიზმები იმ გადაწყვეტილებების გადასახედად, რომლებიც ზემოქმედებს უფლებების ან/და საზოგადოებრივი ინტერესის განხორციელებაზე.</li> <li>3. კანონი უზრუნველყოფს სსო-ებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით გონივრულ ვადაში.</li> <li>4. ნებისმიერი სახის გადაუდებელი ღონისძიება, რომელიც იქნება გამოყენებული შეზღუდულია დროში და უნდა წარმოადგენდეს კანონიერ, აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებას და უნდა გადიოდეს შესაბამის ზედამხედველობას.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ეფექტურად იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს, როდესაც მესამე მხარე არღვევს მათ უფლებებს.</li> <li>2. კომპეტენტური ორგანოები და სასამართლოები მიუკერძოებლად და გონივრულ ვადაში წყვეტენ დაცვასთან დაკავშირებულ მიმართვებს და/ან საჩივრებს.</li> <li>3. სახელმწიფო მოხელეები არ იყენებენ სიძულვილის ენას ან არ ახდენენ სსო-ების სტიგმატიზებას; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ მედიაში, არ მიმდინარეობს ცილისწამებლური კამპანია სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ;</li> <li>4. სახელმწიფო არ იყენებს გადაუდებელ ღონისძიებებს, როგორც მონაწილეობის ან ადამიანის უფლებების შეზღუდვის ანდა კრიტიკული ორგანიზაციების დასჯის ღონისძიებისთვის გამიზნულ განზრახ მექანიზმს.</li> </ol>
<p><b>II. ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრების ან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მიზანმიმართული და პროპორციულია, შეესაბამება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას და იცავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის შესახებ</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ზღუდავს სსო-ებს, შეუძლებელს ხდის სსო-ების მიერ ლეგიტიმური საქმიანობის წარმართვას ან ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას.</li> <li>2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ზომები ვრცელდება მხოლოდ მომეტებული რისკის მქონე სსო-ებზე;</li> <li>3. ანტიკორუფციული კანონები, ზომები და სტრატეგიები არ ზღუდავს ან არ არღვევს სსო-ების, მათი თანამშრომლებისა და დონორების უფლებებს.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა არ იზღუდება ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან კავშირის შესახებ გაუმართლებელი განცხადებების საფუძველზე.</li> <li>2. სახელმწიფო ორგანოები ან საბანკო პრაქტიკა არ აფერხებს ან არ ზღუდავს სსო-ების მიერ ფულის გაგზავნის ან მიღების შესაძლებლობას.</li> <li>3. ანტიკორუფციული რეგულაციების განხორციელება უარყოფითად არ აისახება სსო-ების, მათი თანამშრომლებისა და დონორების უფლებებსა და საქმიანობაზე.</li> </ol>

**საჭირო პირობები**

**სფერო 9: სახელმწიფო მხარდაჭერა**

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
I. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ების ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების ფართო არჩევანი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონი ითვალისწინებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მრავალფეროვანი მექანიზმების დანერგვას.</li> <li>2. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ებისთვის არაფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის სამართლებრივი შესაძლებლობები.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო რეგულარულად ახდენს სხვადასხვა სფეროში მოქმედი სსო-ების დიდი რაოდენობის დაფინანსებას.</li> <li>2. გამოყოფილია დაფინანსება სსო-ს მიერ გაწეული მომსახურებით სარგებლობისთვის; არსებობს სსო-ების მიერ მიწოდებული მომსახურებით სარგებლობის მზარდი პრაქტიკა.</li> </ol>
II. სსო-ებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული და ობიექტური კრიტერიუმებით, განაწილება კი ხდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურის საშუალებით	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური და არამატერიალური მხარდაჭერა ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს.</li> <li>2. კანონი ითხოვს სსო-ს წარმომადგენლების მონაწილეობას დაფინანსების პრიორიტეტებისა და გრანტის მიმღებთა შერჩევის პროცესში.</li> <li>3. სსო-ებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო დაფინანსებასთან მიმართებაში, არსებობს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო და მიუკერძოებელი მექანიზმი.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენის პროცედურა მარტივი და გამჭვირვალეა, პრცედურის შესახებ ინფორმაცია ფართოდ არის გავრცელებული, შერჩევის კრიტერიუმები კი საჯაროდ არის წინასწარ გამოცხადებული.</li> <li>2. სახელმწიფო მხარდაჭერა არ გამოიყენება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შეზღუდვის ან მათი საქმიანობის ხელშეშლის საშუალება.</li> <li>3. მთავრობა დროულად აქვეყნებს ინფორმაციას არჩევის შედეგებისა და პროექტის შედეგების შესახებ</li> </ol>

<p><b>III. სსო-ები ხელსაყრელი საგადასახადო გარემოთი სარგებლობენ</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს გრანტებზე, შემოწირულობებზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, კონტრბუციებზე და საწევრო შეტანატებზე, რომლებიც ხელს უწყობს არაკომერციულ საქმიანობას.</li> <li>2. სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი ნათელი, მარტივი და დაბალხარჯიანი პროცედურის გავლით.</li> <li>3. საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მინიჭება ხდება განუსაზღვრელი ვადით ან გრძელვადიანი პერიოდით, რომლის განახლებაც მარტივად არის შესაძლებელი.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. შესაძლებელია სსო-ებისთვის განკუთვნილი საგადასახადო შეღავათების პრაქტიკაში გამოყენება.</li> <li>2. საზოგადოებრივი სარგებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება არ აფერხებს სსო-ების საქმიანობას.</li> <li>3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ ექვემდებარება გაუმართლებელ საგადასახადო სანქციებს ან საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის გაუქმებას სახელმწიფო ორგანოების მიერ</li> </ol>
<p><b>IV. ბიზნესები და კერძო პირები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით სსო-ბისადმი გაცემულ შემოწირულობებზე</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ხდება სსო-ების სასარგებლოდ ფინანსური და არამატერიალური შემოწირულობების წახალისება; წამახალისებელი ზომებით სარგებლობის პროცედურა ნათელი და მარტივია.</li> <li>2. საგადასახადო გამოქვითვის ლიმიტები ახდენს რეგულარული ჩუქების, მათ შორის, შემოწირულობების გაცემის სტიმულირებას.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ინდივიდუალურ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე.</li> <li>2. კორპორატიულ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე.</li> </ol>
<p><b>V. კანონმდებლობა და პოლიტიკა ხელს უწყობს მოხალისეობას</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არსებობს ნებაყოფლობითი და მოხალისეობრივი მუშაობის მკაფიო განსაზღვრება; მასპინძელი ორგანიზაციები და მოხალისეები არ შეიძლება ჩაითვალოს არაკანონიერ სამუშაო ძალად.</li> <li>2. კანონმდებლობა არ ქმნის დამატებით ტვირთს და შეზღუდვებს მოხალისეების ჩართვის კუთხით.</li> <li>3. სახელმწიფო ხელს უწყობს მოხალისეობის განვითარებას პოლიტიკის, პროგრამებისა და ფინანსური მხარდაჭერის გზით.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ები არ აწყდებიან დაბრკოლებებს მოხალისეების ჩართვის პროცესში; მათ შეუძლიათ ჩართონ უცხოელი მოხალისეები ან გაგზავნონ მოხალისეები საზღვარგარეთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.</li> <li>2. მოხალისეობის სტიმულები გამოიყენება პრაქტიკაში და აღიარებულია სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ, როგორცაა დამსაქმებლები, უნივერსიტეტები და ა.შ.</li> </ol>

**სფერო 10: სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა**

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონმდებლობა	პრაქტიკა
<p><b>I. სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და მათ განვითარებას</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიღებულია და კანონმდებლობაში დანერგილია პოლიტიკის დოკუმენტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებისა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის შესახებ.</li> <li>2. პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მიზნებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს, განხორციელების ვადებს, შეფასების პროცედურებს და ფინანსურ წყაროებს.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ადგენს პოლიტიკის დოკუმენტებს თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ;</li> <li>2. პოლიტიკის დოკუმენტები იწერება პრაქტიკაში და გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე;</li> <li>3. სახელმწიფო გამოყოფს საკმარის რესურსებს პოლიტიკის დოკუმენტების დანერგვის მიზნით.</li> <li>4. პოლიტიკის დოკუმენტების დანერგვისას, ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი და შეფასება; ხდება გაკეთებული დასკვნების გათვალისწინება.</li> </ol>
<p><b>II. სახელმწიფოს დანერგილი აქვს სპეციალური მექანიზმები სსო-ებთან თანამშრომლობის ხელშესაწყობად</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დიალოგისა და თანამშრომლობის ფარგლებში, საჯარო საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების ფუნქციონირებისა და გამჭვირვალობის ძირითადი პრინციპები რეგულირდება კანონით.</li> <li>2. საკონსულტაციო ორგანოებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები ნათელი და ობიექტურია, შერჩევის პროცედურა კი - გამჭვირვალე.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საკონსულტაციო ორგანოების ჩამოყალიბება გამჭვირვალე პროცესია და ხორციელდება როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.</li> <li>2. სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანოს გადაწყვეტილებები.</li> <li>3. ყველა დაინტერესებულ სამოქალაქო ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო ორგანოების მუშაობაში.</li> </ol>

ახლად წარმოშობილი საკითხები

სფერო 11: ციფრული უფლებები

სტანდარტები	ინდიკატორები	
	კანონი	პრაქტიკა
<p>I. ციფრული უფლებები დაცულია და ციფრული ტექნოლოგიები შეესაბამება ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტებს</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონმდებლობით გარანტირებულია უსაფრთხო და ქმედითი ონლაინ გარემო და ციფრულ უფლებათა განხორციელების მექანიზმები.</li> <li>2. ციფრული უფლებების შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა ეფუძნება კანონიერების, ლეგიტიმურობის, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებს.</li> <li>3. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება (მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატური სისტემების) ხდება საერთაშორისო ადამიანის ძირითად უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობაში.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კიბერდანაშაულთან, დეზინფორმაციასთან, სიძულვილის ენასთან/ძალადობის წაქეზებასთან და ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები არ გამოიყენება ციფრულ უფლებათა არამართლზომიერად შესაზღუდად.</li> <li>2. სახელმწიფო უწყებები არ მიმართავენ იმგვარ ზომებს, როგორც არის მობილური ტელეფონის სიგნალის გათიშვა, ინტერნეტის მოქმედების შეწყვეტა/შენელება სისტემის გათიშვა ან ციფრულ საშუალებებთან წვდომის შეზღუდვა ინდივიდთათვის ციფრული უფლებების გამოყენების პროცესში ხელის შესაშლელად.</li> <li>3. სახელმწიფო უწყებები არ იყენებენ ტექნოლოგიებს იმისთვის, რომ გააჩუმონ, დაზვერონ ან შეავიწროვონ სამოქალაქო საზოგადოებები, ადამიანის უფლებათა დამცველები, აქტივისტები, პროტესტანტები მათი ონლაინ აქტივობების ფარგლებში, ასევე არ ბლოკავენ და აუქმებენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა კუთვნილ ბლოგებსა და ვებ-გვერდებს იქ განთავსებული მასალების წაშლის მიზნით.</li> <li>4. სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი აწარმოებს ძირითადი უფლებების განხორციელების პროცესზე მუდმივ დაკვირვებას/შეფასებას, მათ შორის გავლენების შეფასების გზით და შეაქვთ სიცხადე ციფრული ტექნოლოგიების შექმნის, განვითარებისა და ჩაშვების პროცესში, ასევე ერთვებიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და პოტენციურ ზემოქმედების ჯგუფებთან დიალოგში კონსულტაციის მიღების მიზნით, მანამ სანამ მოხდება ტექნოლოგიათა ჩაშვება.</li> </ol>

<p><b>II. სახელმწიფო ქმნის ციფრული უფლებების შეუფერხებელი გამოყენების პირობებს.</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო უზრუნველყოფს ინტერნეტის ღიაობას, ხელმისაწვდომობასა და მიწვდომადობას.</li> <li>2. სახელმწიფო ქმნის დამოუკიდებელი, ეფექტური, რესურსებით ადეკვატურად აღჭურვილი, და მიუკერძოებელი მარეგულირებელი მექანიზმების გარანტიებს, ასევე უზრუნველყოფს უფლებათა აღდგენის ეფექტური მექანიზმების არსებობას ციფრულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო მონაწილეობს ღია და ინკლუზიურ დიალოგში ყველა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებებთან ციფრულ ტექნოლოგიებთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკური დოკუმენტების შედგენის პროცესში.</li> <li>2. სახელმწიფო ინსტიტუტები თავად ახორციელებენ ან აფინანსებენ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული წინააღმდეგობების გადალახვას, მათ შორის განათლების, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობის და ა.შ. გზით.</li> <li>3. სახელმწიფო იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს ადამიანის ძირითად უფლებათა განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.</li> </ol>
---	---	---

# სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტის განმარტებითი შენიშვნა

## სარჩევი

<b>სფერო 1. გაერთიანების თავისუფლება</b> .....	<b>28</b>
სტანდარტი 1. ნებისმიერ პირი სარგებლობს სსო-ს დაფუძნების, მასში გაწევრიანების ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლებით.....	28
სტანდარტი 2. სსო-ს იურიდიულ პირად რეგისტრაციის პროცედურა არის ნათელი, მარტივი, სწრაფი და დაბალხარჯიანი .....	32
სტანდარტი 3. სსო-ები თავისუფალნი არიან თავიანთი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის პროცესში; მათ შეუძლიათ ფუქციონირება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.	35
სტანდარტი 4. დაწესებული სანქციები ნათელი და პროპორციულობის პრინციპთან თანმიმდევრულია; ისინი მინიმალურად ინტრუზიული ზომას სასურველი მიზნის მისაღწევად.	38
სტანდარტი 5. სახელმწიფო არ ერევა სსო-ების შიდა საქმიანობაში.....	41
შესაბამისი რესურსები.....	44
<b>სფერო 2. თანასწორი მოპყრობა</b> .....	<b>45</b>
სტანდარტი 1. სახელმწიფოს მიდგომა სსო-ებისა და ბიზნეს სუბიექტების მიმართ თანასწორია....	45
სტანდარტი 2. სახელმწიფოს მიდგომა ყველა სსო-ს მიმართ თანასწორია მათი შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის კუთხით .....	50
შესაბამისი რესურსები.....	52
<b>სფერო 3. დაფინანსების ხელმისაწვდომობა</b> .....	<b>52</b>
სტანდარტი 1. სსო-ები თავისუფალნი არიან მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ფინანსური და მატერიალური რესურსები თავიანთი მიზნების მისაღწევად .....	52
სტანდარტი 2. არ არის განსხვავება უცხოურ და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებისადმი მიდგომასა და შიდა წყაროებიდან მიღებულ რესურსებიდან მიდგომას შორის.....	56
შესაბამისი რესურსები.....	60
<b>სფერო 4. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება</b> .....	<b>61</b>



სტანდარტი 1. ნებისმიერ პირს შეუძლია ისარგებლოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით შეკრებების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის მიღების გზით .....	61
სტანდარტი 2. სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს მშვიდობიან შეკრებებს .....	67
სტანდარტი 3. სახელმწიფო არ უწესებს ზედმეტ მოთხოვნებს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.....	71
სტანდარტი 4. სამართალდამცავი ორგანოები მხარს უჭერენ მშვიდობიან შეკრებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მათი წარმომადგენლების ქმედებებზე.....	76
შესაბამისი რესურსები.....	80
<b>სფერო 5. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება .....</b>	<b>81</b>
სტანდარტი 1. ყველას აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.....	81
სტანდარტი 2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რეგულარულად, ღიად და ეფექტურად არიან ჩართულები საჯარო პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.....	87
სტანდარტი 3. სსო-ებისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო ინფორმაცია.....	91
სტანდარტი 4. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა განსხვავდება პოლიტიკური საქმიანობისა და ლობირებისგან .....	94
შესაბამისი რესურსები.....	97
<b>სფერო 6. გამოხატვის თავისუფლება .....</b>	<b>99</b>
სტანდარტი 1. ყველას აქვს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება .....	99
სტანდარტი 2. სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.....	106
შესაბამისი რესურსები.....	112
<b>სფერო 7. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.....</b>	<b>115</b>
სტანდარტი 1. ნებისმიერი პირი ისარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონცემთა დაცვის უფლებით .....	115
სტანდარტი 2. სახელმწიფო იცავს სსო-ებისა და დაკავშირებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.....	119
დაკავშირებული რესურსები.....	124
<b>სფერო 8. სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება .....</b>	<b>126</b>
სტანდარტი 1. სახელმწიფო იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პირებს ჩარევისა და თავდასხმებისგან.....	126

სტანდარტი 2. ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრების ან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მიზანმიმართული და პროპორციულია, ისინი შეესაბამება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას და იცავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის შესახებ.....	133
შესაბამისი რესურსები.....	138
<b>სფერო 9. სახელმწიფო მხარდაჭერა .....</b>	<b>140</b>
სტანდარტი 1. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ების ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების ფართო არჩევანი.....	140
სტანდარტი 2. სსო-ებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული და ობიექტური კრიტერიუმებით, განაწილება კი ხდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურის საშუალებით .....	143
სტანდარტი 3. სსო-ები ხელსაყრელი საგადასახადო გარემოთი სარგებლობენ.....	147
სტანდარტი 4. ბიზნესები და კერძო პირები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით სსო-ბისადმი შემოწირულობებზე.....	150
სტანდარტი 5. კანონმდებლობა და პოლიტიკა ხელს უწყობს მოხალისეობას.....	153
შესაბამისი რესურსები.....	156
<b>სფერო 10. სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა.....</b>	<b>157</b>
სტანდარტი 1. სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და მათ განვითარებას .....	157
სტანდარტი 2. სახელმწიფოს დანერგილი აქვს სპეციალური მექანიზმები სსო-ებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით .....	160
შესაბამისი რესურსები:.....	163
<b>სფერო 11 - ციფრული უფლებები .....</b>	<b>164</b>
სტანდარტი 1. ციფრული უფლებები დაცულია და ციფრული ტექნოლოგიები შეესაბამება ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტებს.....	164
სტანდარტი 2. სახელმწიფო ქმნის ციფრული უფლებების შეუფერხებელი გამოყენების პირობებს .....	171
შესაბამისი რესურსები.....	174

# სფერო 1. გაერთიანების თავისუფლება

## სტანდარტი 1.

ნებისმიერ პირი სარგებლობს სსო-ს დაფუძნების, მასში გაწევრიანების ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლებით

გაერთიანების თავისუფლება დაცულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. გაერთიანების თავისუფლება გულისხმობს ნებისმიერი პირის უფლებას, განურჩევლად ეროვნებისა, გაერთიანდეს და დააფუძნოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (სსო). გარდა ინდივიდუალური პირებისა, აღნიშნული უფლება ასევე ვრცელდება იურიდიულ პირებზე. სსო-ებს შეუძლიათ შექმნან იურიდიული პირი ან იმოქმედონ არაფორმალური ორგანიზაციის სახით. უფრო მეტიც, გაერთიანების თავისუფლება გულისხმობს ნებისმიერი პირის უფლებას ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობაში, როგორც წევრი ან მხარდამჭერი. გაერთიანება შესაძლებელი უნდა იყოს ტერიტორიული შეზღუდვების გარეშე, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ რეჟიმში.

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის ფარგლებში

1. ნებისმიერ პირს თუ პირთა ჯგუფს, ფიზიკურს თუ იურიდიულს, ადგილობრივს თუ უცხოელს, აქვს უფლება შექმნას სსო.
2. ფუნქციონირებისთვის, სსო-ს არ უნდა მოეთხოვებოდეს რეგისტრაციის გავლა ან იურიდიული სტატუსის მიღება.
3. სსო-ების ფუნქციონირებისთვის, არ უნდა არსებობდეს ტერიტორიული შეზღუდვები, მათ უნდა ჰქონდეთ ონლაინ რეჟიმში გაერთიანების შესაძლებლობა.
4. ინდივიდუალურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ ან ჩაერთონ ნებისმიერი სსო-ს საქმიანობაში, გახდნენ მისი წევრები, მოხალისეები ან მხარი დაუჭირონ სსო-ს ინიციატივებს.

### 1. ნებისმიერ პირს თუ პირთა ჯგუფს, ფიზიკურს თუ იურიდიულს, ადგილობრივს თუ უცხოელს, აქვს უფლება შექმნას სსო

გაერთიანების თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა, რომლითაც სარგებლობს ნებისმიერი პირი. ის როდია გათვალისწინებული მხოლოდ მოქალაქეებისთვის, ამომრჩევლებისთვის, მოქალაქეობის მქონე პირთათვის ან რეზიდენტებისთვის. ლტოლვილები, მიგრანტები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ქალები, უმცირესობათა წარმომადგენლები, ისევე როგორც სხვა მოწყვლადი ჯგუფები თანაბრად სარგებლობენ გაერთიანების თავისუფლებით. სსო-ს შექმნის უფლება ბავშვებზეც კი ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა სამართლებრივი ქმედუნარიანობის გათვალისწინებით გაერთიანების ფორმირებასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები შესაძლოა გამართლებული იყოს, ისინი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ითვალისწინებდეს ბავშვის განვითარებად შესაძლებლობებს. როგორც წესი, 14 წლის ზემოთ, ბავშვები უნდა სარგებლობდნენ გაერთიანებაში გაწევრიანების თავისუფლებით.

სხვების მსგავსად, სსო-ს დაფუძნების უფლებით უნდა სარგებლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მათ შორის შეზღუდული სამართლებრივი ქმედუნარიანობის მქონე ადამიანები. აუცილებელია სხვადასხვა ორგანიზაციაში მათი მონაწილეობის/გაერთიანების წახალისება, ასევე გარკვეული ზომების დანერგვა მათ მიერ უფლებებით სარგებლობის ხელშესაწყობად. შესაძლებელია

გარკვეულ ფინანსურ და მმართველობით გადაწყვეტილებებზე შეზღუდვების დაწესება დამცავი მექანიზმის სახით. აღნიშნული დაცვის მექანიზმის მიზანია უზრუნველყოს, რომ პირებს აქვთ სათანადო მხარდაჭერა გადაწყვეტილებების მიღების, ნების გამოხატვისა და თავიანთი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მართვის პროცესში.

სსო-ს შექმნის უფლებით სარგებლობენ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც. ეს შესაძლოა იყოს არაკომერციული იურიდიული პირი ან კორპორაცია. მაგალითს წარმოადგენს სსო-ების ე.წ. „ქოლგა“ ორგანიზაციის ჩამოყალიბება (მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელი ან ფონდების/ასოციაციების კავშირი), კორპორატიული გაერთიანება (მაგ. სამთო მრეწველობის კავშირი) ან ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს როგორც კორპორატიული, ისე არაკომერციული წევრები (მაგ. დონორთა ფორუმი).

სსო-ს შექმნის უფლება მოიცავს წევრობაზე (მაგ. ასოციაცია) ან არაწევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის შექმნის თავისუფლებას (მაგ. ფონდი).

საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, სახელმწიფო, არც კანონის ძალით და არც პრაქტიკაში, არ უწყებს გადაჭარბებულ შეზღუდვებს პირებს, ვისაც ასოციაციების შექმნა სურთ.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად შესაძლოა განვიხილოთ შემდეგი:**

- სსო-ს დამფუძნებლებს არ უნდა ჰქონდეთ ნასამართლეობა;
- სსო-ს დამფუძნებლებს უნდა ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვა ან მოქალაქეობა.

## **2. ფუნქციონირებისთვის, სსო-ებს არ მოეთხოვებათ რეგისტრაციის გავლა ან იურიდიული სტატუსის მიღება**

სსო შეიძლება იყოს გარკვეული ინსტიტუციური ფორმის ან სტრუქტურის მქონე არაფორმალური ორგანიზაცია, ან კიდევ იურიდიული სტატუსის მქონე ორგანო. საქმიანობის დასაწყებად, არ უნდა იყოს საჭირო სსო-ს რეგისტრირება რომელიმე ორგანოს მიერ. გადაწყვეტილება იურიდიული პირის სტატუსის მიღების შესახებ დამოუკიდებლად უნდა იქნას მიღებული სსო-ს მიერ სტატუსთან დაკავშირებული შეღავათებით სარგებლობის მიზნით, როგორცაა სსო-ს წევრების შეზღუდული პასუხისმგებლობა ან სსო-ს სახელზე საბანკო ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი:**

- საქმიანობის დაწყებამდე, სსო-ები ვალდებული არიან შეტყობინება მიაწოდონ გარკვეულ ორგანოს;
- ყველა სსო-ს მოეთხოვება იურიდიულ პირად რეგისტრირება;
- აკრძალული ან სანქცირებულია საქმიანობა არარეგისტრირებული ჯგუფების მიერ.

## **3. არ არსებობს ტერიტორიული შეზღუდვები სსო-ს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მათ აქვთ ონლაინ რეჟიმში გაერთიანების შესაძლებლობა**

გაერთიანების თავისუფლება მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ რეჟიმში გაერთიანების უფლებას (მაგ. მსგავსი ამოცანების/მიზნების მქონე პირთა სოციალური/ონლაინ ქსელის ფორმირება). ონლაინ გაერთიანებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა დაექვემდებაროს ლეგიტიმურობის იმავე სტანდარტებს, რომლებიც ვრცელდება ტრადიციულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე. ეროვნულ დონეზე ოპერირების მიზნით, სსო-ს არ უნდა უწყევდეს სპეციალური რეგისტრაციის გავლა ან ნებართვის მიღება. რეგიონში საქმიანობის წარმართვის მიზნით, სსო-ს ასევე არ უნდა მოეთხოვებოდეს აღნიშნულ რეგიონში ფილიალების ან წარმომადგენლობის ქონა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი:**

- ეროვნულ დონეზე საქმიანობის წარმართვის მიზნით, სსო უნდა იყოს ფიზიკურად წარმოდგენილი ერთზე მეტ ლოკაციაზე;
- არსებობს რეგისტრაციის განსხვავებული მოთხოვნები ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ოპერირებენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

**4. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი სსო-ს საქმიანობაში მასში გაწევრიანების, მოხალისედ ჩართვის ან სსო-ს ინიციატივების მხარდაჭერის გზით**

კანონი არ უნდა ზღუდავდეს ორგანიზაციაში გაწევრიანების ან სხვაგვარად სსო-ს საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას. აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე, განურჩევლად ეროვნებისა და ნებისმიერი სხვა მახასიათებლისა (იხ. ინდიკატორი 1-ის აღწერა, რომელიც ასევე ვრცელდება სსო-ს წევრობაზე). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, თავისუფალია მის გადაწყვეტილებაში, სურს თუ არა წევრად მიიღოს ფიზიკური/იურიდიული პირი. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას, სსო-მ უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის შესახებ არსებული ზოგადი პრინციპების დაცვა.

ამავდროულად, თუკი ფიზიკურ პირს აქვს პროფესიულ ან გარკვეულ საქმიანობაში ჩართვის სურვილი, სსო-ში გაწევრიანება არ უნდა იყოს სავალდებულო მოთხოვნა. მართალია არსებობს გარკვეული პროფესიული აქტივობები, რომლებიც მოითხოვს პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანებას - მაგ. ადვოკატები უნდა იყვნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები - ამგვარი ორგანიზაციები არ ხვდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი სსო-ების განმარტებაში. ასევე არ შეიძლება იყოს შეზღუდვები სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მოხალისეების მიღებაზე, ადამიანების ჩართვაზე, ცალკეული პირებისგან შემოწირულობების მიღებაზე.

კანონმა შესაძლოა შეზღუდოს გარკვეული საჯარო მოხელეების, მათ შორის პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების სსო-ში გაწევრიანების შესაძლებლობა. ამგვარი შეზღუდვები უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევებში. მათი არსებობა შესაძლოა აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში (მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი:**

- იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ იყვნენ გაერთიანების დამფუძნებლები ან წევრები;
- ნასამართლეობის მქონე პირებს არ შეუძლიათ იყვნენ სსო-ს წევრები.

**პრაქტიკა**

<b>ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით</b>
1. სახელმწიფო არ ქმნის პრაქტიკულ დაბრკოლებებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ჩამოყალიბების, მასში გაწევრიანების ან მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების პროცესში.
2. ფიზიკური პირის თავისუფალი არჩევანია, გაწევრიანდება თუ არა სსო-ში ან მონაწილეობას მიიღებს თუ არა მის საქმიანობაში.

**1. სახელმწიფო არ ქმნის პრაქტიკულ დაბრკოლებებს სსო-ს დაფუძნების ან მასში გაერთიანების პროცესში**

არ არსებობს გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული დაბრკოლებები, როგორცაა არარეგისტრირებული ჯგუფების დევნა/შევიწროება ან ოფიციალური რეგისტრაციის მოთხოვნა აზრის გამოსახატად, გამოხატვის ან შეკრების უფლების გამოსაყენებლად და სხვა. პრაქტიკაში დანერგულია სამართლებრივი მოთხოვნები. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს

თავისუფლად შეუძლიათ გაერთიანება იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების გარეშე. მათ ასევე შეუძლიათ შეუერთდნენ ან მონაწილეობა მიიღონ არარეგისტრირებული ჯგუფის საქმიანობაში.

სარეგისტრაციო ორგანო არ ავასებს სსო-ს ამოცანების/მისიის მიზანშეწონილობას. ნაცვლად ამისა, ის ყურადღებას ამახვილებს, თუ რამდენად შეესაბამება სსო კანონით დადგენილ მოთხოვნებს და რამდენად არის წარმოდგენილი კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. მსგავსი მიზნების მქონე სხვა მრავალი ორგანიზაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. რეგისტრაცია არ უნდა იყოს დამოკიდებული სარეგისტრაციო ორგანოს სუბიექტურ შეხედულებაზე, თუ რამდენად შეუძლია სსო-ს გადაჭრას დასახული ამოცანები და პრობლემები.

სარეგისტრაციო ორგანომ არ უნდა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით.

ის ფაქტი, რომ სსო არ არის ფიზიკურად წარმოდგენილი გარკვეულ ადგილას, არ უნდა გახდეს აღნიშნულ ლოკაციაზე სსო-ს საქმიანობის შეზღუდვის მიზეზი. ეროვნულ დონეზე პოლიტიკის ფორმირებასა და სხვა პროცესებში ჩასართავად, არ უნდა არსებობდეს მოთხოვნა სსო-ს მიერ ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული პროცენტული ნაწილის დაფარვის შესახებ.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ფიზიკურ პირებს მოხალისეებად ჩართვა შეუძლიათ მხოლოდ რეგისტრირებულ სსო-ებში;
- სსო-ები ვერ ახერხებენ საქმიანობის დაწყებას რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაჭიანურების გამო.

**2. ფიზიკური პირის თავისუფალი არჩევანია, გაწევრიანდება თუ არა სსო-ში ან მონაწილეობას მიიღებს თუ არა მის საქმიანობაში**

ასოციაციების წევრობასთან დაკავშირებით, არ არსებობს გარკვეული ორგანოების მიერ დადგენილი სპეციფიკური მოთხოვნები, მაგალითად, განათლების დონე, კონკრეტული უმცირესობის კუთვნილება და სხვა. თუმცა, ამგვარი მოთხოვნები შესაძლოა დაწესებულ იქნას თავად სსო-ს მიერ. სსო-ს წევრობა ნებაყოფლობითია; არავის შეუძლია აიძულოს პირი გახდეს სსო-ს წევრი ან ჩაერთოს მის საქმიანობაში.

თავად ორგანიზაციის წევრობის ფაქტი (ან მონაწილეობა მის ლეგიტიმურ საქმიანობაში მოხალისის, დონორის ან მხარდამჭერის რანგში) არ უნდა იქნას გამოყენებული სანქციების დაწესებისა თუ ზეწოლის განხორციელების მიზეზად. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც გამოხატავენ ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკისაგან განსხვავებულ აზრს.

იურიდიული პირის სტატუსის მქონე სსო-ს ან მისი ორგანოების წევრებს არ უნდა მოეთხოვოთ პასუხი ორგანიზაციის ქმედებებზე/დარღვევებზე. ამ წესის გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს დაუდევრობა ოფიციალური წარმომადგენლების მიერ.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ს წევრების დაპატიმრება ხდება ცალსახა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;
- სსო-ების მოქმედი წევრების დევნა საფუძველზე, რომელიც არ უკავშირდება მათი წევრობას (მაგ. საგადასახადო აუდიტი)

## სტანდარტი 2.

### სსო-ს იურიდიულ პირად რეგისტრაციის პროცედურა არის ნათელი, მარტივი, სწრაფი და დაბალხარჯიანი

სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ იურიდიული პირის სტატუსი რეგისტრაციის ეფექტური პროცედურის გავლით. რეგისტრაციის პროცედურა უნდა იყოს მარტივი, სამართლებრივი თუ პრაქტიკული დაბრკოლებების გარეშე, როგორცაა მაღალი სარეგისტრაციო მოსაკრებელი, წარსადგენი დოკუმენტაციის ვრცელი და რთული ჩამონათვალი, განაცხადის წარდგენის ხანგრძლივი პროცესი. გარდა ამისა, სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. მან უნდა განიხილოს განაცხადის კანონიერება და თავი შეიკავოს შეფასებისგან, თუ რამდენად საჭიროა ან რეალისტურია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიზნები. რეგისტრაციის უარყოფა ნებადართულია მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მიზეზების საფუძველზე. უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იძლეოდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის ფარგლებში

1. რეგისტრაცია სწრაფი, ხელმისაწვდომი და დაბალხარჯიანი პროცესია
2. იურიდიული პირის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი, მარტივია და გამორიცხავს სარეგისტრაციო ორგანოს დისკრეციის შესაძლებლობას;
3. არსებობს შეზღუდული რაოდენობის მკაფიო და დასაბუთებული მიზეზები რეგისტრაციის უარყოფისთვის.

### 1. რეგისტრაცია სწრაფი, ხელმისაწვდომი და დაბალხარჯიანი პროცესია

რეგისტრაციის პროცედურა ნათლად არის კანონით გაწერილი. არსებობს განსხვავებული პრაქტიკა ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის რეგისტრაციის ხანგრძლივობასთან ან უკვე რეგისტრირებულ ორგანიზაციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. პროცესი სწრაფია (მაგალითად, საქართველოში, სადაც მხოლოდ ერთი დღეა საჭირო) და არ აღემატება 30 დღეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

რეგისტრაციის ხელმისაწვდომობა რამდენიმე ცალკეულ საკითხს მოიცავს. პირველ რიგში, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია რეგისტრაციის პროცედურის ეტაპების, ისევე როგორც რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ. მეორე - სარეგისტრაციო ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანებს არ უწევთ შორი მანძილის გავლა რეგისტრაციის დოკუმენტაციის წარმოსადგენად - მაგალითად, უნდა იყოს დოკუმენტაციის ონლაინ რეჟიმში წარდგენის შესაძლებლობა. თუკი დოკუმენტაციის წარმოდგენა ხდება ონლაინ რეჟიმში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით; ონლაინ პროცედურა არ უნდა მოითხოვდეს სპეციალიზებულ ცოდნას ან წარმომადგენლობას ადვოკატის მიერ და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის რეგისტრაცია წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ მომსახურებას, არამედ ადამიანის ძირითად უფლებას. ამგვარად, სსო-ს რეგისტრაციის ღირებულება უნდა იყოს მინიმალური, რათა უზრუნველყოს ნებისმიერი პირის მიერ გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობა და სსო-ს იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრაციის შესაძლებლობა. იდეალურ შემთხვევაში, რეგისტრაცია უნდა იყოს უფასო.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ებს შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა მხოლოდ დედაქალაქში;
- რეგისტრაციისთვის, ორგანიზაცია უნდა იყოს წარმოდგენილი იურისტის მიერ.

## **2. იურიდიული პირის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი, მარტივია და გამორიცხავს სარეგისტრაციო ორგანოს დისკრეციის შესაძლებლობას**

კანონი ადგენს დოკუმენტების ნუსხას, რომლებიც სსო-ს დამფუძნებლებმა უნდა წარმოადგინონ იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებლად. საჭირო დოკუმენტების რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული. მათი წარდგენა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურებას, რომ დამფუძნებლებმა დაიცვეს ორგანიზაციის შესაქმნელად გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურა. როგორც წესი, სარეგისტრაციო ორგანოს დასჭირდება დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებას ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ, ორგანიზაციის წესდება, ორგანიზაციისა და მისი წარმომადგენ(ებ)ელის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია, მმართველი ორგანოს წევრების სახელები, რეგისტრაციის საფასურის გადახდის (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ქვითარი და ა.შ.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სსო-ს დასაფუძნებლად საჭიროა არაუმეტეს ორი ფიზიკური ან იურიდიული პირისა. ფონდს შესაძლოა ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამფუძნებელი, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მოითხოვება ერთზე მეტი დამფუძნებელი. ამავდროულად, 10-ზე მეტი დამფუძნებლის მოთხოვნა შესაძლოა ჩაითვალოს საკმაოდ მძიმე ტვირთად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი უფლებას აძლევს სარეგისტრაციო ორგანოს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც არ არის კანონით გათვალისწინებული;
- კანონი მოითხოვს მიმართულების სამინისტროების მიერ პოზიციის დაფიქსირებას სსო-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

## **3. რეგისტრაციის უარყოფისთვის არსებობს შეზღუდული რაოდენობის მკაფიო და დასაბუთებული მიზეზები**

რეგისტრაციაზე უარის თქმა ხდება მხოლოდ კონკრეტულ, გამონაკლის შემთხვევებში, რასაც თან ერთვის უარის მიზეზების წერილობითი ახსნა-განმარტება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველს:

- ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები;
- არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილება;
- ჯანმრთელობის ან მორალური მდგომარეობის დაცვა; ან
- სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

რეგისტრაცია შეიძლება ასევე უარყოფილ იქნას ფორმალური მიზეზების საფუძველზე, მაგ. დამფუძნებლების რაოდენობა არ არის საკმარისი კანონმდებლობის მიხედვით, არ არის სრულად წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტები ან დარღვეულია მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნები (ფონდებისათვის). რეგისტრაციის უარყოფის გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონით დასაბუთებული და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი იძლევა რეგისტრაციაზე უარის თქმის საშუალებას, თუკი კონკრეტულ სფეროზე პასუხისმგებელი სამინისტრო არ გასცემს წინასწარ თანხმობას;

- რეგისტრაციაზე ხდება უარის თქმა მას შემდეგ, რაც მედიაში გავა უარყოფითი სიუჟეტი ერთ-ერთი დამფუძნებლის შესახებ.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად; ის არ ადგენს დამატებით სარეგისტრაციო მოთხოვნებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.</li> <li>2. სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ნებისმიერი ხარვეზის შესახებ განმცხადებლის ინფორმირება ხდება ნათლად და დროულად, არ ხდება განაცხადის უარყოფა უმნიშვნელო ხარვეზების გამო.</li> <li>3. სსო-ს სარეგისტრაციო განაცხადის უარყოფის შემთხვევაში, ხდება საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში.</li> </ol>

### **1. ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად; ის არ ადგენს დამატებით სარეგისტრაციო მოთხოვნებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.**

სარეგისტრაციო ორგანოები ვალდებული არიან იმოქმედონ კანონის შესაბამისად. მათ არ უნდა მოითხოვონ დამატებითი დოკუმენტები, როგორცაა ბინადრობის ნებართვა ან ცნობა დამფუძნებლების ნასამართლეობის შესახებ. იურიდიული პირის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნები გამომდინარეობს მხოლოდ კანონიდან, სარეგისტრაციო ორგანო კი მოქმედებს დამოუკიდებლად (მაგ. მის გადაწყვეტილებებზე გავლენას არ ახდენს სხვა სახელმწიფო ორგანო). ის არ ითვალისწინებს პოლიტიკურ მოსაზრებებს, როგორცაა:

- დამფუძნებლების კრიტიკული დამოკიდებულება მთავრობის მიმართ;
- სსო-ს მთავრობის წინააღმდეგ მიმართული დღის წესრიგი;
- სსო-ს ნაკლებად პოპულარული მისია (მაგ. უმცირესობების დაცვა).

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არსებული მოთხოვნის მიხედვით, სსო-ს ოფისი უნდა მდებარეობდეს ადმინისტრაციულ შენობაში;
- სსო-ს სთხოვენ დოკუმენტების წარმოდგენას, რომლებიც არ არის კანონით გათვალისწინებული.

### **2. სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ნებისმიერი ხარვეზის შესახებ განმცხადებლის ინფორმირება ხდება ნათლად და დროულად, არ ხდება განაცხადის უარყოფა უმნიშვნელო ხარვეზების გამო**

როგორც წესი, თუ სსო არ წარადგენს კანონით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტს, მას უნდა მიეცეს გონივრული ვადა მათ წარსადგენად. განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობა; რეგისტრაციაზე უარის თქმა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არ წარადგენს საჭირო დოკუმენტებს განსაზღვრულ ვადაში; თუ განმცხადებელი წარმოადგენს ყველა საჭირო დოკუმენტს, სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია მოახდინოს სსო-ს რეგისტრაცია. მცირე ფორმალური შეცდომების შემთხვევაში, როგორცაა ბეჭდვითი შეცდომები, გამორჩენილი სიტყვები, გამორჩენილი გვერდის ნომრები და ა.შ., სსო-ს ეძლევა შესაძლებლობა დაუყოვნებლივ გაასწოროს შეცდომა. ამის შემდეგ, მოხდება განაცხადის განსახილველად მიღება.

დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნა არ უნდა იქნას გამოყენებული რეგისტრაციის პროცესის გასაჭიანურებლად.

შეტყობინებასთან დაკავშირებული ეფექტური პრაქტიკა მოიცავს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნას სსო-ს საკონტაქტო პირისთვის.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სარეგისტრაციო ორგანო არ ატყობინებს განმცხადებელს დამატებითი დოკუმენტების წარდგენის საჭიროებას და უარყოფს განაცხადს;
- სარეგისტრაციო ორგანო მოითხოვს განაცხადის დოკუმენტების შესწორებას უმნიშვნელო მიზეზების გამო (მაგ: სსო-ს მმართველ ორგანოს ეწოდება დირექტორი აღმასრულებელი დირექტორის ნაცვლად).

**3. სსო-ს სარეგისტრაციო განაცხადის უარყოფის შემთხვევაში, ხდება საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში.**

პრაქტიკაში, სსო-ს რეგისტრაციის უარყოფის შემთხვევები უნდა იყოს მინიმალური რაოდენობის. ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას იმ დაწესებულებისგან განსხვავებულ ორგანოში, რომელმაც უარყო რეგისტრაცია. მრავალ ქვეყანაში, ამგვარი დაწესებულება სასამართლოა. თუ სარეგისტრაციო სუბიექტი არის სასამართლო, გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს უმალეს სასამართლოში.

გასაჩივრების პროცედურა უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი. გადაწყვეტილების გასაჩივრების საფასური უნდა იყოს დაბალი, ქვეყნის საარსებო მინიმუმთან შესაბამისი. გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნას სწრაფად მიღებული, უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე. იდეალურ შემთხვევაში, გასაჩივრების შემდგომი გადაწყვეტილების დრო არ უნდა აღემატებოდეს დროს, რომელიც საჭიროა სარეგისტრაციო გადაწყვეტილების გასაცემად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- გასაჩივრება არ არის შესაძლებელი ან ხდება იმავე ორგანოში, რომელიც პასუხისმგებელია რეგისტრაციაზე;
- სარეგისტრაციო ორგანო არ გასცემს წერილობით გადაწყვეტილებას რეგისტრაციის უარყოფის შესახებ, მაშინ როცა გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

**სტანდარტი 3. სსო-ები თავისუფალნი არიან თავიანთი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის პროცესში; მათ შეუძლიათ ფუქციონირება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ**

*დემოკრატიულ და პლურალისტურ საზოგადოებაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავისუფალნი არიან საჯარო გამოწვევებზე განსხვავებული პერსპექტივებისა და გადაწყვეტილებების შეთავაზების კუთხით. ამგვარი რამ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სსო თავისუფალია საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის პროცესში, როცა მას არ მოეთხოვება მთავრობის რეკომენდაციების, პრიორიტეტების ან პოლიტიკის შესრულება. გარდა ამისა, სსო-ებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავისუფლად აირჩიონ საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ დასახული მიზნების მიღწევას. მთავრობამ არ უნდა დააწესოს რაიმე სახის შეზღუდვები მათი საქმიანობის მასშტაბზე (მაგ: ონლაინ, ადგილობრივი ან საერთაშორისო).*

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. კანონი საშუალებას აძლევს სსო-ებს განსაზღვრონ თავიანთი მიზნები და განახორციელონ კანონიერი ქმედებები.
2. სსო-ებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი მიზნები ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მათ შორის ეროვნული თუ საერთაშორისო ასოციაციის ან ფედერაციის წევრობის გზით.
3. კანონი არ მოითხოვს სსო-ს საქმიანობის კოორდინირებას მთავრობის პოლიტიკასა და ადმინისტრაციასთან.

### 1. კანონი

სსო-ებს შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი მიზნები და ამოცანები, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი უმრავლესობის მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ერთადერთი შეზღუდვა გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-11 მუხლით. დაუშვებელია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ძალადობრივი და არადემოკრატიული საშუალებების გამოყენება. მაგალითად, ბულგარეთის კონსტიტუციის 44-ე მუხლი აცხადებს, რომ „იკრძალება ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც ქმნის საიდუმლო ან პარამილიტარულ სტრუქტურებს ან მიზნად ისახავს ძალადობის გზით მიზნების განხორციელებას.“

გარდა ამისა, კანონი არ იცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუკი მათ არადემოკრატიული მიზნები ამოძრავებს.<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განცხადებით, სსო-ებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები საკონსტიტუციო წესში კი, თუკი:

- ა) ეს ხდება სამართლებრიობის დაცვით, დემოკრატიული გზით, და
- ბ) სასურველი ცვლილება შეესაბამება დემოკრატიის ძირითად პრინციპებს.

სსო-ს არ უნდა სჭირდებოდეს მთავრობის თანხმობის მიღება კონკრეტულ სფეროში საქმიანობის დასაწყებად, თუკი ამგვარი მოთხოვნა არ არსებობს ამ მიმართულებით მოქმედი ყველა სუბიექტის მიმართ (მაგ: ლიცენზია საბანკო საქმიანობისთვის).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სარეგისტრაციო ორგანო უარს ამბობს სსო-ს რეგისტრაციაზე, რომელსაც სურს კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა საპარლამენტო რესპუბლიკაში;
- კანონი მოითხოვს სსო-ს ამოცანების თანხვედრას მთავრობის პრიორიტეტებთან.

### 2. სსო-ებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი მიზნები ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მათ შორის ეროვნული თუ საერთაშორისო ასოციაციის ან ფედერაციის წევრობის გზით

არ უნდა არსებობდეს შეზღუდვები საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის მასშტაბზე. ნებისმიერ ორგანიზაციას, განურჩევლად იმისა, თუ სად არის მისი ადგილსამყოფელი, უნდა ჰქონდეს ნებისმიერ რეგიონში/თემში ან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების შესაძლებლობა. საზღვარგარეთ საქმიანობისთვის ან საერთაშორისო თუ ადგილობრივ ქსელში გაერთიანებისთვის, არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვა ან სპეციალური ნებართვის მიღების აუცილებლობა.

<sup>1</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე რეფაჰ პარტისი და სხვ. თურქეთის წინააღმდეგ - Refah Partisi (Prosperity Party) and others v. Turkey, ECtHR

უცხოურ სსო-ებს თანაბრად უნდა შეეძლოთ ქვეყანაში ოპერირება ახალი იურიდიული პირის დაფუძნების აუცილებლობის გარეშე. თუმცა, თუკი თავად მოისურვებენ, მათ უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი ფილიალის ან შვილობილი ორგანიზაციის დაარსების შესაძლებლობა. უცხოურ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ყველა იმ ტერიტორიაზე ფუნქციონირების შესაძლებლობა, სადაც საქმიანობენ ადგილობრივი სსო-ები. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა შესაბამისი ტერიტორიის კონკრეტული რეგულაცია ადგენს მოთხოვნას ადგილობრივი იურიდიული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი კრძალავს უცხოური ორგანიზაციის მიერ ქვეყანაში საქმიანობის წარმართვას, თუკი მას არ აქვს ნებართვა/არ არის რეგისტრირებული, როგორც ადგილობრივი დაწესებულება.

**3. კანონი არ მოითხოვს სსო-ების საქმიანობის კოორდინირება მთავრობის პოლიტიკასა და ადმინისტრაციასთან**

სსო-ები თავისუფალნი არიან საქმიანობისთვის სასურველი მიმართულებების შერჩევაში. მთავრობის პრიორიტეტები არ ზღუდავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობას საქმიანობა წარმართონ სხვა არაპრიორიტეტულ სფეროებში. რა თქმა უნდა, მთავრობას შეუძლია წაახალისოს სსო-ების ფოკუსირება პრიორიტეტულ მიმართულებებზე, აღნიშნული მიმართულებებით ფინანსური მხარდაჭერის გაწევის გზით; თუმცა, ამის ხარჯზე, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს სხვა (არასახელმწიფო) მიმართულებების დაფინანსება, რომლებსაც ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

სახელმწიფომ შესაძლოა სსო-ებს მოსთხოვოს კონკრეტული მიმართულებით საქმიანობისთვის საჭირო შესაძლებლობების დადასტურება სალიცენზიო მოთხოვნების წაყენების გზით (მაგ. ჯანდაცვის ან სოციალური მომსახურების სფეროში). თუმცა, ამგვარი მოთხოვნა უნდა გავრცელდეს მომსახურების ყველა მიმწოდებელზე და არა მარტო სსო-ებზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი ავალდებულებს დონორს ხელი მოაწეროს სახელმწიფოსთან შეთანხმებას, რათა უზრუნველყოს დაფინანსება ქვეყნის შიგნით;
- აუცილებელია ნებართვის მიღება მიმართულების სამინისტროსგან მის კომპეტენციაში შემავალ სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სარეგისტრაციო ორგანოები არ იყენებენ საკუთარ დისკრეციას სსო-ების მიზნების შეფასების პროცესში.</li> <li>2. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ პრაქტიკულ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებს სსო-ების მიერ კანონიერად დაშვებული საქმიანობის განხორციელებას</li> </ol>

**1. სარეგისტრაციო ორგანოები არ იყენებენ საკუთარ დისკრეციას სსო-ების მიზნების შეფასების პროცესში**

სარეგისტრაციო ორგანო არ აფასებს სსო-ს მიზნების მიზანშეწონილობას/რეალისტურობას, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ორგანიზაცია სამართლებრივ მოთხოვნებს და რამდენად წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტს. მსგავსი მიზნის მქონე მრავალი ორგანიზაციის არსებობა არ წარმოადგენს საფუძველს სსო-ს რეგისტრაციაზე უარის თქმისთვის.

სუბიექტური შეფასება, თუ რამდენად შეძლებს სსო-ს გადაჭრას განსაზღვრული პრობლემები, ასევე არ შეიძლება გახდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი, იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სტანდარტებს (მაგ: ზოგიერთ ქვეყანაში ფონდების მიმართ არსებობს მოთხოვნა მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სარეგისტრაციო ორგანო მოითხოვს სსო-სგან ახსნას, თუ რატომ გადაწყვიტა კონკრეტული ჯგუფის მხარდაჭერა;
- სარეგისტრაციო ორგანო მოითხოვს მტკიცებულებას მასზე, რომ სსო-ს აქვს საკმარისი რესურსები თავისი მიზნების მისაღწევად.

## **2. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ პრაქტიკულ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებს სსო-ების მიერ კანონიერად დაშვებული საქმიანობის განხორციელებას**

სსო-ები თავისუფალნი არიან წარმართონ საქმიანობა ნებისმიერ სფეროში, ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა კონკრეტული სფეროებისა, სადაც ვრცელდება სპეციალური პირობები და მოთხოვნები (მაგ. საბანკო მომსახურება, სესხები და ა.შ.). ქვეყანაში საქმიანობის წარმართვისთვის, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ სსო-ებს არ უნდა ესაჭიროებოდეთ სპეციალური ნებართვის მიღება ან ადგილობრივი სუბიექტის დარეგისტრირება. მათ მიმართ მიდგომა უნდა იყოს ადგილობრივი სსო-ებისადმი მიდგომის ანალოგიური. მათ უნდა ჰქონდეთ ყველა იმ მიმართულებით ოპერირების შესაძლებლობა, სადაც წარმოდგენილი არიან ადგილობრივი სსო-ები.

სსო-ების საქმიანობა უნდა იქნას ლეგიტიმურად მიჩნეული, თუკი არ არსებობს ამის საწინააღდეგოდ ობიექტური მტკიცებულება. ნებისმიერი დოკუმენტი უნდა იქნას მოთხოვნილი მონიტორინგის ან ინსპექტირების საჭიროების მიხედვით. თუკი სსო-ს მოეთხოვება შემოწმებამდე ან შემოწმების პროცესში დოკუმენტების წარმოდგენა, აუცილებელია საჭირო დოკუმენტების განსაზღვრა. დოკუმენტების მოთხოვნა უნდა ემსახურებოდეს კანონის სერიოზული დარღვევის შესახებ არსებული ეჭვის დადასტურებას ან გაქარწყლებას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ები ვალდებული არიან მიიღონ სახელმწიფო უწყებისგან დამატებითი ნებართვა;
- სსო-ები ვალდებული არიან წარადგინონ დოკუმენტები, რომელთა გაცემაც მათ არ შეუძლიათ (მაგალითად, „მფლობელის“ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, რომლებიც შესაძლოა არ ჰქონდეს სსო-ს);
- უცხოური ორგანიზაციები ვალდებული არიან დაიქირაონ ადგილობრივი მოქალაქე, როგორც ადგილობრივი წარმომადგენელი/დირექტორი;
- არსებობს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სსო-ების დაშინების ან მათ საქმიანობაში ჩარევის მცდელობები.

## **სტანდარტი 4.**

### **დაწესებული სანქციები ნათელი და პროპორციულობის პრინციპთან**

### **თანმიმდევრულია; ისინი მინიმალურად ინტრუზიული ზომია სასურველი მიზნის მისაღწევად**

*ნებისმიერი სანქციის მიზანი უნდა იყოს კანონდარღვევის გამოსწორება და არა სსო-ს საქმიანობის შეფერხება. სსო-ებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოსწორონ ნებისმიერი გადაცდომა, ვიდრე მოხდება მათ მიმართ სანქციების გატარება. სანქციების დაწესების შემთხვევაში, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას პროპორციულობის პრინციპი. კანონმა უნდა განსაზღვროს სანქციების ჩამონათვალი. საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. გარდა ამისა, სანქციები უნდა იყოს პროგნოზირებადი. სსო-ებს უნდა ესმოდეთ, თუ რა სანქციები შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეულის ტიპის დარღვევამ.*

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით

1. სსო-ებისთვის სანქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი მინიმალურად არღვევს გაერთიანების თავისუფლებას.
2. საქმიანობის იძულებითი შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები ნათლად არის ჩამოთვლილი. მათი გამოიყენება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად ინტრუზიული ღონისძიებები არ არის ეფექტური.

### 1. სსო-ებისთვის სანქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი მინიმალურად არღვევს გაერთიანების თავისუფლებას

სსო-ების მიმართ სანქციები უნდა იქნას გატარებული მხოლოდ კანონის სერიოზული დარღვევებისთვის. კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის სანქციების დაწესება არის შესაძლებელი სსო-ებზე და რა სახის დარღვევისთვის. სანქციები უნდა იყოს დარღვევების პროპორციული. უნდა არსებობდეს სანქციების გრადაცია, მცირე დარღვევებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი სანქციები.

სანქციები ასევე უნდა იყოს პროგნოზირებადი - კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ რა სანქციები არის გათვალისწინებული კონკრეტული სამართლებრივი დარღვევებისთვის. მეტისმეტად მაღალი ფინანსური ჯარიმის დაწესება მიჩნეული უნდა იყოს არაპროპორციულად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ჯარიმები ანგარიშის დაგვიანებით წარდგენისთვის მეტისმეტად მაღალია (მაგ: რამდენიმე ასეული ევრო).
- შესაძლებელია კანონდარღვევისთვის სსო-ების საქმიანობის შეწყვეტა დარღვევის ზუსტი კატეგორიის განსაზღვრის გარეშე.

### 2. საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლები ნათლად არის ჩამოთვლილი; მათი გამოიყენება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად ინტრუზიული ღონისძიებები არ არის ეფექტური

იძულებითი შეწყვეტა არის უკიდურესი ზომა, რომელიც შესაძლებელია გატარებულ იქნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. იგი გამოიყენება კანონის მძიმე დარღვევებისთვის მხოლოდ მაშინ, როცა სხვა სანქციებით შეუძლებელია სამართლებრივი დარღვევის გამოსწორება. საქმიანობის იძულებითი შეწყვეტის პროცესის დაწყებამდე, სსო-ს უნდა მიეცეს არსებული მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობა. საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ საფუძველს.

- შედის ეროვნული ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებში;
- მიზნად ისახავს არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილებას;
- ჯანმრთელობის ან მორალური მდგომარეობის დაცვას; ან
- სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საქმიანობის შეჩერება უნდა იქნას გამოყენებული გარდაუვალი საშიშროების ან დემოკრატიისთვის სერიოზული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. გადაწყვეტილება სსო-ს საქმიანობის შეჩერების შესახებ უნდა იქნას მიღებული დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. საქმიანობის შეჩერება არის

დროებითი ღონისძიება. კანონმა უნდა განსაზღვროს საქმიანობის შეჩერებისთვის დროის შეზღუდული პერიოდი.

გადაწყვეტილება საქმიანობის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ აღწერს ნათლად, თუ რა სახის დარღვევებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქმიანობის იძულებითი შეჩერება ან შეწყვეტა;
- კანონი არ განსაზღვრავს ხანგრძლივობას, რომლითაც შესაძლებელია ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერება.
- საქმიანობის შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ერთი წლის განმავლობაში ადგილი აქვს დარღვევის ორ შემთხვევას, მიუხედავად მათი სიმძიმისა.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
1. ხდება სსო-ების სათანადოდ გაფრთხილება სავარაუდო დარღვევების შესახებ; მათ ეძლევათ დარღვევების გამოსწორების შესაძლებლობა სანქციების გატარებამდე.
2. იძულებითი შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ კანონის უხეში დარღვევის შემთხვევაში.

### 1. ხდება სსო-ების სათანადოდ გაფრთხილება სავარაუდო დარღვევების შესახებ; მათ ეძლევათ დარღვევების გამოსწორების შესაძლებლობა სანქციების გატარებამდე

სსო-ს მიმართ გატარებული ნებისმიერი სანქციის მიზანი უნდა იყოს მისი ქცევისა და კანონის სავარაუდო დარღვევის გამოსწორება. სწორედ ამიტომ, სანქციის დაწესებამდე, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ორგანიზაციის გაფრთხილება და საკმარისი დროის მიცემა უკანონო ქმედების გამოსასწორებლად. მაგალითად, იმ სსო-ებს, რომლებმაც არ წარმოადგინეს ყოველწლიური ანგარიში, უნდა მიეცეთ გაფრთხილება. სანქციების დაწესებამდე, მათ უნდა განესაზღვროთ გონივრული ვადა ანგარიშის წარმოსადგენად. გაფრთხილება უნდა მოხდეს წერილობით; სსო-ს მიერ გაფრთხილების მიღება უნდა იქნას დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- დარღვევის კორექტირებისთვის განსაზღვრული ვადა იმდენად მცირეა, რომ მდგომარეობის გამოსწორება პრაქტიკულად შეუძლებელია.

### 2. იძულებითი შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ კანონის უხეში დარღვევის შემთხვევაში

საქმიანობის იძულებითი შეწყვეტა უნდა იქნას გამოყენებული სანქციის სახით მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს სხვა საშუალება მიზნის მისაღწევად (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უნდა იყოს კანონდარღვევის პროპორციული). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, სანქცია „უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ეფექტურ პრაქტიკას წარმოადგენს დარღვევის გამოსასწორებლად სსო-სთვის საკმარისი დროის მიცემა. ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით, საქმიანობის იძულებითი შეწყვეტამდე, სსო-ს უნდა მიეცეს 6 თვის ვადა დარღვევის გამოსასწორებლად.

გარდა ამისა, საქმიანობის შეწყვეტა არის უკიდურესი ზომა, გათვალისწინებული კანონის უმძიმესი დარღვევებისთვის. მაგალითად, თუკი არ მოხდება კანონით დადგენილი წესით ასოციაციის საერთო

კრების მოწვევა, საქმე გვაქვს უმნიშვნელო დარღვევასთან, რომელიც არ უნდა გახდეს საქმიანობის შეწყვეტის მიზეზი.

აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება გამოიყენება ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციების გაჩუმების ბერკეტად.
- საქმიანობის შეწყვეტამდე, არ ხდება ორგანიზაციების გაფრთხილება.

### სტანდარტი 5. სახელმწიფო არ ერევა სსო-ების შიდა საქმიანობაში

საზოგადოებრივი ორგანიზაციები არიან თვითმმართველი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ერთეულები. ისინი თავისუფალნი არიან თავიანთი შიდა სტრუქტურის (ძირითადი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით), ორგანოების შემადგენლობისა და მანდატის განსაზღვრის პროცესში. სსო-ების საქმიანობა შესაძლოა ექვემდებარებოდეს ანგარიშგებას, რაც უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და პროპორციული. უფრო მეტიც, კანონი უნდა ადგენდეს მკაფიო წესებს სახელმწიფო ორგანოების მიერ მონიტორინგისა და ინსპექტირების მასშტაბის, კრიტერიუმებისა და შეზღუდვების შესახებ. ნებისმიერი მონიტორინგი თუ შემოწმება უნდა განხორციელდეს დასაბუთებული, პროპორციული და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. სსო-ები თავისუფალნი არიან თავიანთი შიდა მმართველობისა და ოპერაციების განსაზღვრის პროცესში.
2. არსებობს მკაფიო წესები სახელმწიფო ორგანოების მიერ სსო-ების მონიტორინგისა და შემოწმების მასშტაბის, კრიტერიუმებისა და შეზღუდვების შესახებ.
3. ანგარიშგების პროცედურები და მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი და შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ზომას ან/და მისი საქმიანობის მასშტაბს.

### 1. სსო-ები თავისუფალნი არიან თავიანთი შიდა მმართველობისა და ოპერაციების განსაზღვრის პროცესში

სახელმწიფო ვალდებულია არ ჩაერიოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის შიდა საქმეებში (გაერთიანების თავისუფლების ფარგლებში). სსო-ებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება შექმნან მმართველობის სტრუქტურა საკუთარი შეხედულებისამებრ, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნება კანონით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები (მაგ: ასოციაციების შემთხვევაში, უმაღლესი ორგანოა წევრების კრება). სსო-ებს შეუძლიათ თავად მიიღონ გადაწყვეტილება წევრობის პირობების შესახებ, თავად მართონ ორგანიზაციისა და მისი ორგანოების წევრების შერჩევის პროცესი, წევრთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის გათვალისწინებით.

სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაძლოა დაევალოთ მარეგისტრირებელ ორგანოს აცნობონ ძირითად დოკუმენტებში (წესდება ა.შ.), ორგანიზაციის მმართველი ორგანოს სტრუქტურაში ან წევრების შემადგენლობაში ცვლილების შესვლის შესახებ, თუმცა ეს არ უნდა იქცეს კონტროლისა და მსგავს გადაწყვეტილებებზე თანხმობის გაცემის მექანიზმად, თუკი სსო-ს მიერ განხორციელებული ცვლილებები კანონიერი პროცედურების დაცვით ხორციელდება. ორგანიზაციას უნდა შეეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რისთვისაც არ უნდა იყოს საჭირო აღნიშნული ცვლილებების ფორმალურად რეგისტრირების დადასტურება მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან.

სახელმწიფოს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს მხოლოდ მათი კანონიერების (კანონთან შესაბამისობა) ან ორგანიზაციის

დებულებასთან და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის კუთხით (სასამართლოში წევრის მიერ საჩივრის შეტანის საფუძველზე).

სახელმწიფოს კიდევ ერთი როლი შესაძლოა იყოს გადაწყვეტილების მიღება გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში (სიტუაცია, რომელიც არ შეიძლება გადაჭრილ იქნას ორგანიზაციის შიდა რეგულაციებით). ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც, მაგალითად, ორგანიზაციის დამფუძნებელი სარგებლობდა გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების უფლებით, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, ეს უფლება არ გადაეცა ორგანიზაციას; ან კიდევ მესამე მხარე ახდენს ამგვარი გადაწყვეტილებების ბლოკირებას).

ზოგიერთ ქვეყანაში, სახელმწიფო შეიძლება იყოს სსო-ს დამფუძნებელი ან წევრი. ასეთ შემთხვევაში, მას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სსო-ს შიდა საქმეებში ნებისმიერი სხვა წევრის მსგავსად. თუმცა, მოთხოვნა სსო-ს შიდა სხდომებში სახელმწიფო წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ ამ ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს.

გაერთიანების თავისუფლების განუყოფელი ნაწილია გადაწყვეტილება ორგანიზაციის გაუქმების შესახებ. ორგანიზაციის გასაუქმებლად, სსო-ებს არ უნდა სჭირდებოდეთ ნებართვის მიღება რომელიმე სახელმწიფო ორგანოსგან, თუმცა, მათ შესაძლოა მოუწიოთ სპეციალური პროცედურის დაცვა, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ორგანო საბოლოოდ გამოაცხადებს ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას. როგორც წესი, აღნიშნული პროცედურის მიზანია უზრუნველყოს პოტენციური კრედიტორების ან წევრების უფლებების დაცვა. სსო-ების გაუქმების პროცედურა უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული და არ უნდა იწვევდეს სირთულეებს. ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად განსაზღვრული ვადა უნდა იყოს გონივრული, მაგალითად, 6 თვე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო ვალდებულია მოიწვიოს მთავრობის წარმომადგენელი საერთო კრებაზე;
- სახელმწიფოს უნდა ეცნობოს ნებისმიერი ცვლილება სსო-ს რომელიმე ორგანოს შემადგენლობაში;
- ძირითად დოკუმენტებში (წესდება, ა.შ.) ცვლილებების რეგისტრაცია ან სხვა შიდა გადაწყვეტილებები ზედმეტად ხანგრძლივდება დროში ან საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გასაგრძელებლად ორგანიზაციისთვის წესდება წინაპირობა.
- სსო-ში შესაძლოა იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ორგანოები.

**2. არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული წესები სახელმწიფო ორგანოების მიერ სსო-ების მონიტორინგისა და შემოწმების მასშტაბის, კრიტერიუმებისა და შეზღუდვების შესახებ**

კანონი ნათლად უნდა ადგენდეს სახელმწიფოს მიერ სსო-ებზე ზედამხედველობის ფარგლებს. ნებისმიერი ინსპექტირება უნდა ეფუძნებოდეს კანონსა და გონივრულ ეჭვს კანონის შესაძლო დარღვევის შესახებ.

კანონი უნდა ზღუდავდეს იმ დოკუმენტების ტიპებს, რომლებიც სსო-მ უნდა წარადგინოს მისი საქმიანობის კანონიერების დასადასტურებლად. როგორც წესი, არ არის აუცილებელი წევრების სრული სიისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის წარდგენა, რადგან აღნიშნული მონაცემები შესაძლოა იყოს სენსიტიური. ამავდროულად, ის არ ადასტურებდეს, მოქმედებს თუ არა ორგანიზაცია კანონის შესაბამისად. მაგალითად, თუ ხელისუფლებას სურს შეამოწმოს, ჰყავს თუ არა ორგანიზაციას საჭირო რაოდენობის წევრები ან აქვს თუ არა ქვორუმი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკმარისია მოთხოვნილ იქნას წევრთა განახლებული რაოდენობა.

სსო-ს ოფისში შესვლა ან დოკუმენტების კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი ამგვარი ქმედებების განსახორციელებლად (მაგალითად, დანაშაულის პრევენციის მიზნით). ამისთვის აუცილებელია სასამართლოს წინასწარი ნებართვა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ები ვალდებული არიან წარადგინონ ხელისუფლების მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტი;
- ინსპექციის ორგანოები თავისუფლად შედიან სსო-ს ოფისებში, ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის ან სასამართლო ნებართვის წარდგენის გარეშე.

**3. ანგარიშგების პროცედურები და მოთხოვნები ნათლად არის აღწერილი; ისინი შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ზომას ან/და მისი საქმიანობის მასშტაბს**

კანონმდებლობა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს იმ შემთხვევებს, როდესაც სსო-ზე ვრცელდება ანგარიშგების მოთხოვნები. როგორც წესი, ანგარიშგების მოთხოვნები უფრო მკაცრია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მხარდაჭერით. ნებისმიერ შემთხვევაში, ანგარიშგება არ უნდა იყოს მიმე ტვირთი; იდეალურ ვარიანტში კი, ის უნდა იყოს ორგანიზაციის ზომის პროპორციული - მაგ: მცირე ფინანსური ბრუნვის მქონე ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გამარტივებული ანგარიშგების წარდგენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ანგარიშგების მოთხოვნები და ფორმები უნდა ითვალისწინებდეს სსო-ს სპეციფიკას. ეფექტური პრაქტიკაა კონრეტულ სსო-ებზე მორგებული ანგარიშგების ფორმების გამოყენება.

ანგარიშგების მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს დონორების, ბენეფიციარების, წევრებისა და პერსონალის უფლებების დაცვას; ისინი ასევე უნდა იცავდეს ლეგიტიმური ბიზნესის კონფიდენციალურობას. სსო-ს გამგეობის წევრი ან თანამშრომელი არ უნდა იქნას განხილული, როგორც საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი საჯარო პირი. მისგან არ უნდა იქნას მოთხოვნილი აქტივების ან შემოსავლების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ დეკლარირება.

გაერთიანების თავისუფლების დარღვევა იქნებოდა სსო-ებისთვის მეტად მკაცრი ანგარიშგების მოთხოვნების დაწესება, ვიდრე ბიზნესისთვის (მაგ: სსო-ები ვალდებული არიან ანგარიშში წარადგინონ წელიწადში ორჯერ ან მეტი სიხშირით, მაშინ როცა ბიზნესს აქვს ერთხელ ანგარიშგების ვალდებულება).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ები ვალდებული არიან მიაწოდონ სახელმწიფო უწყებას ყველა ინდივიდუალური და კორპორატიული დონორის სია;
- ყველა სსო ვალდებულია წარმოადგინოს დეტალური ანგარიში, მიუხედავად იმისა, განახორციელეს თუ არა მათ საქმიანობა წლის განმავლობაში.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების შემოწმება არის დასაბუთებული, პროპორციული და ობიექტური.</li> <li>2. სსო-ებს მარტივად შეუძლიათ ანგარიშგების მოთხოვნების შესრულება ონლაინ ან/და ოფლაინ რეჟიმში.</li> </ol>

**1. სსო-ების შემოწმება არის დასაბუთებული, პროპორციული და ობიექტური**

სსო-ს ნებისმიერი შემოწმება მიზნად უნდა ისახავდეს სსო-ს კანონიერი საქმიანობის მინიმალურად შეფერხებას. შემოწმება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული:

- ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს (შემოწმება უნდა იყოს კანონით ნებადართული); და
- ხორციელდებოდეს კანონით დაშვებულ ფარგლებში (ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები დაშვებულია კანონით).

შემოწმება უნდა იყოს პროპორციული - იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი კანონის შესაძლო დარღვევის შესახებ და როდესაც შემოწმება არის საუკეთესო საშუალება ეჭვის დასადასტურებლად. შემოწმება ასევე უნდა იყოს ობიექტური. დაუშვებელია მისი გამოყენება პოლიტიკური ზეწოლის ან ორგანიზაციის გაჩუმების ინსტრუმენტად, განსაკუთრებით იმ სამოქალაქო ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებიც გამოირჩევიან კრიტიკული დამოკიდებულებით ხელისუფლების მიმართ.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- უმეტესად ხდება იმ სსო-ების შემოწმება, რომლებიც აკრიტიკებენ ხელისუფლებას.

## **2. სსო-ებს მარტივად შეუძლიათ ანგარიშგების მოთხოვნების შესრულება ონლაინ ან/და ოფლაინ რეჟიმში**

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სსო-ების უმრავლესობა ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა და საჭიროებს პროფესიულ დახმარებას. ამრიგად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული განმარტებები სსო-ს ვალდებულებების შესახებ. ასევე საჭიროა თანამდებობის პირების განსაზღვრა, რომლებსაც კარგად ესმით სსო-ს ანგარიშგების მოთხოვნები და შეუძლიათ დახმარების გაწევა საჭიროების მქონე პირებისთვის.

მაშინ როცა ონლაინ ანგარიშგება შესაძლოა უპირატესობად ჩაითვალოს, სსო-ებს ასევე უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა საშუალებებით ნაბეჭდი ანგარიშგების წარდგენის შესაძლებლობა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ანგარიშგების ფორმები ზედმეტად გართულებულია და არ არის მორგებული სსო-ებზე.

### **შესაბამისი რესურსები**

- OSCE/ODIHR - ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პარაგრაფი 7, 74, 139-146, 150, 231.
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM / Rec (2007) 14 ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, პარაგრაფი 2, 3, 16 (მიღებული 10 ოქტ. 2007).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD), A / RES / 61/106, მუხლი 12;
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „ინტერნეტში ადამიანის უფლებებით სარგებლობა, ხელშეწყობა და დაცვა“, A / HRC / 20 / L.13, (29 ივნისი 2012), მუხლი 1, 5.
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შესახებ: საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციის ჩართულობა, A / HRC / 38 / L.17 (2018 წლის 4 ივლისი);
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A / HRC / 20/27 (21 მაისი 2012), პუნქტი 56;
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A / HRC / 38/34 (2018 წლის 13 ივნისი);
- კითხვარი – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID-19-ის კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ.

# სფერო 2. თანასწორი მოპყრობა

## სტანდარტი 1.

### სახელმწიფოს მიდგომა სსო-ებისა და ბიზნეს სუბიექტების მიმართ თანასწორია

სახელმწიფო არეგულირებს როგორც ბიზნესის, ისე სამოქალაქო სექტორის საქმიანობას და უზრუნველყოფს მათ თანაბარ მოპყრობას, ვინაიდან ორივე სექტორი ემსახურება სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. როგორც მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ორივე სექტორის რეგულირება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ბიზნესისა და სსო-ების იდენტური მოპყრობის საჭიროება, რეგულაციებში არსებული ნებისმიერი განსხვავება უნდა იყოს კანონში გაწერილი და იცავდეს სამართლიანობის პრინციპს, სახელმწიფო თანამდებობის პირები კი უნდა სარგებლობდნენ მინიმალური დისკრეციით. სარეგისტრაციო პროცედურების, ადმინისტრაციული და საოპერაციო მოთხოვნების, დაფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით, მიდგომა ბიზნესისა და სსო-ების მიმართ უნდა იყოს სრულიად თანასწორი.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. სსო-ების რეგისტრაციისა და საქმიანობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის წესი არ უკავშირდება უფრო მეტ ხარჯებს, არ საჭიროებს მეტ დროს და არ არის უფრო შრომატევადი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში.
2. ადმინისტრაციული და საოპერაციო მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება სსო-ებზე არ არის იმ მოთხოვნებზე მკაცრი, რომლებიც ვრცელდება ბიზნეს სუბიექტებზე
3. სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი და მონაწილეობა მიიღონ საჯარო შესყიდვებში ბიზნეს სუბიექტებთან თანაბარ პირობებში, დამატებითი სირთულეებისა და მოთხოვნების გარეშე.
4. დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, მათ შორის რეგულაციები საზღვარგარეთიდან მიღებულ დაფინანსებაზე, არ არის სსო-ებისთვის იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებისთვის.

### 1. სსო-ების რეგისტრაციისა და საქმიანობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის წესი არ უკავშირდება უფრო მეტ ხარჯებს, არ საჭიროებს მეტ დროს და არ არის უფრო შრომატევადი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში

სსო-ების სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებისთვის დადგენილი გადასახადი. სსო-ების რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდს. მაგალითად, თუ ბიზნესის რეგისტრაციას სჭირდება ორი დღე, ასოციაციის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს იმავე პერიოდში.

სსო-ს რეგისტრაცია არ უნდა იყოს მძიმე ტვირთი, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელი დოკუმენტაცია და სარეგისტრაციო პროცედურები მსგავსი უნდა იყოს ბიზნეს სუბიექტებისა და სსო-ებისთვის. მაგალითად, მრავალ ქვეყანაში ბიზნეს სუბიექტის რეგისტრირება ხდება მაშინვე, თუკი მათი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სამართლებრივ მოთხოვნებს, პროცესი არ საჭიროებს დამტკიცებას ხელისუფლების კონკრეტული ორგანოების მიერ. ბელარუსში ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი სრულდება განაცხადის წარდგენისთანავე. ანალოგიურად, თუკი სათანადოდ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია, გაერთიანების რეგისტრაციისთვის არ უნდა იყოს აუცილებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება ან სხვა სამართლებრივი აქტი. სსო-ს რეგისტრაციისთვის საჭირო

ინფორმაცია უნდა შეიცავდეს იგივე ან მსგავს დოკუმენტაციას, როგორც ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში. ბიზნესის და ასოციაციების სარეგისტრაციო ორგანოები ასევე მსგავსად უნდა იყვნენ წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით; კერძოდ, თუ ადგილობრივი სამსახურები უზრუნველყოფენ ბიზნეს სუბიექტების რეგისტრირებას, სსო-ებს ასევე უნდა შეეძლოთ ადგილობრივად დარეგისტრირება, გამგზავრების საჭიროების გარეშე. თუ სახელმწიფოს შექმნილი აქვს სპეციალური მექანიზმები ბიზნესის რეგისტრაციის პროცესის გასამარტივებლად, მსგავსი მექანიზმები უნდა მოქმედებს სსო-ებისთვის, მაგ. ონლაინ რეგისტრაცია ან ერთი პუნქტი, რომელიც აწვდის კონსულტაციას და უწყევს დახმარებას სუბიექტებს რეგისტრაციის პროცესში.

ამის მსგავსად, სსო-ს საქმიანობის შეწყვეტის პროცესი არ უნდა იყოს უფრო მეტად შემზღუდავი, ეს კი ნიშნავს, რომ პროცესი უნდა მოითხოვდეს იმავე მოცულობის დოკუმენტაციასა და იმავე ოდენობის ან ნაკლებ მოსაკრებელს. სსო-ების საქმიანობის იძულებითი შეწყვეტა არ უნდა მოხდეს დამატებითი მიზეზების საფუძველზე, რომლებიც არ ვრცელდება ბიზნეს სუბიექტებზე, პროცესი უნდა ეფუძნებოდეს პროპორციულობისა და საჭიროების პრინციპებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ს რეგისტრაცია მოითხოვს უფრო მეტ დროს და უფრო რთულ პროცედურებს, ვიდრე ბიზნეს სუბიექტის რეგისტრაცია.
- რეგისტრაციის მოსაკრებელი ან იურიდიული პირების სხვა გადასახადები უფრო მაღალია სსო-ებისთვის, ვიდრე კომერციული ორგანიზაციებისთვის.
- ონლაინ რეგისტრაცია არ არის შესაძლებელი სსო-ებისთვის, მაშინ როცა ბიზნეს კომპანიებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში განაცხადის წარდგენა და რეგისტრაციის გავლა.
- სსო-ების იძულებითი გაუქმებისთვის არსებობს უფრო მეტი საფუძველი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებისთვის, მაგ. გაუქმება წლიური ანგარიშების წარუდგენლობის ან სსო-ს წესდებით გათვალისწინებულ მიზეზებთან შეუსაბამობის გამო.

**2. ადმინისტრაციული და საოპერაციო მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება სსო-ებზე არ არის იმ მოთხოვნებზე მკაცრი, რომლებიც ვრცელდება ბიზნეს სუბიექტებზე**

ადმინისტრირებისა და ოპერირების პროცესში, სსო-ებზე არ უნდა ვრცელდებოდეს უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებზე. ორგანიზაციულ დოკუმენტებში, ასევე მენეჯმენტის შემადგენლობაში ცვლილებების რეგისტრაციისთვის, სსო-ებზე იგივე მოთხოვნები და პირობები უნდა ვრცელდებოდეს, რაც ვრცელდება ბიზნეს სუბიექტებზე.

საბანკო ანგარიშების გახსნისას, სსო-ებისთვის განსაზღვრული საჭირო დოკუმენტაციის მოცულობა და საბანკო გადასახადი უნდა იყოს იგივე, როგორც ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში. კანონი უნდა ადგენდეს იმავე მოცულობის ან ნაკლებ საფუძველს სსო-ების ფინანსური ჩანაწერების სახელმწიფო აუდიტისთვის. გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის თანახმად, „თუ ასოციაცია სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით არაკომერციულ სუბიექტად რეგისტრაციის სანაცვლოდ, სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასოციაცია არ იღებს მოგებას ან არ ახდენს მოგების განაწილებას<sup>24</sup>“. აღნიშნულის მიღმა, არ უნდა არსებობდეს სხვა დამატებითი განსხვავებები სსო-ებისა და ბიზნესების აუდიტორულ შემოწმებაში.

სსო-ს მიმართ კანონით დადგენილი ანგარიშგების მოთხოვნები არ უნდა იყოს ბიზნეს სუბიექტების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე უფრო კომპლექსური ან ძვირადღირებული. ანგარიშების წარდგენის სიხშირე სსო-ებისთვის უნდა იყოს მსგავსი ან ნაკლებიც კი, ვინაიდან ბიზნეს სუბიექტების მოგების გენერირების ფუნქციისა და საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით, მათ შესაძლოა მოეთხოვებოდეთ უფრო ხშირი ანგარიშგება, ვიდრე სსო-ებს. წარსადგენი ინფორმაციის მოცულობა არ

<sup>24</sup>გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე (სხვადასხვა სახელმწიფოების მიდგომების შედარება ბიზნესისა და ასოციაციების მიმართ მთელ მსოფლიოში), A / 70/266, მუხლი 52

უნდა იყოს სსო-ებისთვის უფრო ინტრუზიული, მაგალითად, მათ არ უნდა მოეთხოვებოდეთ საბჭოს სხდომის ოქმების ან დაფინანსების წყაროებზე დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, რაც არ საჭირო კომპანიებისთვის. სპეციალური ანგარიშგება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია გარკვეული სარგებლის მისაღებად. ამ შემთხვევაშიც კი, ასოციაციის გადასაწყვეტია, შეასრულებს თუ არა ამგვარ საანგარიშო მოთხოვნებს ან იტყვის თუ არა უარს დაკავშირებული სარგებლის მიღებაზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი მოითხოვს დამატებით დოკუმენტაციას სსო-ებისთვის საბანკო ანგარიშების გასახსნელად;
- ორგანიზაციის დოკუმენტაციაში ან მენეჯმენტის შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელება უფრო ხანგრძლივი ან დატვირთული პროცესია სამეწარმეო იურიდიულ პირებთან შედარებით;
- კანონი მოითხოვს სსო-ების მიერ ანგარიშგებას საბჭოს სხდომის ოქმების, დაფინანსების წყაროების ან სხვა შიდა დოკუმენტაციის თუ პროცედურების შესახებ, მაშინ როცა მსგავსი მოთხოვნა არ აქვთ კომპანიებს;
- აუდირება და ანგარიშგება უფრო ხშირია სსო-ებისთვის, ვიდრე ბიზნეს კომპანიებისთვის ყოველგვარი დამატებითი სარგებლის გარეშე.

**3. სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი და მონაწილეობა მიიღონ საჯარო შესყიდვებში ბიზნეს სუბიექტებთან თანაბარ პირობებში, დამატებითი სირთულეებისა და მოთხოვნების გარეშე.**

სსო-ებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი ჩაერთონ ეკონომიკურ, ბიზნეს თუ კომერციულ საქმიანობაში, მათ შორის საჯარო შესყიდვებში, რათა ხელი შეუწყონ თავიანთ არაკომერციულ საქმიანობას. მათზე შესაძლოა გავრცელდეს სალიცენზიო ან სარეგულაციო მოთხოვნები, რომლებიც ასევე გამოიყენება მსგავსი საქმიანობით დაკავებულ ბიზნეს კომპანიებთან მიმართებაში. კონკურენცია თანაბარ პირობებში ნიშნავს იმას, რომ სსო-ებისა და ბიზნეს სუბიექტებისგან მოითხოვება დოკუმენტაციის მსგავსი მოცულობა, შერჩევის პროცესში კი გამოიყენება მსგავსი კრიტერიუმები. საჯარო შესყიდვის ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად, სსო-ებს არ უნდა მოეთხოვოთ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მათი დამფუძნებლების ან დაფინანსების წყაროების შესახებ, თუკი ამგვარი ინფორმაცია ასევე არ მოითხოვება ბიზნეს სუბიექტებისგან.

სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს სპეციალური ზომები იმ ბიზნეს კომპანიებში ინვესტიციების წასახალისებლად, რომლებიც მუშაობენ ქვეყნის მიერ პრიორიტეტად გამოცხადულ კონკრეტულ სფეროებში (მაგ. ახალი ტექნოლოგიების განვითარება, სოციალური მეწარმეობა). სახელმწიფომ, ჯანდაცვასთან დაკავშირებული ან სხვა სახის საგანგებო სიტუაციის დროს, შესაძლოა ასევე მიიღოს ეკონომიკის მხარდასაჭერი ზომები. ამგვარი ზომები თანაბრად უნდა გარცელდეს იმავე მიმართულებით მოღვაწე სსო-ებზე მაგ. სარგებელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ჩართვის ან მოწყვლად ზონებში მუშაობის სანაცვლოდ. ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებით მიღებული ზომები თანაბრად ეხებოდეს სსო-ებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ყველა ან გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ არსებობს შეზღუდვა ან აკრძალვა საჯარო შესყიდვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- შესყიდვების პროცესში, სსო-ები ვალდებული არიან წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია, როგორცაა დამფუძნებლების მონაცემები, ფინანსური ანგარიშები, განხორციელებული პროექტები, მაშინ როცა ბიზნეს კომპანიებს არ მოეთხოვებათ მსგავსი ინფორმაციის მიწოდება.
- მცირე ბიზნესი იღებს საგადასახადო შეღავათებს, თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება კონკრეტულ ზღვარს მაშინ, როცა მსგავსი სარგებელი არ ვრცელდება ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ სსო-ებზე;

- საგადასახადო შეღავათები ხელმისაწვდომია ბიზნესებისთვის სოციალურად დაუცველი ჯგუფების დასაქმების სანაცვლოდ, მაგრამ არა სსო-ებისთვის.
- ბიზნესებისგან განსხვავებით, სსო-ები არ არიან უფლებამოსილი მიიღონ ეკონომიკური დახმარება თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.

**4. დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, მათ შორის რეგულაციები საზღვარგარეთიდან მიღებულ დაფინანსებაზე, არ არის სსო-ებისთვის იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ბიზნეს სუბიექტებისთვის**

ინვესტიციების მიმღები კომპანიების მსგავსად, სსო-ები თავისუფალნი არიან მიიღონ დაფინანსება ნებისმიერი კონტრიბუტორისგან. როგორც გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშშია ნახსენები, უცხოური დაფინანსება ან ინვესტიცია არის რესურსის ტიპი, რომელზეც ყველაზე ხშირად ვრცელდება სახელმწიფო შეზღუდვები. თუმცა, სარეგულაციო ტენდენციები ბიზნესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ განსხვავებულია: მაშინ, როცა ბოლო ათწლეულის მანძილზე გაიზარდა შეზღუდვები უცხოური დაფინანსებაზე სსო-ების წვდომის კუთხით, ბიზნესებისთვის უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვები შესუსტდა. მაგალითად, რუსეთსა და უნგრეთში, სსო-ები, რომლებიც საზღვარგარეთიდან იღებენ დაფინანსებას, უნდა დარეგისტრირდნენ უცხოელ აგენტებად, მაშინ როცა უცხოური ინვესტიციები ბიზნესებში ფართოდ არის მხარდაჭერილი სახელმწიფოს მხრიდან. ორივე სექტორს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ნებისმიერი სახის დაფინანსებაზე, ადგილობრივსა თუ უცხოურზე, და არ უნდა იყოს საჭირო რთული პროცედურების გავლა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ებს უწევთ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობისთვის ფიქსირებული გადასახადის გადახდა მაშინ, როცა ბიზნესზე ვრცელდება სხვადასხვა სახის გადასახადი საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე;
- სსო-ების უცხოური დაფინანსება უნდა დამტკიცდეს და/ან დარეგისტრირდეს სახელმწიფოს მიერ მაშინ, როცა ამგვარი საჭიროება არ დგას ბიზნესის უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ების რეგისტრაციისთვის, საქმიანობის განხორციელებისთვის ან საქმიანობის შეწყვეტისთვის (გაუქმებისთვის), სარეგისტრაციო ორგანოები არ აწესებენ ბიზნეს სუბიექტების მოთხოვნებისგან განსხვავებულ მოთხოვნებს ან სხვა დამატებით დაბრკოლებებს;</li> <li>2. სსო-ების იურიდიული სტატუსის გამო, სახელმწიფო არ უარყოფს ან არ აფერხებს მათ წვდომას შესყიდვის პროცედურებზე ან დაფინანსების სხვა წყაროებზე;</li> <li>3. სსო-ების ინსპექტირება და მათზე დაწესებული სანქციები არ ატარებს უფრო ხშირ ხასიათს, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში.</li> </ol>

**1. სსო-ების რეგისტრაციისთვის, სარეგისტრაციო ორგანოები არ აწესებენ ბიზნეს სუბიექტების მოთხოვნებისგან განსხვავებულ მოთხოვნებს ან სხვა დამატებით დაბრკოლებებს**

სსო-ს საქმიანობის განხორციელებისთვის ან საქმიანობის შეწყვეტისთვის (გაუქმებისთვის), სარეგისტრაციო სარეგისტრაციო ორგანოებმა არ უნდა შექმნან ბიზნესების რეგისტრაციისგან განსხვავებული დამატებითი დაბრკოლებები.

მაგალითად, მათ არ უნდა მოახდინონ სსო-ს წესდების უფრო სიღრმისეული შესწავლა, არ უნდა დააწესონ სამართლებრივი ნორმების მიღმა მკაცრი მოთხოვნები წესდების ფორმულირებაზე, ან არ უნდა მოითხოვონ დამატებითი დოკუმენტაცია. ამასთანავე, სსო-ების გაუქმების პროცესი არ უნდა იყოს

ბიზნეს სუბიექტის გაუქმებაზე რთული. კანონში მითითებული მოთხოვნების გარდა, არ უნდა დაწესდეს სხვა დამატებითი მოთხოვნები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ზოგადად პრაქტიკაში, სსო-ების რეგისტრაცია, ან ორგანიზაციულ დოკუმენტებში ან მენეჯმენტის შემადგენლობაში ცვლილებების რეგისტრაცია უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ბიზნესების შემთხვევაში.
- პრაქტიკაში, სსო-ს რეგისტრაცია, როგორც წესი, უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ბიზნესის რეგისტრაცია.
- კომპანიების რეგისტრაციის პროცესში გამოიყენება „ერთი ფანჯრის“ პრინციპი (რეგისტრაცია ერთი ორგანოს მიერ, სხვა უწყებებში ვიზიტის განხორციელების გარეშე), მაგრამ აღნიშნული მიდგომა არ ვრცელდება სსო-ების რეგისტრაციაზე.

## **2. სსო-ების იურიდიული სტატუსის გამო, სახელმწიფო არ უარყოფს ან არ აფერხებს მათ წვდომას შესყიდვის პროცედურებზე ან დაფინანსების სხვა წყაროებზე**

არაკომერციული სტატუსი არ უნდა იქცეს შესყიდვების პროცესში სსო-ს განაცხადის უარყოფის ან სსო-ს მიერ შესყიდვებში გამარჯვების შესაძლებლობის შემცირების საფუძველად. სსო-ებს არ უნდა მოუხდეთ დამატებითი პროცედურების გავლა შესყიდვებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. სსო-ებს ასევე უნდა შეეძლოთ თავისუფლად, საკანონმდებლო მოთხოვნებს მიღმა დამატებითი დაბრკოლებების გარეშე, გამოიყენონ დაფინანსების სხვა წყაროები, როგორცაა ადგილობრივი თუ უცხოური წყაროებიდან გრანტები ან შემოწირულობები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- შესყიდვებში მონაწილე სსო-ები ვალდებული არიან წარმოადგინონ ინფორმაცია მათი დამფუძნებლების შესახებ ან დამატებითი ინფორმაცია მათ არაკომერციულ სტატუსთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სსო-ებმა წინასწარ უნდა მიიღონ თანხმობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსგან;
- ადგილობრივი თუ უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მიღებისას, სსო-ები ვალდებული არიან წარმოადგინონ დასაბუთება/ანგარიშგება ან გაიარონ დამატებითი შემოწმება სამართლებრივ მოთხოვნებს მიღმა, მხოლოდ მათი არაკომერციული სტატუსის გამო.

## **3. სსო-ების ინსპექტირება და სანქციები არ ატარებს უფრო ხშირ ხასიათს, ვიდრე ბიზნეს სუბიექტების შემთხვევაში.**

მაშინაც კი, თუ კანონი ადგენს სახელმწიფოს მიერ აუდიტებისა და ინსპექტირების გარკვეულ სიხშირეს, აუცილებელია შემოწმდეს, მართლაც ხდება თუ არა სახელმწიფო ორგანოების მიერ სსო-ების შემოწმება დადგენილ ფარგლებში. სსო-ები ექვემდებარებიან დამატებით ინსპექტირებას მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იღებენ სარგებელს მათი არაკომერციული სტატუსის გამო, ისიც მხოლოდ საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საგადასახადო ორგანოების ან სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ სსო-ების შემოწმება ხდება უფრო ხშირად, ვიდრე ბიზნეს კომპანიების შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე.

## სტანდარტი 2.

### სახელმწიფოს მიდგომა ყველა სსო-ს მიმართ თანასწორია მათი შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის კუთხით

თანასწორი მოპყრობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო და სახელმწიფო ორგანოები თანასწორად განიხილავენ სსო-ებს მათი დაფუძნების, რეგისტრაციისა და საქმიანობის პროცესში. ნებისმიერი სახის გამორჩეული მოპყრობა წარმოადგენს დისკრიმინაციას, თუკი ის არ არის დასაბუთებული ობიექტური, გონივრული და კანონით გათვალისწინებული მიზეზებით. ამგვარი დასაბუთება ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და მისდევს პროპორციულობის პრინციპს, მაგალითად: სსო-ების მხარდაჭერა, რომლებიც საქმიანობას ეწევიან განსაკუთრებით მოწყვლად რეგიონებში ან მუშაობენ კონკრეტულ ჯგუფებთან.

## **კანონმდებლობა**

<b>ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით</b>
<ol style="list-style-type: none"><li>1. სსო-ებისადმი მიდგომა თანასწორია; ნებისმიერი შეღავათიანი მიდგომა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს.</li><li>2. უცხოელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მიერ ქვეყანაში დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ მიდგომა ანალოგიურია ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული სუბექტებისადმი არსებული მიდგომისა.</li></ol>

### **1. სსო-ებისადმი მიდგომა თანასწორია; ნებისმიერი შეღავათიანი მიდგომა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს**

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სსო-ების თანასწორ მოპყრობას მათი დაფუძნების, რეგისტრაციის (საჭიროების შემთხვევაში) და საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებაში. თუ ორგანიზაცია სარგებლობს სპეციალური სტატუსით ან შეღავათებით, ეს უნდა ეფუძნებოდეს კანონით განსაზღვრულ მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს. პროცესი ასევე უნდა იყოს ხელმისაწვდომი - ნებისმიერ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სცადოს შესაბამისი პირობების შესრულება დაგარკვეული შეღავათების მიღება. მაგალითისთვის, ზოგიერთ ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან სხვა სექტორის წარმომადგენლობითი ორგანიზაციები სარგებლობენ კონკრეტული უფლებებით და საკონსულტაციო სერვისების მარტივი ხელმისაწვდომობით. თუმცა ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ყველა ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს წარმომადგენლობითობის მოთხოვნებს, იღებს მსგავს შეღავათს.

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი**

- სახელმწიფო უწყებს შეღავათებს გარკვეულ ორგანიზაციებს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე;
- გარკვეული შეღავათების მიღების პროცედურა ბუნდოვანი და გაურკვეველია ან კიდევ პრაქტიკულად არ არსებობს;

### **2. უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ქვეყანაში დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ მიდგომა ანალოგიურია ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული სუბექტებისადმი არსებული მიდგომისა**

საერთაშორისო სამართლის თანახმად, უცხოელ პირებს უფლება აქვთ სსო-ები შექმნან იმავე პირობებით, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს. არ უნდა იყოს შეზღუდვები უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული სსო-ების საქმიანობაზე, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც კანონით ვრცელდება მოქალაქეების მიერ დაფუძნებულ სსო-ებზე.

გაერთიანების თავისუფლების სტანდარტები თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს უცხოურ და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე მოქმედ სსო-ებზე.

**აღნიშნული ინდიკატორი დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მოქმედებს სპეციალური შეზღუდვები, კონტროლისა და ანგარიშგების მოთხოვნები უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დაფუძნებულ სსო-ებზე.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები თავს იკავებენ კონკრეტულ ორგანიზაციებთან მიმართებაში პრივილეგირებული მიდგომების გატარებისგან</li> <li>2. არ ხდება იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მიზანმიმართული შეზღუდვა, რომლებიც გამოხატავენ სახელმწიფო მოხელეებისადმი ან პოლიტიკისადმი კრიტიკულ შეხედულებებსა და პოზიციებს.</li> </ol>

**1. სახელმწიფო ორგანოები თავს იკავებენ კონკრეტულ ორგანიზაციებთან მიმართებაში პრივილეგირებული მიდგომების გატარებისგან**

სახელმწიფო ორგანოებმა არ უნდა გამოიჩინონ პრეფერენციული მიდგომა კონკრეტული ორგანიზაციების მიმართ, თუკი ამგვარი მიდგომა არ ეფუძნება კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. ეს ეხება სსო-ების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხარდაჭერის გაწევას, სპეციალური სტატუსის მინიჭებას ან შეღავათების დაწესებას. კერძოდ, სახელმწიფო დახმარება და შეღავათები არ უნდა დაწესდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კრიტიკულია ან კეთილგანწყობილია სსო მთავრობის მიმართ. ნაცვლად ამისა, გამოყენებულ უნდა იქნას გამჭვირვალე პროცედურები და ობიექტური კრიტერიუმები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კონკრეტული შეღავათები გათვალისწინებულია მხოლოდ იმ სსო-ებისთვის, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
- საკონსულტაციო ორგანოსთვის აპლიკანტ სსო-ებს შორის არჩევანის გაკეთების დროს, თანამდებობის პირები უპირატესობას ანიჭებენ სსო-ებს, რომლებიც დაარსებულია მათი ნაცნობების მიერ;
- სახელმწიფო ანიჭებს პრეფერენციებსა და შეღავათებს სსო-ებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო იდეოლოგიის პროპაგანდას ან არიან სახელმწიფოზე დამოკიდებულნი გადაწყვეტილების მიღების ან მართვის პროცესში.
- ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარებისა და მისი მასშტაბის შესახებ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი

**2. არ ხდება იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მიზანმიმართული შეზღუდვა, რომლებიც გამოირჩევიან კრიტიკული დამოკიდებულებით სახელმწიფო მოხელეებისადმი ან პოლიტიკისადმი**

გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციისთვის. ის ფაქტი, რომ სსო-ები აკრიტიკებენ სახელმწიფო ორგანოების ქმედებებს, მათ პოზიციას ან გადაწყვეტილებებს, არ შეიძლება გახდეს მათი საქმიანობის შეზღუდვის საფუძველი. ეროვნული უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს დროებითი, მათი გატარება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული, მკაფიოდ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ამგვარი ზომები არ

უნდა იქნას გამოყენებული იმ პირების დევნის მიზნით, ვინც აკრიტიკებს მთავრობას ან გამოხატავს განსხვავებულ შეხედულებებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო ორგანოები აწყობენ ჩხრეკასა და დამატებით ინსპექტირებას იმ სსო-ების ოფისებში, რომლებიც გამოხატავენ სახელმწიფო ორგანოებისგან განსხვავებულ მოსაზრებებს;
- სსო-ების დამფუძნებლებს, ხელმძღვანელებსა და წევრებს ბრალს სდებენ ან/და დევნიან მათი ორგანიზაციის კანონიერი საქმიანობის გამო;
- სსო-ების ლიკვიდაცია ხდება მათი პროგრამების, ან ორგანიზაციის სახელით მათი ლიდერების და წევრების მიერ გამოხატული მოსაზრებების გამო.

**შესაბამისი რესურსები**

- ეუთო / ODIHR- ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პარაგრაფი 64, 94, 96, 126, 166, 205, 208, 225-226, 233;
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, პარაგრაფი 14 (მიღებული 10 ოქტ. 2007);
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/70/266 (16 სექტემბერი 2015), პარაგრაფი 22-75, 83-85, 109;
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/HRC/20/27 (21 მაისი 2012), პარაგრაფი 5, 68

## სფერო 3. დაფინანსების ხელმისაწვდომობა

**სტანდარტი 1. სსო-ები თავისუფალნი არიან მოიძიონ, მიიღონ და გამოიყენონ ფინანსური და მატერიალური რესურსები თავიანთი მიზნების მისაღწევად**

დაფინანსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სსო-ების მიერ თავიანთი მისიის განხორციელებას. რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლობასა და მდგრადობას. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ ნებისმიერი იურიდიული თუ კერძო წყაროდან (ფიზიკური ან/და იურიდიული პირები) ფინანსური ან არამატერიალური მხარდაჭერის მოძიების, მიღებისა და გამოყენების თავისუფლება. მათ უნდა ჰქონდეთ ფონდების მოზიდვის არსებული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა, შესაბამისი პროცედურები კი მარტივი და გასაგები უნდა იყოს. გარდა ამისა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა წამახალისებელი ზომები სსო-ების საქმიანობის მხარდასაჭერად. ანგარიშგების მოთხოვნები როგორც მიმღები, ისე დაფინანსების მიმწოდებელი სუბიექტისთვის არ უნდა იყოს მძიმე ტვირთი. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ ნაღდი ფულით ან/და საბანკო ანგარიშებით მუშაობის არჩევანი.

**კანონმდებლობა**

ინდიკატორების კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება ან არამატერიალური დახმარება სახელმწიფო ან კერძო დონორებისგან სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით.</li> <li>2. მოთხოვნები დონორებისგან დაფინანსების ან რაიმე სახის არამატერიალური დახმარების მიღების შესახებ არ არის მძიმე ტვირთი სსო-ებისთვის.</li> </ol>

1. **სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება ან არამატერიალური დახმარება სახელმწიფო ან კერძო დონორებისგან სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით.**

ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სსო-ების ეფექტური საქმიანობისთვის და ის მჭიდროდ უკავშირდება გაერთიანებულის თავისუფლების განხორციელებას. დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის მდგრადობასა და თანმიმდევრულ განვითარებას.

ყველა ტიპის სსო-ს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საშუალება მოიძიოს სხვადასხვა სახის რესურსი, მათ შორის ფინანსური, არაფულადი, მატერიალური და ადამიანური, სხვადასხვა წყაროდან, სახელმწიფო და კერძო, ეროვნული, უცხოური და საერთაშორისო წყაროების ჩათვლით. ნებისმიერი სსო-ს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია რესურსების მოძიების, მიღებისა და ათვისების შესაძლებლობა.

თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, სსო-ები არაკომერციული იურიდიული პირები არიან. თუმცა, მათი არაკომერციული მიზანი არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მათთვის ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვა, თუკი დაცულია არაკომერციული საქმიანობის ზოგადი პრინციპები. სსო-ებს უფლება აქვთ თავისუფლად განახორციელონ სამართლებრივ-ეკონომიკური, ბიზნეს ან კომერციული აქტივობები მათი არაკომერციული მიზნების მხარდაჭერის მიზნით. სოციალურ მეწარმეობაზე დაწესებული ნებისმიერ რეგულაცია სსო-ებს სოციალურ საწარმოებად უნდა აღიარებდეს, ხოლო შემოღებული პირობები ხელს უნდა უწყობდეს და არა ზღუდავდეს მათ საქმიანობას.

ამავდროულად, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ სარეგულაციო მოთხოვნებსა და სალიცენზიო პირობებს, რომლებიც ჩვეულებრივ ვრცელდება შესაბამისი საქმიანობის სფეროზე. გარდა ამისა, არაკომერციული სუბიექტის სტატუსის შესანარჩუნებლად, არასამთავრობო ორგანიზაციამ არ უნდა გაუნაწილოს მოგება მის წევრებსა და დამფუძნებლებს; ნაცვლად ამისა, აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს სსო-ს მიზნების განხორციელებას.

რესურსებზე წვდომის შეზღუდვები - რის შედეგადაც მცირდება სსო-ს უნარი შეასრულოს დასახული მიზნები და წარმართოს საქმიანობა - შეიძლება ჩაითვალოს გაუმართლებელ შეზღუდვად და გაერთიანების თავისუფლების შესახებ უფლების დარღვევად. აკრძალულია სსო-ს საქმიანობის კრიმინალიზაცია ან დელეგიტიმაცია დაფინანსების წყაროს წარმოშობის გამო.

როგორც ფიზიკურ, ისე კერძო იურიდიულ პირებს უნდა ჰქონდეთ სსო-ების დაფინანსების შესაძლებლობა. დასაშვებია სამოქალაქო ორგანიზაციის ნებისმიერი ლეგიტიმური საქმიანობის დაფინანსება; კანონმდებლობამ არ უნდა შეზღუდოს იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა დაფინანსების საშუალებაც აქვთ კერძო დონორებს.

დონორების მიმართ არ უნდა იყოს მოთხოვნა წინასწარი ავტორიზაციის პროცედურის გავლის შესახებ. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ რესურსების მოძიების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა ფინანსირების კამპანიები, ქრაუდფაუნდინგი, შემოწირულობის ყუთები, პირისპირ დაფინანსება და ა.შ. თუ შემოწირულობების საჯარო შეგროვება ექვემდებარება რეგულირებას, ყველა სსო-ს უნდა ჰქონდეს ფონდების მოზიდვის ამ მეთოდით სარგებლობის შესაძლებლობა. თანხების საჯაროდ შეგროვების მარეგულირებელი ნებისმიერი პროცედურა არ უნდა იყოს სსო-ებისთვის მძიმე ტვირთი.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მხოლოდ ცალკეული ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ შემოწირულობების მიღება კერძო დონორებისგან;
- ყველა სსო-ს ან სსო-თა მხოლოდ გარკვეულ ტიპებს ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობის წარმართვა (ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას);
- კანონმდებლობა სსო-ებს არ ცნობს, როგორც სოციალური საწარმოების პოტენციურ ფორმას ან უწყებს შემზღუდავ კრიტერიუმებს.

- კანონმდებლობა ზღუდავს სსო-ების უფლებას მოაწონ საქველმოქმედო ლატარიები და საქველმოქმედო აქციები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში);
- კანონმდებლობა განსაზღვრავს სსო-ს საქმიანობის ტიპებსა და მიზნებს, რომლებზეც ნებადართულია კერძო დაფინანსება.

**2. მოთხოვნები სსო-ების მიერ დონორებისგან დაფინანსების ან რაიმე სახის არამატერიალური დახმარების მიღების შესახებ არ არის მძიმე ტვირთი სსო-ებისთვის**

ჩვეულებრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის არ უნდა არსებობდეს წინასწარი პირობები დაფინანსების ან სხვა სახის მხარდაჭერის მისაღებად, განურჩევლად დაფინანსების წყაროსი. მაშინ, როცა ხელისუფლებამ შესაძლოა დაარეგულიროს დაფინანსების გარკვეული მეთოდები (მაგალითად, ქუჩაში თანხის შეგროვება/საჯაროდ ფონდების მოძიება), ამგვარმა რეგულაციებმა ბოლომდე არ უნდა შეზღუდოს სსო-ების მიერ აღნიშნული მეთოდების გამოყენება.

სსო-ებს უნდა შეეძლოთ ლეგიტიმური წყაროებიდან მიღებული სახსრების ნებისმიერი კანონიერი საქმიანობისთვის გამოყენება.

სსო-ების მიერ მიღებულ რესურსებზე შესაძლოა გავრცელდეს ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები. თუმცა, ამგვარი მოთხოვნები არ უნდა იყოს ზედმეტად მძიმე. ისინი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ზომისა და საქმიანობის მასშტაბის პროპორციული, მისი აქტივებისა და შემოსავლების გათვალისწინებით. მკაცრი მოთხოვნები შესაძლოა გავრცელდეს მხოლოდ დიდი მოცულობის თანხებზე ან შემოწირულობებზე სახელმწიფო ფონდებიდან (მაგალითად, შემოწირულობა უნდა იქნას საჯარო ან უნდა გამოქვეყნდეს ანგარიშში)

ანგარიშგებისა და ადმინისტრაციული მოთხოვნები არ უნდა იყოს იმდენად მძიმე, რომ აიძულოს სსო თავი შეიკავოს გარკვეული წყაროდან დაფინანსებული საქმიანობის წარმართვისგან.

სსო-ებსა და მათ თანამშრომლებს (ან წევრებს) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გახსნან და გამოიყენონ საბანკო ანგარიში საზღვარგარეთ, სახელმწიფოსგან სპეციალური ნებართვის მიღების ან სახელმწიფოსთვის შეტყობინების მიწოდების გარეშე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- გარკვეული სახის სსო-ებისთვის, ვრცელდება შეზღუდვები სახელმწიფო დაფინანსებაზე;
- უცხოური დონაციის მიღების შემთხვევაში, სსო-ები ვალდებული არიან შეტყობინება მიაწოდონ ხელისუფლებას განსაზღვრულ ვადაში;
- აკრძალულია სსო-ებისთვის ანგარიშების გახსნა საზღვარგარეთ;
- საზღვარგარეთ ანგარიშის გახსნისას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოსგან.
- სსო-ს მენეჯერებს/წარმომადგენლებს და თანამშრომლებს ეკრძალებათ საზღვარგარეთ ანგარიშის გახსნა.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
1. სსო-ებისთვის მარტივია ნებისმიერი კანონიერი წყაროდან დაფინანსების ან სხვა სახის არამატერიალური დახმარების მიღება.
2. სსო-ებს შეუძლიათ გამოიყენონ მრავალფეროვანი მეთოდები ფონდების მოსაზიდად.
3. ფულად ან საბანკო ოპერაციებზე არსებული შეზღუდვები არ აფერხებს სსო-ს საქმიანობას.

## **1. სსო-ებისთვის მარტივია ნებისმიერი კანონიერი წყაროდან დაფინანსების ან სხვა სახის არამატერიალური დახმარების მიღება**

ყველა სსო-ს უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა კანონიერი დაფინანსების პრაქტიკაში არსებულ წყაროებზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკური ერთგულება არ უნდა იყოს სახელმწიფო დახმარებისა და რესურსების სხვა წყაროების ხელმისაწვდომობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ დაფინანსების მიღების შესაძლებლობა შემდეგი წყაროებიდან: პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება (გრანტები, სახელმწიფო შეკვეთები და სუბსიდიები), სახელმწიფო დახმარების არაპირდაპირი მექანიზმები (პროცენტის განსაზღვრის საგადასახადო მექანიზმი, ლატარიები) და კერძო შიდა წყაროები (შემოწირულობები და დაფინანსების სხვა ფორმები ფიზიკური პირების, კორპორაციების ან არასამთავრობო ორგანოების მხრიდან).

დაფინანსების ან არაფულადი დახმარების მოპოვების პროცესი არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან სხვა სახის პროცედურას. გარკვეული სახის მოთხოვნის შემოღების შემთხვევაში (მაგალითად შეტყობინების გაგზავნა ან რეპორტირება), იგი არ იწვევს სირთულეებს და იდეალურ ვარიანტში მისი შესრულება ელექტრონულადაა შესაძლებელი.

ანგარიშგება, ინფორმაციის გამჟღავნება და სხვა მოთხოვნები არ უნდა იქნას გამოყენებული სსო-ების რესურსებზე წვდომის შეზღუდვის მიზნით. შემოწირულობების რეგისტრაციის და ანგარიშგების რეგულაციების პრაქტიკული გამოყენება უარყოფითად არ უნდა აისახოს კერძო თუ სახელმწიფო დაფინანსების მოცულობაზე. სსო-ებს არ უნდა უხდებოდეთ გარკვეულ პროექტებზე უარის თქმა ანგარიშგების რთული მოთხოვნების გამო. წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შემოწირულობების რეგისტრაციისა და ანგარიშგების მოთხოვნები.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვერასდროს იღებენ დახმარებას სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების ფარგლებში;
- სახელმწიფო ან კორპორატიული წყაროებიდან შემოწირულობების მიღების შემთხვევაში ანგარიშგების ტექნიკური პროცედურები და მოთხოვნები იმდენად ბიუროკრატიული და მძიმეა, რომ მხოლოდ რამდენიმე მსხვილი სსო ახერხებს მათ შესრულებას;
- პრაქტიკაში, მცირე შემოწირულობების რეგისტრაციისა და ანგარიშგების მოთხოვნები უკავშირდება ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომლებიც აღემატება სსო-ების მიერ მიღებული თანხების ოდენობას.

## **2. სსო-ებს შეუძლიათ გამოიყენონ მრავალფეროვანი მეთოდები ფონდების მოსაზიდად**

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების ტრადიციული ფორმები მოიცავს გრანტებს, ეკონომიკურ საქმიანობას, საწევრო გადასახადებსა და შემოწირულობებს. კორპორაციებისა და კერძო პირებისგან შემოწირულობის მიღების მიზნით, სსო-ებს ასევე შეუძლიათ მიმართონ ფულის შეგროვების სხვა მეთოდებს, როგორცაა საქველმოქმედო ლატარიები, საქველმოქმედო კონცერტები და ა.შ. ფონდების მოზიდვის აღნიშნული მეთოდების გამოყენების პროცესში, სსო-ები არ უნდა წააწყდნენ პრაქტიკულ შეზღუდვებს. სსო-ებს ასევე უნდა შეეძლოთ ფინანსური რესურსების მოძიების ახალი მექანიზმების გამოყენება, როგორცაა ელექტრონული გადახდის სისტემები, ონლაინ ქრაუდფანდინგის პლატფორმები, SMS შემოწირულობები და სხვა ელექტრონული დონაციები.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:**

- შეზღუდული ან აკრძალულია ფონდების მოზიდვა ვებგვერდების საშუალებით, თუკი ვებგვერდის დომენი არ არის ადგილობრივი.
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება აწარმოონ ონლაინ ფონდების მოზიდვა, რადგან იკრძალება ანონიმური ტიპის დონაციები, მაშინ როდესაც ონლაინ ფონდების

მოზიდვის პროცესში ელექტრონული სისტემა არ იძლევა დონორთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

- ბანკები და სახელმწიფო მარეგულირებლები ერევიან ქრუდფანდინგის პლატფორმის პროცესებში, აწესებენ ცენზურას, გავლენას ახდენენ პროექტების ხასიათზე ან ბლოკავენ შეგროვებულ თანხებს.
- ანონიმური ფულადი შემოწირულობა პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გამო, რომ შეწირულობის ყუთები განთავსებულია საზოგადოებრივ ადგილებში ან იმ მიზეზით, რომ გამოიყენება საბანკო და საბუღალტრო აღრიცხვის წესები, რომლებიც ზღუდავს ფულად ბრუნვებს.

### **3. ფულად ან საბანკო ოპერაციებზე არსებული შეზღუდვები არ აფერხებს სსო-ს საქმიანობას**

იურიდიული პირის სტატუსის მქონე სსო-ებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი შემოსავლებისა და ქონების მართვის, ისევე როგორც საბანკო ანგარიშების გამოყენების შესაძლებლობა. საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სსო-მ შეძლოს შემოწირულობის მიღება, საკუთარი ქონების მართვა და დაცვა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკები ვალდებული არიან მომსახურება გაუწიონ ნებისმიერ სსო-ს, რომელიც მათ მიმართავს. ბანკების უფლება კლიენტების თავისუფალ შერჩევასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს არადისკრიმინაციული პრინციპების დაცვით.

იურიდიული პირის სტატუსის გარეშე რეგისტრირებული სსო-ებისთვის და არაფორმალური ინიციატივებისთვის, ნებადართული უნდა იყოს ფულადი დონაციების მიღება. შეზღუდვები ფულადი შემოწირულობების მიღებაზე უნდა იყოს რაციონალურად დასაბუთებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი არ უნდა აფერხებდეს შემოწირულობების პრაქტიკული შეგროვების პროცესს.

არ უნდა იყოს შეზღუდული სსო-ს მიერ ფულის განაღდება შესაძლებლობა, რაც გულისხმობს გადაჭარბებულ საბანკო საკომისიოს ან სხვა დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებს ორგანიზაციის მიერ არაფულადი ფინანსური ინსტრუმენტების ნაღდ ფულად კონვერტაციის პროცესს.

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:**

- ბანკები ხშირად უარს ამბობენ სსო-ების ანგარიშების გახსნაზე ან ორგანიზაციისთვის შემოწირულობების გადარიცხვაზე;
- იურიდიულ პირებს ეკრძალებათ ფულადი შეწირულობის გაცემა;
- კანონი უფლებას აძლევს ბანკებს შეამოწმონ, შეესაბამება თუ არა სსო-ების ფინანსური ოპერაციები მათ მიზნებს ან/და კანონებს.

## სტანდარტი 2.

არ არის განსხვავება უცხოურ და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებისადმი მიდგომასა და შიდა წყაროებიდან მიღებულ რესურსებიდან მიდგომას შორის

*სახელმწიფოებმა არ უნდა შეაფერხონ უცხოური და საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსების მიღება, რადგან ამგვარი დაფინანსება ემსახურება სსო-ს შესაძლებლობების განვითარებას და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. სახელმწიფოებმა არ უნდა*

დააწესონ რაიმე სპეციალური შეზღუდვები ან საგადასახადო ზომები დონორებზე ან სსო-ებზე უცხოური და საერთაშორისო დაფინანსების უზრუნველყოფის, მიღების ან ათვისების პროცესში. ანალოგიურად, სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს უნდა ჰქონდეთ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ბანკების მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა სპეციალური ნებართვის მიღების გარეშე. გარდა ამისა, სსო-ები, რომლებიც იყენებენ უცხოურ რესურსებს, არ უნდა გახდნენ სტიგმატიზაციის, ზეწოლის ან მედიის საჯარო შეტყვის მსხვერპლნი, განსაკუთრებით, სახელმწიფო მოხელეების მხრიდან.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. არ მოქმედებს სპეციალური შეზღუდვები ან პროცედურები სსო-ების მიერ უცხოური და საერთაშორისო დაფინანსების ან არამატერიალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებით, ან კიდევ შეზღუდვები დონორების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების კუთხით.</li> <li>2. უცხოურ და საერთაშორისო გრანტებზე, შემოწირულობებზე და საწევრო შეტანატენებზე ვრცელდება იგივე საგადასახადო პირობები, როგორც შიდა რესურსებზე</li> </ol>

### 1. არ მოქმედებს სპეციალური შეზღუდვები ან პროცედურები სსო-ების მიერ უცხოური და საერთაშორისო დაფინანსების ან არამატერიალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებით, ან კიდევ შეზღუდვები დონორების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების კუთხით

სსო-ებს უნდა ჰქონდეთ უცხოური წყაროებიდან რესურსების ისევე ადვილად მიღების შესაძლებლობა, როგორც შიდა წყაროებიდან. სახელმწიფომ არ უნდა აკრძალოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის გარკვეული აქტივობების დაფინანსება უცხოური წყაროებიდან.

სავალდებულო დებულებები საზღვარგარეთიდან შემოწირულობების მიღების შესახებ ხშირად გვხვდება კანონმდებლობაში საბაჟო გადასახადების, უცხოური ვალუტის ბრუნვის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ. უცხოური დაფინანსების მისაღებად, კანონმდებლობა არ უნდა ითხოვდეს სპეციალურ რეგისტრაციას ან წინასწარი თანხმობის მიღებას სახელმწიფოს მხრიდან.

OSCE/ODIHR ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებების თანახმად გაერთიანების თავისუფლების შესახებ (გვ. 220), „საზღვარგარეთიდან რესურსების ხელმისაწვდომობის ნებისმიერი შეზღუდვა (უცხოური ან საერთაშორისო წყაროებიდან) უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში ჩამოყალიბებული კონკრეტული საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოადგენდეს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და იყოს განსაზღვრული მიზნის პროპორციული. კორუფციასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, ფულის გათეთრებასთან ან სხვა სახის ტრეფიკინგთან ბრძოლა ზოგადად ითვლება ლეგიტიმურ მიზნად და შედის ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებში. თუმცა, ამ რესურსების ხელმისაწვდომობაზე ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს ზემოთხსენებული ინტერესების დაცვის მხრივ სახელმწიფო მიზნების პროპორციული და უნდა იყოს მინიმალურად ინტერუზიული საშუალება სასურველი მიზნის მისაღწევად“.

თუკი სსო-ს მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ სახსრებზე ვრცელდება ანგარიშგების მოთხოვნები, ისინი უნდა შემოიფარგლებოდეს შეტყობინებით ფონდების მიღების შესახებ და ანგარიშგებით მათი გამოყენების შესახებ. სსო-ების მიერ უცხოური რესურსების მიღების ნებისმიერი სახელმწიფო

რეგულირება უნდა იყოს გონივრული, არ უნდა მოიცავდეს ზედეტ ჩარევას ან არ უნდა ზღუდავდეს სსო-ების შესაძლებლობას განახორციელონ თავიანთი ლეგიტიმური საქმიანობა.

სსო-ებს, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან, არ უნდა მოუხდეთ ცალკე სარეგისტრაციო პროცედურის გავლა; მათ მიმართ არ უნდა მოხდეს გარკვეული სახელის გამოყენება იმის აღსანიშნად, რომ ისინი იღებენ უცხოურ დაფინანსებას, მაგ. „უცხოელი აგენტი“ ან „საზღვარგარეთიდან მხარდაჭერილი ორგანიზაცია“.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონმდებლობა განსაზღვრავს სსო-ს იმ აქტივობების ნუსხას, რომელთა დაფინანსება შესაძლებელია უცხოური წყაროებიდან, ან ადგენს სსო-ს ტიპებსა და მიზნებს, რომლებიც არ შეიძლება დაფინანსდეს უცხოური წყაროებიდან (ადამიანის უფლებები, საგამომცემლო საქმიანობა და ა.შ.);
- უცხოური დაფინანსება უნდა იქნას რეგისტრირებული სახელმწიფო ორგანოს მიერ. დაფინანსების რეგისტრაციაზე სსო-ს შესაძლოა უარი ეთქვას, არარეგისტრირებული უცხოური დაფინანსების გამოყენებაზე კი დაწესებულია სანქციები.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეთა (მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა), მოქალაქეობის არმქონე პირთა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ადგილობრივ მოქალაქეთა შემოწირულობები მიიჩნევა უცხოურ დაფინანსებად და ექვემდებარება შეზღუდვებს;
- უცხოური ინვესტიციების მქონე საწარმოების შემოწირულობა ითვლება უცხოურ დაფინანსებად და ექვემდებარება შეზღუდვებს;
- უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული სსო-ები ვალდებული არიან განაცხადონ, რომ მათ მიიღეს უცხოური დაფინანსება, ან კიდევ სხვაგვარად უნდა მიუთითონ, რომ ისინი უცხოური დახმარების ბენეფიციარები არიან.

**2. უცხოურ და საერთაშორისო გრანტებზე, შემოწირულობებსა და საწევრო შენატანებზე გვრცელდება იგივე საგადასახადო პირობები, როგორც შიდა წყაროებზე.**

უცხოური წყაროებიდან მიღებულ შემოწირულობებზე უნდა გავრცელდეს იგივე საგადასახადო კანონმდებლობა, როგორც ადგილობრივ დონაციებზე. ისინი არ უნდა დაექვემდებაროს სამემოსავლო გადასახადებსა და სხვა ტიპის გადასახადებს. სახელმწიფოებს უშუალოდ ხელი შეუწყონ სსო-ების საგარეო მხარდაჭერას საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების დაწესების გზით. დამატებითი წამახალისებელი ზომები შესაძლოა იყოს საბანკო გადარიცხვებზე საკომისიოს შემცირება და საგადასახადო შეღავათების დაწესება უცხოური ორგანიზაციებიდან მიღებულ შემოწირულობებზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:**

- საგარეო შემოწირულობები განიხილება როგორც მოგება და ექვემდებარება მოგების გადასახადს;
- საზღვარგარეთ მცხოვრები ასოციაციის წევრების საწევრო გადასახადი განიხილება, როგორც უცხოური დაფინანსება და ექვემდებარება შეზღუდვებს, მათ შორის დაბეგვრას;
- უცხოური შემოწირულობების შესახებ ანგარიშგების მოთხოვნები ძალზედ მკაცრია, გაცილებით უფრო მკაცრი, ვიდრე შიდა შემოწირულობების შესახებ ანგარიშგების მოთხოვნები;
- სსო-ს დაფუძნებისას, საწყის კაპიტალში ან საწესდებო ფონდში კონტრიბუციის შეტანის წესები და პირობები არ არის იგივე უცხოელი დამფუძნებლისა და რეზიდენტი დამფუძნებლისთვის.

**პრაქტიკა**

<b>ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით</b>
1. სსო-ებს უშუალოდ თავისუფლად მიიღონ უცხოური დაფინანსება და პრაქტიკულად აითვისონ უცხოური წყაროები.

2. არ ხდება იმ სსო-ების სტიგმატიზება, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას, ისინი არ არიან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მედიის ან მთავრობის თავდასხმის ობიექტები.

## 1. სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად მიიღონ უცხოური დაფინანსება და პრაქტიკულად აითვისონ უცხოური წყაროები

უცხოური შემოწირულობების მართვის რეჟიმმა უნდა წახალისოს სსო-ების მიერ უცხოური დაფინანსების მიღება. სსო-ების მიერ უცხოური დაფინანსების მიღებას არ უნდა მოჰყვეს უარყოფითი შედეგები რომელიმე მხარისთვის. უცხოური დაფინანსების მიღების სურვილის მქონე ნებისმიერ სსო-ს უნდა ჰქონდეს ამგვარი დაფინანსების მოძიების შესაძლებლობა. უცხოელი დონორების გამოჩენის შემთხვევაში, რომლებსაც სურთ სსო-ს საქმიანობის ხელშეწყობა, სსო-ს უნდა ჰქონდეს დაფინანსების მიღებისა და ათვისების თავისუფლება. უცხოური შემოწირულობების სარეგულაციო რეჟიმი არ უნდა იყოს გაურკვეველი და შეუსაბამო; ის, რასაც შეიძლება ერთი ორგანიზაციისთვის კანონიერი იყოს, არ უნდა იწვევდეს სანქციებს მეორე ორგანიზაციისთვის.

დონორებს უნდა ჰქონდეთ თავიანთ ქვეყნებში მუშაობისა და საზღვარგარეთ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის თავისუფლება, მთავრობისგან წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე. მაშინაც კი, თუ არსებობს უცხოური გრანტების შესახებ შეტყობინების/ანგარიშგების ვალდებულება, ამან არ უნდა შეაფერხოს სსო-ების ან დონორების საქმიანობა, ასევე არ უნდა მისცეს ადმინისტრაციულ ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მასზე, თუ რამდენად შეუძლიათ სსო-ებს ამგვარი დაფინანსების მიღება.

### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:

- მხოლოდ კანონით განსაზღვრულ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია უცხოური დაფინანსების მიღება; პროცესი საჭიროებს რამდენიმე თვეს;
- უცხოური წყაროებიდან დაფინანსებული სსო-ები ფაქტობრივად შეზღუდულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვის, ადვოკატირების ან სხვა ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისგან;
- სსო-ებს არ შეუძლიათ უცხოური დახმარების მიღება სახელმწიფოს პოლიტიკური გადაწყვეტილების ან ნებართვის გარეშე;
- დონორ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწირულობა გადასცეს სსო-ს მხოლოდ დონორად რეგისტრაციის შემდეგ;
- უცხოელმა დონორებმა ხელი უნდა მოაწერონ მთავრობასთან სპეციალურ შეთანხმებას

## 2. არ ხდება იმ სსო-ების სტიგმატიზება, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას, ისინი არ არიან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მედიის ან მთავრობის თავდასხმის ობიექტები

უცხოური დაფინანსების მიმღები სსო-ები არ უნდა გახდნენ დისკრიმინაციული ზომების ან სახელმწიფო ორგანოების თუ სახელმწიფო მედიის მიერ მადისკრიდიტირებელი ინფორმაციული კამპანიების მსხვერპლნი. სტიგმატიზაციის გამოვლენა შესაძლოა იყოს ნეგატიური მედია პუბლიკაციები, შეურაცხმყოფელი სტატიები პრესაში ან სსო-ების ირგვლივ უარყოფითი სურათის შექმნა. უცხოური დაფინანსების მიმღებ სსო-ებს არ უნდა შეეზღუდოთ საქმიანობის განხორციელება, რომელიც დასაშვებია სხვა სსო-ებისთვის, რომლებიც არ იღებენ უცხოურ დახმარებას (მაგალითად, პარლამენტთან წვდომა, სასამართლოებთან წვდომა ან სამთავრობო ციხეებში ან უნივერსიტეტებში მუშაობის შესაძლებლობა).

### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:

- უცხოური დაფინანსების მიმღები სსო-ს ხელმძღვანელის მიმართ ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა;

- სახელმწიფო ახორციელებს უცხოური დაფინანსების მიმღები სსო-ების შემოწმებასა და აუდიტებას უფრო ხშირად, ვიდრე სხვა სსო-ების;
- უცხოური დაფინანსების მიმღები ასოციაციების მარკირება ხდება დამამცირებელი ფორმით, რაც იწვევს მათი საქმიანობის სტიგმატიზაციას ან დელეგიტიმაციას.

### შესაბამისი რესურსები

- ეუთო/ODIHR- ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პარაგრაფი 22, 102-04, 166, 195, 200-22
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/HRC/23/39 (24 აპრილი 2013), პარაგრაფი 8, 20
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/HRC/20/27 (21 მაისი 2012), პარაგრაფი 94
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ, A/64/226 (2009 წლის 4 აგვისტო), პარაგრაფი 94
- კითხვარი- ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის აქტი ჯანდაცვის მიმართულებით გამოცხადებული საგანგებო სიტუაციების დროს კოვიდ-19-ის კონტექსტში, რომელიც შემუშავებული იქნა მშვიდობიანი შეკრებების და ასოციაციების უფლებების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მიერ.
- ადამიანის უფლებათა კომიტეტი: *ბელიაკი და სხვები ბელარუსის წინააღმდეგ* (2007 წლის 24 ივლისი); *კორნენკო და სხვები ბელარუსის წინააღმდეგ* (2006 წლის 31 ოქტომბერი)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2007)14 ევროპაში სსო-ების სამართლებრივი სტატუსის შესახებ (მიღებულია 10 ოქტ 2007), პარაგრაფი 6, 8, 50, 51, 57-61
- ევროპის საბჭო, ექსპერტთა საბჭო სსო-ების სამართლის შესახებ, არასამთავრო ორგანიზაციების შიდა მმართველობის მეორე ყოველწლიური ანგარიში, პარაგრაფი 388-89, 397-98 (2010 წლის იანვარი);
- ფუნდამენტური პრინციპები ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსის შესახებ, პრინციპები 6, 57, 58 და 59; განმარტებითი მემორანდუმის პარაგრაფები 62-65
- დეკლარაცია შეუწყნარებლობისა და რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 6 (ვ);
- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნა, ირლანდია, CERD/C/IRL/CO 2 (2005 წლის 14 აპრილი), პარაგრაფი 1
- ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის დასკვნა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, CRC/C/COD/CO/2 (10 თებ. 2009), პარაგრაფი 25; მალავი, CRC/C/MWI/CO/2, (27 მარტი 2009), პარაგრაფი 25
- წამების წინააღმდეგ კომიტეტის დასკვნა, ბელარუსი, CAT/C/BLR/CO/4 (7 დეკ. 2011), პარაგრაფი 25
- გაერთიანების თავისუფლება - ILO- ს მმართველის ორგანოს გაერთიანების თავისუფლების შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და პრინციპების დაიჯესტი. მეხუთე (შესწორებული) გამოცემა, 2006, პარაგრაფი 485, 494
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *სიგურდურ ა სიგურჟონსონი ისლანდიის წინააღმდეგ* (1993)

# სფერო 4.

## მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

### სტანდარტი 1.

ნებისმიერ პირს შეუძლია ისარგებლოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით შეკრებების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობის მიღების გზით

ძლიერი დემოკრატიული საზოგადოება ნიშნავს, რომ ყველას აქვს შესაძლებლობა შეიკრიბოს და მიაღწიოს შესაბამის მიზნებს, მათ შორის გამოხატოს მოსაზრებები, გააპროტესტოს, აღნიშნოს რაიმე, გამოხატოს სოლიდარობა, უბრალოდ შეიკრიბოს ჯგუფურად ან იზეიმოს ერთობლივად. სწორედ ამიტომ, მშვიდობიანი შეკრების უფლებას ასევე აქვს თანდაყოლილი ასოციაციის ღირებულება. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება დაცულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. იგი მოიცავს ნებისმიერ პირს, ადგილობრივის თუ უცხოელს, ამგვარი პირების ჯგუფების, მათ შორის სსო-ების, უფლებას მოაწყონ და/ან მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან შეკრებაში. შეკრებაში მონაწილეობა თითოეული ადამიანის გადაწყვეტილებაა; შეუძლებელია პირის იძულება ან მისთვის შეკრებაში მონაწილეობის სისტემატურად აკრძალვა. დაუშვებელია მშვიდობიან შეკრებაზე ერთპიროვნული უარის თქმის ან მშვიდობიანი შეკრების დაშლის ფაქტები, მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეების დაპატიმრების ან დაშინების შემთხვევები.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. ნებისმიერ პირს, ადგილობრივს თუ უცხოელს, ამგვარი პირების ჯგუფებს, მათ შორის სსო-ებს, აქვთ უფლება მოაწყონ და/ან მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან შეკრებაში, რომელიც სათანადოდ არის დაცული კანონის ფარგლებში, იქნება ეს გარე თუ შიდა, საჯარო, კერძო თუ კომბინირებულ სივრცეში ან ონლაინ ფორმატში.
2. კანონით დაშვებულია სპონტანური შეკრებების, პარალელური შეკრებებისა და კონტრ შეკრებების გამართვა.

**1. ნებისმიერ პირს, ადგილობრივს თუ უცხოელს, ამგვარი პირების ჯგუფებს, მათ შორის სსო-ებს, აქვთ უფლება მოაწყონ და/ან მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან შეკრებაში, რომელიც სათანადოდ არის დაცული კანონის ფარგლებში, იქნება ეს გარე თუ შიდა, საჯარო, კერძო თუ კომბინირებულ სივრცეში ან ონლაინ ფორმატში.**

შეკრება, ეს არის ერთი ან მეტი ადამიანის კონკრეტული მიზნით შეკრება. მხოლოდ მშვიდობიანი - ანუ არამძალადობრივი შეკრებებია დაცული შეკრების თავისუფლების ფარგლებში.

მშვიდობიანი შეკრების უფლება ინდივიდუალური უფლებაა, რომელიც ხორციელდება კოლექტიურად ერთზე მეტი პირის მიერ, რომლებიც იკრიბებიან კონკრეტული, არამძალადობრივი, ძირითად შემთხვევაში გამოხატული მიზნებისთვის (მაგ. პროტესტი, აღნიშვნა, სოლიდარობა, ზეიმი და ა.შ.). თუმცა, უფრო იშვიათ შემთხვევებში ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ჯგუფის მიმართ სოლიდარობის გამოწვევის ან მათი იდენტობის გაცხადების განზრახვა. შეკრებებს შეიძლება ჰქონდეს სხვა, გასართობი, კულტურული, რელიგიური ან კომერციული მიზნებიც. წარსულში „მშვიდობიანი შეკრების“ ტრადიციული განმარტება მხოლოდ ფიზიკურ შეკრებებს მოიცავდა. თუმცა, დღესდღეობით მუდმივად განვითარებადმა ციფრულმა სამყარომ შექმნა ახალი შესაძლებლობები ასეთი შეკრებების ორგანიზებისთვის, მათ შორის შეკრებათა მხარდასაჭერი საშუალებების ან მათ ჩასატარებლად ახალი

ვირტუალური სივრცეების შექმნის გზით: მაგალითად შეკრებები რომლებიც მთლიანად მიმდინარეობს ვირტუალურ სივრცეში (მაგ. ინტერნეტის საშუალებით) ან ტარდება ფიზიკურ სივრცეში მაგრამ მხარდაჭერილია ციფრულად, დისტანციური მართვის გზით რადგან ისინი წინდაწინვე იგეგმება, განიხილება და ვრცელდება ამ საშუალებით, ან თუნდაც „ჰიბრიდული“ შეკრებები, ორივე შემთხვევისთვის დამახასიათებელი ელემენტებით (მაგ., ისინი ორგანიზებულია სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებით და ტარდება როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე ონლაინ ან იწყება ცოცხალი შეკრების ფორმით, მაგრამ გრძელდება ონლაინ ან პირიქით და ა.შ.).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები იცავს ყველა ფორმის მშვიდობიან შეკრებებს განურჩევლად მათი გამართვის ადგილისა, იქნება ეს ფიზიკურ სივრცეში თუ ონლაინ, ან თუნდაც კომბინირებული ფორმით. დაცვა ასევე ვრცელდება შეკრებებში დისტანციურად მონაწილეობისა და ორგანიზების შემთხვევებზე. ასევე დაცულია შეკრებები კერძო საკუთრებაში არსებულ სივრცეში. ეს სივრცეები შეიძლება იყოს: (1) საჯაროდ ხელმისაწვდომი ან „ნახევრად საჯარო“: როგორც ფიზიკური გაგებით (მაგ. სავაჭრო ცენტრები, სკვერები, მუზეუმები, ტერასები, ბიბლიოთეკები, ეზოები, ავტოსადგომები და ა.შ.) ისე ციფრულად (მაგ. სოციალური მედია, როგორცაა Twitter, Facebook და Instagram); ან (2) შემოსაზღვრული (მაგ., კერძო რეზიდენციები, ბინები, ქარხნები, ზოგიერთი ოფისი და ა.შ.).

### უფლება შეკრების თავისუფლების შესახებ ვრცელდება მხოლოდ მშვიდობიან შეკრებებზე.

საჯარო შეკრების ორგანიზებისა და/ან მონაწილეობის მიღების თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომლითაც ყველა თანაბრად უნდა სარგებლობდეს. აღნიშნული უფლება უნდა იყოს გარანტირებული ინდივიდუალური პირებისთვის, ჯგუფებისთვის, არარეგისტრირებული გაერთიანებებისთვის, იურიდიული პირებისა და კორპორატიული ორგანოებისთვის; ეთნიკურ, ეროვნულ, სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრებისთვის; მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის; ბავშვებისთვის, ქალებისა და მამაკაცებისთვის; სამართალდამცავებისთვის; სრულფასოვანი სამართლებრივი ქმედუნარიანობის არმქონე, მათ შორის, ფსიქიკური დაავადებების მქონე პირებისთვის. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას არა მარტო მოქალაქეებისთვის, არამედ მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, ლტოლვილებისთვის, უცხოელებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებისთვის, მიგრანტებისა და ტურისტებისთვის.

ბავშვები უნდა სარგებლობდნენ შეკრების ორგანიზებისა და/ან შეკრებაში მონაწილეობის უფლებით. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება უზრუნველყოფს ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვისა და საზოგადოებაში ჩართვის შესაძლებლობით. შესაძლოა გამართლებული იყოს გარკვეული შეზღუდვები შეკრების ორგანიზებაზე ბავშვთა სამართლებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ნებისმიერი ამგვარი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ითვალისწინებდეს ბავშვის განვითარებად შესაძლებლობებს.

### შეკრების ორგანიზატორს უფლება აქვს აირჩიოს შეკრების დრო, ადგილი და ფორმა.

შეკრების ორგანიზების ან მონაწილეობის უფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. შეკრების თავისუფლებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს სამმაგ პირობას, რაც ნიშნავს, რომ შეზღუდვა უნდა იყოს: (1) კანონით გათვალისწინებული (2) აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და (2) ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებში უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობისა და მორალური მდგომარეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

თავისუფალი შეკრების უფლებაზე შესაძლებელია დაწესებულ იქნას კანონიერი შეზღუდვები გარკვეული მიზეზების საფუძველზე. კერძოდ, შესაძლებელია დაწესდეს შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის, ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრებისთვის იმ მიზეზების გათვალისწინებით,

რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ნეიტრალურობის შენარჩუნების აბსოლუტურ აუცილებლობას. შეზღუდვები ასევე შესაძლოა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას (მაგალითად, დაავადების ან ეპიდემიის გავრცელების თავიდან აცილება). თუმცა, ამგვარი შეზღუდვა თანაბრად უნდა გავრცელდეს სხვა სახის შეკრებებზეც, როგორცაა სპორტული ღონისძიებები, კონცერტები, სკოლაში დასწრება და სხვა.

აკრძალულია კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების საყოველთაო გამოყენება. საერთო შეზღუდვები არ ითვალისწინებს ცალკეული შეკრების კონკრეტულ გარემოებებს და ამით არღვევს პროპორციულობის პრინციპს. საჭიროა თითოეული შეკრების გარემოებების განცალკავებით შესწავლა და ინდივიდუალური რეაგირების მოხდენა.<sup>3</sup>

საგანგებო ზომები, რომლებიც ზღუდავს მშვიდობიანი შეკრების უფლებას, დაწესებული უნდა იქნეს შეზღუდული დროით და მათი ხელახალი შემოღება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს სრულიად აუცილებელია განსაზღვრულ საფრთხეებზე რეაგირებისთვის. გადაადგილების და შეკრებების შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს გამონაკლისებს, რათა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით ჟურნალისტებმა, სავაჭრო კავშირებმა, იურიდიული სფეროს წარმომადგენლებმა, ადამიანის უფლებების დამცველებმა, ჰუმანიტარული დახმარების და სოციალური სერვისების მიწოდებელმა ორგანიზაციებმა, ჯანდაცვის პროტოკოლებისა და რეკომენდაციების დაცვით, შეძლონ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება საგანგებო სიტუაციებში. ამ გამონაკლისების პრაქტიკაში დანერგვისთვის აუცილებელია პოლიციას და უსაფრთხოების სამსახურებს ნათლად მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ

კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საზოგადოებრივ შეკრებებში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითია, ყოველგვარი იძულების გარეშე.

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევებს წარმოადგენს შემდეგი:**

- შეკრების ორგანიზატორები ვალდებული არიან ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვა ან მოქალაქეობა;
- საჯაროდ მიუწვდომელ, კერძო სივრცეში პოლიტიკური ხასიათის შეკრებების ორგანიზატორებს, აქვთ შესაბამისი უწყებების ამგვარ შეკრებასთან დაკავშირებით გაფრთხილების ვალდებულება.
- არასრულწლოვან პირებს ეკრძალებათ შეკრების ორგანიზება ან მასში მონაწილეობის მიღება
- აკრძალულია შეკრებების ორგანიზება ქალაქის ცენტრში; ამისთვის, ხელისუფლება განსაზღვრავს პარკს, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით.
- ჯანდაცვასთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, შეზღუდვები წესდება შეკრებებზე და არა სხვა სახის მასობრივ თავყრილობებზე (როგორც გარე, ისე დახურულ სივრცეში).
- სახელმწიფო უწყებებს აქვთ კანონიდან ან რეგულაციიდან გამომდინარე უფლება ჩაერიონ ონლაინ შეკრებებში, გამორთონ ინტერნეტი მსგავსი შეკრების ორგანიზებისთვის, მასში მონაწილეობისა თუ გასაჯაროებისთვის ხელშემშლის მიზნით,

## **2. კანონით დაშვებულია სპონტანური შეკრებების, პარალელური შეკრებებისა და კონტრ შეკრებების გამართვა**

<sup>3</sup>კითხვარი – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID-19-ის კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ.

სპონტანური შეკრებები არის შეკრებები, რომელთა ინიცირება და მოწყობა წარმოადგენს გარკვეულ მოვლენებზე პირდაპირ და დაუყოვნებლივ რეაქციას; მონაწილეთა აზრით, შეუძლებელია რეაგირების გადავადება.

სპონტანურ შეკრებებზე არ უნდა გავრცელდეს წინასწარი გაფრთხილების მოთხოვნა, თუ წინასწარი გაფრთხილება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუკი სპონტანური შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობს, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს მას. სპონტანურ შეკრებებს შესაძლოა არ ჰყავდეს იდენტიფიცირებული ორგანიზატორი. სპორტული გუნდის მხარდამჭერთა ქუჩის შეკრება გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად დაუყოვნებლივ თამაშის შემდეგ სპონტანური შეკრების მაგალითია, კონკრეტული ორგანიზატორის გარეშე; ამგვარ შეკრებებზე არ უნდა გავრცელდეს გაფრთხილების სტანდარტული პროცედურები. საჭიროა მოხდეს მისი ხელშეწყობა, ვიდრე ის მიმდინარეობს მშვიდობიანად.

თუკი ხდება კომპეტენტური ორგანოების გაფრთხილება ორი ან მეტი დამოუკიდებელი შეკრების ერთსა და იმავე ადგილასა და დროს (ერთდროულიასამბლები) გამართვის შესახებ, უნდა მოხდეს თითოეული მათგანის მაქსიმალური მხარდაჭერა. თუ ადგილმდებარეობა იძლევა ორივე (ან მეტი) შეკრების გამართვის შესაძლებლობას, არცერთი მათგანი უნდა იქნას აკრძალული იმ მიზეზით, რომ იგეგმება სხვა შეკრება იმავე დროსა და ადგილას. ანტიდისკრიმინაციული პრინციპი მოითხოვს, რომ მსგავს გარემოებებში არ იქნას გამოყენებული სხვადასხვა დონის შეზღუდვები შეკრებების მიმართ.

კონტრდემონსტრაცია სხვა შეკრების/დემონსტრაციის საპასუხოდ გამართული პარალელური შეკრების ფორმაა. კონტრდემონსტრაციის კონკრეტული მახასიათებელი ის არის, რომ მისი მიზანია გამოხატოს მოსაზრებები, რომლებიც ეწინააღმდეგება პირველადი შეკრების მოსაზრებებს. მშვიდობიანი შეკრების უფლების საერთაშორისო სტანდარტებით თანაბრად დაცული ორივე ტიპის შეკრებები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პირობები პირველადი შეკრებისა და კონტრდემონსტრაციის ჩასატარებლად ერთმანეთისგან გონივრულ მანძილზე, რომელიც ამავედროულად იძლევა ვიზუალური და ხმით კონტაქტის საშუალებას. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა დაიცვან ორივე შეკრების უსაფრთხოება; უნდა მოხდეს პოლიციის მობილიზება შეკრებების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი

- სპონტანურ შეკრებებზე ვრცელდება შეტყობინების სტანდარტული პროცედურა;
- არ არის დაშვებული პარალელური შეკრებები მაშინც კი, თუ ტერიტორია საკმარისია ყველა დაგეგმილი შეკრების გასამართლად;
- კონტრ-დემონსტრაციები არ არის ნებადართული, რადგან მათ შესაძლოა ხელი შეუშალონ ან შეაფერხონ პირველადი შეკრების ვიზუალური და ხმოვანი შესაძლებლობები.

## პრაქტიკა

### ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით

1. არ არსებობს მშვიდობიან შეკრებებზე ერთპიროვნული უარის თქმის ან დაშლის პრაქტიკა.
2. პირებს, პირთა ჯგუფებს ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აიძულებენ ან სისტემატურად არ უკრძალავენ მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობას.
3. არ ხდება ფიზიკური პირების დაკავება ან დაშინება მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზების, შეკრებებში მონაწილეობის მიღების ან არ მიღების გამო;
4. არ ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისგებაში მიცემა ან დასჯა მშვიდობიანი შეკრების ორგანიზების ან შეკრებაში მონაწილეობის მიღების გამო, იქნება ეს შიდა თუ გარე, საჯარო თუ კერძო სივრცეში, ონლაინ ან კომბინირებული ფორმით.

## **1. არ არსებობს მშვიდობიანი შეკრებებზე ერთპიროვნული უარის თქმის ან დარბევის პრაქტიკა**

გარკვეულ ვითარებაში, სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ დააწესონ კანონიერი შეზღუდვები შეკრებებზე, რომლებიც მშვიდობიან ხასიათს ატარებს. სახელმწიფოს მიერ მშვიდობიანი შეკრების გამართვაზე უარის თქმა - ან შეკრების დაშლა - უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული (შეკრების თავისუფლების შესახებ კონკრეტული კანონი, კონსტიტუცია ან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციები), პროპორციული, პროგნოზირებადი, მინიმალური და აუცილებელი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. სახელმწიფო ორგანოს მიერ მშვიდობიან შეკრებაზე უარის თქმა ან შეკრების დაშლა ითვლება ერთპიროვნულად, თუკი არ შეესაბამება ზემოთმოცემულ მოთხოვნებს.

შესაძლებელია შეზღუდვის დაწესება ან შეკრებაზე უარის თქმა, თუკი არსებობს მყარი მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები მიმართავენ ძალადობას ან წააქეზებენ უკანონობასა და უწყესრიგობას, ან თუკი მოსალოდნელია მოვლენების ამგვარი განვითარება. თუკი არსებობს პოტენციური ძალადობის მტკიცებულება, ორგანიზატორ(ებ)ს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაასაბუთოს, რომ შეკრება მშვიდობიანი იქნება. მშვიდობიანი შეკრების მიმართ მტრული რეაქციის შესაძლებლობა არ შეიძლება გახდეს მშვიდობიანი შეკრების გამართვაზე უარის თქმის საფუძველი.

ორგანიზატორის გადასაწყვეტია, გაუწევს შეკრებას ორგანიზებას თუ არა.

შეკრების დაშლა უკიდურესი ზომაა. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სამართალდამცავი ორგანოები ამოწურავენ შეკრების ხელშეწყობისა და საფრთხისგან დაცვის ყველა გონივრულ ზომას (მაგალითად, დამკვირვებლების დაკავება, რომლებიც გადადიან ძალადობაზე) და არსებობს ძალადობის გარდაუვალი საფრთხე. ვიდრე შეკრება მიმდინარეობს მშვიდობიან რეჟიმში, ის არ უნდა იქნას დარბეული სამართალდამცავების მიერ - მაშინაც კი, თუ არ მოხდა ხელისუფლების წინასწარ გაფრთხილება შეკრების ორგანიზების შესახებ.

შეკრების დარბევა უნდა მოხდეს გარკვეული პროცედურების დაცვით, რომლებიც გაწერილია სამართალდამცავ ორგანოთა ინსტრუქციებში და ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობები არ ამართლებს თვითნებურ ქმედებებს, რომლებიც ზღუდავს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას.

მშვიდობიან რეჟიმში პარალელური და კონტრშეკრებების გამართვა ხდება ორგანიზატორების ნების შესაბამისად. სამართალდამცავებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყონ ერთდროულად და ერთსა და იმავე ადგილას მშვიდობიანი შეკრებების გამართვა. სახელმწიფომ უნდა გამოეყოს ადექვატური პოლიციური და სხვა რესურსები პარალელური და კონტრშეკრებების გამართვის ხელშეწყობად, შეძლებისდაგვარად ერთმანეთისგან „ხილვადობისა და ხმოვანი კონტაქტის“ მანძილზე. გარდა ამისა, ანტიდისკრიმინაციული პრინციპის შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრებებზე, რომლებიც იმართება მსგავს გარემოებებში, არ უნდა გავრცელდეს სხვადასხვა დონის შეზღუდვა.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მშვიდობიანი შეკრების გამართვაზე ხდება უარის თქმა იმ ვარაუდის გამო, რომ მან შესაძლოა გამოიწვიოს მტრული რეაქცია ან შეაფერხოს მოძრაობა;
- ხდება მშვიდობიანი შეკრების დარბევა მტრულად განწყობილი/ძალადობრივი მესამე მხარის გამოჩენის გამო;
- მშვიდობიანი შეკრების დაშლა ხდება კანონით გათვალისწინებული დარბევის პროცედურის დარღვევით;
- ხელისუფლება არ იძლევა პარალელური ან კონტრ შეკრებების გამართვის უფლებას იმ საბაზით, რომ შემოთავაზებული ფართი არ არის საკმარისი ორი ან მეტი შეკრების გასამართლად;

- აკრძალულია ყველა სახის მშვიდობიანი კონტრშეკრებ. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ძალადობა მათი თანმდევი რისკია.

## **2. პირებს, პირთა ჯგუფებს ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აიძულებენ ან სისტემატურად არ უკრძალავენ მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობას**

მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობა უნდა იყოს ნებისმიერი პირის დამოუკიდებელი, პირადი გადაწყვეტილება, სრულიად ნებაყოფლობითი, მიღებული ყოველგვარი იძულების გარეშე. აღნიშნული ასევე ვრცელდება უმცირესობათა ჯგუფებზე (მაგ. ლგბტკ) ან ჯგუფებზე, რომელთა შეხედულებებსაც არ იზიარებს მოსახლეობის უმრავლესობა.

ნეგატიური წამახალისებელი ზომები, რომლებიც გავლენას ახდენს პირის გადაწყვეტილებაზე მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიან შეკრებაში, წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ უფლების დარღვევას. უარყოფითი წამახალისებელი ზომების მაგალითს წარმოადგენს სამუშაოდან გათავისუფლება ან საყვედურის მიცემა. ქმედებები, რომლებიც ზღუდავს ან კრძალავს შეკრებებში მონაწილეობის თავისუფლებას, უნდა იყოს უკანონო და სანქცირებული.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო მოხელეები ან თანამშრომლები იძულებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ შეკრებებში სამუშაოდან გაშვების ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ზომების საფრთხის გამო;
- ცნობილი სამოქალაქო აქტივისტები მუდმივად აწყდებიან დაბრკოლებებს შეკრების ადგილამდე მისვლის პროცესში;
- ლგბტ ჯგუფის წევრები აწყდებიან დაბრკოლებებს, როდესაც ცდილობენ მშვიდობიან შეკრებებში, ალუმბებსა და მსვლელობებში მონაწილეობის მიღებას.

## **3. არ ხდება ფიზიკური პირების დაკავება ან დაშინება მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზების, შეკრებებში მონაწილეობის მიღების ან არ მიღების გამო**

ნებისმიერი ზომა, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი შეკრების ადგილას პირების ფიზიკური ყოფნის აღკვეთაზე, წარმოადგენს შეკრების უფლების დარღვევას. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა არ უნდა შეაჩერონ, გაჩხიკონ ან დააკავონ შეკრების ადგილისკენ მიმავალი პროტესტის მონაწილეები. არ უნდა იქნას გამოყენებული ინტრუზიული ზომები, თუ რეალურად არ არსებობს ძალადობის ნათლად გამოხატული და გარდაუვალი საფრთხე.

წინასწარი შეზღუდვების დაწესება უმნიშვნელო ინციდენტების ალბათობის გამო არის არაპროპორციული ზომა. ძალადობის იზოლირებული შემთხვევების მართვა უნდა მოხდეს დაკავებისა და სასამართლო დევნის გზით და არა წინასწარი დაკავების ან დაშინების საშუალებით.

სამართალდამცავებმა უნდა მიმართონ მონაწილეთა დაკავებას მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარი ქმედება აუცილებელია სერიოზული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ორგანიზატორთა ან მონაწილეთა დაპატიმრება შეკრების თარიღამდე ერთი ან მეტი დღით ადრე შესაძლოა წარმოადგენდეს დაშინების იარაღს ან შეკრებაზე ფიზიკური დასწრების ხელშეშლის ინსტრუმენტს.

შეკრების დროს მონაწილეთა ან ორგანიზატორთა დაკავება ადმინისტრაციული, კრიმინალური ან სხვა სახის დანაშაულის ჩადენის საფუძველზე უნდა აკმაყოფილებდეს პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მკაცრ სტანდარტებს.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორის დაკავება ხდება შეკრების დაწყებამდე;
- სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხორციელდება იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უჩვეულო შემოწმება, რომელიც გეგმავს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზებას

**4. არ ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისმგებლობაში მიცემა ან დასჯა მშვიდობიანი შეკრების ორგანიზების ან შეკრებაში მონაწილეობის მიღების გამო, იქნება ეს შიდა თუ გარე, საჯარო თუ კერძო სივრცეში, ონლაინ ან კომბინირებული ფორმით.**

მიიჩნევა, რომ ის, რაც არ არის კანონით აკრძალული, ნებადართულია. მათ, ვისაც აქვთ შეკრების სურვილი, არ უნდა სჭირდებოდეთ საგანგებო ნებართვის მიღება.

შეკრების ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელი მონაწილეთა ან მესამე პირთა ქმედებებზე, უკანონო ქმედებებზე, რომლებშიც ისინი არ იღებდნენ პირდაპირ მონაწილეობას.

მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობა არის შეკრების უფლების კანონიერი განხორციელება, რომელიც არ უნდა იყოს შეზღუდული ან რაიმე სახით სანქცირებული. ამრიგად, შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს აქვთ თავდაცვის „გონივრული საბაბი“. მაგალითად, პირებს არ უნდა მოეთხოვოთ პასუხი უკანონო შეკრებაში მონაწილეობისთვის, თუ მათთვის არ იყო ცნობილი შეკრების უკანონო ხასიათი. ანალოგიურად, მონაწილეებმა არ უნდა აგონ პასუხი ქმედებებზე, რომლებიც განხორციელდა სამართალდამცავი ორგანოს ან სხვა სამთავროვო უწყების ხელმძღვანელობით.

თუ მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორები ვერ შეასრულებენ შეტყობინების მოთხოვნებს გონივრული მიზეზების გამო, არ უნდა იქნას გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომები ან სანქციები.

ნებისმიერ პირს, რომელსაც ედება შეკრებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის ბრალი, უფლება აქვს ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმებითა და დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ საქმის სამართლიანი განხილვით. ყველა პირობა, რომელიც წარმოშობს კრიმინალურ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, უნდა შეესაბამებოდეს კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხორციელდება შეკრების ორგანიზატორის სამართლებრივი დევნა შეკრების მონაწილეების მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის გამო;
- საჯაროდ მიუწვდომელ, კერძო სივრცეში პოლიტიკური ხასიათის შეკრებების ორგანიზატორებს, აქვთ შესაბამისი უწყებების ამგვარ შეკრებასთან დაკავშირებით გაფრთხილების ვალდებულება.
- პირებს მოეთხოვებათ პასუხი არაკანონიერ შეკრებაში მონაწილეობის მიღების გამო იმის მიუხედავად, რომ მათ არ იცოდნენ შეკრების უკანონო ბუნების შესახებ და თავად არ ჩაუდენიათ რაიმე უკანონო ქმედება.

**სტანდარტი 2.**

**სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს მშვიდობიან შეკრებებს**

*სახელმწიფომ უნდა შექმნას გარემო, რომელიც ხელს უწყობს შეკრებების ორგანიზებასა და შეკრებებში მონაწილეობის მიღებას. სწორად განსაზღვრული პროცედურული წესები უზრუნველყოფს მშვიდობიან შეკრების უფლების რეალიზებას. პროცედურები უნდა იყოს უფასო, მარტივი და ნათელი. არ უნდა იყოს საჭირო შეკრების წინასწარი ავტორიზაცია, უკიდურეს შემთხვევაში,*

შესაძლოა არსებობდეს შეტყობინებების ვალდებულება. პროცედურები ასევე უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა სახის შეკრების ორგანიზების შესაძლებლობას, როგორცაა სპონტანური და პარალელური შეკრებები. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება აწესებს შეზღუდვებს შეკრებაზე, ისინი უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული. უნდა იყოს მათი გასაჩივრების შესაძლებლობა, საბოლოო გადაწყვეტილება კი უნდა იყოს მიღებული შეკრების დაგეგმილ თარიღამდე. მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასავრცელებლად ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ უნდა იყოს შეზღუდული ხელისუფლების მიერ.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. მშვიდობიანი შეკრების ჩატარების უფლება არ ექვემდებარება წინასწარ ავტორიზაციას. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა გავრცელდეს შეტყობინების მოთხოვნა, რომელიც უნდა იყოს ნათელი, მარტივი, უფასო და ითვალისწინებდეს წინასწარ შეტყობინების გონივრულ პირობებს.</li> <li>2. იმგვარი შეკრებების ორგანიზებისას, რომელსაც არ ან მინიმალურად ექნებათ გავლენა სხვათა უფლებებზე არ არის მოთხოვნილი წინასწარი შეტყობინება.</li> <li>3. საბოლოო გადაწყვეტილება მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვის საჩივართან დაკავშირებით გაციემა შეკრების დაგეგმილ თარიღამდე.</li> <li>4. კანონმდებლობა იცავს მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზებისთვის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების უფლებას.</li> </ol>

### **1. მშვიდობიანი შეკრების ჩატარების უფლება არ ექვემდებარება წინასწარ ავტორიზაციას. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა გავრცელდეს შეტყობინების მოთხოვნა, რომელიც უნდა იყოს ნათელი, მარტივი, უფასო და ითვალისწინებდეს წინასწარ შეტყობინების გონივრულ პირობებს**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ უნდა არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში არ უნდა იყოს საჭირო წინასწარი შეტყობინების განხორციელება. წინასწარი შეტყობინების მიზანია საშუალება მისცეს სახელმწიფო ორგანოებს გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები შეკრების თავისუფლების ხელშეწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

ეროვნულმა კანონმდებლობამ შესაძლოა განსაზღვროს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ორგანიზატორი ვალდებულია სახელმწიფოს აცნობოს მისი განზრახვა შეკრების გამართვის შესახებ. კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ რომელი ორგანოა პასუხისმგებელი შეტყობინების მიღებაზე და პასუხის გაცემაზე.

შეტყობინების პროცედურა ორგანიზატორებსა და მარეგულირებელ ორგანოებს შორის უნდა იყოს ნათლად გაწერილი. პროცედურამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ინფორმაციის წარმოდგენაა საჭირო, ვის მიერ, რომელიც საჯარო ხელისუფლების მიმართ, როგორ და როდის.

შეტყობინების პროცედურა მარტივია. ის არ საჭიროებს გადაჭარბებულ დოკუმენტაციას (როგორცაა სარეგისტრაციო დოკუმენტები), სპეციალურ ცოდნას ან ტექნიკურ უნარებს.

წინასწარი შეტყობინებისთვის საჭირო დრო არ უნდა იყოს ზედმეტად ხანგრძლივი. დრო უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ გავლილი იქნას სარეგულაციო პროცესის ყველა ეტაპი (იმ შემთხვევაში, თუ შეკრებასთან დაკავშირებით ხდება შედავება), სახელმწიფო უწყებებმა კი შეძლონ ყველა საჭირო ზომის

დაგეგმვა და მიღება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (ლონისძიებამდე არა უმეტეს რამდენიმე დღით ადრე).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საჯარო შეკრების ორგანიზებისთვის აუცილებელია წინასწარი ნებართვა;
- შეტყობინების პროცედურა მოიცავს მრავალი დოკუმენტის წარდგენას ან წინასწარ გაფრთხილებას რამდენიმე კვირით ან თვით ადრე.

საჯაროდ მიუწვდომელ, კერძო სივრცეში პოლიტიკური ხასიათის შეკრებების ორგანიზატორებს, აქვთ შესაბამისი უწყებების ამგვარ შეკრებასთან დაკავშირებით გაფრთხილების ვალდებულება.

როგორც მშვიდობიანი შეკრების უფლების საერთაშორისო სტანდარტებით არის განმარტებული, შეკრების შეტყობინების ვალდებულება შეიძლება გამართლებული იყოს იმგვარ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია ხელისუფალთათვის რათა მათ უზრუნველყონ ღონისძიების შეუფერხებლად წარმართვა და როგორც შეკრების მონაწილეთა უფლებების, ისე სხვათა უფლებების დაცვა. ამიტომ, შეტყობინების მოთხოვნა არ უნდა ეხებოდეს შეკრებებს, რომელთა გავლენა სხვის უფლებებზე მინიმალურია მათი ბუნების, ზომის ან გამართვის ადგილის გამო: მაგალითად შეკრებები, რომლებიც ტარდება ონლაინ, ან კერძო სახლებშიც კი და არ საჭიროებს პოლიციის მიერ შექმნილი ზღუდის არსებობას ან გზებზე მოძრაობის გადამისამართებას საპროტესტო და სადემონსტრაციო ადგილიდან.

ამ ინდიკატორის დარღვევა შეიძლება გულისხმობდეს:

- ონლაინ შეკრებების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას.

საბოლოო გადაწყვეტილება მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვის საჩივართან დაკავშირებით გაიცემა შეკრების დაგეგმვით თარიღამდე.

საჭიროა მოხდეს შეკრების შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობა ორგანიზატორებისთვის წერილობითი ფორმით, შეზღუდვის მიზეზების შესაბამისი ახსნა-განმარტებით. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა იქნას დროულად მიღებული ისე, რომ მოხერხდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესის დასრულება შეკრების დაგეგმვით თარიღამდე.

ორგანიზატორებს უნდა ჰქონდეთ უფლება გაასაჩივრონ მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული შეზღუდვები ან აკრძალვები. საჩივარი უნდა იქნას განხილული დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. პროცესი უნდა სათანადოდ უნდა წარიმართოს, რათა ხელისუფლების გადაწყვეტილებაში ნებისმიერი ცვლილება განხორციელდეს აპლიკანტის უფლებების სრული დაცვით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

კანონი არ ადგენს გონივრულ ვადას მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის.

**2. კანონმდებლობა იცავს მშვიდობიანი შეკრებების ორგანიზებისთვის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების უფლებას**

წინასწარი კომუნიკაცია აუცილებელია შეკრების ორგანიზებისა და მონაწილეთა მობილიზაციისთვის. კანონმა არ უნდა აკრძალოს ნებისმიერი სახის კომუნიკაციის გამოყენება მშვიდობიანი შეკრების ორგანიზების მიზნით. გარდა ტრადიციული ოფლაინ კომუნიკაციისა, მონაწილეთა მობილიზება შესაძლებელია მოხდეს კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით, როგორცაა ტელეფონი, ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტი და სხვა.

ორგანიზატორებსა და მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ორგანიზების პროცესში გამოიყენონ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები. ორგანიზატორებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გაავრცელონ განცხადება შეკრების შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საორგანიზაციო პროცედურა ჯერ კიდევ არ დაწყებულია. საზოგადოებრივი კომუნიკაციის საშუალებებით შეკრების გამოცხადება არ ანაცვლებს სამართლებრივი შეტყობინების პროცედურას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- აკრძალულია სოციალური მედია ქსელების გამოყენება შეკრების ორგანიზების შესახებ განცხადების გასაავრცელებლად;
- კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებისა და შუამავლების საქმიანობას, არამართლზომიერად ზღუდავს შეკრებებს ან შეკრების მონაწილეთა კონფიდენციალურობას.

**პრაქტიკა**

<i>ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით</i>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. შეტყობინება არ წარმოადგენს დე-ფაქტო ავტორიზაციას;</li> <li>2. შეზღუდვები პროპორციულია და ეფუძნება აუცილებლობის ობიექტურ მტკიცებულებებს.</li> <li>3. არ არის შეზღუდული ინტერნეტის/სოციალური მედიის ხელმისაწვდომობა მშვიდობიანი შეკრებების შეზღუდვის მიზნით, იქნება ეს ონლაინ თუ ოფლაინ.</li> </ol>

**1. შეტყობინება არ წარმოადგენს დე-ფაქტო ავტორიზაციას**

თუკი სჯარო შეკრების ორგანიზება ექვემდებარება შეტყობინების პროცედურებს, არ უნდა იყოს საჭირო საჯარო ხელისუფლების მიერ ავტორიზაციის გაცემა (მაგ. არ უნდა არსებობდეს ხელისუფლების მიერ შეტყობინებაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნა; უნდა არსებობდეს პრეზუმფცია შეკრების სასარგებლოდ). ნებისმიერ შემთხვევაში, მიმღებმა ორგანომ უნდა დაადასტუროს შეტყობინების მიღება მისი წარდგენისთანავე).

შეტყობინების პროცესი არ უნდა იყოს მძიმე. წერილობითი შეტყობინების ფორმები უნდა ეფუძნებოდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უნდა იყოს მოკლე და ხელმისაწვდომი. თუკი ხელისუფლება არ გამოხატავს რაიმე სახის პროტესტს შეტყობინებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი შეკრების ორგანიზატორებს ექნებათ შესაძლებლობა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა მათ მიერ წარდგენილ შეტყობინებაში მოცემული პირობების შესაბამისად.

ხელისუფლებამ არ უნდა მოითხოვოს შეტყობინება შეკრებებისთვის, რომლებსაც აქვთ მინიმალური გავლენა სხვის უფლებებზე (მაგ. ონლაინ შეკრებები ან შეკრებები კერძო სივრცეებში).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- წინასწარი შეტყობინება მოიცავს სარეგისტრაციო პროცედურას, რომელიც მოითხოვს დე ფაქტო დამტკიცებას სარეგისტრაციო ორგანოს მიერ.
- შეტყობინებების რეჟიმი მოქმედებს ყველა მშვიდობიან შეკრებაზე განურჩევლად, რაც ხდება თვითმიზანი და გამორიცხავს საკითხის განხილვას ცალკეულ შემთხვევათა გათვალისწინებით.

**2. შეზღუდვები პროპორციულია და ეფუძნება აუცილებლობის ობიექტურ მტკიცებულებებს**

საჯარო შეკრების მთავარი მიზანია გზავნილის მიწოდება კონკრეტული სამიზნე პირისთვის, ჯგუფისთვის ან ორგანიზაციისთვის. აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი შეკრება უნდა გაიმართოს სამიზნე აუდიტორიის სიახლოვეს. შეკრება საზოგადოებრივი სივრცის ლეგიტიმური გამოყენებაა, ანალოგიურად სივრცის გამოყენების კომერციული მიზნების ან საგზაო მოძრაობისთვის.

ხელისუფლებამ უნდა დაასაბუთოს შეზღუდვების დაწესება ლეგიტიმურ მიზეზებით, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, მორალური მდგომარეობის დაცვა, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ეროვნული უსაფრთხოება.

ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს გონივრული ალტერნატივები, თუ დაწესდება შეზღუდვები შეკრების დროზე, ადგილზე ან შეკრების ფორმაზე. შეზღუდვები უნდა იყოს პროპორციული - ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეზღუდვის დაწესების დროს, საჯარო ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარი შეზღუდვის საჭიროებასა და შეკრების უფლების განხორციელებას შორის.

შეზღუდვის აუცილებლობა დასაბუთებული უნდა იყოს ფაქტებზე დაფუძნებული მტკიცებულებებით, რომლებიც შეიძლება შემოწმდეს, შეფასდეს და დამტკიცდეს ანალიზის, გაზომვისა და დაკვირვების საფუძველზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- შეკრების გადატანა ხდება ქალაქის გარეუბანში, სამიზნე აუდიტორიიდან მოშორებით;
- შეკრებას არ შეიძლება დაესწროს 50-ზე მეტი მონაწილე თითქოსდა ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, მაშინ როცა ნებადართულია სხვა სახის შეკრებები, როგორცაა ბაზრობები.

**3. არ არის შეზღუდული ინტერნეტის/სოციალური მედიის ხელმისაწვდომობა მშვიდობიანი შეკრებების შეზღუდვის მიზნით, იქნება ეს ონლაინ თუ ოფლაინ.**

არ უნდა იყოს დაბრკოლებები ინტერნეტის ან/და სოციალური მედიის გამოყენების კუთხით. ონლაინ სივრცეში მითითებები მშვიდობიანი შეკრების შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ინტერნეტ პროვაიდერის მეშვეობით, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, თუკი თავად ავტორი არ გადაუწყვეტს სხვაგვარად. არ უნდა არსებობდეს პრაქტიკული დაბრკოლებები ინტერნეტში გავრცელებულ განცხადებებზე, როგორცაა რედაქტორების ან პროვაიდერების დევნა/შევიწროება. არ უნდა მოხდეს სოციალური მედიის/ინტერნეტის დაბლოკვა ან სხვაგვარად შეფერხება შეკრების ადგილის მიმდებარედ, რათა მოხდეს შეკრების ორგანიზების შეფერხება.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- დაბლოკილია სოციალური მედიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაგეგმილი საპროტესტო გამოსვლის შესახებ;
- ზოგიერთი პროვაიდერი არ იძლევა მშვიდობიანი შეკრების შესახებ ონლაინ განცხადებებზე წვდომის შესაძლებლობას.

**სტანდარტი 3.**

**სახელმწიფო არ უწყებს ზედმეტ მოთხოვნებს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს**

მაქსიმალურად დასაშვებ ფარგლებში, შესაძლებელი უნდა იყოს მშვიდობიანი შეკრებების ჩატარება ორგანიზატორის მიერ გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად. სახელმწიფო ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი მშვიდობიანი შეკრებების ჩატარებას და ჩაერიონ მხოლოდ მაშინ, როცა შეკრება იძენს ძალადობრივ ხასიათს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ისევე როგორც სხვა კონკრეტული ამოცანების შესრულება სახელმწიფოს მოვალეობაა და უნდა იქნას

უზრუნველყოფილი ყოველგვარი საფასურის გარეშე. არ უნდა მოხდეს გადასახადების დაწესება საჯარო სივრცის გამოყენების გამო, ხოლო ორგანიზატორებს უნდა მიეცეთ საშუალება გამოიყენონ ნებისმიერი საჭირო ტექნიკური საშუალება ყოველგვარი არაპროპორციული შეზღუდვის გარეშე.

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით

1. შეკრების ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელნი საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე ან შეკრების დროს მომხდარ ქმედებებზე;
2. ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ემსახურება მშვიდობიანი შეკრების მხარდაჭერას ან ხდება მაშინ, როცა შეკრება იძენს ძალადობრივ ხასიათს.
3. არსებობს ცხადი და კონკრეტული საკანონმდებლო წესები სათვალთვალ მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით პოლიციის მიერ შეკრებათა მონიტორინგის მიზნით.

### **1. შეკრების ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელნი საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე ან შეკრების დროს მომხდარ ქმედებებზე**

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ორგანიზაციული პროცედურები, რომლებიც უკავშირდება შეკრებების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სახელმწიფომ არ უნდა დააწესოს რაიმე დამატებითი ფინანსური გადასახადი პოლიციის რესურსების უზრუნველყოფის სანაცვლოდ.

შეკრების ორგანიზატორებს უფლება აქვთ განსაზღვრონ მარტივად იდენტიფიცირებადი ზედამხედველი პირები შეკრების ხელშეწყობის მიზნით, მაგრამ აღნიშნულ პირები არ ისარგებლებენ სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებით. ზედამხედველმა პირებმა არ უნდა გამოიყენონ ძალისმიერი მეთოდები. მათ უნდა დაამყარონ კონსტრუქციული თანამშრომლობა შეკრების მონაწილეებთან დიალოგისა და დარწმუნების გზით.

ორგანიზატორები არ არიან პასუხისმგებელნი სხვების ქმედებებზე შეკრების დროს. პასუხისმგებლობა დაეკისრება ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც უშუალოდ ჩაიდენს დანაშაულს ან არ შეასრულებს სამართალდამცავი ორგანოების კანონიერ მითითებებს.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- ხელისუფლება სთხოვს შეკრების ორგანიზატორებს დაუკავშირდნენ კერძო დაცვის სამსახურებს შეკრების დროს საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად;
- შეკრებების ორგანიზატორები პასუხისმგებელნი არიან ინდივიდუალური მონაწილეების უკანონო ქმედებებზე.

### **2. ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ემსახურება შეკრების მხარდაჭერას ან ხდება მხოლოდ მაშინ, როცა შეკრება იძენს ძალადობრივ ხასიათს.**

სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან შეკრების თავისუფლების უფლება და ხელი შეუწყონ მის რეალიზებას.

კანონმა უნდა განსაზღვროს ყოვლისმომცველი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიანი შეკრებების დროს ხელისუფლების უფლებებისა და ვალდებულებების რეგულირებას. შეკრების მსვლელობაში ჩარევა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. კანონის ფარგლებში, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტებისა და მეთოდების ფართო არჩევანი.

ხელისუფლების არჩევანი არ უნდა შემოიფარგლებოდეს შეკრებაში ჩაურევლობით ან მისი დარბევით. კანონით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერვენციის მაქსიმალურად მისაღები და ნაკლებად ინტრუზიული საშუალებები. მიზანშეწონილია არამალადობრივი მეთოდების, როგორცაა დიალოგი, მოლაპარაკება, შუამავლობა და სხვა სახის კომუნიკაცია, გამოყენება ინტერვენციის ადრეულ ეტაპებზე.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს სპეციალური კანონებით ან საჯაროდ ცნობილი წესებით. პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენება ყოველთვის უნდა იქნას განხილული გამონაკლისის სახით. ნებისმიერი ინტერვენცია უნდა იყოს პროგნოზირებადი. იგი უნდა იცავდეს წესრიგის აღსადგენად საჭირო მინიმალურად ინტრუზიული საშუალებების გამოყენების პრინციპს.

შეკრების დროს ცალკეული პირების მიერ ჩადენილი ძალადობის ან ძალადობრივი ქმედებების იზოლირებული შემთხვევები არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ დაწესდეს შეზღუდვები მშვიდობიანი მონაწილეებისთვის. სამართალდამცავ ორგანოთა სპეციალური ოპერაციული პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს პერსონალიზებული ინტერვენციის შესაძლებლობებს, შეკრების პროცესში კონკრეტული ჯგუფების დიფერენცირების მიზნით. როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს უხდებათ მონაწილეების დაკავება ან შეკრების ძალისმიერი დაშლა, ისინი არ უნდა მოეპყრონ ხალხს, როგორც ერთგვაროვან მასას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სამართალდამცავი ორგანოები ერევან მშვიდობიანი შეკრებაში მარშრუტის მოულოდნელი ცვლილების გამო;
- სამართალდამცავი ორგანოები იწყებენ შეკრების დაშლას, რამოდენიმე მონაწილის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შემდეგ;
- სახელმწიფო ორგანოები იწყებენ შეკრების დაშლას იმ მიზეზით, რომ მან გადააჭარბა დასრულების თავდაპირველად ანონსირებულ დროს.

**3. არსებობს ცხადი და კონკრეტული საკანონმდებლო წესები სათვალთვალო მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით პოლიციის მიერ შეკრებათა მონიტორინგის მიზნით.**

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად აღიარებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სათვალთვალო ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ძალადობის საფრთხის აღმოსაჩენად და საზოგადოების, მათ შორის თავად შეკრების მონაწილეების დასაცავად, მათ ასევე შეუძლიათ დაარღვიონ მონაწილეთა და სხვა პირთა (გამვლელთა) პირადი უფლებები, რის ხარჯზეც მოცემულს ექნება საზოგადოებაზე „გამაცივებელი ეფექტი.“ ეს კიდევ უფრო სახიფათო ხდება იმის გათვალისწინებით, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომ სივრცეებზე კონტროლი - იქნება ეს საჯარო თუ კერძო - ხშირად არის დელეგირებული კერძო სუბიექტებზე/კონტრაქტორებზე და ციფრული კომუნიკაციის ფართო პლატფორმები ეკუთვნის კერძო აქტორებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მონიტორინგზე, შინაარსის ზედამხედველობასა და მოდერაციაზე.

გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს რეგულარული ინკლუზიური შეფასებების ჩატარების ვალდებულებას იმ ზემოქმედების შესახებ, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამ მოწყობილობებს შეკრების ორგანიზატორების, მონაწილეებისა და სხვა პირთა უფლებებზე. (ადამიანის უფლებების ზემოქმედების შეფასების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ციფრული უფლებების სფერო).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს რეგულაციები იმის შესახებ, თუ როდის/როგორ შეიძლება ხელისუფლებამ გამოიყენოს სათვალთვალო ინსტრუმენტები პოლიციის ან შეკრებების მონიტორინგისთვის;
- რეგულაციები არსებობს, თუმცა ისინი ზედმეტად ფართო ან ბუნდოვანია და ვიწროდ განიმარტება სამსაფეხურიანი ტესტის გამოყენებისას (კანონიერება, ლეგიტიმურობა და აუცილებლობა/პროპორციულობა);

- არ არსებობს იურიდიული მექანიზმები, რომლებიც ავალდებულებს ხელისუფლებას წარადგინონ ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენჯერ გამოიყენეს ასეთი მოწყობილობები, რა მონაცემები დაამუშავეს და შეინახეს, სად და რამდენი ხნით.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ გაუმართლებელ საფასურს მომსახურებაზე, რომლის მიწოდების ვალდებულება მათ აქვთ;</li> <li>2. არ ხდება მშვიდობიანი შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შეფერხება</li> <li>3. სახელმწიფო არ აწესებს არაპროპორციულ შეზღუდვებს მშვიდობიანი შეკრების დროს ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებაზე</li> <li>4. აღმასრულებელი ორგანოს ან/და სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები ღიად ახდენენ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, შეკრების მონიტორინგისთვის გამოიყენება თუ არა სათვალთვალო მოწყობილობები.</li> </ol>

### 1. სახელმწიფო ორგანოები არ აწესებენ გაუმართლებელ საფასურს მომსახურებაზე, რომლის მიწოდების ვალდებულება მათ აქვთ

მშვიდობიანი შეკრების ორგანიზება არის საჯარო სივრცის ლეგიტიმური გამოყენება; შესაბამისად, არ უნდა იყოს დაწესებული რაიმე სახის საფასური საჯარო მომსახურების მიღების სანაცვლოდ. უნდა მოხდეს საზოგადოებრივი სივრცის კომერციული მიზნებისა და სამშვიდობო შეკრებისთვის გამოყენებას შორის დიფერენცირება. საფასურის დაწესება საზოგადოებრივი სივრცით სარგებლობაზე, ღონისძიების დროს პოლიციის დასწრებაზე, ღონისძიების შემდგომ დასუფთავებაზე და ა.შ. არ არის მისაღები პრაქტიკა. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ორგანიზატორების მიერ მოთხოვნილი და ჩვეულებრივ გათვალისწინებული სერვისების მიწოდება. მათ არ უნდა დააწესონ გაუმართლებელი საფასური ამგვარ სერვისებზე.

ორგანიზატორების მხრიდან მსგავს სერვისებზე საფასურის მოთხოვნა შესაძლოა წარმოადგენდეს შეკრების თავისუფლების განხორციელების სერიოზულ ბარიერს. ფინანსური მოთხოვნები სავარაუდოდ წარმოადგენს წინასწარ შეზღუდვას.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- სახელმწიფო ორგანოები მოითხოვენ შეკრების ორგანიზატორების მიერ დასუფთავების მომსახურების დაქირავებას;
- ორგანიზატორები ვალდებულნი არიან გადაიხადონ საფასური საჯარო სივრცის გამოყენების სანაცვლოდ.

### 2. არ ხდება მშვიდობიანი შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შეფერხება

ორგანიზატორებსა და სხვა მონაწილეებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ მშვიდობიანი შეკრებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ღონისძიების დაწყებამდე, მისი მსვლელობისას ან დასრულების შემდეგ. ორგანიზატორს არ უნდა სჭირდებოდეს ადმინისტრაციული პროცედურის გავლა შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე. ორგანიზატორებსა და მონაწილეებს თანაბრად უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა ონლაინ და ოფლაინ საშუალებების გამოყენებით.

ნებისმიერ მსურველს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ შეკრებას და

გააკეთოს ღონისძიების ჩანაწერები. ორგანიზატორებმა, სამართალდამცავმა ორგანოებმა და სხვა მხარეებმა სრული წვდომა უნდა მისცენ მედიის წარმომადგენლებს სპეციალური აკრედიტაციის გარეშე. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მედიის წარმომადგენლების დაცულობა, თუ შეკრება მიიღებს ძალადობრივ ხასიათს. მათ ასევე უნდა შეეძლოთ ყველა საჯარო შეკრების, მათ შორის უკანონო და ძალადობრივი მოვლენების გაშუქების შესაძლებლობა.

თუ შეკრების დროს მიღებულია შეზღუდვის ზომები უსაფრთხოების თვალსაზრისით, წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, მედიის წარმომადგენლებს შესაძლოა მოეთხოვოთ განმასხვავებელი ნიშნების ტარება, როგორცაა ყელსაბამი, ჟილეტები ან სამკლავე.

ტექნიკური აღჭურვილობის, აგრეთვე შეკრების ვიდეო და აუდიო ჩანაწერების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ორგანიზატორებს ეკრძალებათ დაგეგმილი შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რადგან ოფიციალური შეტყობინების პროცედურა არ დასრულებულა;
- მედიას ეკრძალება ოპოზიციური პარტიის მიერ ორგანიზებული შეკრების გაშუქება.

**3. სახელმწიფო არ აწესებს არაპროპორციულ შეზღუდვებს მშვიდობიანი შეკრების დროს ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებაზე**

ვიზუალური ან ხმოვანი საშუალებების ფართო სპექტრი შეიძლება გამოყენებულ იქნას საჯარო შეკრების დროს კომუნიკაციის მიზნით. ესენია ბანერები, განმასხვავებელი ნიშნები, დინამიკები, ხმის გამამდიერებელი აპარატები, ეკრანი, განათება და ვიზუალური ეფექტები. ასევე შეიძლება დროებითი კონსტრუქციების მოწყობა.

ვიზუალური და აუდიო საშუალებების გამოყენების რეგულირება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს გარკვეულ შემთხვევებში იმ ადგილმდებარეობის ან დღის პერიოდის გათვალისწინებით, როცა იგეგმება შეკრების გამართვა. თუმცა, ვიზუალური ან აუდიო საშუალებების შეზღუდვები უნდა იყოს პროპორციული; ისინი მიზნად უნდა ისახავდეს შეკრების ხელშეწყობას მისი მოწყობით სამიზნე აუდიტორიუმის „ხილვად და ხმოვანი კონტაქტის“ მანძილზე. დაცული უნდა იყოს ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და სხვების უფლებებს (პირები, ვინც არ იღებენ მონაწილეობას) შორის. მედიას უნდა მიეცეს საშუალება გამოიყენოს ყველა სახის მოწყობილობა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის შეკრების დროს ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების მოსამზადებლად.

მედია საშუალებების ჩამორთმევა, როგორცაა ჩამწერი მოწყობილობა, ან ვიდეო და აუდიო ჩანაწერები უნდა განხორციელდეს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. ჩამწერი მოწყობილობის განზრახ დაზიანება ან განადგურება ასევე უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად, პასუხისმგებელ პირებს კი უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ორგანიზატორებს არ აქვთ ქალაქის ცენტრში დღის საათებში მიკროფონების გამოყენების უფლება.
- აკრძალულია შეკრების დროს ბანერების გამოყენება, რადგან წარწერებმა ან ფერებმა შესაძლოა შეაფერხოს ტრანსპორტის მოძრაობა

#### სტანდარტი 4.

### სამართალდამცავი ორგანოები მხარს უჭერენ მშვიდობიან შეკრებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მათი წარმომადგენლების ქმედებებზე

მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობა და დაცვა სწორედ სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა. საჯარო შეკრებების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მიზანია მშვიდობიანი შეკრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. ძალის თუ სხვა კონკრეტული სამართალდამცავი საშუალებების გამოყენება უნდა იყოს პროპორციული და მკაფიოდ რეგულირებული ადამიანის უფლებების პრინციპებზე დაყრდნობით. სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლები, რომლებიც არღვევენ მშვიდობიანი შეკრების უფლებას, არამართლზომიერად იყენებენ ძალას ან ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობიანი შეკრების დაცვას, მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. მშვიდობიანი შეკრებების დროს ძალის გამოყენებისას, სამართალდამცავი ორგანოები ხელმძღვანელობენ მკაფიოდ განსაზღვრული წესებით, რომლებიც ითავლისწინებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.
2. არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, თუ მოხდება ძალის გადაჭარბებულად გამოყენება ან ვერ მოხდება მშვიდობიანი შეკრებების დროს მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

#### 1. მშვიდობიანი შეკრებების დროს ძალის გამოყენებისას, სამართალდამცავი ორგანოები ხელმძღვანელობენ მკაფიოდ განსაზღვრული წესებით, რომლებიც ითავლისწინებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს, რომ შეკრებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პროცესში, პოლიციამ უნდა იხელმძღვანელოს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის და ანტი-დისკრიმინაციული ქცევის პრინციპებით, ადამიანის უფლებათა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

სახელმწიფოს აქვს დადებითი ვალდებულება მიიღოს გონივრული და სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების ჩატარება და მისი მონაწილეების დაცვა ფიზიკური ძალადობის საფრთხისაგან. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიცვან მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები ნებისმიერი პირის ან ჯგუფისგან, მათ შორის, წამქეზებლებისა და კონტრდემონსტრანტებისგან, რომლებიც შესაძლოა ცდილობდნენ შეკრების ხელშეშლას ან ჩაშლას.

ქვეყნის კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და განსაზღვროს ის გარემოებები, რომლებიც ამართლებს ძალის გამოყენებასა და ინტენსივობას. კანონმა უნდა განსაზღვროს რეაგირების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ძალისა და სპეციალური ტაქტიკის დიფერენცირებულ და პროპორციულ გამოყენებას. რეაგირების ამგვარი ზომა შესაძლოა იყოს არალეტალური ქმედუნარობის იარაღის შემუშავება, რომელიც გამოყენებულ იქნება შესაბამისი სიტუაციებში, კერძოდ მაშინ, როცა ინტერვენციის სხვა მშვიდობიანი ზომები ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს.

სამართალდამცავი ორგანოების პასუხი უნდა იყოს პროგნოზირებადი, ქმედებას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი წინასწარი გაფრთხილება. ამიტომ რეკომენდებულია, რომ პოლიციის ოქმები იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ლეტალური იარაღის გამოყენება, რომელიც განსაკუთრებულად ვნებს რესპირატორულ სისტემას, მათ შორის, მაგალითად, ცრემლსადენი გაზი, შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს თავიდან აცილებული მისი ჯანმრთელობისთვის მომეტებული რისკის გათვალისწინებით. მშვიდობიანი შეკრების ადგილზე პოლიციის მუშაკს უნდა ეცვას შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი/აღჭურვილობა, მისი და შეკრების მონაწილეთა დაცულობისთვის.<sup>4</sup>

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მშვიდობიანი შეკრების დროს ძალის გამოყენების შესახებ რეგულაციები არ ითვალისწინებს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას;
- შეკრების დროს ძალის გამოყენება არ იცავს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის ან ანტიდისკრიმინაციული ქცევის პრინციპებს;
- არ არსებობს მკაფიოდ გაწერილი სამართლებრივი დებულებები მშვიდობიან შეკრებებზე ტაქტიკისა და ძალის გამოყენების დასარეგულირებლად.

**2. არსებობს ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, თუ მოხდება ძალის გადაჭარბებულად გამოყენება ან ვერ მოხდება მშვიდობიანი შეკრების დროს მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალაუფლების შეუსაბამო, ზედმეტმა ან უკანონო გამოყენებამ შესაძლოა შელახოს ფუნდამენტური თავისუფლებები და უფლებები, ზიანი მიაყენოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას და გამოიწვიოს საყოველთაო დაძაბულობა.

კანონმა უნდა განსაზღვროს, რომ ძალის უკანონო, არაავტორიზებული ან გადაჭარბებული გამოყენება ან საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა უუნარობა დაიცვან შეკრების მონაწილეები ექვემდებარება სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან დისციპლინურ სანქციებს.

პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება ორგანოს, რომელიც არ ჩაერია პროცესში, მაშინ როცა ამგვარ ინტერვენციას შესაძლოა თავიდან აეცილებინა სიტუაციის ესკალაცია ან ძალის სხვაგვარი გამოყენება.

სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შედეგად სიკვდილის ან დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს გამოძიება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ამგვარ ორგანოდ შესაძლოა განისაზღვროს სპეციალური საპარლამენტო კომისია, ომბუდსმენი, სამოქალაქო პოლიციის ზედამხედველობის საბჭო, პროკურატურა, სასამართლო, ან სხვა მსგავსი უწყება.

მონაცემები ძალის გამოყენების შესახებ არ უნდა იყოს კონფიდენციალური, ისინი უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ გადაჭარბებული ძალის გამოყენებაზე;
- არ არსებობს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც ვერ შეძლეს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაცვა.

<sup>4</sup> კითხვარი – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID-19-ის კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ.

## პრაქტიკა

### ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით

1. ძალის გამოყენებამდე, ხდება წინასწარი გაფრთხილება; პოლიციის მიერ შეკრების კონტროლის ყველა ასპექტთან მიმართებაში, გამოიყენება პროგნოზირებადი და პროპორციული მიდგომა.
2. სამართალდამცავი ორგანოები იცავენ შეკრების მონაწილეებს ნებისმიერი პირის ან ჯგუფისგან (მათ შორის, პროვოკატორებისგან), რომელიც ცდილობს შეკრების ჩაშლას.
3. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები პასუხს აგებენ შეკრების თავისუფლების შელახვაზე.

### 1. ძალის გამოყენებამდე, ხდება წინასწარი გაფრთხილება; პოლიციის მიერ შეკრების კონტროლის ყველა ასპექტთან მიმართებაში, გამოიყენება პროგნოზირებადი და პროპორციული მიდგომა

შეკრება, რომელიც კარგავს მშვიდობიან ხასიათს და იძენს ძალადობრივ ფორმას, შესაძლებელია იქნას შეწყვეტილი შესაბამისი ზომების გამოყენებით. შეკრების მონაწილეთა მცირე ჯგუფის ძალადობრივი ქმედება ავტომატურად არ აქცევს მშვიდობიან შეკრებას ძალადობრივ ღონისძიებად. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ინტერვენცია მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტულ ძალადობრივ ჯგუფთან გამკლავებას და არა მთლიანად შეკრების დაშლას.

საჯარო შეკრებების დროს პოლიციის საქმიანობა უნდა იყოს პროგნოზირებადი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და მესამე მხარეებს უნდა ესმოდეთ, თუ რა შედეგები შესაძლოა მოჰყვეს მათ ქმედებებს. მათ უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რათა მოახდინონ რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების ქმედებაზე.

ძალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის პირის სიცოცხლის ან ფიზიკური ჯანმრთელობის მიმართ არსებულ საფრთხეზე დაუყოვნებლივი რეაქციაა, უნდა იყოს პროგნოზირებადი და წინასწარ გაცხადებული არსებული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად.

სამართალდამცავი ორგანოების ქცევა უნდა იყოს ადვილად პროგნოზირებადი საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიციური ოქმების მეშვეობით. შეკრების პროცესში, სამართალდამცავი ორგანოების ინტერვენცია უნდა იყოს ანონსირებული წინასწარი გაფრთხილების გზით. წინასწარი გაფრთხილებები უნდა იყოს მკაფიო, ხმამაღალი, ნათელი. გაფრთხილების გამეორება უნდა მოხდეს გონივრული პერიოდულობის დაცვით.

საჯარო შეკრებებთან დაკავშირებული ნებისმიერი საპოლიციო ქმედება უნდა იცავდეს პროპორციულობის პრინციპსა და ბალანსს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეზღუდვის საჭიროებასა და შეკრების უფლების განხორციელებას შორის. ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ხელისუფლებამ ყოველთვის უნდა მიანიჭოს უპირატესობა მინიმალურად ინტრუზიულ საშუალებებს. ამიტომ, საერთო შეზღუდვები ზედმეტად ინკლუზიურია და არღვევს პროპორციულობის პრინციპს, რადგან არ ხდება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინება.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- პოლიცია არბევს 500 ადამიან შეკრებას წყლის ჭავლის გამოყენებით მას შემდეგ, რაც რამდენიმე მონაწილე გადადის ძალადობრივ ქმედებებზე;
- პოლიცია იყენებს ცრემლსადენ გაზსა და ხელკეტებს საპროტესტო აქციაზე, სადაც გამოდიან მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით;
- სამართალდამცავი ორგანოები იყენებენ ძალას შეკრების მონაწილეების მიმართ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე;

- სამართალდამცავი ორგანოები იყენებენ ძალას შეკრების ყველა მონაწილის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე პიროვნება გადავიდა ძალადობრივ ქმედებებზე;
- პოლიცია იღებს შეზღუდვის გადამეტებულ ზომებს, კეტავს რა სატრანსპორტო მოძრაობას შეკრების ადგილიდან 10 კვარტლის დაშორებით.

## **2. სამართალდამცავი ორგანოები იცავენ შეკრების მონაწილეებს ნებისმიერი პირის ან ჯგუფისგან (მათ შორის, პროვოკატორებისგან), რომელიც ცდილობს შეკრების ჩაშლას.**

სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების ჩატარება და დაცვა. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების დაცვას ნებისმიერი პირისა თუ ჯგუფისგან (მათ შორის, პროვოკატორები და კონტრდემონსტრანტები), რომელიც რაიმე ფორმით ცდილობს მონაწილეთა ხელშეშლას ან მათ შეფერხებას.

დამკვირვებლები, შემთხვევითი გამვლელები ან შეკრების სიახლოვეს მყოფი პირები, რომლებიც არ არიან ჩართულნი შეკრებაში როგორც ორგანიზატორები ან მონაწილეები, არ განიხილებიან შეკრების მონაწილეებად. პირები, რომლებიც არ არიან შეკრების მონაწილეები და ამავდროულად ცდილობენ, განზრახ თუ უნებლიედ, შეკრების ჩაშლას, წარმოადგენენ აგენტ-პროვოკატორებს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სამართალდამცავი ორგანოები არ იღებენ ზომებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ მშვიდობიანი შეკრების დროს გარე პირების მიერ მონაწილეთა ბანერების დაზიანებას.

## **3. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები პასუხს აგებენ შეკრების თავისუფლების შელახვაზე**

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა პასუხი უნდა აგოს იმ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რომლებიც ეხება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დაცვასა და ხელშეწყობას. სამართალდამცავი ორგანოები ასევე პასუხისმგებელი არიან მშვიდობიანი შეკრებაში ინტერვენციის ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. პასუხისმგებლობა ასევე ვრცელდება სახელმწიფოს სახელით მოქმედ კერძო უწყებებსა და კერძო პირებზე.

საჯარო ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებული საჩივრები უნდა იქნას განხილული დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (კომისია, ომბუდსმენი, სასამართლო და სხვ.). სამართალდამცავი ორგანოების ქმედებებთან დაკავშირებულ საჩივრებზე უნდა ჩატარდეს ეფექტური და სწრაფი გამოძიება. გამოძიების მიზანია უზრუნველყოს კანონის ეფექტური განხორციელება, შეკრების თავისუფლების დარღვევისთვის, ასევე სიკვდილის ან ფიზიკური დაზიანებისთვის კი - ანგარიშვალდებულება.

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელი უნდა იყოს სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების იდენტიფიცირება პირადი საიდენტიფიკაციო ნომრების საშუალებით (ან სხვა მეთოდების გამოყენებით), რომლებიც ამოტვიფრული და ადვილად ხილვადია პირის უნიფორმაზე (მაგ. ზურგზე ან ჩაფხუტზე).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- პასუხი არ მოეთხოვება პოლიციელს, რომელმაც აკრძალა მშვიდობიანი შეკრების დროს ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენება;
- პასუხი არ მოეთხოვება პოლიციელს, რომელმაც დაარბია მშვიდობიანი შეკრება იმ მიზეზით, რომ არ იყო დაცული ოფიციალური რეგისტრაციის პროცედურები;
- რთულია სამართალდამცავი პირების იდენტიფიცირება, რომლებიც იმყოფებიან მშვიდობიან შეკრებაზე.

**4. აღმასრულებელი ორგანოს ან/და სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები ღიად ახდენენ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, შეკრების მონიტორინგისთვის გამოიყენება თუ არა სათვალთვალო მოწყობილობები.**

სამართალდამცავმა ორგანოებმა და/ან სადაზვერვო სააგენტოებმა დაუყოვნებლად უნდა უპასუხოთ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნას სათვალთვალო მოწყობილობების გამოყენების პრაქტიკის შესახებ. ამასთანავე, ისინი უნდა მოქმედებდნენ გამჭვირვალედ და პროაქტიულად აქვეყნებდნენ რეგულარულ ანგარიშებს იმის შესახებ, თუ რომელ სადაზვერვო ინსტრუმენტებს იყენებენ (მაგ., სახის ამოცნობის ტექნოლოგიით - CCTV, ემოციების ამოცნობა, მობილური ტელეფონების IMSI დამჭერები და ა.შ.), რა ტიპის ინფორმაციას აგროვებენ შეკრების წინ ან მისი მიმდინარეობის დროს, პირდაპირ ან მესამე/კერძო პირთა მეშვეობით, სად ინახავენ მას, რამდენ ხანს და როგორ იცავენ ასეთ ინფორმაციას უკანონო გამოყენებისა და ჰაკერებისგან.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს მკაფიო ნიშნები, რომლებიც მიუთითებს CCTV-ების არსებობაზე საჯარო ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივ იმართება შეკრებები;
- შეკრების ორგანიზატორები, რომლებსაც ეკისრებათ შეტყობინების პასუხისმგებლობა, არ არიან ინფორმირებული სახელმწიფო წარმომადგენელთა განზრახვის შესახებ გამოიყენონ სათვალთვალო მოწყობილობები ღონისძიების მონიტორინგისთვის და რა მოწყობილობები იქნება გამოყენებული;
- სამართალდამცავი ორგანოები არ აქვეყნებენ ანგარიშებს მათ მიერ სათვალთვალო მოწყობილობების გამოყენებისა და ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკის შესახებ ან, როცა ამას აკეთებენ, ანგარიშები ბუნდოვანი და არაზუსტია;
- სამართალდამცავი ორგანოები არ პასუხობენ კონკრეტულ, სათვალთვალო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნას, რომელიც მათ განახორციელებს ერთ ან რამდენიმე შემთხვევასა თუ მოვლენასთან მიმართებით.

**შესაბამისი რესურსები**

- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 37 (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ (მუხლი 21)
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 44/20 ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების კონტექსტში (2020 წ.)
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლების საკითხებში კლემენტ ვულე, მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლებები ციფრულ ეპოქაში (2019)
- OSCE/ODIHR - ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ (2015)
- პროტესტის უფლება: ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები საპროტესტო გამოსვლებში, მუხლი 19 (2016)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მუხლი 11: საჯარო შეკრებების გამართვა სასამართლოს პრევენციულ პრაქტიკაში (2013)
- OSCE/ODIHR - ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო შეკრებებში პოლიციის როლის შესახებ (2016)
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლების საკითხებში მაინა კიაი, 10 პრინციპი შეკრების სათანადო მართვისათვის: სამოქალაქო საზოგადოების გზამკვლევი, იანვარი 2017
- კითხვარი – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID-19-ის

კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ;

- ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში, სპეციალური ანგარიში: მედიის მართვა პოლიტიკური დემონსტრაციების დროს (2007 წლის 21 ივნისი)
- მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის და სასამართლოგარეშე, შემაჯამებელი და დისკრეციული აღსრულების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ერთობლივი ანგარიში შეკრებების სათანადოდ მართვის შესახებ, A/HRC/31/66 (4 თებ. 2016).

## სფერო 5. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება

### სტანდარტი 1. ყველას აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების ინკლუზიური, ფართო და გონივრული მონაწილეობა. დაუშვებელია აღნიშნული უფლების შეჩერება ან შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს კანონით გათვალისწინებული ობიექტური და გონივრული საფუძვლები. ამ პროცესში, სსო-ები გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რადგან ისინი ხელს უწყობენ საზოგადოების მონაწილეობას და წარმოადგენენ სხვადასხვა ჯგუფების, განსაკუთრებით, ღარიბი და მარგინალიზებული ადამიანების ინტერესებს. ისინი უნდა სარგებლობდნენ მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებით. მათ მონაწილეობას კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა დონეზე, ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურსა თუ საერთაშორისოზე, არ უნდა მოჰყვეს უარყოფითი რეაქცია.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. საჯარო კონსულტაციები სავალდებულოა იურიდიული და პოლიტიკური პროექტებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე ან კონკრეტულ სექტორებსა და ჯგუფებზე.
2. კანონი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინკლუზიურ და გონივრულ სამოქალაქო მონაწილეობას; ნებისმიერი სახის შეზღუდვა მკაფიოდ და ვიწროდ არის განსაზღვრული.
3. საკანონმდებლო ჩარჩო მკაფიოდ განსაზღვრავს მექანიზმებს, რომლებიც გამოყენებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
4. ყველა სსო-სთვის არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ნათელი კრიტერიუმები და თანაბარი შესაძლებლობები.

### 1. საჯარო კონსულტაციები სავალდებულოა იურიდიული და პოლიტიკური პროექტებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე ან კონკრეტულ სექტორებსა და ჯგუფებზე

კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს საჯარო კონსულტაციების ორგანიზებას ნებისმიერი საკანონმდებლო კანონპროექტის და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტის, მათ შორის კანონების, პოლიტიკის ეროვნული ან ადგილობრივი ხელისუფლების

გადაწყვეტილებების, ეროვნული სტრატეგიების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე ან რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე. საჯარო კონსულტაციები შეიძლება გაიმართოს დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარ დაანონსებული (მაგალითად, სააგენტოს ვებგვერდის ან მედიის საშუალებით) ღია შეხვედრის სახით, ან წერილობითი ფორმით (ონლაინ საშუალებების ჩათვლით), როცა მოქალაქეებსა და სსო-ებს შეუძლიათ კომენტარებისა და რეკომენდაციების მიწოდება საგანგებოდ გამოყოფილი არხის საშუალებით. სამართლებრივი აქტის შესაბამისი პროექტი წინასწარ უნდა იქნას გამოქვეყნებული განხილვისა და შენიშვნებისთვის კონსულტაციამდე გონივრული ვადით ადრე (როგორც წესი, 30 სამუშაო დღე თითოეული პროექტისთვის). კონსულტაციის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს წერილობითი ფორმით, მკაფიო არგუმენტების თანხლებით იმ წინადადებებისთვის, რომლებიც იქნა უარყოფილი.

**ადნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონმდებლობა არ მოითხოვს მთავრობის მიერ ნორმატიული საკანონმდებლო კანონპროექტების გამოქვეყნებასა და კონსულტირებას პარლამენტში გაგზავნამდე.

**2. კანონი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინკლუზიურ და გონივრულ სამოქალაქო მონაწილეობას; ნებისმიერი სახის შეზღუდვა მკაფიოდ და ვიწროდ არის განსაზღვრული**

ინკლუზიური მონაწილეობა ნიშნავს, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფს აქვს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობა. დაუშვებელია განსხვავებები რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, დაბადების, პოლიტიკური თუ განსხვავებული აზრის, ეროვნული წარმოშობის, ქონებრივი ან სხვა სტატუსის საფუძველზე. სსო-ების შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს განსხვავება ფუნქციონირების მასშტაბის (ადგილობრივ, ეროვნულ, ან საერთაშორისო დონეზე), დაფინანსების წყაროს, საქმიანობის სფეროს, მათ მიერ წარმოდგენილი ჯგუფების და სხვა ფაქტორების საფუძველზე. სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს კონკრეტული გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან უმცირესობის წარმომადგენლები, სოციალურად დაუცველი ან მარგინალიზებული პირები ან ჯგუფები, რომელთაც სურთ საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა დანერგოს სამართლებრივი გარანტიები და ორგანიზაციული მექანიზმები გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს საზოგადოების მონაწილეობის სტრუქტურების, მეთოდების, მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და ტიპების დივერსიფიკაციას. ასევე აუცილებელია ინსტრუმენტები იყოს მომხმარებელზე მორგებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ონლაინ ინსტრუმენტები), ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და სხვა მიდგომებზე დაფუძნებული.

აქტივისტების, ჟურნალისტებისა და სსო-ების გაჩემების გზა არის სტრატეგიული სარჩელი საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ (SLAPPs). ეს არის სარჩელები, დაფუძნებული მთელ რიგ უსაფუძვლო მოთხოვნებზე, რომლებიც აჩუმებენ კრიტიკოსებს და მიზნად ისახავენ სსო-ს რესურსების ამოწურვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება „სამართლებრივი პროცესის, კერძოდ მართმსაჯულების ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენება, რათა შეიზღუდოს კრიტიკული ან პოლიტიკური აზრის გამოხატვა, ჟურნალისტური საქმიანობა, და საზოგადოების მონაწილეობა, მაგალითად გარემოსდაცვითი და ანტიკორუფციული საკითხების ადვოკატირება ან პროტესტი“.<sup>5</sup> კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, SLAPPs-ის შემთხვევებში საქმის ადრევე დახურვის შესაძლებლობა, შექმნას მექანიზმები, რომლებიც სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენებისთვის ითვალისწინებს

<sup>5</sup> ევროპის საბჭოს რეკომენდაციის საჭიროება SLAPP-ების გამოყენების აღკვეთისა და გამოსწორების ღონისძიებების შესახებ, <https://static1.squarespace.com/static/5f2901e7c623033e2122f326/t/605e125624daa0419362a36c/1616777814677/The+Need+for+a+Council+of+Europe+Recommendation+-+Final.pdf>

პასუხისმგებლობას და SLAPPS-ის პროცესის მსხვერპლთა მხარდაჭერას.<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოქმედებს შეფასების უფრო მაღალი სტანდარტი, როდესაც კრიტიკა ეხება საჯარო პირებს; უნდა არსებობდეს მონაწილეთა დამცავი გარანტიები მაღალი ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების დროს და უფრო მაღალი სტანდარტის დაცვა ე.წ. „მოდარაჯე ძაღლის“ ( “watchdog” ) ტიპის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.<sup>7</sup>

ონლაინ და ოფლაინ კონსულტაციების მექანიზმები უნდა იყოს კანონით განსაზღვრული ფართო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შეტყობინება კონსულტაციების ჩატარების შესახებ უნდა გავრცელდეს მრავალფეროვანი არხების გამოყენებით, როგორცაა მედია, ვებსაიტები, სოციალური ქსელები და ა.შ. თემში არსებული საჯარო განცხადების დაფები უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივ დონეზე კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. კანონში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ სსო-ები, მათ შორის, შემოთავაზებული კანონპროექტის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციები, უნდა ჩაერთონ კონსულტაციებში.

გონივრული მონაწილეობა გულისხმობს, რომ მონაწილეობის მექანიზმები ორიენტირებულია არა პროცესზე, არამედ გავლენაზე. შეთავაზებული კომენტარები და წინადადებების სათანადოდ განიხილება, ხდება მათი გათვალისწინება შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ. მონაწილეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები უნდა იყოს კანონით განსაზღვრული, დაფუძნებული ობიექტურ და რაციონალურ მოსაზრებებზე.

ჯანდაცვასთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების დროსაც კი, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს საჯარო კონსულტაციების გამართვას. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (UNHRC) განცხადებით: „საზოგადოებრივი სივრცე სადაც შესაძლებელია საჯარო დებატების გამართვა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მმართველი პარტიების მიერ კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული საგანგებო ზომები თანხვედრაშია პაქტით (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) დაწესებულ ვალდებულებებთან.“<sup>8</sup>

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი ადგენს კონკრეტულ კრიტერიუმებს საჯარო დისკუსიებში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, მაგ. სსო-ს უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით ან იყოს საზოგადოებრივი საბჭოს წევრი;
- კანონი არ აკონკრეტებს იმ არხებს, რომელთა საშუალებითაც უნდა გამოქვეყნდეს კანონპროექტები, მაგალითად, შეტყობინება კონსულტაციების შესახებ ეგზავნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეზღუდულ რაოდენობას და არ უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო მონაწილეობას.
- კანონი ითვალისწინებს „საგანგებო“ ან „დაჩქარებულ“ პროცედურებს კანონმდებლობის მიღებაზე და არ განსაზღვრავს გარემოებებს, თუ როდის უნდა იქნას ეს პროცედურები გამოყენებული.

**3. საკანონმდებლო ჩარჩო მკაფიოდ განსაზღვრავს მექანიზმებს, რომლებიც გამოყენებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში**

<sup>6</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი აქვეყნებს ადამიანის უფლებათა კომენტარს SLAPP-ზე. <https://www.coe.int/en/web/media-freedom/-/coe-commissioner-for-human-rights-issues-a-human-rights-comment-on-slapps>

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს რეკომენდაციის საჭიროება SLAPP-ის გამოყენების აღკვეთისა და გამოსწორების ღონისძიებების შესახებ, პარა. 29

<sup>8</sup> CCPR/C/128/2, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, განცხადება პაქტიდან გადახრის შესახებ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით

იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი აქტები მიიღება საზოგადოების მონაწილეობის სავალდებულო სტანდარტების დაცვის გარეშე, კანონმა უნდა განსაზღვროს საქმის წარმოების პროცედურები სასამართლო ორგანოების ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოების წინაშე. ალტერნატივად, უნდა განისაზღვროს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემოთავაზებული კანონპროექტის დაბრუნებას მისი შემმუშავებელი ორგანოსთვის. მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, იუსტიციის სამინისტროში საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებისას, კონსულტაციების ორგანიზების წესის თანახმად<sup>9</sup>, მინისტრთა საბჭოს შეუძლია კანონპროექტი დაუბრუნოს სამინისტროს კონსულტირების წესების შესრულების მოთხოვნით. გამონაკლის შემთხვევებში, მინისტრს შეუძლია გააუქმოს კონსულტირების ვალდებულება, მაგრამ მინიმალური კონსულტაციის ვალდებულება არ ექვემდებარება არანაირ გამონაკლისს. მოლდოვის რესპუბლიკაში 2008 წელს მიღებული კანონი გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის შესახებ (შესწორებული 2016 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით<sup>10</sup>) ადგენს, რომ გამჭვირვალობის წესების დარღვევა დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა. ამასთანავე, კანონი განსაზღვრავს და ზღუდავს შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია „გადაუდებელი“ ან „დაჩქარებული“ პროცედურების გამოყენება კანონმდებლობის, გადაწყვეტილებების ან სხვა საზოგადოებრივი აქტების მისაღებად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სანქციებს სავალდებულო საჯარო კონსულტაციის შესახებ დებულების დარღვევის გამო.

**4. ყველა სსო-სთვის არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ნათელი კრიტერიუმები და თანაბარი შესაძლებლობები**

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმწიფო ორგანოებს არ აქვთ უფლება უარი თქვან სსო-ს მონაწილეობაზე დაფინანსების წყაროს, მთავრობასთან ურთიერთობის ან მისი პოზიციის გამო კანონებსა და სხვა სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე. სსო-ს გეოგრაფიულ დაფარვასთან (საერთაშორისო, ეროვნული ან ადგილობრივი დონე), მიზნებთან და საქმიანობის სფეროსთან, იურიდიულ სტატუსთან (რეგისტრირებული ან არეგისტრირებული ორგანიზაცია) და წარმოდგენილ სოციალურ ჯგუფთან დაკავშირებული კრიტერიუმები უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული საკონსულტაციო ორგანოს მიერ.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი**

- არ არსებობს ანტიდისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- არ არსებობს მკაფიო და საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმები სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან საკონსულტაციო ორგანოებში.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
1. სახელმწიფო ორგანოები იყენებენ სხვადასხვა სახის მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ საზოგადოების გონივრული მონაწილეობა.

<sup>9</sup> [http://www.mpr.gov.ba/web\\_dokumenti/EJ%20Pravilnik%20za%20konsultacije.pdf](http://www.mpr.gov.ba/web_dokumenti/EJ%20Pravilnik%20za%20konsultacije.pdf)

<sup>10</sup> მთავრობის დადგენილება N. 967, 9 აგვისტო 2016, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციის მექანიზმის შესახებ. ხელმისაწვდომია: <http://lex.justice.md/md/366274/>

2. არ ხდება რაიმე ზომების გატარება იმ სსო-ების წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
3. ნებისმიერ სსო-ს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სსო-ს ტიპის ან მთავრობისამდი მისი განწყობის მიხედვით.

## 1. სახელმწიფო ორგანოები იყენებენ სხვადასხვა სახის მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ საზოგადოების გონივრული მონაწილეობა

მაქსიმალურად მეტი მოქალაქეებისა და სსო-ების ჩართვის მიზნით, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა სახის ონლაინ და ოფლაინ ინსტრუმენტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება განხილვის თემასა და სფეროს. მათ ასევე უნდა გამოიყენონ სსო-თა მონაცემთა ბაზები და სიები ინფორმაციის ფართოდ გასავრცელებლად საკანონმდებლო აქტების, სტრატეგიების, პროგრამების, საჯარო განხილვებისა და სხვა საჯარო კონსულტაციების შესახებ. სასარგებლო ინსტრუმენტები და მექანიზმები მოიცავს: ონლაინ კონსულტაციასა (მაგ. ვებ პლატფორმები) და/ან პირისპირ შეხვედრებს (მაგ. ფოკუს ჯგუფი, სემინარები, საჯარო დებატები, ფორუმები, ექსპერტთა პანელები) საზოგადოებასთან პოლიტიკის ფორმულირების, განხორციელებისა და შეფასების განსახილველად; პროგრესის შეფასების მექანიზმებს, როგორცაა გამოკითხვა, ონლაინ გამოკითხვა ან კითხვარი დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და შეთავაზებების შესაგროვებლად; ღია პლენარულ ან კომიტეტის სხდომებს დებატების მოსაწყობად გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განიხილონ მონაწილეობა სამართლებრივი და პოლიტიკის მომზადების პროცესის განუყოფელ ელემენტად. თუ პროექტის ირგვლივ არ გამართულა საჯარო კონსულტაციები, გადაწყვეტილების მიმდებმა პირებმა უნდა დაუბრუნონ იგი შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა ორგანიზება გაუწიოს საჯარო კონსულტაციას ან შეეცადოს კონსულტაციის ორგანიზება აქტის მიღებამდე. მაგალითად, სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან სისტემა საზოგადოებრივი მონაწილეობის სტანდარტების შესრულების შესახებ მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის.

ჯანდაცვასთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების დროსაც კი, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს საჯარო კონსულტაციების გამართვას. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს (UNHRC) განცხადებით: „საზოგადოებრივი სივრცე სადაც შესაძლებელია საჯარო დებატების გამართვა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მმართველი პარტიების მიერ კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შემოღებული საგანგებო ზომები თანხვედრაშია პაქტით (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) დაწესებულ ვალდებულებებთან.“<sup>11</sup>

### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- სახელმწიფო ორგანო იყენებს მხოლოდ ერთ არხს კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგალითად, ვებსაიტს ან ელექტრონულ ფოსტას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის;
- სახელმწიფო ორგანო ორგანიზებას უწევს შეხვედრას სტრატეგიის განხილვის მიზნით; შეხვედრაზე დასწრება შესაძლებელია მხოლოდ მოსაწვევის საფუძველზე, მონაწილეობს მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, არ ხდება ინფორმაციის ონლაინ სივრცეში გამოქვეყნება;
- სახელმწიფო ორგანოები აწყობენ ფორმალურ კონსულტაციას სსო-ებთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აზრისა და შეთავაზების გათვალისწინების გარეშე;
- არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონპროექტები მიღებულ იქნა საჯარო კონსულტაციის გარეშე.

<sup>11</sup> Point 2.3; SG/Inf(2020)11, Council of Europe; Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis. A toolkit for member states; 7 April 2020

## **2. არ ხდება რაიმე ზომების გატარება იმ სსო-ების წინააღმდეგ, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში**

ხშირ შემთხვევაში, კანონები ძალაში შედის და გამოიყენება თვითნებურად, მონაწილეობის გარეშე; დაშინება და დევნა კი გამოიყენება იმ პირებზე ზემოქმედების მიზნით, რომლებიც აყლერებენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშის თანახმად (2015 წლის 23 ივლისი), „მრავალ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაში ჩართული პირები და ორგანიზაციები განიცდიან საფრთხეს, შევიწროებასა და დაუცველობას, მათ შორის, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლების ადვოკატირების დროს“ (მუხლი 16). სსო-ები დაცული უნდა იყვნენ ამგვარი საფრთხეებისგან. მათ უნდა შეეძლოთ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ღიად მონაწილეობა, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეების ინტერესების ადვოკატირება. არ უნდა მოხდეს მათზე ზეწოლა სახელმწიფოს მხრიდან მონაწილეობის გამო. დაუშვებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უფლებების შეზღუდვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიზეზით.

თუმცა, შესაძლებელია დაწესდეს ობიექტურად გამართლებული შეზღუდვები, როდესაც ადგილი აქვს ინტერესთა ცალსახა კონფლიქტს. მაგალითად, თუ სსო არის სახელმწიფო გრანტების შერჩევის კომიტეტის წევრი, მას არ უნდა ჰქონდეს ამგვარ გრანტზე განაცხადის შეტანის შესაძლებლობა. მონაწილეობის უფლება არ უნდა იზღუდებოდეს ინდუსტრიის ძლიერი წარმომადგენლების ან კერძო სექტორის შეტევების შედეგად (მაგალითად SLAPP-ის გზით). ამგვარი შეზღუდვები უნდა იქნას ზედმიწევნით ახსნილი წერილობითი ფორმით.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ს უარი ეთქვა სახელმწიფო დაფინანსებაზე იმ მიზეზით, რომ მან გამოთქვა კრიტიკული მოსაზრება კონკრეტულ კანონზე;
- სსო-ს თანამშრომლები განიცდიან შევიწროვებას იმ მოსაზრებების გამო, რომლებიც მათ გამოხატეს კონკრეტულ კანონპროექტზე;
- სსო-ები არიან SLAPP-ის მსხვერპლნი იმ მიზეზით, რომ აქვთ მკაფიო მოსაზრებები გარემოსდაცვით თუ სხვა აქტუალურ საკითხებზე.
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისას კრიტიკულ მოსაზრებების დაფიქსირების შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე განხორციელდა კონტროლი ან მოხდა პირადი მონაცემების შეგროვება.

## **3. ნებისმიერ სსო-ს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონსულტაციებში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სსო-ს ტიპის ან მთავრობისამდი მისი განწყობის მიხედვით**

სსო-ებს უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ სამთავრობო და კვაზი-სამთავრობო მექანიზმებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. არ უნდა მოხდეს სსო-ების დისკრიმინაცია მათი დაფინანსების წყაროს, მიზნებისა და საქმიანობის სფეროს (მიუხედავად იმისა, მოიცავს თუ არა მათი საქმიანობა ადვოკატირებას და/ან ადამიანის უფლებების დაცვის ან/და უმცირესობათა, მოწყვლადი ან მარგინალიზებული პირებისა თუ ჯგუფების უფლებების დაცვას), სამართლებრივი სტატუსის (არარეგისტრირებული ან რეგისტრირებული) ან იმ ფაქტის მიხედვით, რომ ისინი, ან მათი დამფუძნებლები, კრიტიკულად არიან განწყობილნი მთავრობის და / ან პოლიტიკის, კანონმდებლობის ან სხვა საჯარო გადაწყვეტილებების მიმართ.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო ორგანოები სახელმწიფო პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების ირგვლივ დისკუსიებში რთავენ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მცირე ჩამონათვალს;

- ხდება სოციალური მომსახურების მიწოდებელ სსო-ებთან კონსულტირება შესაბამისი კანონებისა და პოლიტიკის შესახებ, მაშინ როცა არ ხდება ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მოწვევა კონსულტაციებზე.
- კონსულტაციებზე მოწვეულნი არიან მხოლოდ სახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციები.

## სტანდარტი 2.

### სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რეგულარულად, ღიად და ეფექტურად არიან ჩართულები საჯარო პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში

სსო-ების ჩართულობა საზოგადოებრივ დებატებში, მათ შორის კრიტიკული აზრისა და განსხვავებული შეხედულებების გაუღერება, არსებითად მნიშვნელოვანია პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით. ეფექტური მონაწილეობა საჭიროებს ჩართულობის მარტივ და ნათელ პროცედურებს; საჭირო დოკუმენტაციის უფასოდ ხელმისაწვდომობას; მონაწილეთა ჩართვას ადრეულ ეტაპზე, რათა მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო მოსამზადებლად; და გამჭვირვალე უკუკავშირის ყველა მიღებული წინადადების შესახებ. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები შესაძლოა ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის ორმხრივი ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. ასეთი ორგანოები მოქმედებენ ნათლად გაწერილი სტანდარტების საფუძველზე და იყენებენ გამჭვირვალე მექანიზმებს წევრების შესარჩევად.

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის ფარგლებში

1. საჯარო კონსულტაციების პროცედურები არის მარტივი და კანონით ნათლად გაწერილი.
2. კანონი ითვალისწინებს საკონსულტაციო ორგანოს შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც ექნება ნათლად განსაზღვრული სტანდარტები და გამჭვირვალე მექანიზმები წევრების შესარჩევად და გადაწყვეტილებების მისაღებად.
3. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ჩართვას პოლიტიკის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

### 1. საჯარო კონსულტაციების პროცედურები არის მარტივი და კანონით ნათლად გაწერილი

კანონი შეიცავს დებულებებს მასზედ, თუ როგორ არის ორგანიზებული საჯარო კონსულტაციები, მათ შორის ონლაინ და ოფლაინ კონსულტაციები, ასევე კონკრეტული საკომუნიკაციო მექანიზმები მოქალაქეთა მიერ წინადადებების წარმოსადგენად. კანონი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა მოხდეს კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის გამოცხადება. ეს უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას ადრეულ ეტაპზე და იძლევა საკმარის დროს რეკომენდაციების მოსამზადებლად, გენახილველად და წარმოსადგენად პოლიტიკისა და სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ. საზოგადოებრივი კონსულტაციებში მონაწილეობისთვის, არ უნდა იყოს საჭირო ზედმეტი დოკუმენტაციის წარდგენა, როგორცაა ლიცენზიები ან ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, ან კიდევ განაცხადის წარდგენის რთული პროცედურის გავლა. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები,

რათა ხელი შეუწყოს მონაწილეობას და დაიცვას სსო-ები ზედმეტი ტვირთისგან მონაწილეობის პროცესში.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების მკაფიო რეგულირებას; შესაბამისად, საჯარო კონსულტაციების ორგანიზება და პროცედურები განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოს შეხედულებისამებრ;
- სსო-ებისთვის მიცემული წინასწარი ვადა მოსაზრებების გამოსაგზავნად ან ღონისძიებაზე დასასწრებად ძალიან მოკლეა;
- კონსულტაციებში მონაწილეობის პროცედურები მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის არასაჭირო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაგ. სერტიფიცირება ან ინფორმაცია დამფუძნებლების შესახებ.

**2. კანონი ითვალისწინებს საკონსულტაციო ორგანოს შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც ექნება ნათლად განსაზღვრული სტანდარტები და გამჭვირვალე მექანიზმები წევრების შესარჩევად და გადაწყვეტილებების მისაღებად**

საკონსულტაციო ორგანოები მნიშვნელოვანი მექანიზმია სსო-ების საჯარო პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში ჩართულობისთვის. მნიშვნელოვანია კანონდებლობის მოთხოვნა სახელმწიფო უწყებების მიერ საკონსულტაციო ორგანოების შექმნა, როგორცაა საზოგადოებრივი საბჭოები, სამუშაო ჯგუფები ან სხვა ორგანოები სსო-ების ჩართულობით. ამგვარი საკონსულტაციო ორგანოები შეიძლება შეიქმნას სამინისტროების და მთავრობის, ისევე როგორც სამთავრობო უწყებების და ადგილობრივი მთავრობების დონეზე (მუნიციპალიტეტები); ისინი შესაძლებელია რეგულირდებოდეს კანონით ან კანონით გათვალისწინებული დოკუმენტებით. საკონსულტაციო ორგანოებში ჩართულობის მექანიზმები უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ გამოქვეყნებული შესაბამისი ორგანოს მიერ. განსაზღვრული უნდა იყოს სსო-ების ჩართვის მკაფიო სტანდარტები ობიექტური და გონივრული კრიტერიუმების საფუძველზე. სტანდარტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ საფუძვლებს კანდიდატზე უარის თქმის, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში დაცვისა და მარგინალიზებულ ჯგუფებში მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნულ ორგანოებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე: მაგ. სხდომების ან გადაწყვეტილებების ოქმები უნდა გამოქვეყნდეს ინტერნეტში იმ სსო-ების ჩამონათვალთან ერთად, რომლებიც მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში.

სახელმწიფო უწყება, რომელიც საკონსულტაციო ორგანოს დააფუძნებს, უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობა სამუშაო სივრცისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყოფის გზით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მხოლოდ გარკვეულ სახელმწიფო უწყებებს აქვთ უფლება შექმნან მუდმივი საკონსულტაციო ორგანოები.
- სახელმწიფო უწყებებმა შექმნეს საკონსულტაციო ორგანოები, მაგრამ არ არსებობს სამართლებრივი რეგულაციები ამ ორგანოების შემადგენლობისა და საქმიანობის შესახებ;
- კანონი ნათლად არ განსაზღვრავს საკონსულტაციო ორგანოების უფლებამოსილებას.
- საკონსულტაციო ორგანო მოიცავს იმ სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეულ ორგანიზაციებს, რომელმაც შექმნა ორგანო;
- არ არსებობს მოთხოვნა საკონსულტაციო ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალეობის შესახებ.

**3. კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ჩართვას პოლიტიკის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.**

კანონმა უნდა უზრუნველყოს სსო-ების მონაწილეობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული პოლიტიკის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ

შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ განხორციელების ეტაპზე, მაგალითად მომსახურების მიწოდების და პროექტის შესრულების დროს. სსო-ებმა ასევე უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ამ პოლიტიკის შედეგად დაზარალებული ჯგუფების ინტერესებს. აღნიშნულ ეტაპებზე სსო-ების ჩართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემა უზრუნველყოფს მიუკერძოებელ მიდგომასა და შედეგების სანდოობას. იტალიაში, პლატფორმა [Monithon](#) ახალისებს აქტიურ ჩართულობას პოლიტიკის მონიტორინგის პროცესში. აღნიშნული პლატფორმა სთავაზობს მომხმარებელს შესაძლებლობების ფართო სპექტრს, როგორცაა შერჩეული პროექტის ისტორიისა და მისი პროგრესის შესწავლა, არსებული მონაცემების საფუძველზე ანგარიშების შედგენა და ჯგუფების ორგანიზება კონკრეტულ ტერიტორიაზე ევროკავშირის სახსრების ხარჯვაზე მონიტორინგისთვის.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ შეიცავს რაიმე დებულებას პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის შესახებ;
- არ არის განსაზღვრული შერჩევის პროცედურები პოლიტიკის მონიტორინგში სსო-ების ჩასართვად;

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ინფორმაცია პროექტებისა და ვადების შესახებ უფასოდ ხელმისაწვდომია, სასურველია ერთ ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც მარტივად მოსახმარია.</li> <li>2. საკონსულტაციო ფორმატი უზრუნველყოფს ეფექტურ მონაწილეობას; სამოქალაქო ორგანიზაციების მოწვევა ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე და მათ ეძლევათ საკმარისი დრო;</li> <li>3. საკონსულტაციო ორგანოს არსებობა არ ზღუდავს სხვა სსო-ების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საჯარო კონსულტაციებში</li> <li>4. სახელმწიფო ორგანოები საჯაროდ აქვეყნებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და აზიარებენ საკუთარ პოზიციას.</li> <li>5. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მზარდია.</li> </ol>

**1. ინფორმაცია პროექტებისა და ვადების შესახებ უფასოდ ხელმისაწვდომია, სასურველია ერთ ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც მარტივად მოსახმარია**

კანონპროექტების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ხელმისაწვდომ ფორმატში, კანონით გათვალისწინებულ ვადებში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი დროული გამოქვეყნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციის დროს. გამოქვეყნებულ ინფორმაციას თან უნდა ახლდეს დამხმარე დოკუმენტაცია, ასევე მითითებული უნდა იყოს საკონსულტაციო პერიოდისთვის განსაზღვრული ვადა. ყველა იურიდიული კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია იქნას კონსოლიდირებული ICT ინსტრუმენტების საშუალებით, მაგ. ერთ პლატფორმაზე, რომელიც იქნება მარტივად მოსახმარი. არ უნდა იყოს საჭირო პლატფორმაზე სააბონენტო გადასახადის ან საფასურის გადახდა. მაგალითად, სომხეთში, არსებობს სპეციალური პლატფორმა, [www.e-draft.am](http://www.e-draft.am), სადაც ხდება სამართლებრივი პროექტების ატვირთვა მხარდამჭერ დოკუმენტაციასთან ერთად. პლატფორმა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოიძიონ კონკრეტული პროექტები და წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი კომენტარები; პლატფორმაზე ასევე ხელმისაწვდომია კომენტარების შეჯამება პასუხებთან ერთად. მცირე თემებში, ადგილობრივმა მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს პოლიტიკის პროექტების ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოფლაინ ფორმატში, მაგ. განცხადების დაფების ან მერიის შეხვედრების გამოყენებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონპროექტების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სპეციალურ პლატფორმაზე, რომელიც მოითხოვს სააბონენტო გადასახადს და საფასურს;
- ინფორმაცია კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ ან კრიზისის განმავლობაში შემუშავებული ზომები არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საზოგადოებრივ ქცევას არეგულირებენ და შეიცავენ მკაცრ სანქციებს.

**2. საკონსულტაციო ფორმატი უზრუნველყოფს ეფექტურ მონაწილეობას; სამოქალაქო ორგანიზაციების მოწვევა ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე და მათ ეძლევათ საკმარისი დრო**

აუცილებელია საჯარო კონსულტაციების შესახებ წინასწარი გაფრთხილების მიწოდება კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რათა სსო-ებს ჰქონდეთ კონსულტაციისთვის მომზადებისა და გონიერული წინადადებების შემუშავების შესაძლებლობა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრის ჩართვის მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მექანიზმი. სამართლებრივი პროექტებისა და პოლიტიკის განხილვა უნდა მოხდეს ადრეულ ეტაპზე, შესაძლებელი უნდა იყოს პროექტის გადახედვა შემუშავების შემდგომ ეტაპამდე. საჭიროა სსო-ებთან კონსულტაციის გავლა ყველა განახლებულ ვერსიასთან დაკავშირებით. სამართლებრივი პროექტებისა და პოლიტიკის განახლებული ვერსიები უნდა გამოქვეყნდეს მათი მომზადებისთანავე.

სახელმწიფო ორგანოებმა არ უნდა გამოიყენონ „საგანგებო“ ან „დაჩქარებული“ პროცედურები კანონმდებლობის, გადაწყვეტილებების ან სხვა სამართლებრივი აქტების მისაღებად იმ მიზნით, რომ თავი აარიდონ საჯარო კონსულტაციის შესახებ მოთხოვნების შესრულებას. ამგვარი პროცედურები უნდა იქნას გამოყენებული იშვიათ შემთხვევებში. დანერგილი უნდა იყოს მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს, ადეკვატური და საჭიროა თუ არა დაჩქარებული პროცედურების გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონპროექტი ქვეყნდება კომენტარების წარდგენის ბოლო ვადამდე ერთი კვირით ადრე;
- სსო-ების მოწვევა ხდება საჯარო კონსულტაციაზე ხანმოკლე შეტყობინების საფუძველზე, ან არ ხდება მათთვის შეხვედრამდე განსახილველი პოლიტიკის/კანონის პროექტის მიწოდება;
- კონსულტაციების ადრეულ ეტაპზე ხდება სამართლებრივი კანონპროექტებისა და პოლიტიკის განხილვა და მნიშვნელოვანი ცვლილებების შეთავაზება; თუმცა, ცვლილებების დამუშავება ხდება შემდგომი პუბლიკაციის და/ან კონსულტაციის გარეშე;
- სსო-ებისგან უკუკავშირის მიღება ხდება მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება ყველა საკვანძო საკითხის შესახებ, მაშინ, როცა ცვლილებების შეტანა უკვე რთულია, შეუძლებელიც კი;
- არსებობს მრავალი შემთხვევა, როცა კანონპროექტების მისაღებად გამოყენებულ იქნა დაჩქარებული პროცედურები, საჯარო კონსულტაციების გარეშე.

**3. საკონსულტაციო ორგანოს არსებობა არ ზღუდავს სხვა სსო-ების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საჯარო კონსულტაციებში**

საჯარო კონსულტაციების ორგანიზატორები უნდა იყვნენ მიუკერძოებელი. მათ უნდა უზრუნველყონ საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ღიაობა დაინტერესებული სსო-ებისთვის, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისთვის. მცირე ჯგუფებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება მაშინაც კი, თუ ისინი არ არიან ჩართული რეგულარულ დისკუსიებში ან მონაწილეობის ინსტიტუციონალიზებულ ჩარჩოში, როგორცაა საკონსულტაციო ორგანოები (მაგ. საზოგადოებრივი საბჭოები) ან სამთავრობო ორგანოები/ სამუშაო ჯგუფები. არაწევრ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაესწრონ საკონსულტაციო ორგანოების შეხვედრებს და გამოხატონ საკუთარი აზრი.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კონკრეტული სახელმწიფო უწყების სამართლებრივი პროექტები და პოლიტიკა განიხილება ამავე უწყების საკონსულტაციო ორგანოს შეხვედრების ფარგლებში.

**4. სახელმწიფო ორგანოები საჯაროდ აქვეყნებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს და აზიარებენ საკუთარ პოზიციას**

მიღებულ წინადადებებზე უკუკავშირის მიწოდება ნდობის ზრდისა და თანამშრომლობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სამოქალაქო საზოგადოებისგან მიღებული ყველა კომენტარი თანაბრად უნდა იქნას განხილული. აუცილებელია მათი გამოქვეყნება, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ისინი განხილვის ქვეშ მყოფი წინადადების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიმართული. ასევე უნდა გამოქვეყნდეს თითოეული შეთავაზების შესახებ მიღებული უკუკავშირი; მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი წინადადება იქნა გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტში, რომელი არა და რა მიზეზით. უკუკავშირი ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას მოკლე ანგარიშის სახით, სადაც განხილული იქნება მიღებული ზომები და განხორციელებული ქმედებები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- გამოქვეყნებულია მიღებული შენიშვნების შეჯამება, თუმცა არ არის მითითებული, თუ რომელი მათგანი იქნა გათვალისწინებული, რომელი - უარყოფილი და რა მიზეზით.

**5. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მზარდია**

სსო-ები ჩართულობა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის და პროგრამების განხილვით არ უნდა შემოიფარგლოს. მნიშვნელოვანია ასევე მათი განხორციელების და მონიტორინგის პროცესი, რაშიც არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებები და კომპანიები უნდა ჩაერთოს, არამედ სსო-ებიც. ეს პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს და სსო-ს გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს. სსო-ებს შესაძლებლობა აქვთ გასწიონ ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული, საგანმანათლებლო და სოციალური სერვისები, ჩაერთონ კულტურის სფეროში და ა.შ. გარდა ამისა, სსო-ებს შეუძლიათ შეაფასონ სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა, მაგალითად მონაწილეობა მიიღონ რეგულაციების გავლენის შეფასებაში ან შეაფასონ სამშენებლო, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტების გავლენა გარემოზე. აღნიშნული ინდიკატორი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას სსო-ს მონიტორინგის, შეფასების და განხორციელების პროცესში ჩართულობის კონკრეტული მაგალითების შესახებ და უნდა აფასებდეს პოზიტიური ტრენდების დინამიკას ამ მიმართულებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად მიიჩნევა:**

- პრაქტიკული დაბრკოლებების არსებობა, რაც აფერხებს მონიტორინგის ან განხორციელების პროცესში სსო-ს ჩართულობას, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებშიც სსო-ს გააჩნია ცოდნა და გამოცდილება.

**სტანდარტი 3.**

**სსო-ებისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო ინფორმაცია**

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სსო-სთვის ხელმისაწვდომია ყველა საჭირო ინფორმაცია. კანონი ადგენს ვადებსა და პირობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მარტივი და გასაგები პროცედურის საფუძველზე. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს დროულად გამოაქვეყნონ თავიანთი საკანონმდებლო დღის წესრიგი.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. კანონმდებლობა ადგენს ვადებსა და პირობებს სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საჭირო სრული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.
2. საჭირო ინფორმაციაზე წვდომისთვის, კანონი ადგენს მარტივ და ნათელ პროცედურებს.

### 1. კანონმდებლობა ადგენს ვადებსა და პირობებს სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საჭირო სრული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული გამჭვირვალობისა და სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. ამდენად, გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაცია ფართოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, გარდა იმ მკაფიოდ განსაზღვრული შემთხვევებისა, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. შეუზღუდვების არსებობის შემთხვევაში, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს.

ინფორმაცია უნდა იყოს უზრუნველყოფილი უფასოდ ან გონივრულ ფასად (მაგ. ბეჭდური მასალების ღირებულება), კანონით განსაზღვრულ ვადაში, ინტერნეტით ან ბეჭდური მედიის გამოყენებით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები ფორმით, მოთხოვნის არსის შესაბამისად. გარდა ამისა, მიმღებს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების უფლება, მაგ. დაბეჭდვა ან განთავსება ვებგვერდზე.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობით უნდა იქნას განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება გამოაქვეყნონ თავიანთი საკანონმდებლო დღის წესრიგი, ყველა იმ კანონისა და პოლიტიკის თანხლებით, რომელთა ცვლილება ან მიღება არის დაგეგმილი. იმისთვის, რომ სსო-ებმა შეძლონ წინადადებებისა და/ან კომენტარების მომზადება, მათ უნდა ქონდეთ ინფორმაცია კანონებისა და პოლიტიკების შესახებ.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა და მონაწილეობის პროცედურების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გავრცელება. მაგალითად, „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ უკრაინის კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ინფორმაციის მფლობელი ვალდებულია გამოაქვეყნოს განსახილველი გადაწყვეტილებების პროექტი და ღია შეხვედრების დღის წესრიგი დოკუმენტის დამტკიცების თარიღიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მარეგულირებელი აქტებისა და გადაწყვეტილებების პროექტები საჯარო უნდა გახდეს მათი მიღების მიზნით დათქმული განხილვის თარიღამდე სულ მცირე 20 სამუშაო დღით ადრე.

#### ადნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- არ არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა მთავრობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ;
- კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადები;
- კანონი არ ითვალისწინებს მთავრობის საკანონმდებლო დღის წესრიგის გამოქვეყნებას.

### 2. საჭირო ინფორმაციაზე წვდომისთვის, კანონი ადგენს მარტივ და ნათელ პროცედურებს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეგულირება უნდა მოხდეს საკანონმდებლო დონეზე. კანონმდებლობამ კონკრეტულად უნდა განსაზღვროს, თუ რა დოკუმენტებია საჭირო ინფორმაციის

გამოსათხოვნად, რა ვადებში უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და რა წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის უტყუარ საფუძველს. საფუძველი უნდა იყოს ნათლად გაწერილი, გასაგები, ის უნდა შეიცავდეს მიზეზების ამომწურავ ჩამონათვალს. სსო-ები ვალდებული არ არიან განმარტონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზეზი. მოთხოვნასთან დაკავშირებული ფორმალობები არ უნდა გასცდეს მოთხოვნის დამუშავებისთვის საჭირო მასშტაბს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ რეგულირდება კანონმდებლობით;
- ინფორმაციის მისაღებად საჭიროა მრავალი დოკუმენტის წარდგენა

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონპროექტები და პოლიტიკის დოკუმენტები გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია; სსო-ები სათანადოდ ინფორმირებულნი არიან კანონპროექტების საჯარო მოსმენის ან განხილვის შესახებ.</li> <li>2. სახელმწიფო ორგანოები პასუხობენ ინფორმაციის მოთხოვნებს დროულად და უსასყიდლოდ.</li> </ol>

**1. კანონპროექტები და პოლიტიკის დოკუმენტები გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია; სსო-ები სათანადოდ ინფორმირებულნი არიან კანონპროექტების საჯარო მოსმენის ან განხილვის შესახებ**

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ კანონპროექტებისა და პოლიტიკის ხელმისაწვდომობა საჯარო განხილვისთვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ინფორმაციაზე წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დროულად, ზედმეტი ადმინისტრაციული დაბრკოლებებისა და საფასურის გარეშე, მონაცემთა ღიაობის პრინციპების შესაბამისად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე გულისხმობს, რომ სსო-ებს უნდა შეეძლოთ კანონპროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება დამატებითი ნებართვების გარეშე, ონლაინ ან ოფლაინ რეჟიმში. დროული გამოქვეყნება გულისხმობს, რომ სსო-ებს აქვთ საკმარისი დრო საჯარო განხილვებისა და დისკუსიებისთვის მოსამზადებლად - მაგ. მათ აქვთ დრო გაეცნონ პროექტებს და დაწერონ თავიანთი წინადადებები. ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია ინტერნეტში ან ოფლაინ რეჟიმში.

იმ შემთხვევებში, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებებისადმი ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა. უფრო მეტიც, ასეთი შემთხვევები დასაშვებია მხოლოდ მკაცრად შეზღუდული მიზნებისთვის - მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვა და საერთაშორისო ურთიერთობები; საზოგადოებრივი უსაფრთხოება; სისხლისსამართლებრივი აქტების პრევენცია, გამოძიება ან აღკვეთა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- იყო შემთხვევები, როცა საჯარო განხილვისთვის არ იყო წარმოდგენილი კანონპროექტი ან პოლიტიკა;
- საჯარო განხილვისთვის კანონპროექტის ან პოლიტიკის გამოქვეყნება მოხდა დაგვიანებით;
- სახელმწიფო ორგანოები წინასწარ არ ავრცელებენ განცხადებას საჯარო მოსმენის ან დისკუსიის შესახებ;
- სახელმწიფო უარს ეუბნება სსო-ს საკანონმდებლო პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებაზე მიზეზების გაცნობის გარეშე;
- სახელმწიფო ორგანოები ავრცელებენ განცხადებას საჯარო მოსმენისა თუ დისკუსიის შესახებ მოსამზადებლად საკმარისი დროის გარეშე.

## 2. სახელმწიფო ორგანოები პასუხობენ ინფორმაციის მოთხოვნებს დროულად და უსასყიდლოდ

სახელმწიფო ორგანოებმა პასუხი უნდა გასცენ ინფორმაციის სათანადოდ წარდგენილ მოთხოვნებს განსაზღვრულ ვადაში. უფრო მეტიც, სახელმწიფო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მოთხოვნებზე რეაგირება უსასყიდლოდ, გარდა წინასწარ დადგენილი და გონივრული ხარჯებისა, რომლებიც უკავშირდება მასალების ბეჭდვასა და/ან კოპირებას. განმცხადებელს შესაძლოა მოეთხოვოს სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის იდენტიფიცირებისა და მოთხოვნაზე რეაგირებისთვის საჭირო მინიმალური ოდენობის თანხის გადახდა.

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მოთხოვნაზე დროული და ყოვლისმომცველი რეაგირება. ინფორმაციის მიწოდების ნებისმიერი უარყოფა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული შესაბამისი სამართლებრივი მიზეზებით, როგორცაა კონფიდენციალურობა, ეროვნული უსაფრთხოება და სხვა. ინფორმაციის მიწოდების ნებისმიერი უარყოფა უნდა იყოს კანონმდებლობით დასაბუთებული, შესაბამისი კანონების მითითებით.

უფრო მეტიც, სსო-ებს უნდა შეეძლოთ საჩივრების წარდგენის შესაძლებლობა შეზღუდული ან გართულებული წვდომის შესახებ, სახელმწიფომ კი უნდა გაითვალისწინოს ამგვარი საჩივრები და მიიღოს საჭირო ზომები.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო ორგანოები არ ახდენენ მოთხოვნებზე რეაგირებას;
- სახელმწიფო ორგანოები არ იცავენ მოთხოვნებზე რეაგირების ვადებს;
- სახელმწიფო ორგანოები მოთხოვნებზე რეაგირებენ ისე, რომ პასუხი არ შეესაბამება დასმულ კითხვებს.
- საგანგებო სიტუაციების დროს შეზღუდულია წვდომა ინფორმაციაზე.

## სტანდარტი 4. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა განსხვავდება პოლიტიკური საქმიანობისა და ლობირებისგან

ბოლო წლებში, პოლიტიკურ საქმიანობასა და ლობირებასთან მიმართებაში მკაცრი გამჭვირვალობის მოთხოვნების სურვილმა გავლენა მოახდინა სსო-ების საჯარო დებატებში ჩართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობაზე. სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობას სულ უფრო დაჰკრავს პოლიტიკური ელფერი, რაც იწვევს გარკვეულ ორგანიზაციებზე გადაჭარბებული ადმინისტრაციული ტვირთისა დაწესებასა და მათ შევიწროებას. გაერთიანების თავისუფლების მსგავსად, გამოხატვისა და მონაწილეობის შეზღუდვები უნდა ეფუძნებოდეს ლეგიტიმურ სახელმწიფო მიზნებსა და პროპორციულობის პრინციპებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა პოლიტიკური საქმიანობის ნათლად და ვიწროდ განსაზღვრა ისე, რომ არ შეიზღუდოს სსო-ების მონაწილეობა საზოგადოებრივ და ადვოკატირების საქმიანობაში. ანალოგიურად, ლობირების რეგულირებამ არ უნდა შეზღუდოს სსო-ების საქმიანობა ადვოკატირების კუთხით.

### **კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. პოლიტიკურ საქმიანობაში სსო-ების მონაწილეობის შეზღუდვები ნათლად არის აღწერილი და ვიწროდ განსაზღვრული. ისინი გავლენას არ ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობაზე ჩაერთონ საჯარო პოლიტიკურ საქმიანობაში.
2. ლობირების რეგულირება არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას ჩაერთონ საჯარო პოლიტიკისა და ადვოკატირების საქმიანობაში.

**1. პოლიტიკურ საქმიანობაში სსო-ების მონაწილეობის შეზღუდვები ნათლად არის აღწერილი და ვიწროდ განსაზღვრული. ისინი გავლენას არ ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობაზე ჩაერთონ საჯარო პოლიტიკურ საქმიანობაში**

საზოგადოებრივ საქმეებსა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინდივიდებისა და ჯგუფების მონაწილეობა დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტია.

სსო-ებს ძალზედ მნიშვნელოვანი როლი აქვთ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რადგან ისინი ქმნიან პლათფორმას მათი წევრებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გასაუფრებლად. მათი უკუკავშირი ღირებულებას სძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და ზრდის ხარისხიანი და რელევანტური პოლიტიკის შემუშავების შანსს.

ფართო განმარტებით, პოლიტიკური საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს არა მარტო ისეთ აქტივობას, როგორცაა საჯარო სამსახურში კანდიდატების მხარდაჭერა ან პოლიტიკური პარტიისთვის ფონდების მოძიება, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მთელი რიგ აქტივობებს - მაგალითად, ადვოკატირება კონკრეტული კანონების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, საჯარო ადვოკატირებაში მონაწილეობა, საჯარო ინტერესების სამართალწარმოებაში ან პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მიღება. იმისთვის, რომ არ მოხდეს სსო-ების ამგვარი ლეგიტიმური საქმიანობის შეზღუდვა, ქვეყნებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ, თუ რას ითვალისწინებს „პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება“. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური საქმიანობის რეგულაციებმა არ დაარღვიოს სსო-ების უფლება მონაწილეობა მიიღონ და წარმოადგინონ ორგანიზაციის ან დაინტერესებული მხარეების შეხედულებები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- პოლიტიკური საქმიანობა მეტისმეტად ფართოდ არის განსაზღვრული; ამავდროულად შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ საზღვარგარეთიდან დაფინანსებას, ეკრძალებათ საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობის მიღება;
- პოლიტიკურ საქმიანობაზე არსებული რეგულაციები გართულებული ან შემზღუდავია, რის გამოც სსო-ები თვითნებურ დუმილს არჩევენ.

**2. ლობირების რეგულირება არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას ჩაერთონ საჯარო პოლიტიკისა და ადვოკატირების საქმიანობაში**

ლობირება არის საჯარო მოხელეებთან როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაცია, რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს კანონმდებლობაზე, პოლიტიკასა და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე. იმისთვის, რომ ნათლად მოხდეს ლობირებისა და ადვოკატირების ერთმანეთისგან გამიჯვნა (რომელიც უმთავრესად არაკომერციული საქმიანობაა), ეროვნული კანონმდებლობა, როგორცაა 2008 წლის მაკედონიის კანონი ლობირების შესახებ, შესაძლოა განსაზღვრავდეს ლობირებას, როგორც რეგისტრირებული ლობისტების ან მათი თანამშრომლების მიერ ლობისტური კონტრაქტის საფუძველზე განხორციელებულ საქმიანობას ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ (მუხლი 2).

მნიშვნელოვანია, რომ „ლობირების“ განსაზღვრება და მასთან დაკავშირებული რეგულაციები არ ზღუდავდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის უფლებებსა და საქმიანობას, კერძოდ, ტიპიური ადვოკატირების საქმიანობას, როგორცაა საჯარო გამოსვლები, კვლევის შედეგების ანალიზი და გამოქვეყნება, ინფორმაციის გაზიარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ლობისტური საქმიანობის განმარტება ზღუდავს სსო-ს შესაძლებლობას ჩაერთოს ადვოკატირების საქმიანობაში;
- საჯარო პოლიტიკის აქტივობების განხორციელებისას, სსო უნდა დარეგისტრირდეს, როგორც ლობისტი;
- სსო-ს არ შეუძლია სახელმწიფო ორგანოების შენობაში შესვლა ლობისტად დარეგისტრირების გარეშე

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. არ ხდება სსო-ების შევიწროება ან მათზე ზეწოლა მოსაზრებებისთვის, რომლებიც ემსახურება ან ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიების ინტერესებს.</li> <li>2. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ ადვოკატირების საქმიანობაში ჩართვა. ამისთვის არ არის საჭირო ლობისტებად ან პროფესიულ ადვოკატებად დარეგისტრირება ან დამატებითი ადმინისტრაციული თუ ფინანსური პროცედურების გავლა.</li> </ol>

### 1. არ ხდება სსო-ების შევიწროება ან მათზე ზეწოლა მოსაზრებებისთვის, რომლებიც ემსახურება ან ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიების ინტერესებს

მონაწილეობის უფლების განხორციელება შეუძლებელია, თუკი ხდება სსო-ების იძულება უარი თქვან საკუთარ საქმიანობაზე გაჩუმების ან დაშინების გზით. დაშინება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: თანამშრომელთა ფიზიკური დაშინება, ფინანსური სანქციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წინააღმდეგ, სიტყვისა და ადვოკატირების ბარიერები, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ბარიერები და სხვ. სსო-ები უნდა იყვნენ თავისუფალნი ამგვარი საფრთხეებისგან. მათ უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ღიად მონაწილეობა და დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებში არსებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ადვოკატირება. დაუშვებელია სსო-ს უფლებების შეზღუდვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამო.

პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ძალაუფლების მქონე სუბიექტები, ვალდებული არიან პატივი სცენ სსო-ების უფლებას თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მმართველი პარტიის პოზიცია. პოლიტიკურმა პარტიებმა, საჯარო მოხელეებმა და სხვა პირებმა არ უნდა განხორციელონ ზეწოლა სსო-ებზე, რათა დაიყოლიონ ისინი ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკური მიმართულების მხარდაჭერაზე. ამგვარი ზეწოლა შესაძლოა გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით, მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციების შიდა მმართველობაში ჩარევა ან სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უჭერს მხარს სსო მმართველ პარტიას.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- სსო-ებმა დაკარგეს არაკომერციული სტატუსი სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ გაკეთებული კრიტიკული შეფასების გამო;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ განხორციელდა დევნა/მოხდა მათი ფიზიკური დაზიანება კონკრეტულ პროექტზე მათი მოსაზრების გამო;
- სსო-ს თანამშრომლებმა მიიღეს მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები, რომლებიც მიზნად ისახავდა მათ იძულებას მხარი დაეჭირათ მმართველი პოლიტიკური პარტიის ინტერესებისთვის.

## **2. სსო-ებს თავისუფლად შეუძლიათ ადვოკატირების საქმიანობაში ჩართვა ლობისტებად ან პროფესიულ ადვოკატებად დარეგისტრირების ან დამატებითი ადმინისტრაციული თუ ფინანსური პროცედურების გავლის გარეშე.**

ეფექტური ადვოკატირება საშუალებას აძლევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წარმართონ საჯარო დისკუსიები მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე და დაიცვან თემთა ინტერესები პოლიტიკის იმ მიმართულებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე. სსო-ებს არ უნდა სჭირდებოდეთ კანონით განსაზღვრული სპეციალური სტატუსის მიღება, როგორცაა ლობისტის სტატუსი, ადვოკატირების საქმიანობის წასამართად, როგორცაა მონაწილეობა საჯარო განხილვებსა და კონსულტაციებში, პოლიტიკისა და კანონმდებლობის ირგვლივ კომენტარების გაკეთება და სხვა. ასევე, სსო-ებს არ უნდა სჭირდებოდეთ საფასურის გადახდა ან დამატებითი ანგარიშგების წარდგენა, თუ ისინი ჩართულნი არიან პოლიტიკის ადვოკატირების საქმიანობაში.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო ორგანოები აწესებენ ჯარიმას, თუკი ადვოკატირების საქმიანობა ხორციელდება ლობისტად რეგისტრირების გარეშე.
- ადვოკატირების საქმიანობის წარმართვისას, სსო-ებმა უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია მათი დამფუძნებლებისა და წევრების შესახებ;
- სსო-ები, რომლებიც ჩართულნი არიან ადვოკატირების პროცესში, განიცდიან უფრო ხშირ ინსპექტირებას, ვიდრე გათვალისწინებულია ინსპექტირების გრაფიკით.

### **შესაბამისი რესურსები**

- OSCE-ODIHR - ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პარაგრაფი. 31, 183-195
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხლი 25
- ზოგადი კომენტარი N 25: სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება, ხმის მიცემის უფლება და საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება (მუხლი 25): 12/07/96. CCPR / C / 21 / Rev.1 / Add.7, პარაგრაფი 1-4
- ეუთოს რეკომენდაციები საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასოციაციების მონაწილეობის გაზრდის შესახებ, ვენა (15-16 აპრილი 2015), №3, 6-7, 10-11, 16, 20-21, 25-26, 27
- ეუთო, საერთაშორისო პრაქტიკა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებების შესახებ, თავი IV (დეკ 2010)
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის ხელშეწყობა, დაცვა და განხორციელება ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის კონტექსტში: საუკეთესო პრაქტიკა, გამოცდილება, გამოწვევები და მათი გადალახვის გზები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში A/HRC/30/26 (23 ივლისი 2015)
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლების ეფექტური განხორციელების შესახებ, A/HRC/ 39/28 (სექტემბერი 2018) პუნქტი. 19, 21, 56-58, 64-77, 79, 82-94
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ /CCPR/C/128/2, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, განცხადება კოვიდ-19-ის პანდემიის მიზეზით პაქტის ნაწილობრივ გაუქმებაზე
- ჩეკლისტი- ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის აქტი ჯანდაცვის მიმართულებით გამოცხადებული საგანგებო სიტუაციების დროს კოვიდ-19-ის კონტექსტში, რომელიც შემუშავებული იქნა მშვიდობიანი შეკრებების და ასოციაციების უფლებების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მიერ.
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საბჭოს რეკომენდაციები ლობირების პროცესში გამჭვირვალობისა და მთლიანობის პრინციპების დაცვის შესახებ, დანართი (2018)

- კითხვარი – მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID-19-ის კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ;
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ, CM (2017) -83 საბოლოო (მიღებული 2017 წლის 27 სექტემბერს) პუნქტები 4, 6, 8-12, 20-21, 23, 26-29.
- არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტთა საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკური საქმიანობის რეგულირება. ერთობლივი კონფერენცია (3 დეკემბერი 2015)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია N (2002)2 ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ (მიღებული 21 თებ, 2002)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2007)2 ლობირების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში (მიღებული 2017 წლის 22 მარტს)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, მუხლი 76-77 (მიღებული 10 ოქტ 2007);
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2001)19 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ (მიღებული 6 დეკ 2001);
- ევროპის საბჭო, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტური პრაქტიკის კოდექსი, CONF/PLE(2009)CODE1, (მიღებული 2009 წლის 1 ოქტომბერს INGO-ს კონფერენციის მიერ), ზოგადი დოკუმენტი, თავი III.ii და თავი IV. III, 4-5;
- ევროპის საბჭო, ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (CETS No. 205);
- ევროპის საბჭო და ECNL, სამოქალაქო მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა ევროპის საბჭოში, თავი V, ნაწილი 1 და 2.2; თავი VI, ნაწილი 3 და ქვეყნის მაგალითი №13; თავი VII (მაისი 2016);
- სამოქალაქო საზოგადოების დაცვა, არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრი, დემოკრატიის მსოფლიო მოძრაობა (სექტემბერი 2012).

# სფერო 6. გამოხატვის თავისუფლება

## სტანდარტი 1.

### ყველას აქვს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება

აზრისა და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი, ვინაიდან თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების ნათლად ფორმულირება და გადაწყვეტილების მიმღებ პირთაგან პასუხისმგებლობის მოთხოვნა. გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით. აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს ნებისმიერი პირი, დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის გარეშე. ის უზრუნველყოფს ინფორმაციისა და იდეების ნებისმიერი ფორმით მოძიების, მიღებისა და გაზიარების უფლებას. სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს კანონით განსაზღვრულ პირობებს და წარმოადგენდეს კანონიერი მიზნების მიღწევის უცილებელ ზომას. გამოხატვის თავისუფლება არ ითვალისწინებს სიძულვილის ენას - რაც გულისხმობს დისკრიმინაციის, შუღლისა და ძალადობის წაქეზებას. ამგვარი ქმედება უნდა იყოს აკრძალული.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობს ნებისმიერი პირი, მათ შორის სსო-ები, ადგილობრივი თუ უცხოური, ინდივიდუალური თუ ჯგუფური.
2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული პირები თავისუფალნი არიან ნებისმიერი საშუალებით მოიძიონ, მიიღონ და გააზიარონ ინფორმაცია და იდეები, საზღვრების განურჩევლად.
3. იკრძალება ნებისმიერი სახის ადვოკატირება, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულების ან ძალადობის წაქეზებას.
4. სანქციები არ არის დაწესებული ფართო და ბუნდოვანი განმარტების მქონე „ყალბი ინფორმაციის/ნიუსის“ გავრცელებაზე. ასევე, სანქციები არ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებაზე.

### 1. აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, დისკრიმინაციის გარეშე, სარგებლობს ნებისმიერი პირი, მათ შორის სსო-ები, ადგილობრივი თუ უცხოური, ინდივიდუალური თუ ჯგუფური

აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნული კანონმდებლობით. ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი პირის, ისევე როგორც სსო-ების აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა ეფექტური გარანტიების დანერგვით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

აზრის თავისუფლება არ ექვემდებარება რაიმე სახის შეზღუდვას. აზრის თავისუფლება ასევე მოიცავს პირის თავისუფლებას არ ჰქონდეს მოსაზრება ან ვალდებულება გამოხატოს საკუთარი აზრი რაიმე თემასთან დაკავშირებით. ყველა სახის მოსაზრება, მათ შორის სოციალური, პოლიტიკური, სამეცნიერო, ისტორიული, მორალური თუ რელიგიური, უნდა იყოს კანონით დაცული. არ შეიძლება მოხდეს აზრის ქონის კრიმინალიზება. სახელმწიფოს არ შეუძლია დააწესოს გამონაკლისები ან შეზღუდვები აზრის თავისუფლებაზე. დაუშვებელია პირის უფლებების შეზღუდვა მისი რეალური, აღქმული ან სავარაუდო მოსაზრებების გამო. აკრძალულია პირის იძულება, ქონდეს ან არ ქონდეს მოსაზრება, იძულების გამოყენებული ფორმის განურჩევლად.

გამოხატვის თავისუფლებას თან ახლავს განსაკუთრებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ის შესაძლოა დაექვემდებაროს გარკვეულ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან ჯარიმებს. ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს სამმაგ, კუმულაციურ ტესტს:

1. ისინი უნდა იყოს „კანონით გათვალისწინებული“, ნათელი და ყველასთვის ხელმისაწვდომი (სამართლებრივი განსაზღვრულობის, პროგნოზირებადობისა და გამჭვირვალობის პრინციპი);
2. ისინი უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, მაგალითად: სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დაცვა ან ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან მორალური მდგომარეობის დაცვა (ლეგიტიმაციის პრინციპი). ეს არის შეზღუდვების ამომწურავი ჩამონათვალი და არ არის შესაძლებელი მისი გავრცობა;
3. უნდა დამტკიცდეს მათი აუცილებლობა; ისინი უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული საშუალებები ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად (აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები). ისეთი საგანგებო სიტუაციების დროსაც კი, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფასთან, უსაფრთხოებასთან ან ეროვნულ უშიშროებასთან.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ს ან მასთან დაკავშირებულ პირებს ევრძალებათ მთავრობის მიერ ოფიციალურად მხარდაჭერილი სამეცნიერო ან ისტორიული ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება ან უარყოფა;
- გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ეფუძნება ტრადიციულ წესებს, რელიგიას ან ჩვეულებებს და არა წერილობით ნორმებს;
- სამართლებრივი ნორმა, რომელიც ზღუდავს გამოხატვის გარკვეულ ფორმებს, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული ისე, რომ ყველასთვის გასაგები იყოს, თუ როდის ხდება მისი გამოყენება და როგორ;
- კანონი არ ადგენს შეზღუდვების ამომწურავ ჩამონათვალს; შედეგად, შეზღუდვების დაწესება ხდება ხელისუფლების შეხედულებისამებრ.

**2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული პირები თავისუფალნი არიან ნებისმიერი საშუალებით მოიძიონ, მიიღონ და გააზიარონ ინფორმაცია და იდეები, საზღვრების განურჩევლად.**

ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობა დემოკრატიული მმართველობის პროცესში მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი პირობაა. იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სსო-ების მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ხელისუფლების მიერ სსო-ებისთვის მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმა წარმოადგენს უფლების დარღვევას.

ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გაზიარების უფლება არ შემოიფარგლება საზღვრებით; უცხოურ სსო-ებს ისევე აქვთ უფლება მოიძიონ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებს. ანალოგიურად, ინფორმაციის მოძიებისა და მიღების უფლება არ არის დამოკიდებული ქვეყნის შიგნით სსო-ების ადგილმდებარეობაზე.

შესაძლებელია ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეების სხვებისთვის გაზიარება, ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით. გამოხატვის თავისუფლების დაცვა ვრცელდება ინფორმაციაზე ან იდეებზე, რომლებიც შეიძლება მიიჩნეოდეს კრიტიკულად ან საკამათოდ ხელისუფლების ან მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, მათ შორის ისეთ მოსაზრებებსა და შეხედულებებზე, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს „მოკი, შეურაცხყოფა ან აღელვება“. გამოხატვის დაცული ფორმების მაგალითებია: საკუთარ ან სახელმწიფო საქმეებზე კომენტარის გაკეთება, აგიტაცია, ადამიანის უფლებების, ჟურნალისტიკის, სამეცნიერო კვლევების განხილვა; ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტურობის გამოხატვა; მხატვრული გამოხატვა; რეკლამირება; სწავლება; საარჩევნო კამპანიების დროს პოლიტიკური და სარეკლამო სიტყვით გამოსვლა.

გამოხატვის დაცული ფორმები მოიცავს „სალაპარაკო, წერილობით და ქესტების ენას, ისევე როგორც არავერბალურ გამოხატულებას, როგორცაა სურათები ან ხელოვნების ობიექტები“. გამოხატვის საშუალებებში ასევე შედის „წიგნები, გაზეთები, ბუკლეტები, პლაკატები და ბანერები, ისევე როგორც ყველა სახის აუდიოვიზუალური, ოფლაინ, ელექტრონული და ონლაინ გამოხატვის საშუალებები“<sup>12</sup>

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- უცხოურ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ეკრძალებათ ადგილობრივ მედიაში მათი მოსაზრებების გამოხატვა;
- ხელისუფლება უარყოფს სსო-ების წვდომას იმ ინფორმაციაზე, რომელიც საჯარო ინტერესის სფეროშია და მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების უფლების განსახორციელებლად.

**3. ეკრძალება ნებისმიერი სახის ადვოკატირება, რომელიც მოიცავს დისკრიმინაციის, მტრული დამოკიდებულების ან ძალადობის წაქეზებას**

გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება; არ არის დაცული გარკვეული სახის სიტყვები. ქვეყნების მიერ კანონით უნდა აიკრძალოს „ომის ნებისმიერი ფორმით პროპაგანდა“ ისევე როგორც „ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური სიძულვილის ადვოკატირება, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წახალისებას“<sup>13</sup>. ამ კონკრეტული მახასიათებლების ერთობას, როგორც წესი, მოიხსენიებენ როგორც „სიძულვილის ენას“. ამგვარ განცხადებებზე არ ვრცელდება გამოხატვის თავისუფლება.

ინტერნეტის გამოჩენის შემდეგ, აღმოცენდა სიძულვილის ენის ახლებური ფორმა, ე.წ. „კიბერ-ბულინგი“. კიბერ-ბულინგი, როგორც წესი, გულისხმობს ინდივიდუალური მსხვერპლის (ან თუნდაც ორგანიზაციის) იდენტიფიცირებასა და მის წინააღმდეგ შეურაცხყოფელი შინაარსის მიმართვის, შევიწროების, ძალადობის მუქარის განხორციელებასაც კი. ამგვარი ქმედება არ ხვდება „სიძულვილის ენის“ კლასიფიკაციაში, რადგან ავტორი არ ცდილობს სხვების წაქეზებას ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, მათი „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური“ თვისებების საფუძველზე. თუმცა, ამ ტიპის ქმედება კვლავაც ექვემდებარება შეზღუდვებს და სამმაგი ტესტის მოთხოვნებს (მაგალითად, კანონით დადგენილი შეზღუდვები, კანონიერი მიზნის მიღწევა და დემოკრატიულ საზოგადოებაში გატარების აუცილებლობა) გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მაშინ როცა სახელმწიფოები საერთაშორისო სტანდარტებით ვალდებული არიან მიიღონ კონკრეტული კანონები „სიძულვილის ენის“ ასაკრძალად მხოლოდ სამი კონკრეტული სამიზნე ჯგუფის - ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მიმართ - ეს იმას არ ნიშნავს, რომ „სიძულვილის ენა“ დასაშვებია სხვა ჯგუფების მიმართ (როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, ლგბტ ჯგუფები და ა.შ.). შესაძლებელია სხვა ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ „სიძულვილის ენაზე“ შეზღუდვების დაწესება, თუ ისინი შეესაბამება ზემოთ აღწერილი სამმაგ ტესტს.

ტერმინი „ადვოკატირება“ (სიძულვილის) მოითხოვს, რომ განცხადების ავტორს ჰქონდეს განზრახვა, ხელი შეუწყოს სიძულვილს საჯაროდ გაღვივებას კონკრეტული სამიზნე ჯგუფის მიმართ (მაგალითად, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი). აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის, რომ განცხადება აღქმულ იქნას სიძულვილის შემცველად სამიზნე ჯგუფის მიერ, თუ ავტორი არ ცდილობს სიძულვილის გაღვივებას.

<sup>12</sup> ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ, (ევროკავშირის საბჭო), 2014, მუხლი 18

<sup>13</sup> ICCPR, მუხლი 20.

ტერმინი „წაქეზება“ გულისხმობს განცხადებას ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის შესახებ, რომლებიც „ქმნის დისკრიმინაციის, მტრობის, ძალადობის გარდაუვალ რისკს ან იწვევს დისკრიმინაციას, ძალადობას ან მტრობას ამ ჯგუფის წევრების მიმართ.“ EctHR პრეცედენტული კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ერთის მხრივ, ჭეშმარიტ და სერიოზულ წაქეზებასა და ექსტრემიზს, მეორეს მხრივ კი, ცალკეული პირების (ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ჩათვლით) მიერ შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებას, შეურაცხყოფას, შოკირებას ან შეშფოთებას შორის.

გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განცხადება კვალიფიცირდება როგორც „სიძულვილის ენა“, თუ იგი აკმაყოფილებს სპეციალურ ექვსპუნქტიან ტესტს (რომელიც იკვლევს კონტექსტს, სპიკერს, განზრახვას, შინაარსს, დაფარვის მასშტაბს, ზიანის ალბათობას), რომელიც დეტალურად წარმოდგენილია განმარტებების ნაწილში.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფოს არ გააჩნია ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენის ამკრძალავი კანონები. შედეგად, აღნიშნული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის წაქეზება წახალისებულია, მხარდაჭერილიც კია, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ;
- მესამე მხარეს (მაგალითად, ჟურნალისტი ან ადამიანის უფლებათა დამცველი), რომელიც იმეორებს სხვების (მაგ. ნეო-ნაცისტური ჯგუფის) მიერ გამოთქმულ რასისტულ შენიშვნებს მხოლოდ და მხოლოდ დებატების მიზნებისთვის, შესაძლებელია ბრალი წაყენოს სიძულვილის ენის გავრცელების გამო;
- კანონით შესაძლებელია იმ სსო-ს დასჯა, რომელიც აკრიტიკებს მთავრობას, ძალადობისა და სოციალური არეულობის მაპროვოცირებელი ეროვნული სიძულვილის ადვოკატირების ბრალდებით.

**4. არ არის დაწესებული სანქციები ისეთი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც ყალბი მონაცემების ან სახელმწიფოს მიერ დაუდასტურებელი ფართო და ბუნდოვანი ტერმინების ქვეშ მოაიზრება**

როგორც 1-ელ ინდიკატორში აღინიშნა, სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვების დაწესება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით და რომლებიც ასეთი ინტერესის მიღწევის გარდაუვალ და პროპორციულ საშუალებებად განიხილება. სანქციები აუცილებლად და პროპორციულად განიხილება მაშინ, როდესაც ისინი ყველაზე ნაკლებად საზიანო ინსტრუმენტს წარმოადგენენ ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად. კერძოდ, როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი სანქციები სცდება აუცილებელი საჭიროებისა და პროპორციულობის ფარგლებს, თუკი აღნიშნული ლეგიტიმური ინტერესის დაცვა შესაძლებელი იყო ნაკლებად მკაცრი შეზღუდვის დაწესებით.<sup>14</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია, რომ მიზნობრივი დეზინფორმაცია გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა შეიქმნას მოსაზრება ყველა სახის ინფორმაციისა თუ იდეის მოძიების, მიღების და გადმოცემის გზით და რომ დეზინფორმირების ზოგიერთი ფორმა შეიძლება აიკრძალოს, თუ ის ზიანს აყენებს ინდივიდის პირად ხელშეუხებლობას ან რეპუტაციას ან აღვივებს სიძულვილს, ძალადობას ან დისკრიმინაციას საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მიმართ. თუმცა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ხელშეკრველი მხარეები ერთხმად თანხმდებიან, რომ ყალბი მონაცემებისა თუ დეზინფორმაციის ფართო და ბუნდოვან დეფინიციებთან დაკავშირებული ზოგადი შეზღუდვები ყოველთვის შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების დაცვასთან და უნდა აიკრძალოს.<sup>15</sup> აღნიშნული

<sup>14</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი, # 34, მუხლი 19, (გამოხატვის თავისუფლება), ნაწილი 34.

<sup>15</sup> გამოხატვის თავისუფლებისა და ყალბი ინფორმაციის, დეზინფორმირებისა და პროპაგანდის შესახებ ერთობლივი დეკლარაცია, გაეროს სპეციალური მომხსენებლის დეკლარაცია მოსაზრებისა და მისი გამოხატვის თავისუფლების

მოსაზრება ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სახელმწიფოები ემუქრებიან სანქციებით ან თავისუფლების აღკვეთით იმ პირს, ვინც დააფიქსირებს ან გაამჟღავნებს ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს განგაში, პანიკა ან არეულობა საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ შემთხვევებში, დაცულობისა თუ უსაფრთხოების დაბრკოლების მიზნით.

რეგიონალური სტანდარტების მიხედვით, დეზინფორმირება გაგებულია და განმარტებულია, როგორც დადასტურებულად ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც შექმნილი, წარმოდგენილი ან გავრცელებულია ეკონომიკური სარგებლის მიღების ან საზოგადოების განზრახ მოტყუების მიზნით და რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი ზიანის გამოწვევა.<sup>16</sup> საზოგადოებრივი ზიანის ცნება შეიძლება შეიცავდეს საფრთხეს დემოკრატიული, პოლიტიკური და პოლიტიკის შექმნის პროცესებისთვის, ისევე როგორც მოქალაქეთა ჯანმრთელობის, გარემოს ან უსაფრთხოების დაცვისთვის.<sup>17</sup> თუმცა, დეზინფორმირების ცნება კატეგორიულად გამორიცხავს ნებისმიერი სახის შეტყობინებას შეცდომების, სატირისა და პაროდის შესახებ ან აშკარად პარტიზანული სიახლეებისა და კომენტარების შესახებ.<sup>18</sup>

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევები შეიძლება მოიცავდეს:**

- დეზინფორმაციის გავრცელების შემზღვეველი საკანონმდებლო ნორმა არ აკონკრეტებს მის დეფინიციას გარზრახ გავრცელებულ დადასტურებულად ყალბ ინფორმაციამდე, რომელიც განზრახ არის გავრცელებული ინდივიდების ლეგიტიმური ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესისთვის ზიანის მისაყენებლად და/ან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით;
- დეზინფორმაციის გავრცელების შემზღვეველი სამართლებრივი დებულებები ითვალისწინებს სანქციებს, რომლებიც არაპროპორციულია სპეციფიკური ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა პანიკისა და არეულობის შესაძლო გამოწვევისთვის ), რითაც გამოხატვის თავისუფლებაზე მოახდენს უარყოფით გავლენას.

**პრაქტიკა**

<i>ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით</i>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. აზრებისა და შეხედულებების გამოხატვას არ მოჰყვება უკურეაქცია ან არაპროპორციული სანქციები.</li> <li>2. სახელმწიფო არ აფერხებს იდეების, შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვას, რომლებიც არ შეესაბამება ან კრიტიკულია ოფიციალური პოლიტიკის მიმართ.</li> </ol>

შესახებ, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მედიის თავისუფლების წარმომადგენელი ორგანიზაცია, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, გამოხატვის თავისუფლებაზე სპეციალური მომხსენებელი და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციაზე წვდომის თემაზე, 2017 წლის 3 მარტი, ნაწილი 2, <https://www.osce.org/files/f/documents/6/8/302796.pdf>

<sup>16</sup> ევროკომისია, კომუნიკაცია ევროპის პარლამენტთან, საბჭო, ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტი და რეგიონების კომიტეტი, „ონლაინ დეზინფორმირებასთან ბრძოლა: ევროპული მიდგომა,“ 26 აპრილი, 2018 <https://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2018/EN/COM-2018-236-F1-EN-MAIN-PART-1.PDF>

<sup>17</sup> იხ. მე-11 სქოლიო, 2

<sup>18</sup> ასევე იხილეთ ევროპის საბჭოს ანგარიში „ ინფორმაციული უწყესრიგობა: კვლევისა და პოლიტიკის შემუშავების ინტერდისციპლინარული ჩარჩოსკენ ,” (<https://rm.coe.int/information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-research/168076277c>), რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული უწყესრიგობის სამ ტიპს: ა) არასწორი ინფორმაციის მიწოდება, ე.ი. როდესაც ხდება არასწორი ინფორმაციის გავრცელება ზიანის გამოწვევის განზრახვის გარეშე; ბ) დეზინფორმირება, ე.ი. როდესაც ხდება არასწორი ინფორმაციის მიწოდება განზრახ და გამიზნულია ზიანის გამოწვევისკენ; და გ) მავნე ინფორმაციის გავრცელება, ე.ი. როდესაც ნამდვილი ინფორმაციის გავრცელება ხდება ზიანის გამოწვევის მიზნით (მაგალითად, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, სიძულვილის ენა და ა.შ).

3. სიძულვილის ენისთვის დაწესებული სანქციები აუცილებელი და პროპორციულია; შეუძლებელი იქნებოდა იმავე შედეგის მიღება ნაკლებად ინტერუზიული ზომების გამოყენებით.
4. არ დაფიქსირებულა ჟურნალისტების, აქტივისტების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების დევნის ან გასამართლების ფაქტები ყალბი ინფორმაციის/ნიუსის ან დეზინფორმაციის შექმნის და გავრცელების ბრალდებით.

## **1. აზრებისა და შეხედულებების გამოხატვას არ მოჰყვება უკურეაქცია ან არაპროპორციული სანქციები**

გამოხატვის თავისუფლება არ ვრცელდება მხოლოდ უმრავლესობის ან დიდი ჯგუფების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე. იგი ასევე მოიცავს „მცირე ჯგუფის ან თუნდაც ერთი პირის მიერ გამოთქმული ინფორმაციისა და მოსაზრებების დაცვას, თუნდაც ამგვარი მოსაზრებები იყოს შოკისმომგვრელი უმრავლესობისთვის“<sup>19</sup>. ტოლერანტობა ინდივიდუალური შეხედულებების მიმართ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე დაცულია ემოციური ან მკვეთრი ენით გამოხატული მოსაზრებები. დაცვის ხარისხი დამოკიდებულია კრიტიკის კონტექსტსა და მიზანზე.

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას უკურეაქცია ხალხის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ მათ მიერ აზრის გამოხატვის გამო. დაუშვებელია პირის თავისუფლების აღკვეთა შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვის გამო. სისხლისსამართლებრივი სანქციის დაწესება შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს სიძულვილის ენას ან ჯგუფების თუ პირების მიმართ დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას.

ცილისწამება უნდა განიხილებოდეს არა როგორც დანაშაული, არამედ როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევა. თუ ცილისწამება კანონით დანაშაულად მიიჩნევა, ეროვნულმა სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს სისხლისსამართლებრივი სასჯელის, კერძოდ, პატიმრობის გამოყენებისგან, რადგან ამგვარი სანქციები ყოველთვის არაპროპორციულია; არც მათი აუცილებლობა დგას დემოკრატიული საზოგადოების ფარგლებში.

არ ხდება სსო-ების შევიწროება, მათი რეპუტაციის შელახვა ეროვნული და ადგილობრივი საჯარო დაწესებულებების მიერ მთავრობის ან მისი პოლიტიკის გაკრიტიკების გამო.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან მათთან დაკავშირებული პირების მიმართ ტარდება სანქციები ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონტექსტის შესახებ აზრის საჯაროდ გამოხატვის გამო;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან მათთან დაკავშირებული პირების მიმართ ტარდება სანქციები საზოგადო მოღვაწეების, რელიგიური ორგანიზაციების ან პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ იუმორისტული ან სატირული კომენტარების გაკეთების გამო;
- ხდება სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების დაპატიმრება მათ მიერ აზრის გამოხატვის შედეგად სხვა ადამიანების რეპუტაციის შელახვის გამო;
- საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათთან დაკავშირებულ პირებს მუდმივად იძახებენ სასამართლოში მათ მიერ გამოხატული მოსაზრებებზე ახსნა-განმარტების წარმოსადგენად;
- მთავრობის ან სხვა საჯარო ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ სსო-ებს არ რთავენ საჯარო განხილვებში, შეხვედრებსა და მედია დებატებში.

<sup>19</sup> ევროპის საბჭო, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში; სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის, 2017, გვ. 75

**2. სახელმწიფო არ აფერხებს იდეების, შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოხატვას, რომლებიც არ შეესაბამება ან კრიტიკულია ოფიციალური პოლიტიკის მიმართ.**

ნებისმიერი კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, უნდა იქნას გამოყენებული იმ ორგანოს მიერ, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი პოლიტიკური, კომერციული ან სხვა არასასურველი გავლენისგან. კანონები უნდა იქნას გატარებული იმგვარად, რომ არ იყოს თვითნებური ან დისკრიმინაციული, მოიცავდეს სათანადო უსაფრთხოების ზომებს, რომლებიც გამორიცხავს ბოროტად გამოყენების, მათ შორის, ბოროტად გამოყენების ნიშნების აღმოფხვრის შესაძლებლობას.

სუბიექტური შეფასება საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, რადგან ის წარმოადგენს პლურალიზმის გამოხატულებას, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სახელმწიფო პოლიტიკა და საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს სსო-ებზე, თანაბრად უნდა გავრცელდეს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას და ისეთებზე, რომლებიც გამოხატავენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ან მოღვაწეობენ მთავრობისთვის ნაკლებად პრიორიტეტულ სფეროში.

სსო-ებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ მედია საშუალებების გამოყენება თავიანთი შეხედულებებისა და მოსაზრებების, მათ შორის ოფიციალური პოლიტიკისადმი კრიტიკული პოზიციის გამოსახატად. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი კანონით უნდა იყოს დაცული. საზოგადოებრივი მაუწყებლების სარედაქციო დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს საბჭოს დანიშვნის მექანიზმით, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კონტროლს. მედიისა და სსო-ების წვდომა ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე არ უნდა იყოს შეზღუდული, მათ უნდა შეეძლოთ მესამე მხარის ინფორმაციის გამოქვეყნება თუკი ამგვარი შეზღუდვა არ არის დაწესებული დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოლიტიკური დებატების პლურალიზმი უნდა იყოს საგანგებოდ დაცული, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიის დროს. საჯარო და კერძო მედია საშუალებების დაფინანსება უნდა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებული, განსაკუთრებით სახელმწიფო რეკლამის განთავსებასთან მიმართებაში.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად აფიქსირებს კრიტიკულ პოზიციას ხელისუფლების მიმართ, ექვემდებარება გადასახადებსა და სახელმწიფო კონტროლს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად;
- სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს, რომლებიც გამოირჩევიან სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ ოპოზიციური განწყობით, არ უშვებენ/ არ იწვევენ სახელმწიფო ტელევიზიებში;
- სსო-ს გვერდები ან საიტები დაბლოკილია ან დახურულია მინისტრის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანების საფუძველზე;
- ინსტიტუტები ახორციელებენ ცილისმწამლებურ კამპანიას სსო-ებისა და მათი დონორების მიმართ.

**3. სიძულვილის ენისთვის დაწესებული სანქციები აუცილებელი და პროპორციულია; შეუძლებელი იქნებოდა იმავე შედეგის მიღება ნაკლებად ინტრუზიული ზომების გამოყენებით**

ხელისუფლებამ არ უნდა გამოიყენოს კანონმდებლობა სიძულვილის გაღვივების შესახებ, როგორც „მოქალაქეთა იძულების საშუალება უარი თქვან საერთო ინტერესის საკითხებზე გამართულ კანონიერ

დემოკრატიულ დებატებში მონაწილეობის მიღებაზე<sup>20</sup>. გამოყენებული სანქციები უნდა იყოს პროპორციული (არც იმდენად სუსტი, რომ წახალისოს სიძულვილის რიტორიკა და არც იმდენად მკაცრი, რომ შეაფერხოს გამოხატვის თავისუფლება).

დაწესებული სანქციები უნდა შეესაბამებოდეს სამმაგ ტესტს; ისინი უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და აუცილებელი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სასამართლოები არ იყენებენ ექვსპუნქტიან ბარიერულ ტესტს (იხ. განმარტებების ნაწილი) იმის შესაფასებლად, სადავო განცხადება კვალიფიცირდება თუ არა, როგორც „სიძულვილის ენა“ ან ხდვება თუ არა სხვა დებულებების რეგულირების ფარგლებში (მაგალითად, ცილისწამება);
- როდესაც სასამართლოები აწესებენ სანქციებს სიძულვილის ენის საპასუხოდ, ისინი სათანადოდ არ აფასებენ სანქციის პროპორციულობას თითოეული კონკრეტული დარღვევისთვის. როგორც წესი, ისინი აწესებენ ჯარიმებს, რომლებიც მეტისმეტად რბილია ან მეტისმეტად მკაცრი.

**4. არ დაფიქსირებულა ჟურნალისტების, აქტივისტების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების დევნის ან გასამართლების ფაქტები ყალბი ინფორმაციის/ნიუსის ან დეზინფორმაციის შექმნის და გავრცელების ბრალდებით.**

როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის ორგანოები სისტემატურად აცხადებენ, ჟურნალისტების დევნა ან გასამართლება მხოლოდ „ყალბი ინფორმაციის“ შექმნის და გავრცელების ბრალდებით ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების დაცვის პრინციპებს. აღნიშნული გამოხატვის თავისუფლების დაცვის პრინციპები ასევე ვრცელდება ნებისმიერ პირზე, ვინც ინფორმაციის მოძიების, მიღების და გავრცელების გზით ჟურნალისტიკის ფუნქციებს ასრულებს (ე.წ. სამოქალაქო ჟურნალისტიკა).“

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად მიიჩნევა:**

- სსო-ების, ბლოგერების ან აქტივისტების დევნა ხდება სასამართლოს წესით ან მათ უწესდებით სანქციები „არასწორი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის“ გავრცელების ბრალდებით.

**სტანდარტი 2.**

**სახელმწიფო ხელს უწყობს და იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას**

სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს და დაიცვას აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა შექმნას გარემო, სადაც ხდება ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება და შინაარსის მრავალფეროვნების დაცვა. არ უნდა დაწესდეს შეზღუდვა საკომუნიკაციო საშუალებების, როგორცაა ინტერნეტი, თავისუფალ გამოყენებაზე. არ უნდა არსებობდეს ცენზურა. მედიის მეშვეობით ცილისწამების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სწრაფი და პროპორციული რეაგირება. ჟურნალისტების საქმიანობა უნდა იყოს დაცული; ასევე უნდა იყოს დაცული მათი უფლება ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.

**კანონმდებლობა**

<sup>20</sup> ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ, (ევროკავშირის საბჭო), 2014, გვ. 18

### ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით

1. არ არსებობს შეზღუდვა მოსაზრებების გამოსახატად ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების თავისუფალ გამოყენებაზე;
2. ცენზურის წინააღმდეგ არსებობს დაცვის მკაფიო მექანიზმები და გარანტიები;
3. კანონი იცავს მამხილებელი პირებისა და ჟურნალისტების საინფორმაციო წყაროების კონფიდენციალურობას;
4. არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული და პროპორციული სანქციები ცილისწამების შემთხვევებისთვის; არ ხდება ამ უკანასკნელის კრიმინალიზება.

### 1. არ არსებობს შეზღუდვა მოსაზრებების გამოსახატად ინტერნეტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების თავისუფალ გამოყენებაზე

გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ის უფლებები, რომლებიც ადამიანები სარგებლობენ ოფლაინ რეჟიმში, ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ონლაინ რეჟიმში. თუმცა, ინტერნეტი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით - მაგ. იგი უზრუნველყოფს შესვლის შეუზღუდავ წერტილებს შეუზღუდავი რაოდენობის მომხმარებელთათვის, სამაუწყებლო მედიისგან განსხვავებით, რომელიც ხასიათდება შეზღუდული გამტარობით და, შესაბამისად, ოპერატორებს შორის შეზღუდული სიხშირით.

ინტერნეტსა და სამაუწყებლო მედიას შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები ადგენს, რომ:

- ინტერნეტი არ უნდა ექვემდებარებოდეს იმავე სალიცენზიო და სარეგისტრაციო წესებს, როგორც სამაუწყებლო მედია (მაგ. რადიო და ტელევიზია). ამ უკანასკნელისთვის აღნიშნული წესები აუცილებელი იყო შეზღუდული სიხშირეების სამართლიანად გადანაწილების უზრუნველსაყოფად;
- ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეწყვეტა მთლიანი მოსახლეობისთვის ან საზოგადოების გარკვეული სეგმენტებისთვის არასდროს შეიძლება იყოს გამართლებული, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე. იგივე ეხება ინტერნეტის ან ინტერნეტის გარკვეული ნაწილის შეფერხებას.<sup>21</sup>
- სრული აკრძალვები საიტების, ბლოგების ან ნებისმიერი სხვა ონლაინ საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირებაზე, მათ შორის სისტემებზე, რომლებიც ხელს უწყობს კომუნიკაციას (მაგალითად, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები ან საძიებო სისტემები), არ შეესაბამება ზემოთ მოყვანილ სამმაგ ტესტს. შეზღუდვები უნდა იყოს შინაარსზე მორგებული და კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ „არ მოხდეს კონტენტის, აპლიკაციების ან სერვისების დაბლოკვა ან შეფერხება გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა“ (მაგ. სასამართლო ორდერის ან საკანონმდებლო დებულების განხორციელება, ბავშვებთან უხეში მოპყრობის ან ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ საკანონმდებლო დებულებების შესრულება, ქსელის უსაფრთხოების საკითხები, არასასურველი კომუნიკაციის თავიდან აცილება, დატვირთულობის შემცირება).<sup>22</sup>

<sup>21</sup> ერთობლივი დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლებისა და ინტერნეტის შესახებ (გაეროს სპეციალური მომხსენებელი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (“OSCE”) წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (“OAS”) სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე და ადამიანთა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (“ACHPR”) სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ), 2011, მუხლი 6 ბ;

<sup>22</sup> ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ, (ევროკავშირის საბჭო), 2014, გვ. 20

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ინტერნეტ კომპანიები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ და მიიღონ ლიცენზია, რათა შეძლონ ქვეყნის მოსახლეობაზე წვდომა;
- ბლოგერებმა, რომლებსაც ჰყავთ ყოველდღიურად 1000-ზე მეტი ვიზიტორი, უნდა შეასრულონ იგივე მოთხოვნები, როგორც მედიამ.

**2. ცენზურის წინააღმდეგ არსებობს დაცვის მკაფიო მექანიზმები და გარანტიები**

ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს იმ კანონებისა და პრაქტიკისგან ცალსახა დაცვა, რომლებიც აწესებს „ცენზურას, ახალისებს თვით-ცენზურას ან ითვალისწინებს სამართლებრივ ჯარიმას, მათ შორის კრიმინალურ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ სანქციას აზრის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევით.“<sup>23</sup>

ცენზურად ითვლება ინფორმაციის გამოქვეყნების წინ გატარებული ზომები, როგორცაა ჟურნალისტების ლიცენზირება, პერიოდული სტატიის გამოცემაზე უარის თქმა, გამოქვეყნებამდე თანამდებობის პირის მიერ სტატიის შესწავლა ან გამოქვეყნების აკრძალვა. აღნიშნულმა შეზღუდვებმა შესაძლოა შეამციროს გაზიარებული ინფორმაციის ღირებულება, მაშინაც კი, თუ ისინი დროებითია.

ცენზურის ნებისმიერი ფორმა, რომელიც მიუღებელია „ტრადიციული მედიის“ ფარგლებში, არ უნდა იქნას გამოყენებული ონლაინ მედიისთვის. არ უნდა იქნას შემუშავებული ცენზურის ახალი ფორმები, როგორცაა კონტენტის ფილტრაცია ან ტრეფიკის შეზღუდვა გარკვეულ ვებ-გვერდებზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს ცენზურისგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
- საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური ვალდებულია წარადგინოს ახალი ამბების თემა წინასწარი ნებართვის მისაღებად;
- სსო-ს პუბლიკაციები და ვებ-გვერდის ინფორმაცია უნდა იქნას შესწავლილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოქვეყნებამდე.

**3. კანონი იცავს მამხილებელი პირებისა და ჟურნალისტების საინფორმაციო წყაროების კონფიდენციალურობას**

სახელმწიფო კანონმდებლობამ უნდა დაიცვას ნებისმიერი სსო ან მასთან დაკავშირებული პირი იმ ინფორმაციის გამჟღავნებისას, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს საფრთხეს ან ზიანს კონკრეტული საზოგადოებრივი ინტერესისთვის, როგორცაა ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის დარღვევა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, გაფლანგვა, თაღლითობა, ზიანი გარემოს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართ. დაცვის მექანიზმები ასევე უნდა გავრცელდეს აღნიშნული ინფორმაციის მიმღებ ჟურნალისტებზე. მათ არ უნდა მოეთხოვოთ ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება.

მამხილებელ პირთა დაცვა აუცილებელია გადაცდომების, თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევების შესახებ შეტყობინების წასახალისებლად. სახელმწიფომ უნდა შექმნას გარემო, სადაც „ხდება გადაცდომების შეტყობინება და ღიად დაფიქსირება, პირების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების დაყენება კი - არ მოიცავს რაიმე სახის საფრთხეს“<sup>24</sup>. რეკომენდაციის თანახმად, „დანერგილი

<sup>23</sup> ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ, (ევროკავშირის საბჭო), 2014, გვ. 17

<sup>24</sup> ევროპის საბჭო, რეკომენდაცია CM/Rec (2014)7 მამხილებელი პირებისა და განმარტებითი მემორანდუმის დაცვის შესახებ, პრინციპი 12

უნდა იყოს შესაბამისი არხები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების დაფიქსირებისა და გამჟღავნებისთვის, მათზე რეაგირება კი უნდა მოხდეს სათანადო ზომების გამოყენებით.<sup>25</sup>

ECtHR იურისპრუდენციის ფარგლებში, შემუშავებულ იქნა ექვსპუნქტიანი ტესტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ექვემდებარება მამხილებელი პირი დაცვას. ტესტი იკვლევს შემდეგ ფაქტორებს:

1. სცადა თუ არა მამხილებელმა პირმა მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება შეტყობინების შიდა მექანიზმის გამოყენებით, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ამგვარი შეტყობინება „აშკარად შეუძლებელია“?
2. შესაძლებელია თუ არა საზოგადოების ინტერესი კონკრეტული ინფორმაციის მიმართ იყოს იმდენად ძლიერი, რომ „გადაწონოს კანონით დაკისრებული ვალდებულება ნდობის შესახებ“?
3. გადასწონის თუ არა გამჟღავნების შედეგად საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებულ ზიანს საზოგადოების ინტერესი ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ?
4. არის თუ არა გამჟღავნებული ინფორმაცია ზუსტი და სანდო, „გარემოებების გათვალისწინებით“?
5. მოქმედებდა თუ არა მამხილებელი პირი კეთილსინდისიერად, ან ხომ არ იყო მისი მოტივაცია „პირადი განაწყენება, პირადი ანტაგონიზმი ან პირადი სარგებლის, მათ შორის ფულადი მოგების მიღება“, რაც არ გაამართლებდა „დაცვის განსაკუთრებით მაღალ დონეს“?
6. იყო თუ არა მამხილებელ პირზე დაკისრებული ჯარიმა პროპორციული „ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინებით“?

გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაცული უნდა იყოს ჟურნალისტების სამართლებრივი უფლება არ გაამჟღავნონ წყაროების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. ასევე უნდა მოხდეს ჟურნალისტებთან პროფესიულად დაკავშირებული პირების დაცვა, რომლებსაც წყარო ცნობილი გახდა ინფორმაციის შეგროვების, სარედაქციო დამუშავების ან გავრცელების პროცესში.

მთავრობამ უნდა შექმნას თავისუფალი და ხელსაყრელი გარემო, სადაც ჟურნალისტებს შეეძლებათ თავიანთი საქმიანობის უსაფრთხოდ წარმართვა, ცენზურისა ან შეზღუდვების შიშის გარეშე.

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განიხილავს ჟურნალისტთა ჩხრეკასა და ჟურნალისტური მასალების ამოღებას, როგორც „აუცილებელ“ დონისძიებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხორციელდება მამხილებელ პირთა დევნა კონფიდენციალურობის შეთანხმებების ან კომერციული საიდუმლოების კანონმდებლობის დარღვევისთვის, მაშინაც კი, როცა ინფორმაციის გამჟღავნება საზოგადოებრივ ინტერესშია;
- ხდება ჟურნალისტების სამუშაო ოფისებში შესვლა და ჟურნალისტური წყაროების იდენტიფიცირების მიზნით მასალების ამოღება;
- ხდება ჟურნალისტების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა წყაროების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმისთვის.

**4. არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული და პროპორციული სანქციები ცილისწამების შემთხვევებისთვის; არ ხდება ამ უკანასკნელის კრიმინალიზება**

ცილისწამების შესახებ კანონმდებლობის მიზანია დაიცვას ადამიანები ფაქტობრივი ხასიათის ცრუ განცხადებებისგან, რომლებიც ლახავს მათ ღირსებასა და რეპუტაციას. გამოხატვის თავისუფლება

<sup>25</sup> იგივე, პრინციპი 13

შესაძლოა შეზღუდული იყოს სხვების უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის აუცილებლობით, მაგრამ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს სამმაგ ტესტს - ეს ნიშნავს, რომ შეზღუდვა არის კანონით დადგენილი; იგი უცილებელია („პროპორციული“) ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რადგან ნაკლებად შემაკავებელი ზომები ვერ უზრუნველყოფს იმავე შედეგის მიღებას.

ცილისწამება უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული ჯარიმებს და არა სისხლისსამართლებრივ სანქციებს. „ცილისწამების კრიმინალიზება არ არის გამოხატვის თავისუფლების გამართლებული შეზღუდვა; უნდა მოხდეს ცილისწამების კრიმინალიზების ნებისმიერი კანონის გაუქმება და მისი ჩანაცვლება შესაბამისი, პროპორციული სამოქალაქო კანონებით“<sup>26</sup>. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ცილისწამების დეკრიმინალიზაციის შესაძლებლობა; ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურესად მძიმე შემთხვევებში. პატიმრობა არასდროს წარმოადგენს პროპორციულ სასჯელს.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ცილისწამების ყველა შემთხვევაზე ვრცელდება დასჯის ერთი და იგივე ზომა, განსხვავებულ გარემოებებში აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე;
- ცილისწამება არის სისხლის სამართლის დანაშაული;
- ცილისწამება სამოქალაქო დანაშაულია, მაგრამ კანონით გათვალისწინებული სამოქალაქო სანქციები დემოკრატიული საზოგადოებისთვის არაპროპორციული და ზედმეტია.

**პრაქტიკა**

<b>ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით</b>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ტრადიციული და ონლაინ მედიის ბლოკირების შემთხვევები ყოველთვის ეფუძნება სამართლებრივ მიზეზებს; ისინი ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულია.</li> <li>2. ინტერნეტში ინფორმაციის გამოქვეყნება არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ტრადიციული მედიისთვის მოქმედ კონკრეტულ ადმინისტრაციულ რეგულაციებთან შესაბამისობას.</li> <li>3. ადგილი არ აქვს პოლიციის მიერ ჟურნალისტების დაკავების ან მედია საიტებზე თავდასხმის შემთხვევებს ინფორმაციის წყაროების გამოსავლენად.</li> <li>4. სახელმწიფო უწყებები ხელს უწყობენ სანდო, გადამოწმებადი და სარწმუნო ინფორმაციის გავრცელებას.</li> </ol>

**1. ტრადიციული და ონლაინ მედიის ბლოკირების შემთხვევები ყოველთვის ეფუძნება სამართლებრივ მიზეზებს; ისინი ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულია**

ადგილი არ აქვს „საკომუნიკაციო ქსელების დაბლოკვის, გაფილტვრის, ცენზურაში გატარების ან დახურვის მცდელობას ან სხვა სახის ჩარევას საერთაშორისო სამართლის დარღვევით“.<sup>27</sup>

ტრადიციული ან ონლაინ მედიის ბლოკირების ნებისმიერი შემთხვევა (მიუხედავად იმისა, რა პერიოდით რჩება ბლოკირება ძალაში) უნდა შეესაბამებოდეს სამმაგ ტესტს, რაც ნიშნავს, რომ ის უნდა

<sup>26</sup> გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობი საერთაშორისო მექანიზმების შესახებ ერთობლივი დეკლარაცია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სპეციალური მომხსენებლის მიერ, 2002.

<sup>27</sup> ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ, (ევროკავშირის საბჭო), 2014, მუხლი 33 დ

იყოს კანონით დადგენილი. ის უნდა იყოს აუცილებელი („პროპორციული“) ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რადგან ნაკლებად შემაკავებელი ზომა ვერ უზრუნველყოფდა იმავე შედეგის მიღებას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხდება ვებ-გვერდის დაბლოკვა, შეფერხება ან დახურვა იმ მიზეზით, რომ ის კრიტიკულად განწყობილია მთავრობის ან მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური სისტემის მიმართ;
- ადგილობრივი პროვაიდერი ბლოკავს სატელევიზიო გადაცემას იმ დროს, როდესაც გამოდიან ოპოზიციის ლიდერები;
- ხდება კერძო მაუწყებლის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება წინასწარი გაფრთხილების ან კანონით გათვალისწინებული ადეკვატური საფუძვლის გარეშე.

## **2. ინტერნეტში ინფორმაციის გამოქვეყნება არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ტრადიციული მედიისთვის მოქმედ კონკრეტულ ადმინისტრაციულ რეგულაციებთან შესაბამისობას.**

ინდივიდუალური პირები და სსო-ები არ უნდა განიხილებოდნენ, როგორც პერიოდული ხასიათის ინფორმაციის გამავრცელებელი მედია საშუალებები, როგორცაა გაზეთები, მაუწყებლობა ან ტელევიზია.

ინდივიდუალურ პირებსა და სსო-ებს არ უნდა მოეთხოვოთ ნებართვის მიღება ნებისმიერი ფორმით ინტერნეტ კონტენტის გამოქვეყნებაზე, თუკი ეს არ ემსახურება სხვა ლეგიტიმური უფლებების დაცვას (მაგ. საავტორო უფლებები).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ბლოგინგი განიხილება მასმედიის საქმიანობად. მან უნდა დააკმაყოფილოს მედია ინსტიტუტებისთვის მოქმედი სამართლებრივი პროცედურები, როგორცაა რეგისტრაცია, ლიცენზირება და ა.შ.

## **3. ადგილი არ აქვს პოლიციის მიერ ჟურნალისტების დაკავების ან მედია საიტებზე თავდასხმის შემთხვევებს ინფორმაციის წყაროების გამოსავლენად**

პოლიციის შესვლა გაზეთის რედაქციის ან მაუწყებლის შენობაში ან ჩხრეკის ჩატარება წარმოადგენს პრესის თავისუფლების შელახვას. მიუხედავად იმისა, ამგვარი ქმედება ნებადართულია სასამართლო ბრძანებით თუ არა, ჩხრეკა საფრთხეს უქმნის ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალობას და წარმოადგენს ცენზურის ფორმას ქვეყნის მასშტაბით ყველა ჟურნალისტისთვის.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხორციელდება მედია დაწესებულების ჩხრეკა პოლიციის მიერ; ხდება ტექნიკის ამოღება გამოძიების დასრულების შემდეგ, რომელიც მედია ინსტიტუტმა ჩაატარა კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით;
- ხდება ჟურნალისტების გასამართლება და დაპატიმრება მას შემდეგ, რაც მათ უარი განაცხადეს სასამართლოსთვის ინფორმაციის წყაროების გამჟღავნებაზე.

## **4. ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ სანდო, დადასტურებული და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებში ასევე ხაზგასმულია სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულება, აკონტროლონ დეზინფორმების გავრცელება თავისუფალი, დამოუკიდებელი და მრავალფეროვანი კომუნიკაციის წამახალისებელი გარემოს ხელშეწყობით. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს პროაქტიულ ვალდებულებას სანდო, დადასტურებული და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის თაობაზე და ისეთი მონაცემების შექმნის ან გავრცელებისგან თავის

შეკავებას, რომლებიც ცნობილია ყალბი მონაცემების სახელით, მათ შორის, რომლებიც წარმოადგენს დადასტურებული ინფორმაციის უგუნურ უარყოფას (ეს უკანასკნელი განიმარტება როგორც პროპაგანდა).

#### ადნიშნული ინდიკატორის დარღვევები შეიძლება მოიცავდეს:

- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მედია ქმნის და წახალისებს კამპანიებს, რომლებიც ადგილობრივი სსო-ების საქმიანობის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გზით მათ მიერ დახმარების მიღებისა და სისხლისსამართლებრივ საქმიანობაში ჩართულობის შესახებ (მაგალითად, მიგრანტების ტრეფიკინგი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თაობაზე პანიკის გავრცელება ან სოციალური დასვენება, ა.შ).
- სახელმწიფო აქტორები მათი სოციალური მედიის არხებზე ავრცელებენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რომელიც წახალისებს შუღლსა და სიძულვილს მოსახლეობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც კრიტიკულადაა განწყობილი მათი პოლიტიკური საქმიანობის მიმართ.

#### შესაბამისი რესურსები

- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხლი 5, 19, 20
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10
- ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ქარტია, მუხლი 11
- გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, მუხლი 33
- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ICCPR (2011)-ის მე-19 მუხლზე ზოგადი კომენტარი N34
- ევროკავშირის საბჭო, ევროკავშირის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ონლაინ და ოფლაინ(2014)
- ევროკავშირის ჩარჩო გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის გარკვეული ფორმებისა და გამოხატვის წინააღმდეგ (2014)
- გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, *როსი კანადის წინააღმდეგ* (2000)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ* (1994)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *გუნდუზი თურქეთის წინააღმდეგ* (2003)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1976)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *სენერი თურქეთის წინააღმდეგ* (2000)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ* (1985)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *იონი საფრანგეთის წინააღმდეგ* (2003)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *კოიოკარუ რუმინეთის წინააღმდეგ* (2015)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: დიდი პალატა, *მაგიარ ჰელსინკი ბიზოტსავი უნგრეთის წინააღმდეგ* (2016)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *მანოლე და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ* (2009)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *როუმენტი და შმიტი ლუქსემბურგის წინააღმდეგ* (2003)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: გუჯა მოლდოვას წინააღმდეგ (2008)
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თეორია და პრაქტიკა, მე-4 გამოცემა (2006)
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია ინტერნეტით სარგებლობის უფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ A/HRC/RES/38/7 (2018 წლის 17 ივლისი);
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია ინტერნეტით სარგებლობის უფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, 2012, A/HRC/RES/20/8 (2012 წლის 29 ივნისი);
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი უმაღლესი კომისრის ანგარიში ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წაქეზების აკრძალვის საკითხებზე - დანართი: რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წაქეზების აკრძალვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წახალისებას, A/HRC/22/17/Add.4 (11 იანვარი, 2013)

- „გამოხატვისა და ინტერნეტის თავისუფლების შესახებ“ ერთობლივი დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის, გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის, გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე ადამიანის და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტიის სპეციალური მომხსენებლის მიერ (1 ივნისი 2011)
- გამოხატვის თავისუფლების ხელშემწყობი საერთაშორისო მექანიზმების შესახებ ერთობლივი დეკლარაცია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სპეციალური მომხსენებლის მიერ (10 დეკემბერი 2002)
- გამოხატვის თავისუფლების და „ყალბი ინფორმაციის/ნიუსის“, დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ საერთო დეკლარაცია, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის დეკლარაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხზე, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე და აფრიკის ადამიანის უფლებათა და ხალხთა უფლებების კომისიის სპეციალური მომხსენებელი გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხებზე (2017 წლის 3 მარტი).
- წევრი სახელმწიფოების მიერ პაქტის მე-40 მუხლის თანახმად მოწოდებული რეპორტების განხილვა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს მიერ.
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხორციელებული დაკვირვებების შეჯამება, კამერუნი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ/ CCPR /C/79/Add.116. 1999 წლის ნოემბერი
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხორციელებული დაკვირვებების შეჯამება, სომხეთი, გაეროს დოკუმენტი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ/ CCPR/C/79/Add.100, 1998 წლის 19 ნოემბერი.
- ევროპის საბჭო, გამოხატვის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე -10 მუხლი - ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო № 2, მე-2 გამოცემა (2004)
- ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გამოხატვის თავისუფლების დაცვა: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის (2017)
- ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები და დეკლარაციები მედიისა და საინფორმაციო საზოგადოების სფეროში (2016)
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1577 (2007): ცილისწამების დეკრიმინალიზაცია და შესაბამისი რეკომენდაცია 1814 (2007) (მიღებული 4 ოქტ 2007)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია 2007(2) მედია პლურალიზმისა და მედიის მრავალფეროვნების შესახებ (მიღებული 31 იანვარი 2007)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2014)7 მამხილებელი პირებისა და განმარტებითი მემორანდუმის დაცვის შესახებ (მიღებული 2014 წლის 30 აპრილს)
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (2000) 7 წევრი ქვეყნებისთვის ჟურნალისტების უფლებაზე არ გაამყდავნონ ინფორმაცია წყაროების შესახებ (მიღებული 2000 წლის 8 მარტს)
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM / Rec (2018) 1 წევრი ქვეყნებისთვის მედია პლურალიზმისა და მედია საკუთრების გამჭვირვალობის შესახებ (მიღებული 2018 წლის 7 მარტს)
- ევროპის საბჭოს მოხსენება, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი DGI (2017)9, „ინფორმაციული არეულობა: კვლევების განხორციელების და პოლიტიკის შემუშავების ინტერდისციპლინარული სისტემა“.
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, OECD ქვეყნებში მამხილებელ პირთა დაცვა: ვალდებულებებიდან ეფექტურ დაცვამდე (2014)

- მუხლი 19, ცილისწამების განსაზღვრა: გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის დაცვის პრინციპები (2017)
- ევროპის საბჭოს ანგარიში, 2017, „ინფორმაციული უწყესრიგობა: კვლევისა და პოლიტიკის შემუშავების ინტერდისციპლინარული ჩარჩოსკენ“
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მამხილებელთა დაცვის განხილვა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში: ვალდებულებებიდან ეფექტურ დაცვამდე (2014)
- ევროკომისია, ევროპის პარლამენტთან კომუნიკაცია, საბჭო, ევროპის საბჭო, სოციალური საკითხების კომიტეტი და რეგიონების კომიტეტი, „ბრძოლა ონლაინ დეზინფორმაციასთან: ევროპული მიდგომა“ (2018 წლის 26 აპრილი)
- ევროკომისია, ევროპის პარლამენტთან კომუნიკაცია, საბჭო, ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტი და რეგიონების კომიტეტი, „ონლაინ დეზინფორმაციასთან ბრძოლა: ევროპული მიდგომა“ (2018 წლის 26 აპრილი)
- მუხლი 19, დეფამაციის განმარტება: გამოხატვის თავისუფლების პრინციპები და რეპუტაციის დაცვა (2017).

## სფერო 7.

# პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

### სტანდარტი 1. ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებებით

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, კორესპონდენციის პატივისცემას. აღნიშნული უფლება ყველასათვის გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა ასევე ვრცელდება სსო-ებზე. საჭიროა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასთან მიმართებაში ოპტიმალური ბალანსის დაცვა. ნებისმიერი ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს კანონით გათვალისწინებულ ნორმებს და უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა ან მისი დარღვევა უნდა იქნას გამოძიებული და კანონით დასჯილი.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
2. კანონი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ან დარღვევისგან დამცავ მექანიზმებს, განურჩევლად იმისა, ხორციელდება თუ არა ამგვარი ქმედება სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ, ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმში.
3. კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების მიერ კერძო პირების პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას.

### 1. ნებისმიერი პირი სარგებლობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა სტანდარტების მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. დაუშვებელია აღნიშნული უფლების თვითნებური ან უკანონო დარღვევა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა ზღუდავდეს გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ეს ეხება შემთხვევებს, როცა საზოგადოების ინტერესი გარკვეული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიმართ გადასწონის საზოგადოების ინტერესს ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ.

„პირადი ცხოვრების“ ცნება შესაძლოა ასევე გავრცელდეს პროფესიულ და ბიზნეს საქმიანობაზე, ისევე როგორც პირის ფიზიკური და სოციალური იდენტურობის ასპექტებზე, მათ შორის პირადი ავტონომიის, პიროვნული განვითარების და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უფლებაზე. ამგვარად, ვინმეს „პირადი ცხოვრების“ ხელშეუხებლობა ასევე მოიცავს „პირადი სოციალური ცხოვრების“ უფლებას, რაც გულისხმობს ცალკეული პირის შესაძლებლობას განავითაროს საკუთარი პიროვნების სოციალური ასპექტები შეუსაბამო ჩარევების გარეშე. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“ მოიცავს სახლის, რეპუტაციის, კომუნიკაციისა და პირადი მონაცემების ხელშეუხებლობას. „ხელშეუხებლობის“ ცნება ასევე ვრცელდება სახლსა და კორესპონდენციაზე, რაც სსო-ების შემთხვევაში გულისხმობს მათ სამუშაო ოფისებსა და დაკავშირებულ აქტივებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ასევე ვრცელდება ასოციაციებსა და მათ წევრებზე. აქედან გამომდინარე, სსო-ზე დაწესებული ნებისმიერი სამართლებრივი მოთხოვნა იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელზეც მოქმედებს მონაცემთა დაცვის წესები, უნდა აკმაყოფილებდეს სამმაგი ტესტის პირობებს. ტესტი მოითხოვს, რომ შეზღუდვებს:

1. ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი;
2. ემსახურებოდეს კანონიერ ინტერესებს (სახელმწიფო უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, სახელმწიფო მანეტარული ინტერესების დაცვა, სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა);
3. იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

თუკი არ სრულდება რომელიმე კრიტერიუმი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა გაუმართლებელია.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უნდა იყოს გარანტირებული სსო-ებისა და მათი დამფუძნებლების, წევრების, ბენეფიციარების, დონორებისა და სხვა დაკავშირებული პირებისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. სსო-ებზე „არ უნდა გავრცელდეს მათი წევრების სახელებისა და მისამართების გამჟღავნების ზოგადი ვალდებულება, ვინაიდან ეს შეუთავსებელი იქნება გაერთიანების თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან“<sup>28</sup>. გარდა ამისა, სსო-ებზე ზედამხედველობა და კონტროლი არ უნდა იყოს იმაზე მეტად მკაცრი, ვიდრე ზედამხედველობა და კონტროლი კერძო ბიზნეს კომპანიებზე.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის მოთხოვნების შესაბამისად (მაგ. არ უნდა გამჟღავნდეს ინფორმაცია თანამშრომლების ჯანმრთელობის ჩანაწერების შესახებ, რადგან ისინი შეიცავს კონფიდენციალურ სამედიცინო მონაცემებს)

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მონაცემთა გამჟღავნების დებულებები სსო-ებისთვის უფრო მკაცრი ან ინტრუზიულია, ვიდრე კერძო ბიზნესისთვის;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვები ვრცელდება ყველა სსო-ზე ერთნაირად, ზომამში, სტრუქტურაში და საქმიანობაში არსებული განსხვავებების განურჩევლად;
- დებულებები, რომლებიც მოითხოვს სსო-ების მიერ პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას, არაპროპორციულია. ისინი არ არის გამართლებული ლეგიტიმური ინტერესებით.

## **2. კანონი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევისგან დაცვის მექანიზმებს, განურჩევლად იმისა, ხორციელდება თუ არა ამგვარი ქმედება სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიერ, ონლაინ თუ ოფლაინ რეჟიმში**

საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები კრძალავს სახელმწიფოს მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში უკანონო და თვითნებური ჩარევის ნებისმიერ ფორმას. აღნიშნული სტანდარტები ასევე აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვას პირები და ორგანიზაციები მესამე მხარის მიერ უფლებებში ჩარევისგან. კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი დამფუძნებლების, წევრების, ბენეფიციარების, საბჭოს წევრების, დონორების და სხვა დაკავშირებული პირების პირად ცხოვრებაში

<sup>28</sup> OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო მითითებები გაერთიანების თავისუფლების შესახებ 2015, მუხლი 167

ჩარევითვის - მიუხედავად იმისა, ჩარევა ხორციელდება სახელმწიფოს თუ მესამე მხარის მხრიდან. კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობის დაცვა როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ რეჟიმში. სახელმწიფომ არ უნდა აიძულოს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები გამაჟღავნონ ონლაინ რეჟიმში (ან სხვა ელექტრონული ტექნოლოგიების საშუალებით) გაცვლილი ინფორმაცია, თუ არ არსებობს სათანადო სასამართლო ბრძანება, მიღებული ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე. ეს ეხება ინფორმაციას, რომელიც გაცვლილია ასოციაციის წევრ პირებს შორის ან თავად ასოციაციებს შორის.

სახელმწიფო არ არღვევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათი დამფუძნებლების, წევრების, ბენეფიციარების, დონორების და სხვა დაკავშირებული პირების უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. აღნიშნულ უფლებაში ჩარევის ყოველი შემთხვევა უნდა იქნას განხილული დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ.

საკანონმდებლო ორგანოებმა ვიწროდ უნდა განსაზღვრონ დებულებები, რომლებიც იძლევა სსო-ებზე კონტროლის განხორციელების ნებართვას. ამგვარი ღონისძიებები ყოველთვის ეფუძნებოდას დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ ლეგიტიმური მიზნებისთვის გაცემულ სასამართლოს ბრძანებას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს დებულებები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავდა სახელმწიფოს ან სხვა მხარის პასუხისმგებლობას მათ მიერ სსო-ების ან მათი წევრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის დროს; მაგ: სსო-ს წევრების კომუნიკაციის ფარული მოსმენა;
- კანონი არ მოითხოვს ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი სასამართლოსგან ორდერის მიღებას სსო-ებისგან ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნამდე.

**3. კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების მიერ კერძო პირების პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას**

არ უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების გამაჟღავნება, გასაჯაროება ან სხვაგვარად გამოყენება მიზნებისთვის, რომლებიც არ ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალური მდგომარეობის ან მოქალაქეთა სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. პერსონალური მონაცემების გამაჟღავნება შესაძლებელია მაშინ, როცა არსებობს პირის ან სუბიექტის თანახმობა მათი გამოყენების შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნას ითვალისწინებს ზოგადი მონაცემების დაცვის შესახებ ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებზე, არამედ ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოქმედ სუბიექტებზე, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ევროკავშირის მოქალაქეებთან (მაგალითად, ფანდრაიზინგით) ან რომლებიც აგროვებენ, ამუშავებენ და ინახავენ ევროკავშირის მოქალაქეთა მონაცემებს.

სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს სათანადო სანქციები და დანერგოს კონფიდენციალურობის უფლების დაცვის სხვა საშუალებები, როცა ხდება მისი დარღვევა. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტებისადმი ანტიდისკრიმინაციული მიდგომის გამოყენება. ინდივიდუალურ პირთათვის განკუთვნილი უსაფრთხოების გარანტიები ასევე უნდა გავრცელდეს ასოციაციებზე განურჩევლად იმისა, არიან ისინი იურიდიული პირები თუ არა.

უნდა არსებობდეს არსებითი და საპროცესო გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდეთ წვდომა (ან გამოყენების უნარი) მონაცემებზე მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ამის აუცილებლობა (მაგალითად, სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი იძლევა პირადი მონაცემების გამჟღავნების უფლებას არალეგიტიმური მიზნებისთვის პირის თანხმობის გარეშე;
- პირადი მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გამოყენების წესები არ არის გაწერილი საკანონმდებლო აქტებში ან სსო-ებისთვის ბუნდოვანი, გაურკვეველი და გაუგებარია და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო ორგანოები იძიებენ და სჯიან კონფიდენციალურობის უფლების დარღვევის შემთხვევებს;</li> <li>2. სსო-ები და მათთან დაკავშირებული პირები დაცული არიან პერსონალური ინფორმაციის არაკორექტული ან არაპროპორციული შეგროვებისგან, დამუშავებისა და შენახვისგან, ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში.</li> </ol>

### 1. სახელმწიფო ორგანოები იძიებენ და სჯიან კონფიდენციალურობის უფლების დარღვევის შემთხვევებს

კონფიდენციალურობის უფლების დარღვევა დაუყოვნებლივ და სამართლიანად უნდა იქნას გამოძიებული, დამრღვევი მხარის მიმართ კი გამოყენებული უნდა იქნას კანონით გათვალისწინებული პროპორციული სანქციები. სსო-ებს, მათ დამფუძნებლებს, წევრებსა და სხვა დაკავშირებულ პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება მოითხოვონ კომპენსაცია სახელმწიფოს მეთვალყურეობის შედეგად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ან სხვა დაკავშირებულ უფლებებში ნებისმიერი სახის უკანონო ჩარევისთვის - მაშინაც კი, თუ ასეთი მეთვალყურეობა ხორციელდება კანონის ფარგლებში და მიზნად ისახავს ეროვნული უსაფრთხოების დაცვასა და დანაშაულთან ბრძოლას - თუ ჩარევა არის არაპროპორციული და ზედმეტი დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა უნდა განხორციელდეს სასამართლოში.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, მათ დამფუძნებლებზე, წევრებზე ან სხვა დაკავშირებულ პირებზე განხორციელდა მეთვალყურეობა ან მოსმენა საკმარისი სამართლებრივი გარანტიების გარეშე, როგორცაა სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით დადგენილი ლეგიტიმური მიზეზები (მაგ. ეროვნული უსაფრთხოება);
- არ ხდება ბრალდებების გამოძიება, რომლის მიხედვითაც სსო-ებზე, მათ დამფუძნებლებზე, წევრებზე ან სხვა დაკავშირებულ პირებზე ხორციელდება მეთვალყურეობა ან მოსმენა.

### 2. სსო-ები და მათთან დაკავშირებული პირები დაცული არიან პერსონალური ინფორმაციის არაკორექტული ან არაპროპორციული შეგროვებისგან, დამუშავებისა და შენახვისგან, ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში

პირადი ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ ნორმებს. სსო-ები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი გაავრცელონ თავიანთი წევრებისა და სხვა დაკავშირებული პირების სახელები, მისამართები და სხვა პირადი მონაცემები, რადგან ეს არღვევს არა მარტო მათ უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, არამედ გაერთიანების თავისუფლებასაც.

თუმცა, სსო-ების წევრებსა და სხვა დაკავშირებულ პირებს შესაძლოა ლეგიტიმურად მოეთხოვოთ გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტული პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება - მაგალითად, როდესაც ისინი ჩართულნი არიან საზოგადოებისგან შემოწირულობების შეგროვებაში ან იღებენ

მნიშვნელოვან მხარდაჭერას სახელმწიფოსგან ან საზოგადოებისგან. ასევე შესაძლოა გონივრული იყოს მოთხოვნა იმ პოლიტიკური პარტიების წევრების სიების გავრცელებასთან დაკავშირებით, რომლებსაც სურთ მინიმალური რაოდენობის წევრების მქონე პარტიებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსების მიღება. ინდივიდუალურ პირებს შესაძლოა მოეთხოვოთ ინფორმაციის გამჟღავნება სსო-ებში წევრობის შესახებ, როდესაც ამგვარმა წევრობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საჯარო სამსახურში ან თანამდებობის პირის რანგში მათ ვალდებულებებს. კონკრეტულ პროფესიულ ასოციაციებს შესაძლოა ასევე მოეთხოვოთ წევრთა სიის წარმოდგენა, თუკი ისინი ასრულებენ გარკვეულ მარეგულირებელ ფუნქციებს. თუმცა, ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება უნდა ეფუძნებოდეს პროპორციულობისა და მონაცემთა დაცვის პრინციპებს. შეზღუდული უნდა იყოს მონაცემებზე წვდომის მქონე ადამიანების რაოდენობა.

სსო-ების, მათი დამფუძნებლების, წევრების, ბენეფიციარების და სხვა დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება და კონტროლი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ნათელი და გამჭვირვალე წესების საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ ზედამხედველობასა და კონტროლს უნდა ჰქონდეს მკაფიო საკანონმდებლო საფუძველი და უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნების პროპორციული. პირადი მონაცემების გამოყენება დაუშვებელია მათი მფლობელის თანხმობის გარეშე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ების შემოწმების დროს, სახელმწიფო ორგანოები მოითხოვენ სსო-ებისგან პერსონალური ინფორმაციის წარმოდგენას - მაგალითად, წევრთა სიების - კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური საფუძველების გარეშე;
- დამატებითი დამტკიცების მიზნით, სსო-ების, მათი წევრებისა და დამფუძნებლების პირადი ინფორმაცია ეგზავნება სახელმწიფო ორგანოების განუსაზღვრელ რაოდენობას
- პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვისა და გამოყენების წესები არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტებით. ისინი სსო-ებისთვის ბუნდოვანი, გაურკვეველი და გაუგებარია და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას.

**სტანდარტი 2. სახელმწიფო იცავს სსო-ებისა და დაკავშირებული პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას**

*სახელმწიფოს მიერ დაცული უნდა იყოს სსო-ებისა და დაკავშირებული პირების უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. სსო-ს ანგარიშგების კანონმდებლობა უნდა იცავდეს სსო-სთან დაკავშირებული ყველა პირის ხელშეუხებლობას, როგორცაა დონორები, წევრები, მოხალისეები და სხვა პარტნიორები. სსო-ს ოფისებსა და დოკუმენტებზე წვდომა დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის ობიექტური საფუძველები. სსო-ს საქმიანობაზე ზედამხედველობა ან მასში ჩარევა უნდა იყოს პროპორციული, ლეგიტიმური და განხორციელებული დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გაცემული წინასწარი ნებართვის საფუძველზე.*

**კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. სსო-ების მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები იცავს წევრების, დონორების, გამგეობის წევრებისა და თანამშრომლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და მათი პირადი აქტივების კონფიდენციალურობას.
2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ობიექტური მიზეზებისა და შესაბამისი სასამართლო ავტორიზაციის საფუძველზე.
3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე ან მასთან დაკავშირებულ პირებზე ზედამხედველობა არის პროპორციული და ლეგიტიმური. იგი ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი ნებართვის საფუძველზე.

**1. სსო-ების მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები იცავს წევრების, დონორების, გამგეობის წევრებისა და თანამშრომლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და მათი პირადი აქტივების კონფიდენციალურობას.**

„სსო-ს ზედამხედველობისა და კონტროლის ყველა რეგულაცია თუ პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს ორგანიზაციის საქმიანობაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პრინციპს.“<sup>29</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს, რომ ნებისმიერი პირი უნდა იყოს დაცული სახლისა და ოჯახის საქმეებში თვითნებური ან უკანონო ჩარევებისგან, ისევე როგორც რეპუტაციაზე თავდასხმებისგან<sup>30</sup>. ამგვარად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს წერილების, სატელეფონო ზარების, ელექტრონული მიმოწერის, ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტ გვერდების კონფიდენციალურობასა და პირადი მონაცემების კონტროლს ინდივიდუალური პირების მიერ.

აქედან გამომდინარე, მაშინ როცა ანგარიშგების მოთხოვნა თავისთავად არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობას, უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები სსო-ების, დონორების, გამგეობის წევრების, თანამშრომლებისა და მოხალისეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან დაკავშირებული პირები შესაძლებელია დაექვემდებარონ ანგარიშგების მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი პირად გარიგებაში შედიან სსო-სთან ან თუკი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ სერიოზული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეჭვი პოტენციური თაღლითობის, გაფლანგვის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. მართლაც, მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფო პრაქტიკა და რეგულაციები, როგორც წესი, იყენებენ თაღლითობის, გაფლანგვის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლას ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესების გათვალისწინებით, როგორც ლეგიტიმურ დასაბუთებას სსო-ებისგან პირადი მონაცემების გამჟღავნების მოსათხოვნად. თუმცა, როგორც გაეროს სპეციალური მომხსენებელი გაერთიანების თავისუფლების შესახებ განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დასაბუთება შეიძლება იყოს ლეგიტიმური, „საკმარისი არ არის უბრალოდ კანონიერი ინტერესის გატარება“. დაკავშირებული შეზღუდვა უნდა იყოს „ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული საშუალება სასურველი მიზნის მისაღწევად“. შესაბამისი გარანტიები მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი კანონმდებლობაში და უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

ინფორმაციის გამჟღავნებისადმი საზოგადოებრივი ინტერესი უნდა იქნას შედარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვისადმი საზოგადოებრივ ინტერესთან. „საზოგადოებრივი ინტერესის“ ამგვარი ტესტი რეგულარულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ („EctHR“) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საქმეების განხილვის დროს, როცა გათვალისწინებული უნდა იქნას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ასევე მოიცავს პირადი მონაცემების დაცვის უფლებას. დაცვა შესაძლოა არ იყოს მარტივი, როცა საქმე ეხება ონლაინ რესურსებს, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ ტექნიკურ ექსპერტიზას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თანხმობა პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე გაცემულია ნებაყოფლობით, თანხმობის გამცემ პირს ნებისმიერ დროს აქვს თანხმობის გაუქმების უფლება. ევროკავშირის ზოგადი მონაცემების დაცვის რეგულაციის მიხედვით (რომელიც ასევე ვრცელდება სსო-ებზე, რომლებიც არ არიან დაფუძნებული ევროკავშირის ქვეყნებში, მაგრამ ამუშავენ ევროკავშირის მოქალაქეთა მონაცემებს), დუმილი ან უმოქმედობა არ უნდა ჩაითვალოს ავტომატურ თანხმობად.

<sup>29</sup> OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 2015, მუხლი 228

<sup>30</sup> ICCPR, მუხლი 17 ( 2).

სსო-ები ასევე დაცული არიან პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავების კუთხით. პირადი მონაცემები, რომლებიც ეხება რასობრივ წარმომავლობას, პოლიტიკურ მოსაზრებებს ან რელიგიურ თუ სხვა შეხედულებებს, აგრეთვე პირადი მონაცემები ჯანმრთელობის ან სექსუალური ცხოვრების შესახებ, არ უნდა იქნას დამუშავებული ავტომატურ რეჟიმში, თუ ადგილობრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შესაბამის გარანტიებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. იგივე პირობა ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე.

ყველა შემთხვევაში, კონტროლი ყოველთვის უნდა განხორციელდეს იმ წინასწარი დაშვების საფუძველზე, რომ ორგანიზაცია და მისი საქმიანობა კანონიერია. უფრო მეტიც, კონტროლმა არ უნდა შეაფერხოს სსო-ს შიდა მართვის პროცესი და არ უნდა აიძულოს სსო კოორდინირება გაუწიოს მის მიზნებსა და საქმიანობას მთავრობისა და ადმინისტრაციის პოლიტიკასთან.

**აღნიშნული ინდოკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ების, დონორების, გამგობის წევრების, თანამშრომლებისა და მოხალისეების პირადი მონაცემების ანგარიშგების მოთხოვნები მსგავსია ყველა სსო-სთვის, განურჩევლად მათი ზომისა, სტრუქტურისა და საქმიანობის მასშტაბისა;
- სსო-ს წევრების, დონორებისა და თანამშრომლების პირად მონაცემებზე ანგარიშგების მოთხოვნები არაპროპორციულია; არ არის მათი საჭიროება ლეგიტიმური მიზნების დაცვისთვის და ისინი არ შედის საზოგადოებრივ ინტერესში;
- ანგარიშგების ვალდებულებები აიძულებს სსო-ებს გაავრცელონ ინფორმაცია იმ წევრებზე, რომლებიც აივ ინფიცირებულნი არიან.

**2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ობიექტური მიზეზებისა და შესაბამისი სასამართლო ავტორიზაციის საფუძველზე**

სსო-ს ოფისის ჩხრეკა ან დოკუმენტების თუ სხვა ქონების ჩამორთმევა (ლაპტოპები და ა.შ.) უნდა შეესაბამებოდეს სამმაგ ტესტს, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად (ანუ, უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და მკაცრად აუცილებელი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად). ამას თან უნდა ახლდეს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა, ჩხრეკა კი უნდა ჩატარდეს სსო-ს წარმომადგენლის თანდასწრებით. ჩხრეკის შესახებ ნებართვა ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლო ორგანოში.

კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს იმ ორგანოების სია, რომლებსაც აქვთ სსო-ს ოფისებში ჩხრეკის ჩატარების უფლებამოსილება. აღნიშნულ ორგანოებს დანერგილი უნდა ჰქონდეთ შიდა წესები, რომლებიც დაარეგულირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემოწმების პროცესს, განსაზღვრავს შემოწმების ხანგრძლივობასა და იმ დოკუმენტაციას, რომელიც უნდა შედგეს ინსპექტირების დროს ან მის შემდგომ. ამგვარი წესები ასევე მკაცრად უნდა განსაზღვრავდეს შემოწმების განმახორციელებელი ოფიცრების უფლებამოსილებას და იცავდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრებისა და დამფუძნებლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სსო-ების წინასწარ ინფორმირება ძიების ან შემოწმების შესახებ, ისევე როგორც შემოწმების ხანგრძლივობის შესახებ. ნებისმიერი გამონაკლისი უნდა იყოს შეზღუდული, ვიწროდ განსაზღვრული, კანონით გამართლებული და საფუძვლიანად მოტივირებული ჩხრეკის შესახებ სასამართლო ორდერში. კანონი ასევე უნდა ითვალისწინებდეს სსო-ების შესაძლებლობას მოიწვიონ ადვოკატი ჩხრეკის ან შემოწმების მთლიანი პროცესის მანძილზე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ წვდომა თავიანთ ოფისზე პოლიციის ბრძანების საფუძველზე, დამოუკიდებელი ორგანოსგან რაიმე სახის ავტორიზაციის გარეშე;
- წესები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ჩხრეკა სსო-ს ოფისებში და ვის მიერ, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული;
- არ არსებობს დადგენილი ვადა ჩხრეკისა და შემოწმებისთვის.

**3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაზე ან მასთან დაკავშირებულ პირებზე ზედამხედველობა არის პროპორციული, ლეგიტიმური და საჭიროებს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემულ წინასწარ ნებართვას**

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, უმთავრესად, მიზნად ისახავს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ეროვნული უსაფრთხოების დაცვას. მაშინაც კი, როდესაც სათვალთვალო ღონისძიებები ხორციელდება ლეგიტიმური სახელმწიფო მიზნების გათვალისწინებით, მათ შესაძლოა გამოიწვიონ ზედმეტი, შეუსაბამო და არაპროპორციული შეზღუდვების დაწესება ასოციაციებისა და მათი წევრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართ.

როგორც ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების საკითხებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სათვალთვალო უფლებამოსილებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ადეკვატური სამართლებრივი გარანტიების გარეშე შესაძლოა ჰქონდეს დამლუპველი გავლენა გამოხატვის თავისუფლებასა და გაერთიანების თავისუფლებაზე იმ მიზეზით, რომ „გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლება ხშირად მოითხოვს პირად შეხვედრებსა და კომუნიკაციას, რათა ადამიანებმა შეძლონ ორგანიზება მთავრობების ან სხვა ძლიერი აქტორების წინაშე“.

ზედამხედველობის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებსა და გარანტიებს.

გარემოებები, რომლის დროსაც ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს საიდუმლო თვალთვალი და მონაცემთა შეგროვება, ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით და ითვალისწინებდეს ზედამხედველობას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ორგანოს მიერ.

ობიექტური მტკიცებულებებით გამყარებული სასამართლო ორდერის არარსებობის შემთხვევაში, უკანონოდ ითვლება ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების იძულება გადასცენ ხელისუფლების ორგანოს ნებისმიერ სახის ინფორმაციას, რომელიც გაცვლილ იქნა ინტერნეტით ან სხვა ელექტრონული ტექნოლოგიებით.

სსო-ს ვებ-გვერდების, საინფორმაციო ან საკომუნიკაციო საშუალებების გარკვეული წყაროების დაბლოკვას შესაძლოა ჰქონდეს არსებითად უარყოფითი გავლენა ორგანიზაციებზე. უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს კანონით დადგენილი, დროებითი ხასიათის და ვიწროდ განსაზღვრული, რათა დააკმაყოფილოს ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნული ზომები არ უნდა იქნას გამოყენებული განსხვავებული აზრისა და კრიტიკული გამოსვლების საწინააღმდეგოდ.

კონმდებლებმა, შესაბამისად, ვიწროდ უნდა განსაზღვრონ დებულებები, რომლებიც იძლევა სსო-ებზე ზედამხედველობის უფლებას. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ დებულებები ყოველთვის ემყარებოდეს სასამართლოს ბრძანებას. „ნებისმიერი დებულება, რომელიც ეხება ჩარევას ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებში, მათ შორის სოციალურ მედიაში, უნდა იყოს პროპორციული და

ხელმისაწვდომ ვარიანტებს შორის მინიმალურად ინტრუზიული. ნებისმიერი სათვალთვალო ღონისძიება ყოველთვის უნდა იყოს ღია სასამართლო განხილვისთვის“.<sup>31</sup>

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს დებულებები, რომლებიც განსაზღვრავდა ორგანიზაციებზე ზედამხედველობას გამონაკლის შემთხვევებში ან დაადგენდა ზედამხედველობის ადეკვატურ მექანიზმებს;
- ორგანოები, რომლებიც ახდენენ ზედამხედველობის ავტორიზაციას, არ არიან მთავრობისგან დამოუკიდებელი.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადგილი არ აქვს სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების პირად ცხოვრებაში ან კომუნიკაციაში არავტორიზებული ჩარევის შემთხვევებს;</li> <li>2. ადგილი არ აქვს ხელისუფლების ორგანოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებში შეჭრის ან სსო-ს დოკუმენტებზე წვდომის შემთხვევებს სასამართლოს ნებართვის გარეშე.</li> </ol>

**1. ადგილი არ აქვს სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების პირად ცხოვრებაში ან კომუნიკაციაში არავტორიზებული ჩარევის შემთხვევებს**

არ უნდა მოხდეს კომუნიკაციაში ჩარევა (მათ შორის, ფართომასშტაბიანი მეთვალყურეობა, ელ.ფოსტის, სატელეფონო საუბრის, SMS-ების ხელში ჩაგდება და სხვა), თუ აღნიშნული ქმედება სათანადოდ არ არის ავტორიზებული სასამართლოს მიერ. სასამართლოს ორდერი, რომელიც ახდენს ამგვარი ჩარევის ავტორიზებას, ნათლად უნდა განმარტავდეს ორდერის სამართლებრივ საფუძველს, ადგენდეს კონკრეტულ ლეგიტიმურ ინტერესს (სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფოს მანეტარული ინტერესების დაცვა, სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთა, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა) და ხსნიდეს, თუ რატომ არის ამგვარი ჩარევა პროპორციული და მკაცრად აუცილებელი მითითებული ინტერესის მისაღწევად. დაზარალებულ პირს ან ორგანიზაციას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სხვა დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს წინაშე. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლებამ არ უნდა გამოიყენოს ზედამხედველობის უფლებამოსილება იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ორგანიზაციის საქმიანობას.

სსო-ს სამეურვეო საბჭოს წევრების, თანამშრომლების ან დონორების პირადი შემოსავალი და აქტივები დაცულია კანონით; სახელმწიფო დაწესებულებებმა არ უნდა მოითხოვონ ან შეაგროვონ ინფორმაცია ამგვარი აქტივების შესახებ სათანადო ავტორიზაციის გარეშე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მთავრობები ან სხვა სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ სსო-ს ზედამხედველობას სასამართლო ბრძანების გარეშე;
- სასამართლოს მიერ გაცემული ორდერი ჩარევის ავტორიზებისთვის არ არის საკმარისად დასაბუთებული (მაგ. არ არის შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, არ არის მითითებული ლეგიტიმური ინტერესი ან არ არის დასაბუთებული ჩარევის აუცილებლობა და პროპორციულობა);
- დაზარალებულ ორგანიზაციას ან ფიზიკურ პირს არ აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს სასამართლოს ორდერი და ეჭვქვეშ დააყენოს მისი კანონიერება,

<sup>31</sup> OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 2015, მუხლი 271

## **2. ადგილი არ აქვს ხელისუფლების ორგანოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ოფისებში შეჭრის ან სსო-ს დოკუმენტებზე წვდომის შემთხვევებს სასამართლოს ნებართვის გარეშე.**

სსო-ს ოფისების ჩხრეკა ან დოკუმენტების თუ სხვა საკუთრების ჩამორთმევა (ლექტორები და ა.შ.) უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ორდერის საფუძველზე, ჩხრეკა უნდა ჩატარდეს სსო-ს წარმომადგენლის თანდასწრებით. ორდერში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული სამართლებრივი საფუძველი, ისევე როგორც კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესი (ანუ სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესები, სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთა ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა). ასევე უნდა იყოს დასაბუთებული, თუ რატომ არის აღნიშნული ღონისძიება პროპორციული და მკაცრად აუცილებელი მიზნის მისაღწევად. დაზარალებულ სსო-ს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ორდერის კანონიერება.

სსო-ებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს წესები, რომლებიც განსაზღვრავს გაერთიანებების შემოწმების საფუძველს, შემოწმების ხანგრძლივობას, დოკუმენტაციას, რომელიც უნდა შემუშავდეს შემოწმების დროს ან მის შემდეგ და სხვა პროცედურულ ასპექტებს. სურვილისამებრ, სსო-ებს უნდა მიეცეთ ჩხრეკის დაწყებამდე ადვოკატის გამოძახების შესაძლებლობა. ჩხრეკა არ უნდა დაიწყოს ადვოკატის ადგილზე მოსვლამდე. ადვოკატს უნდა მიეცეს უფლება დარჩეს ჩხრეკის ადგილზე მთელი პერიოდის მანძილზე.

დოკუმენტები, რომლებსაც ინსპექტირების ორგანო ამოიღებს შემდგომი შემოწმების მიზნით, ხელუხლებლად უნდა დაუბრუნდეს სსო-ს. ხელისუფლებამ უნდა შეადგინოს ოქმები, სადაც აღწერილი იქნება ამოღებული ნივთები და მათი რაოდენობა. ინსპექტირების ორგანო პასუხისმგებელია ამგვარ დოკუმენტებზე მიყენებულ ნებისმიერ დაზიანებაზე.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხდება სსო-ების ოფისებში შეჭრა და დოკუმენტაციის ამოღება მიების ან შემოწმების შესახებ სასამართლოს წინასწარი ორდერის გარეშე;
- ჩხრეკა ან შემოწმება იწყება ისე, რომ სსო-ებს არ აქვთ შესაძლებლობა მოიხმონ ადვოკატები დასახმარებლად;
- ამოღებული დოკუმენტები და მასალები, რომლებიც არ იქნა დატოვებული მტკიცებულებად, სრულად არ დაუბრუნდა სსო-ს.

### **დაკავშირებული რესურსები**

- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხლი 17, 19, 22
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8
- ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, მუხლი 7, 8
- ეუთო/ODIHR- ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 167, 211, 228-29, 231, 265, 267, 271
- OSCE / ODIHR, დასკვნა უკრაინის კანონპროექტზე კიბერდანაშაულთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 44-47 (22 აგვისტო 2014);
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი: პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (2018)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: ვან როსემი ბელგიის წინააღმდეგ (2005)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: ვარგა რუმინეთის წინააღმდეგ (2011)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: Y. თურქეთის წინააღმდეგ (2015)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: ბაგიჯევა უკრაინის წინააღმდეგ (2016)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: შიმოვოლოსი რუსეთის წინააღმდეგ (2011)

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: პიემოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (2012)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (2015)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Big Brother Watch* და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 303-387 (2018)
- ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია შემდგომი და უმაღლესი განათლებისთვის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1998 წლის 16 აპრილი)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ (მიღებული 10 ოქტ 2007)
- ევროპის საბჭო, რეკომენდაციები R(91)10 საზოგადოებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების მესამე მხარისთვის კომუნიკაციის შესახებ (მიღებული 1991 წლის 9 სექტემბერი)
- ევროპის საბჭოს კონვენცია 108 პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ;
- ევროპის საბჭოს კონვენცია 108, მუხლი 2-3, 6, 9
- სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ A/HRC/13/37 (28 Dec 2009)
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/HRC/23/39 (24 აპრილი 2013)
- გაეროს გენერალური ასამბლეის სახელმძღვანელო პრინციპები კომპიუტერიზებული პერსონალური მონაცემების ფაილების რეგულირებისთვის, A/45/95 (1990 წლის 14 დეკემბერი)
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ციფრულ ხანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ანგარიში A/HRC/27/37 (30 ივნისი 2014)
- მონაცემთა დაცვის სტანდარტები სსო-ებისთვის, ECNL, 2018
- ევროკავშირის ზოგადი რეგულაცია მონაცემთა დაცვის შესახებ, 2016/679, მუხლი 9
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობისა და ტრანსსასაზღვრო ნაკადების დაცვის შესახებ რეკომენდაციები (2013)

## სფერო 8.

# სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულება

### სტანდარტი 1.

### სახელმწიფო იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პირებს ჩარევისა და თავდასხმებისგან

სსო-ების დაცვა ჩარევებისა და უსაფუძვლო თავდასხმებისგან აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაერთიანების თავისუფლების შესახებ უფლების რეალიზების მიზნით. სსო-ებმა უნდა შეძლონ მოქალაქეების ნდობის მოპოვება და მათი საჭიროებების წარმოდგენა. ამრიგად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მათ საქმიანობაში ჩარევისგან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემუშავებული მექანიზმების პრაქტიკაში ეფექტური დანერგვა. დაცვის ვალდებულება მოიცავს სსო-ების უფლებების დაცვას სახელმწიფო ჩარევისგან, ასევე იმის უზრუნველყოფას, რომ მესამე მხარეები არ დაარღვევენ სსო-ების უფლებებს ან არ შეაფერხებენ სსო-ების მიერ თავიანთი საქმიანობის განხორციელებას.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. კანონი მოითხოვს სახელმწიფოსგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების უფლებების დაცვას.
2. სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირებისთვის ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოების მიმართ გასაჩივრების ეფექტური მექანიზმები იმ გადაწყვეტილებების გადასახედად, რომლებიც ზემოქმედებს უფლებების განხორციელებასა და საზოგადოებრივ ინტერესზე.
3. კანონი გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს სსო-ებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით.
4. ნებისმიერი საგანგებო ზომა წესდება შეზღუდული ვადით, კანონიერია, გამომდინარეობს საჭიროებიდან, ზომიერია და ხდება მისი განხორციელების ზედამხედველობა.

### **1. კანონი მოითხოვს სახელმწიფოსგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების უფლებების დაცვას.**

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აქვს როგორც პასიური, ისე აქტიური ვალდებულება დაიცვას გაერთიანების თავისუფლება - ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება, არ ჩაერიოს სსო-ების საქმიანობაში, ასევე დაიცვას ისინი მესამე მხარის მიერ ჩარევებისგან. კანონი არ უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც ზიანს აყენებს ან ზღუდავს პირის უფლებებს სსო-სთან კავშირის გამო. ნაცვლად ამისა, კანონმა უნდა უზრუნველყოს გარკვეული უფლებები და წამახალისებელი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს სსო-ების მიერ სამიზნე ჯგუფებისთვის ეფექტური მომსახურების გაწევას - მაგალითად, საგადასახადო შეღავათები ან გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან გათავისუფლება, სამიზნე ჯგუფების სასამართლოში ან საზოგადოებრივი მონაწილეობის მექანიზმებში წარმოდგენის უფლება და სხვა.

პასიური ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფომ უნდა გაატაროს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს არავტორიზებულ სახელმწიფო ჩარევას. მან ასევე უნდა აკრძალოს დისკრიმინაცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან კავშირის გამო. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ

სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ სსო-ების საქმიანობაში არ ხორციელდება ჩარევა სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების მხრიდან. როდესაც სსო სარგებლობს მთავრობის მხარდაჭერით, დანერგილი უნდა იყოს მძლავრი მექანიზმები სახელმწიფოს მიერ მმართველობის მითვისების პრევენციისა და ორგანიზაციის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით.

აქტიური ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და მათთან დაკავშირებული ფიზიკური პირების დაცვა მემსამე პირთა ჩარევისა და სხვა უარყოფითი გავლენისგან (მათ შორის, ამგვარი ჩარევების მიმართ სამართლებრივი სანქციების გამოყენების გზით). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარკვეულ ჯგუფებს (მაგ. ლგბტ, უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები) შესაძლოა სჭირდებოდეთ განსაკუთრებული დაცვა მესამე მხარეთა თავდასხმების, ჩარევებისა ან ცილისწამების მიმართ. დაცვის მექანიზმები შესაძლებელია გაწერილ იქნას სისხლის სამართალში, განსაკუთრებული დანაშაულის ან სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის ელემენტის სახით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოფილი უნდა იქნან შესაძლებლობით დაიცვან საკუთარი რეპუტაცია იმავე დოზით, როგორც სხვა პირები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი საშუალებას აძლევს ხელისუფლებას იგნორირება გაუწიოს ან შეცვალოს სსო-ს გარკვეული გადაწყვეტილებები შიდა მმართველობასთან დაკავშირებით (მაგ: უმაღლესი მმართველი ორგანოს ან საბჭოს უფლებამოსილების არაღიარება ან შიდა არჩევნების შედეგების ძალადაკარგულად გამოცხადება);
- სახელმწიფო არ გმობს და არ იღებს აქტიურ ზომებს გარკვეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაშინების ან საჯარო ცილისწამების წინააღმდეგ.

**2. სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირებისთვის ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოების მიმართ გასაჩივრების ეფექტური მექანიზმები იმ გადაწყვეტილებების გადასახედად, რომლებიც ზემოქმედებს უფლებების განხორციელებასა და საზოგადოებრივ ინტერესზე.**

სსო-ებს, მათ დამფუძნებლებსა და წევრებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ყველა იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომელიც გავლენას ახდენს მათ ფუნდამენტურ უფლებებზე (კერძოდ, გაერთიანების თავისუფლებაზე, გამოხატვის თავისუფლებასა და შეკრების თავისუფლებაზე) ან ზღუდავს მათი საქმიანობის უნარს. ეს გულისხმობს სსო-ების უფლებას მოითხოვონ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების გადახედვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების მიერ. ეს ასევე მოიცავს უფლებას მოთხოვნილ იქნას რეგისტრაციასთან, საქმიანობასთან, აკრძალვასთან, სანქციების შეწყვეტასა და დაწესებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების გადახედვა. აღნიშნული უფლება ასევე მოიცავს როგორც საჩივრის ან პრეტენზიის რეტროაქტიულად წარდგენის შესაძლებლობას (როდესაც სსო მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაირღვა), ასევე დაცვის პრევენციული ზომების გატარებას (როდესაც სსო მიიჩნევს, რომ კონკრეტული დებულება ან სამართალდამცავი პრაქტიკა შეიძლება გახდეს დაბრკოლება მისი საქმიანობისთვის მომავალში). საჩივრის წარდგენის უფლება უნდა მოიცავდეს შესაძლებლობას მოხდეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლოში. ასევე უნდა არსებობდეს არასასამართლო ორგანოებში გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი. ამასთანავე, არასასამართლო ორგანოში საჩივრის შეტანა არ უნდა ზღუდავდეს სსო-ს უფლებას მიმართოს სასამართლოს საქმის შემდგომი განხილვის მიზნით. მან ასევე არ უნდა შეამციროს სასამართლოში გასაჩივრების კანონიერი ვადა.

სსო-ების დამფუძნებლები, წევრები და წარმომადგენლები უნდა სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლოს გამართვის უფლებით ნებისმიერი სარჩელის ფარგლებში, რომლებიც შეტანილ იქნა მათ მიერ ან მათ წინააღმდეგ. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ უფლება დაიცვან საკუთარი ინტერესები, ისევე როგორც თავიანთი წევრების უფლებები (მათი სახელით) სასამართლოში, პირდაპირი გზით ან ადვოკატების

მემვეობით. ასოციაციას, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი, უნდა ჰქონდეს უფლება სასამართლოში წარმოდგენილი იქნას სსო-ს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩეული კომპეტენტური ორგანოს მიერ.

სსო-ებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეიტანონ ჯგუფური სარჩელი და აწარმოონ სასამართლო დავები საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. კანონმდებლობამ უნდა დაუშვას მთავრობის გადაწყვეტილებების გასაჩივრება, რომლებიც გავლენას ახდენს საჯარო ინტერესებზე, როგორცაა საინვესტიციო გადაწყვეტილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებები და ა.შ. ასეთი სარჩელებისთვის სასამართლო მოსაკრებლები არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, რათა მოცემულმა არ შექმნას ბარიერი მოქალაქეთა ინტერესების დაცვისთვის.

ნებისმიერი სარჩელი ან დავა სსო-ს აკრძალვის, შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ბლოკავს აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელებას. გადაწყვეტილება ძალაში არ უნდა შევიდეს მანამ, სანამ საჩივართან ან დავასთან დაკავშირებით სასამართლო არ მიიღებს შესაბამის დადგენილებას. აღნიშნული წესი გამორიცხავს საჩივრის განხილვამდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის „გაყინვას“ - მაგალითად, საბანკო ანგარიშების გაყინვას ან საქმიანობის შეჩერებას. ეს პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა არსებობს მძიმე დანაშაულის მყარი მტკიცებულება.

ყოველთვის სახელმწიფოს ვალდებულებაა იმ დარღვევების დამტკიცება, რომლებმაც განაპირობა სსო-ების წინააღმდეგ სანქციების დაწესება. პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს სანქციები, უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე, თუმცა არ არის აუცილებელი ისინი ხასიათდებოდეს მაღალი ხარისხის საჯაროობით. ამგვარი მიდგომის მიზანია უზრუნველყოს სათანადო ბალანსი ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობასა და სსო-ს რეპუტაციაზე შესაძლო ზიანს შორის - არასასურველი ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს პასუხისმგებლობის საკითხის ბოლომდე გარკვევამდე.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ აძლევს სსო-ებს უფლებას დაიცვან მესამე პირების ინტერესები სასამართლოში, შეიტანონ სარჩელი მათი სახელით ან წარმოადგინონ ისინი სასამართლოში;
- კანონი სსო-ებს უდგენს კომპლექსურ და არასაჭირო წინაპირობებს საჯარო ინტერესის დასაცავად სასამართლო პროცესის დაწყებისთვის.
- გადაწყვეტილება სსო-ს რეგისტრაციაზე უარის შესახებ არ ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლოში;
- სსო-ს შეჩერებისა და დაშლის გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებული იქნას არასასამართლო წესით, რაც არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.
- არ არის შესაძლებელი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება;
- უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი არ არის დაცული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ სანქციების დაწესებისას.

**3. კანონი გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს სსო-ებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით**

სსო-ებს უნდა შეეძლოთ რეგისტრაციაზე უარის თქმის ან სხვა გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში განხილვის შესაძლებლობა. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ამგვარი შემთხვევები წარადგინონ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე. სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა არ უნდა იყოს ძალიან მოკლე; მისი ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როდესაც სსო მიიღებს გადაწყვეტილების შესახებ ფორმალურ შეტყობინებას.

გასაჩივრებისა და განხილვის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო და ნაკლებად დამამძიმებელი. სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა მოიცავდეს კომპენსაციას მორალური და ქონებრივი

ზიანისთვის. სასამართლო მოსაკრებელი უნდა იყოს გონივრული. ის არ უნდა იყოს დაბრკოლება, რომელიც თითქმის შეუძლებელს გახდის სსო-ების მიერ სასამართლოზე მიმართვას.

გაერთიანების თავისუფლების ფარგლებში, საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ხელმისაწვდომია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრებსა და დამფუძნებლებისთვის, გაერო-ს სახელმწიფოებო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეშვეობით. შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებების განხორციელება ეროვნულ დონეზე, სპეციალური დაწესებულების მეშვეობით ან სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სტანდარტული საშუალებების გამოყენებით.

#### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სასამართლო ორგანოებში მთავრობის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ძალიან მოკლეა;
- სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა განისაზღვრება აქტის ხელმოწერის მიმენტიდან (და არა მისი გამოქვეყნების ან დაინტერესებული მხარეებისთვის შეტყობინების მიწოდების მომენტიდან);
- მთავრობას არ ჰყავს უწყებები, რომლებიც შეძლებდნენ შესაბამისი დარღვევების იდენტიფიცირებასა და ანგარიშგებას, ან ამ უწყებებს არ შეუძლიათ დარღვევის გამოსწორება ან დაზარალებულ მხარის სამართლებრივი დაცვის შესაბამისი საშუალებებით ან კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ქვეყანაში არ არსებობს მექანიზმი საერთაშორისო კვაზი-სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის (კერძოდ, ფინანსურ კომპენსაციასთან დაკავშირებით).

#### **4. ნებისმიერი საგანგებო ზომა წესდება შეზღუდული ვადით, კანონიერია, გამომდინარეობს საჭიროებიდან, ზომიერია და ხდება მისი განხორციელების ზედამხედველობა.**

საგანგებო სიტუაციების დროს სახელმწიფოებს გარკვეული პირობებით შეუძლიათ ნაწილობრივ უარი თქვან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე. თუკი ქვეყანა საგანგებო ზომების შემოღებას გადაწყვეტს (მაგალითად: საგანგებო მდგომარეობა, ჯანდაცვასთან დაკავშირებული საგანგებო რეჟიმი და კარანტინი ან გადაუდებელი სიტუაციის სამართავად მიღებული სხვა მსგავსი ზომა) მსგავსი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოხდეს მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში და:

- საგანგებო სიტუაცია საფრთხის ქვეშ უნდა აყენებდეს ერის სიცოცხლეს;
- საგანგებო სიტუაციის გაცხადება უნდა მოხდეს ოფიციალურად და
- მიღებული ზომები ადამიანის უფლებებს უნდა ზღუდავდეს მხოლოდ სიტუაციის უკიდურესი საჭიროებიდან გამომდინარე.

მართალია ქვეყნებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ განსაზღვრონ სიტუაცია უქმნის თუ არა საფრთხეს ერის სიცოცხლეს, თუმცა, საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად აუცილებელია კანონით დადგენილი იმ პროცედურების დაცვა, რაც კონრეტულად ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებში მოქმედებს. როდესაც მიღებული საგანგებო ზომები ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების ნაწილობრივ გაუქმებას იწვევს, „მსგავსი ზომები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ლიმიტირებული უნდა იყოს დროში, გეოგრაფიულ დაფარვაში და შინაარსში. ასევე, ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი ქმედება, მათ შორის სანქციების დაწესება უნდა იყოს სიტუაციის შესაბამისი. „ სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა დაასაბუთონ საგანგებო რეჟიმის (ან სხვა მსგავსი შედეგის მქონე ნაბიჯის) საჭიროება, არამედ ასევე უნდა უზრუნველყონ ყველა შემოღებული ზომის აუცილებლობა და ზომიერება. ეს ასევე ვრცელდება შემოღებული ზომების დარღვევისთვის დაწესებულ სანქციებზე. მსგავსი შეზღუდვების შემოღებამდე სახელმწიფოებს „ეკისრებათ ვალდებულება არსებული სიტუაციის ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით სიღრმისეულად გაანალიზონ პაქტის თითოეული მუხლი. „ გარდა ამისა, საგანგებო ზომები არ უნდა ახდენდეს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, სოციალური წარმოშობის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას და ასევე არ უნდა ახდენდეს ნაციონალურ, რასისტულ ან რელიგიურ მოტივებზე დაყრდნობით შულის გაღვივების ადვოკატირებას, რასაც დისკრიმინაციის,

ანტაგონიზმის ან ძალადობის გამოწვევა შეუძლია. ნებისმიერი საგანგებო ზომის შემოღება უნდა მოხდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

როდესაც ცხადდება საგანგებო მდგომარეობა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სიტუაციის მოკლე-ვადიანობა, ხოლო გამოცხადებას თან უნდა ერთვოდეს მუხლი, რომელიც მოკლე პერიოდში საგანგებო სიტუაციის ავტომატურ შეწყვეტას უზრუნველყოფს. საჭიროების შემთხვევაში მსგავსი გადაწყვეტილება შესაძლოა გახანგრძლივდეს დამატებითი მოკლე ვადიანი პერიოდით. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების მონიტორინგს და რომელიც ასევე სხვა სამთავრობო უწყებებს შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ მიღებული ზომების თანაზომიერება და მათი გახანგრძლივების საჭიროება. საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანებს უნდა ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსთან და უნდა ეძლეოდეთ მათი უფლებების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვის გასაჩივრების შესაძლებლობა. გარდა ამისა, არსებობს აბსოლიტური უფლებები, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია საგანგებო სიტუაციების დროსაც კი. ამაში შედის სიცოცხლის უფლება, წამების და ტყვეობა აკრძალვა, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაპატიმრების აკრძალვა, სასამართლოს გარეშე დასჯის აკრძალვა, ფიქრის თავისუფლება, სინდისი და რელიგია.

საერთაშორისო პაქტებით (როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ან საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)) გათვალისწინებული ადამიანის უფლებების ნებისმიერი ფორმით და დოზით გაუქმების შემთხვევები უნდა გაცხადდეს შესაბამისი პაქტის შესაბამისი დებულებების დაცვით (მუხლი 15 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) და მუხლი 4 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად მიიჩნევა**

- საგანგებო სიტუაციის ან სხვა მსგავსი შედეგის მქონე ზომის მიღება გაურკვეველი ვადით;
- დე ფაქტო შეზღუდვების დაწესება, საგანგებო სიტუაციის ოფიციალურად გამოცხადების/დაწესების გარეშე;
- საგანგებო სიტუაციის პერიოდში მხოლოდ ძალაუფლების მქონე სახელმწიფო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საგანგებო სიტუაციის დასრულების შესახებ;
- დაწესებული შეზღუდვები დისკრიმინაციულია გარკვეული ჯგუფების მიმართ რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის და სოციალური წარმოშობის ნიშნებზე დაყრნობით;
- ადამიანებს არ შეუძლიათ თავიანთი უფლებების შეზღუდვის გასაჩივრება საგანგებო მდგომარეობის დროს.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით

1. სახელმწიფო ეფექტურად იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს, როდესაც მესამე მხარე არღვევს მათ უფლებებს.
2. კომპეტენტური ორგანოები და სასამართლოები მიუკერძოებლად და გონივრულ ვადაში წყვეტენ დაცვასთან დაკავშირებულ მიმართვებს და/ან საჩივრებს.
3. სახელმწიფო მოხელეები არ იყენებენ სიძულვილის ენას ან არ ახდენენ სსო-ების სტიგმატიზებას; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ მედიაში, არ მიმდინარეობს ცილისწამებლური კამპანია სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების მიმართ;
4. სახელმწიფო საგანგებო სიტუაციის საბაზით მიზანმიმართულად არ ახორციელებს მონაწილეობის და ადამიანთა უფლებების შეზღუდვას ან კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციების მიმართ სანქციების დაწესებას.

**1. სახელმწიფო ეფექტურად იცავს სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს, როდესაც მესამე მხარე არღვევს მათ უფლებებს**

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირთა მიერ გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობა, სახელმწიფომ უნდა შექმნას სსო-ებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო. სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს ზომები, რომლებიც შეზღუდავს სსო-ებს ან მათთან ასოცირებულ ადამიანებს, მაგ. მოგზაურობის აკრძალვით ან სსო-ს წევრებზე სხვა შეზღუდვების დაწესებით.

სახელმწიფომ უნდა დაიცავს სსო-ების უფლებები და ინტერესები კანონით დადგენილი წესით. მან უნდა უზრუნველყოს ცილისწამებისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. სახელმწიფომ უნდა დაიცავს სსო-ების ოფისები თავდასხმებისგან, გამოიძიოს სსო-ს წევრების ან თანამშრომლების მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულები. მან ასევე უნდა გამოიძიოს ორგანიზაციის ხელმძღვანელების, აქტივისტებისა და უფლებადამცველების უკანონო დაკავების, წამებისა და გაუჩინარების შემთხვევები.

გარდა ამისა, სსო-ებსა და მათთან დაკავშირებულ ადამიანებზე ხორციელდება „ციფრული“ ან ფსიქოლოგიური შეტევები, როგორცაა მუქარა და სიძულვილის ენა სსო-ებისა და მათთან დაკავშირებული პირების მიმართ, რომლებიც საჯაროდ სოციალური მედიის ანგარიშებზე ან მათ ეგზავნება პირდაპირ პირადი კომუნიკაციის საშუალებით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი თავდასხმების გამოძიება და სანქცირება.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო არ რეაგირებს შემთხვევებზე, როცა ხდება ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება სსო-ს წევრობის გამო.
- სახელმწიფო არ ახდენს სსო-ს ხელმძღვანელებზე ან წევრებზე ფიზიკური ან ციფრული/ონლაინ თავდასხმის ან სამოქალაქო ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმის შემთხვევების გამოძიებას. თითქმის არასდროს ხდება დამნაშავეების დაპატიმრება და დასჯა.

**2. კომპეტენტური ორგანოები და სასამართლოები მიუკერძოებლად და გონივრულ ვადაში წყვეტენ დაცვასთან დაკავშირებულ მიმართვებს და/ან საჩივრებს**

სახელმწიფო ორგანოები, სასამართლოების ჩათვლით, არ უნდა იყვნენ დისკრიმინაციულად განწყობილნი ან მიკერძოებულნი სსო-ების საჩივრების განხილვის პროცესში. ამგვარი საჩივრები დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სსო-ებს ან მათთან დაკავშირებულ პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება რეგისტრაციის უარყოფის, შეწყვეტის ან საქმიანობის სხვა საკითხების შესახებ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო სასამართლოებისა და ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იქნას სათანადოდ აღსრულებული. სახელმწიფომ არ უნდა შექმნას

პრაქტიკული ბარიერები ან დააწესოს დამატებითი წინაპირობები სსო-ების მიერ საჯარო ინტერესის დასაცავად სასამართლო საქმეწარმოების დაწყებისთვის.

გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებით, ხელისაწვდომი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. მთავრობამ უნდა აღიაროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების კომპეტენცია. გაერთიანების თავისუფლების დარღვევებთან დაკავშირებით აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იქნას აღსრულებული გონივრულ ვადაში და სათანადო კომპენსაციით.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ების საჩივრების განხილვა ჭიანჭურდება წლების განმავლობაში;
- კოლექტიური საჩივრები დასაშვებობის ეტალზე დასაბუთებისთვის საჭიროებს ძალიან ბევრი დოკუმენტის წარდგენას და სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგად უარყოფილია.
- არ ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულება;
- ხელისუფლება აფერხებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციას (საერთაშორისო ინსტანციების მოთხოვნებზე რეაგირების გაჭიანჭურება, კორესპონდენციის ხელში ჩაგდება, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებისთვის საზღვარგარეთ მოგზაურობის აკრძალვა, იმ პირებისა და სსო-ების სტიგმატიზება, რომლებიც თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანოებთან)
- პრაქტიკაში, სასამართლოები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მართლმსაჯულების ორგანოები ან სხვა სამართალდამცავი ორგანოები არ განიხილავენ საჩივრებს, რომლებიც უკავშირდება სსო-ების მიმართ მესამე მხარეთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარკვეული კატეგორიები (ლგბტ ჯგუფები, უმცირესობები, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები, ოპოზიციური ჯგუფები) ყოველთვის მარცხდებიან სასამართლოში ხელისუფლების ან დომინანტური პოლიტიკური ჯგუფების წინააღმდეგ.

**3. სახელმწიფო მოხელეები არ იყენებენ სიძულვილის ენას ან არ ახდენენ სსო-ების სტიგმატიზებას; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ მედიაში, არ მიმდინარეობს ცილისწამებლური კამპანია სსო-ების ან მათთან დაკავშირებული პირების მიმართ**

სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს სსო-ების ნებისმიერი ფორმით შევიწროებისგან, მათ შორის, სასამართლო, ადმინისტრაციული ან საგადასახადო-სამართლებრივი ზომებისგან; ნეგატიური საჯარო დისკურსისგან; შეურაცხყოფელი კამპანიის ან დაშინებისგან. ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უნდა გააკეთონ შეურაცხყოფელი განცხადებები, რომლებიც ლახავს სსო-ს წევრებისა და მასთან დაკავშირებული პირების პატივსა და ღირსებას ან ზიანს აყენებს სსო-ებისა და ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების რეპუტაციას.

სახელმწიფო მოხელეებმა არ უნდა გააკეთონ სსო-ების შესახებ ცდომილებაში შემყვანი განცხადებები, ასევე არ უნდა მიიტანონ მათზე იერიში მთავრობისადმი კრიტიკული პოზიციის გამო. ის ფაქტი, რომ სსო-ები იღებენ უცხოურ დაფინანსებას, არ შეიძლება გახდეს სტიგმატიზაციის საფუძველი. სსო-ების შერაცხვა „უცხოელ აგენტებად“ ან „ტრადიციული ღირებულებების საფრთხედ“ სტიგმატიზაციის ერთ-ერთი ფორმაა.

მედია - განსაკუთრებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მედია - არ უნდა იქნას გამოყენებული სსო-ების წინააღმდეგ მიმართული რეტორიკის გამოხატვის წყაროდ. სსო-ებზე თავდასხმის შემთხვევაში, მათ უნდა ჰქონდეთ იერიშის მოგერიებისა და უარყოფის შესაძლებლობა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები იყენებენ სიძულვილის ენას ადამიანის უფლებათა დამცველი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, უმცირესობათა უფლებების დამცველი სსო-ების, ლგბტ ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას;
- სსო-ების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა ფინანსდება ეროვნული ან მუნიციპალური ბიუჯეტიდან (ბეჟდური მასალები, საზოგადოებრივი მაუწყებლობა და ა.შ.)

**4. სახელმწიფო საგანგებო სიტუაციის საბაზით მიზანმიმართულად არ ახორციელებს მონაწილეობის და ადამიანთა უფლებების შეზღუდვას ან კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციების მიმართ სანქციების დაწესებას.**

საგანგებო სიტუაციის დროს სახელმწიფომ ყველა ღონეს უნდა მიმართოს მიღებული ზომების თაობაზე მოქალაქეებთან და სსო-ებთან კონსულტაციების გავლისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაწესებული შეზღუდვები გავლენას ახდენს მათზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით: „საგანგებო სიტუაციის არსებობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს, არ უნდა იქცეს პოლიტიკური დებატების შეზღუდვის საბაზად. საგანგებო სიტუაციების დროსაც კი სახელმწიფოს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი მიღებული ზომა უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული სახელმწიფო წყობის დაცვას და ყველა ღონე უნდა იქნეს გამოყენებული დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების დასაცავად, რაშიც იგულისხმება: პლურალიზმი, ტოლერანტობა, ფართო მსოფლმხედველობა.“<sup>32</sup> მთავრობებმა ინფორმაციის გავრცელება პროაქტიურად უნდა მოახდინონ და გამჭვირვალედ უნდა ისაუბრონ მიღებული ზომების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. საგანგებო სიტუაციაში მიღებული ზომების გამოყენება არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების გარდაუვალ საჭიროებაზე მეტი დოზით შესაზღუდად. მისი გამოყენება ასევე არ უნდა მოხდეს კრიტიკული ხმების ჩასახშობად. ნებისმიერი დაწესებული სანქცია უნდა იყოს სიტუაციის თანაზომიერი.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევად მიიჩნება:**

- ორგანიზაციები, რომლებიც აკრიტიკებენ საგანგებო ზომების შემოღებას, განიცდიან წნეხს ან მათ უწყესებენ სანქციებს;
- სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოება არ ჰყავს ჩართული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რისთვისაც საბაზად იყენებს ზომების გადაუდებლად მიღების საჭიროებას;
- კანონების მიღება და პოლიტიკის შემუშავება, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობასთან ან სხვა გადაუდებელ სიტუაციასთან, ხდება საჯარო განხილვის გარეშე.

**სტანდარტი 2.**

ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრების ან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მიზანმიმართული და პროპორ-ციულია, ისინი შეესაბამება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას და იცავს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის შესახებ

*რადიკალიზმის, ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ბოლოდროინდელმა ზრდამ გავლენა იქონია გლობალურ დონეზე მთელ რიგ ინიციატივებზე, რომლებიც აღნიშნული მოვლენების ძირითად მიზეზებს ებრძვის. ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები არ ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვის მიზანს. შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ პოტენციური რისკის მატარებელი*

<sup>32</sup>[https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_15\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_15_ENG.pdf)

მიმართულებები და არ უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც შეეხება მთლიან სექტორს. სსო-ებისადმი ანტიკორუფციული კანონების გატარებამ შესაძლოა შეზღუდოს სსო-ს თანამშრომლებისა და დონორების უფლებები.

## კანონმდებლობა

### ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით

1. ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ზღუდავს სსო-ებს ან შეუძლებელს ხდის სსო-ების მიერ ლეგიტიმური საქმიანობის წარმართვასა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას.
2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ზომები ვრცელდება მხოლოდ მომეტებული რისკის მქონე სსო-ებზე;
3. ანტიკორუფციული კანონები, ზომები და სტრატეგიები არ ზღუდავს ან არღვევს სსო-ების ან მათი თანამშრომლებისა და დონორების უფლებებს.

### 1. ექსტრემიზმის, ტერორიზმის, ფულის გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კანონები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ზღუდავს სსო-ებს ან შეუძლებელს ხდის სსო-ების მიერ ლეგიტიმური საქმიანობის წარმართვასა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას

კორუფციასთან ბრძოლა, ტერორიზმის დაფინანსება, ფულის გათეთრება ან უკანონო ტრეფიკინგის სხვა ფორმები, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც ლეგიტიმური საფუძველი ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. მიუხედავად ამისა, სსო-ებისთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნებისმიერი შეზღუდვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს გამოვლენილ რისკებსა და მთავრობის მიზნებს ზემოაღნიშნული ინტერესების დაცვის კუთხით. ამავდროულად, ისინი უნდა იყოს მინიმალურად ინტრუზიული.

საბაჟო სისტემებთან, სავალუტო ოპერაციებთან, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. ის ასევე არ უნდა აყენებდეს ზიანს სსო-ების მიერ შემოსავლის გენერირების, დაფინანსების მოძიებისა ან გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე ოპერირების შესაძლებლობებს.

ინტერნეტ სივრცეში ტერორისტული აქტივობის აღკვეთის მცდელობა (მაგალითად, ონლაინ კონტენტის რეგულირება, გაფილტვრა ან ბლოკირება, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით არაკანონიერად მიიჩნევა) უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. ის უნდა იქნას განხორციელებული კანონის უზენაესობის შესაბამისად, ისე, რომ შეზღუდვა გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის თავისუფალ მიმოცვლაზე არ იყოს უკანონო.

რადიკალური ან ექსტრემალური შეხედულებების ან მოსაზრებების გამოხატვა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს სამოქალაქო საზოგადოება „ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ან „რადიკალიზმის შემცირების“ საბაბით, რადგან სახელმწიფოს მიზანი ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ამ ფენომენის ძალადობრივ ფორმებთან (მაგალითად, „ძალადობრივი ექსტრემიზმი“).

### მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- არსებობს ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან, ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან ბრძოლის კანონი, რომლის ფარგლებში სსო-ები ექვემდებარებიან სპეციალურ რეგულირებას;

- კანონი ითვალისწინებს სსო-ს ტერორისტულ ან ექსტრემისტულ ორგანიზაციად გამოცხადების სასამართლოგარეშე პროცედურას;
- კანონი ითვალისწინებს სამოქალაქო ორგანიზაციის ან/და მისი საქმიანობის შეჩერებას ტერორისტული ან ექსტრემისტული საქმიანობის ეჭვის საფუძველზე, რაზეც არ ვრცელდება სასამართლოში გასაჩივრება და სამართლებრივი დაცვის სხვა მექანიზმების გამოყენება.

## **2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ზომები ვრცელდება მხოლოდ მომეტებული რისკის მქონე სსო-ებზე**

მთლიან სამოქალაქო სექტორზე ფოკუსირების ნაცვლად, ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული ზომები (AMFL/CTF) მკაცრად უნდა შემოიფარგლოს იმ კონკრეტული ორგანიზაციებით ან ქვესექტორებით, რომელთა მიმართებაში შეინიშნება მომეტებული რისკი. ამგვარი ზომები არ უნდა ითვალისწინებდეს ყველა სსო-სთვის სპეცილური რეგულაციების დანერგვას.

კანონმა არ უნდა მოითხოვოს სსო-ებისგან ან სსო-ების ცალკეული კატეგორიებისგან AML/CTF შესაბამისობის შესახებ სპეციალური ანგარიშების წარდგენა ან ამ მიმართულებით სსო-ებისთვის, როგორც „ვალდებული“ სუბიექტებისთვის, სხვა მოვალეობების დაწესება. ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა არ მოითხოვს და არც ამართლებს მთავრობის მიერ სსო-ებისთვის უცხოური დაფინანსების აკრძალვას ან შეზღუდვას.

თუკი საჭიროა შეზღუდვების დაწესება, როგორცაა ზედამხედველობის, კონტროლის, ანგარიშებისა და მმართველობის გამკაცრებული მოთხოვნები, ისინი უნდა გავრცელდეს სსო-ების მხოლოდ იმ ქვესექტორზე, რომელიც დგას რისკის წინაშე რისკის შეფასების ოფიციალური პროცესის შესაბამისად. ამგვარი შეზღუდვები გამოვლენილი რისკის პროპორციული უნდა იყოს.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი ავალდებულებს ბანკებს შეაფასონ, თუ რამდენად შეესაბამება ნებისმიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ფინანსური ოპერაციები მის წესდებასა და მიზნებს;
- AML /CTF სამართლებრივი ზომები ვრცელდება ყველა სსო-ზე, განურჩევლად რისკის დონისა; ამგვარი ზომები არ შეესაბამება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას ან რისკების ოფიციალურ შეფასებას;
- სსო-ებმა უნდა წარმოადგინონ სპეციალური ანგარიშები AML/CTF საკითხებზე ან განახორციელონ სხვა ქმედებები AML/CTF რეგულაციებთან შესაბამისობის დამტკიცების მიზნით („დანაშაულის პრეზუმფცია“);
- დადგენილი ლიმიტები სსო-ებისთვის ნებადართული შემოწირულობების ოდენობაზე ან ფულადი ტრანზაქციების რაოდენობაზე ზღუდავს მათ პროდუქტიულ საქმიანობას და დაფინანსების მიღების შესაძლებლობას;
- სსო-ებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ AML-ის შესახებ კონკრეტული პოლიტიკა ან/და დაიქირაონ თანამშრომელი AML შესაბამისობის ოფიცრის პოზიციაზე და/ან ჩაატარონ პერსონალისთვის ტრენინგები AML ღონისძიებების შესახებ.

## **3. ანტიკორუფციული კანონები, ზომები და სტრატეგიები არ ზღუდავს ან არღვევს სსო-ების ან მათი თანამშრომლებისა და დონორების უფლებებს.**

კანონმა არ უნდა დატვირთოს სსო-ები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული არაპროპორციული მოვალეობებით, როგორცაა კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშებისგან განსხვავებული ანგარიშების მოთხოვნა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა შეაფერხოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კანონიერი საქმიანობა და ლეგიტიმური მიზნების მიღწევა. აღნიშნული პრინციპი ეხება როგორც სსო-ებს, ასევე მათ წევრებს, დონორებსა და თანამშრომლებს, რომელთაგან არცერთი არ უნდა გახდეს სახელმწიფო კონტროლის ან ანტიკორუფციული რეგულაციების საგანგებო ობიექტი.

სსო-ები, განსაკუთრებით, დამკვირვებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხშირად მამოძრავებელი ძალაა ანტიკორუფციული ზომების უკან. ხელისუფლებამ არ უნდა დააწესოს დამატებითი შეზღუდვები სსო-სა და მასთან დაკავშირებულ პირებზე კორუფციასთან ბრძოლის საბაზით.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ების თანამშრომლებმა ან ხელმძღვანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან სახელმწიფო მოხელეები, საჯაროდ უნდა გამოიტანონ საგადასახადო დეკლარაციები.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა არ იზღუდება ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან კავშირის შესახებ გაუმართლებელი განცხადებების საფუძველზე.</li> <li>2. სახელმწიფო ორგანოები ან საბანკო პრაქტიკა არ აფერხებს ან არ ზღუდავს სსო-ების მიერ ფულის გაგზავნის ან მიღების შესაძლებლობას.</li> <li>3. ანტიკორუფციული რეგულაციების განხორციელება უარყოფითად არ აისახება სსო-ების, თანამშრომლებისა და დონორების უფლებებსა და საქმიანობაზე.</li> </ol>

**1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა არ იზღუდება ექსტრემიზმთან, ტერორიზმთან, ფულის გათეთრებასა და კორუფციასთან კავშირის შესახებ გაუმართლებელი განცხადებების საფუძველზე**

ეროვნული ინტერესი კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მიმართ არ ამართლებს სსო-ებისთვის ანგარიშგების ახალი მოთხოვნების დაწესებას, თუ არ არსებობს კონკრეტული საფრთხე საზოგადოებრივი ან/და კონსტიტუციური წესრიგის ან უკანონო საქმიანობის შესახებ. ექსტრემიზმთან ან ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით შემუშავებული ზომები უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს არაკანონიერი საქმიანობის შესახებ და არა პირად შეხედულებებს სსო-ს წევრებისა და ხელმძღვანელების საერთაშორისო კავშირების შესახებ. ერთი იურისდიქციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება სსო-ს ექსტრემისტულ ან ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადება ან აღნიშნული ბრალდების საფუძველზე მისი საქმიანობის შეჩერება, ავტომატურად არ უნდა გავრცელდეს სხვა იურისდიქციაზე. ამგვარი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული მხოლოდ სასამართლოს მიერ და ისინი უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას.

კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია ითანამშრომლოს სსო-ებთან. კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა უნდა იყოს ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება ნაკლებად ეფექტური ან შესაძლოა დაკარგოს ლეგიტიმურობა.

სსო-ების უმრავლესობა ატარებს ნულოვან ან მცირე რისკს ტერორისტული დაფინანსების ან ფულის გათეთრების კუთხით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გაატაროს მიზანმიმართული და პროპორციული ზომები რისკზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით. ტერორისტული ან ექსტრემისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ სანქციების დაწესების გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მყარი მტკიცებულების საფუძველზე, ღია და შეჯიბრებითობის პროცესში, სადაც ორგანიზაცია გარანტირებულია დაცვის უფლებით.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ სსო-ს ექსტრემისტულ ან ტერორისტულ ორგანიზაციად, ან აჩერებენ სსო-ს საქმიანობას მისი დამფუძნებლების, დონორების ან ხელმძღვანელების შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო;
- ხელისუფლება აცხადებს ორგანიზაციას ექსტრემისტულად დაუსწრებლად ან სასამართლოს გარეშე.

## **2. სახელმწიფო ორგანოები ან საბანკო პრაქტიკა არ აფერხებს ან არ ზღუდავს სსო-ების მიერ ფულის გაგზავნის ან მიღების შესაძლებლობას**

ბანკებმა ან სახელმწიფო მარეგულირებელმა არ უნდა შეაჩერონ ან ხელი შეუშალონ სსო-ების კანონიერ ფინანსურ საქმიანობას, როგორცაა საბანკო ანგარიშებზე ფულის მიღება, ფინანსური რესურსების დაგროვება (მათ შორის, შემოწირულობების სახით) და საზღვარგარეთ ფულის გაგზავნა.

სსო-ს საქმიანობის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს შემაკავებელი ზომები, როგორცაა საბანკო ანგარიშების გაყინვა ან თანხების გადარიცხვის ლიმიტირება. შეზღუდვები უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს, რომ არსებობს საფრთხე ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ; ისინი ასევე უნდა ეფუძნებოდეს კანონის ნორმებსა და უნდა იყოს პროპორციული (მაგ., პოლიტიკის მიზნის მისაღწევად არ არსებობს ნაკლებად შემზღუდავი საშუალება).

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ები აწყდებიან სირთულეებს საბანკო ანგარიშების გახსნის, საბანკო ანგარიშებზე თანხის მიღების და საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვის კუთხით (ან ამგვარი ქმედება საჭიროებს მთავრობის წინასწარ თანხმობას);
- ბანკები, საკუთარი ინიციატივით ან მარეგულირებლის ინსტრუქციების შესაბამისად, უარს ამბობენ ან აჭიანურებენ სსო-ებისთვის მომსახურების მიწოდებას, რადგან მათ „საეჭვოდ“ მიიჩნევენ.

## **3. ანტიკორუფციული რეგულაციების განხორციელება უარყოფითად არ აისახება სსო-ების, თანამშრომლებისა და დონორების უფლებებსა და საქმიანობაზე**

ანტიკორუფციული ღონისძიებები და გამჭვირვალობის მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენს სსო-ებზე, არ შეიძლება იყოს ზედმეტად მძიმე. ისინი უნდა იყოს ორგანიზაციის ზომისა და მისი საქმიანობის პროპორციული, ორგანიზაციის აქტივებისა და შემოსავლების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული სისტემა შეიძლება იყოს ეროვნულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან არეულობისა და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმური საშუალება, ის ცალსახად არ არის განსაზღვრული, როგორც ლეგიტიმური მიზანი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით. უფრო მეტიც, თვით გამჭვირვალობა არის ბუნდოვანი და ზოგადი ტერმინი, რომელიც არ არის ისეთივე სპეციფიკური, როგორც ლეგიტიმური მიზნები, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აქედან გამომდინარე, ნაცვლად მოთხოვნების დაყენებისა, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და წაახალისონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და თავი შეიკავონ სსო-ების ლეგიტიმური საქმიანობის შემზღუდავი ზომების გატარებისგან. თუ ამგვარი ღონისძიებები ვრცელდება სსო-ს წევრებზე, დონორებსა ან თანამშრომლებზე, ისინი უნდა იყოს პროპორციული და იცავდეს მათი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ანტიკორუფციული სამოქალაქო ორგანიზაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ საგადასახადო დეკლარაცია, ან მათ მიმართ ტარდება არაპროპორციული ფინანსური და სისხლის სამართლის სანქციები.

## შესაბამისი რესურსები

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6, 13, 14;
- გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, პრეამბულა, მუხლი 26.4
- სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები, ფულის გათეთრების, ტერორიზმისა და ფინანსებისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები, რეკომენდაცია 8 და რეკომენდაციის ახსნა-განმარტებითი შენიშვნა
- ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 25, 33, 41, 74, 104, 121, 192, 215, 220, 224, 241, 256
- OSCE/ODIHR სახელმძღვანელო პრინციპები ტერორიზმის თავიდან აცილების, ტერორიზმთან დაკავშირებული ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის აღკვეთის შესახებ (2014)
- ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია ადამიანის უფლებებით სარგებლობის მხრივ კორუფციის უარყოფით ზეგავლენზე, A/HRC/RES/35/25, მუხლი 5 (2017 წლის 23 ივნისი)
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A / HRC / 23/39 (24 აპრილი 2013), მუხლი 20, 27, 29, 34 და 35
- სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, A / HRC / 13/37 (28 დეკემბერი 2009), მუხლი 36;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ICCPR/C/128/2, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, განცხადება კოვიდ-19-ის პანდემიის მიზეზით პაქტის ნაწილობრივ გაუქმებაზე.
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ/CCPR/C/21/Rev.1/Add.11, ზოგადი კომენტარი N 29: მუხლი 4, ნაწილობრივ გაუქმების ფაქტები საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.
- OSCE/ODIHR სახელმძღვანელო პრინციპები ტერორიზმის თავიდან აცილების, ტერორიზმთან დაკავშირებული ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის აღკვეთის შესახებ (ვარშავა: ODIHR, 2014), გვ.42
- ვენეციის კომისია, შუალედური დასკვნა ეგვიპტის სამოქალაქო ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტის თაობაზე, 2013 წ. (2013 წლის 16 ოქტომბერი), მუხლი 35;
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2226 ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ახალი შეზღუდვების შესახებ (მიღებული 2018 წლის 27 ივნისს), მუხლი 10.6
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, მუხლი 76-77 (მიღებული 10 ოქტ 2007), მუხლი 27, 22, 26, 72, 74 და 75;
- ევროპის საბჭო, ფუნდამენტური პრინციპები ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსის შესახებ, მუხლი 24, 70, 71, 72 და 73;
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრევედენტული სამართალი: ბორის ზვოცსკოვი და სხვები ბელარუსის წინააღმდეგ (2006 წლის 17 ოქტომბერი); მალახოვსკი და ფიკული ბელარუსის წინააღმდეგ (2005 წლის 26 ივლისი); ალექსანდრე ბელიაკვი და სხვები ბელარუსის წინააღმდეგ (2007 წლის 24 ივლისი); ნატალია პინჩუკი ბელარუსის წინააღმდეგ (17 ნოემბერი 2014)
- პარიზის პრინციპები „დამატებითი პრინციპები კვაზი-იურისდიქციული კომპეტენციის მქონე კომისიების სტატუსის შესახებ“ და ზოგადი დაკვირვება 2.10 (2013 წლის 6-7 მაისს საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ბიუროს მიერ მიღებული) ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://nhri.ohchr.org/EN/AboutUs/ICCAccreditation/Documents/Report%20May%6202013-Consolidated-English.pdf>

- ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის გზამკვლევი, ნაწილობრივი გაუქმება საგანგებო სიტუაციის დროს, ხელმისაწვდომია ბმულის საშუალებით: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_15\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_15_ENG.pdf)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Staatkundig Gereformeerde Partij v. Netherlands* (2012)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *დემოკრატიული სამეფოს მოძრაობა ბულგარეთის წინააღმდეგ* (1995)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *ოზბეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* (2009)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Islam-Ittihad Association and Others v. Azerbaijan* (2014)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *რამაზანოვა და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ* (2007)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Tebieti Mühafize Cemiyeti and Israfilov v. Azerbaijan* (2009)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *კასპაროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*(2013)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Szerdahelyi v. Hungary* (2012)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Patyi v. Hungary* (2012)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Szerdahelyi and Patyi v. Hungary* (2012)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *უზუნი გერმანიის წინააღმდეგ* (2010)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Emek Partisi and Şenol v Turkey* (2005)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *თავისუფლებისა და დემოკრატიის პარტია (ÖZDEP) თურქეთის წინააღმდეგ* (1999)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *ჰერი ბატასუნა ესპანეთის წინააღმდეგ* (2009)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *IPSD and Others v Turkey* (2005)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *კალიფშტატი გერმანიის წინააღმდეგ* (2006)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Ourkiki Enosi Xanthis and Others v Greece* (2008)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Refah Partisi and Others v Turkey* (2003)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Silay v Turkey* (2007)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *სივერი და ჩიელინი იტალიის წინააღმდეგ*, (2008)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *სოციალისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* (1998)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *თურქეთის სოციალური პარტია (STP) თურქეთის წინააღმდეგ*(2003)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Tebieti Mühafize Cemiyeti and Israfilov v. Azerbaijan* (2009)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Tüm Haber Sen and Çinar v Turkey* (2006)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Tunceli Kültür ve Dayanışma Derneği v Turkey* (2006)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ* (1998)
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *Yazar and Others v Turkey* (2002)
- ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 128/2 განცხადება COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეთანხმების პირობების დარღვევის შესახებ

# სფერო 9. სახელმწიფო მხარდაჭერა

## სტანდარტი 1. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ების ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმების ფართო არჩევანი

სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია სხვადასხვა მექანიზმები სსო-ების ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერისთვის, რაც მიზნად ისახავს მათი მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმას სოციალური საჭიროებების მოგვარების პროცესში. სახელმწიფო მხარს უჭერს სსო-ებს ინსტიტუციონალური და/ან საპროექტო დაფინანსებით, სსო-ს მომსახურების შესყიდვით, სუბსიდირებით ან არამატერიალური დახმარებით. ყველა მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტს წარმოადგენს პრინციპი, რომ სსო-ები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელნი და ავტონომიურნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იღებენ სახელმწიფო მხარდაჭერას.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. კანონი ითვალისწინებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მრავალფეროვანი მექანიზმების ჩამოყალიბებას.
2. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ებისთვის არაფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის სამართლებრივი შესაძლებლობები.

### 1. კანონი ითვალისწინებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მრავალფეროვანი მექანიზმების ჩამოყალიბებას

სახელმწიფოს მიერ სსო-ების ფინანსური მხარდაჭერა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით - გრანტები, სუბსიდირებები, შესყიდვები და სხვა. თუმცა, თითოეული ფორმის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის სასურველი მიზანი და შედეგი.

გრანტები წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციების პირდაპირი ფინანსური დახმარების ყველაზე გავრცელებულ ფორმას. გრანტების გამოყოფა ხდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონალური ან საპროექტო მხარდაჭერისთვის. საპროექტო მხარდაჭერა შესაძლებელია გაწეულ იქნას სხვადასხვა სფეროში იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მთავრობას. მაგალითად, თუ მიზანს წარმოადგენს სსო-ებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, საპროექტო გრანტი შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად. ინსტიტუციური მხარდაჭერის გრანტები განკუთვნილია ორგანიზაციის საქმიანობისათვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად და მოიცავს ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, შესაძლებლობების გაძლიერებას, აუდიტის ხარჯებს და ა.შ.

სუბსიდირებები წარმოადგენს ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ფორმას გარკვეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და ისინი არ უკავშირდება კონკრეტულ პროექტებს. ჩვეულებრივ, სუბსიდირებისთვის ადგილი არ აქვს კონკურენცია, მიმღებ სსო-ს უფლება აქვს მიიღოს სუბსიდია კანონით დადგენილი წესით. მრავალ ქვეყანაში, სუბსიდირებები გადაეცემათ სხვადასხვა ტიპის სოციალური ჯგუფების წარმომადგენელ ორგანიზაციებს.

მომსახურების შესყიდვა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სსო-ებისგან საქონლისა და მომსახურების შეძენას. გრანტებისგან განსხვავებით, აქ მიზანია კონკრეტული მომსახურებით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში, მთავრობამ ზუსტად იცის, რა უნდა გაკეთდეს და ეძებს მხარეს, რომელიც მიაწვდის მაღალხარისხიან მომსახურებას ყველაზე დაბალ ფასად.

კანონმა უნდა უზრუნველყოს სსო-ების შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში ნებისმიერ სფეროში, რომელშიც მათ აქვთ ოპერირების უფლება. სახელმწიფომ არ უნდა დააწესოს გაუმართლებელი მოთხოვნები, რომლებიც გაართულებს სსო-ების შესყიდვებში მონაწილეობას (მაგ. საბანკო გარანტიის ან ფინანსური ბრუნვის მეტისმეტად მკაცრი მოთხოვნები).

მთავრობებმა მხარი უნდა დაუჭიროონ სსო-ების ჩართულობას სოციალურ მეწარმეობაში, საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით, რაშიც ასევე იგულისხმება პირდაპირი და/ან არაპირდაპირი სახელმწიფო დახმარება ან სხვა პოლიტიკური ზომების მიღება.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსების შესაძლებლობას;
- მნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ გრანტების გაცემა;
- არ არსებობს სსო-ებისთვის ინსტიტუციური მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობა;
- არ არსებობს სხვადასხვა სფეროს დაფინანსების შესაძლებლობა;
- კანონმდებლობა არ აძლევს სსო-ებს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის საშუალებას;
- არსებობს დისკრიმინაციული მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავს სსო-ების მონაწილეობას

**2. არსებობს სახელმწიფოს მიერ სსო-ებისთვის არაფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის სამართლებრივი შესაძლებლობები**

არამატერიალური დახმარება არის სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინსტიტუციონალური მხარდაჭერის ფორმა და შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია კონტრიბუციის სახით გადასცეს ორგანიზაციას ისეთი საქონელი, როგორცაა კომპიუტერი, ავეჯი ან სხვა ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის მიერ მის ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, არამატერიალური დახმარება შესაძლებელია გაწეულ იქნას მომსახურების სახით, მაგალითად, სივრცის გამოყოფა შეხვედრებისა და ღონისძიებებისთვის და ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა. არამატერიალური დახმარების ფორმას ასევე წარმოადგენს ექსპერტული გამოცდილების გაზიარება სამართლებრივი, ფინანსური ან სტრატეგიული დახმარების სახით. აღიარებები და ჯილდოები ასევე შესაძლებელია განვიხილოთ არამატერიალური მხარდაჭერის ფორმად იმის გათვალისწინებით, რომ ისინი გადაეცემა სსო-ს გარკვეული მიღწევებისთვის.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არეგულირებს სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობას დახმარება გაუწიონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს;
- არამატერიალური დახმარების გაწევის წესები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- არამატერიალური დახმარება გაიცემა მხოლოდ სოციალურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებზე.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო რეგულარულად ახდენს სხვადასხვა სფეროში მოქმედი სსო-ების დიდი რაოდენობის დაფინანსებას.</li> <li>2. გამოყოფილია დაფინანსება სსო-ს მიერ გაწეული მომსახურებისთვის; არსებობს სსო-ების მიერ მიწოდებული მომსახურებით სარგებლობის მზარდი პრაქტიკა.</li> </ol>

## **1. სახელმწიფო რეგულარულად ახდენს სხვადასხვა სფეროში მოქმედი სსო-ების დიდი რაოდენობის დაფინანსებას**

სახელმწიფომ რეგულარულად უნდა მოახდინოს სსო-ების დაფინანსებით უზრუნველყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაფინანსება ყოველწლიურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. სსო-ების უმრავლესობა მონაწილეობას იღებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. ისინი ჩართულნი არიან მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა განათლება, ადამიანის უფლებები, სპორტი, კულტურა, ჯანმრთელობა, ახალგაზრდების გაძლიერება, ეკონომიკური განვითარება და სხვა. მათი ინტერესის სფეროდან გამომდინარე, ორგანიზაციებმა შესაძლოა იმოქმედონ, როგორც ანალიტიკოსებმა, სამეთვალყურეო ინსტიტუტებმა და მომსახურების მიწოდებლებმა. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს მათი მრავალფეროვნება და არ უნდა შეზღუდოს ფინანსური მხარდაჭერა რამდენიმე ან კონკრეტული ტიპის ორგანიზაციებისთვის. ამის ნაცვლად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაფინანსების შესაძლებლობებით მრავალი ორგანიზაცია, როგორც მსხვილი, ასევე მცირე ბიუჯეტისა და კადრის თვალსაზრისით. საყოველთაო საგანგებო მდგომარეობის დროს, სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს სსო-ების მხარდაჭერა სარეზერვო ფონდებიდან. გარდა ამისა, სახელმწიფომ სხვადასხვა საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს სსო-ებს მათი მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებაში. სსო-ებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალური სერვისების და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პროცესში არიან ჩართულები, წვდომა უნდა ჰქონდეთ საგანგებო სიტუაციებისთვის განკუთვნილ სახელმწიფო დაფინანსებასთან. თუმცა, მათ ამავე დროს უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა. დაფინანსების აღნიშნული პროგრამები უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და სამოქალაქო საზოგადოებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო დაფინანსება განკუთვნილია შეზღუდული სფეროებისა და სსო-ების მცირე რაოდენობისთვის;
- კანონი ითვალისწინებს არამატერიალური დახმარების შესაძლებლობას, მაგრამ სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ამ ტიპის მხარდაჭერას ან ამგვარი მხარდაჭერის შემთხვევები ძალზედ იშვიათია.
- სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას.
- სსო-ებისთვის გამოყოფილი დახმარება წყდება და იგი სხვა სახელმწიფო მიზნებისთვის გამოიყენება.

## **2. გამოყოფილია დაფინანსება სსო-ს მიერ გაწეული მომსახურებისთვის; არსებობს სსო-ების მიერ მიწოდებული მომსახურებით სარგებლობის მზარდი პრაქტიკა**

სხვადასხვა სფეროში, დამკვიდრებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან კონტაქტის ფაგლებში მომსახურების მიღების პრაქტიკა. სსო-ებს მოქმედების არეალში (სოციალური მომსახურება, განათლება, კულტურა), ამგვარი კონტრაქტები უნდა იყოს გავრცელებული პრაქტიკა, სსო-ები აღიარებულნი უნდა იყვნენ სახელმწიფოს მნიშვნელოვან კონტრაქტორებად. სახეზე უნდა იყოს სსო-ების დაქირავების მზარდი ტენდენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს კონტრაქტების რაოდენობა და თანხის ოდენობა.

სსო-ების დაქირავება უნდა მოხდეს სხვადასხვა სფეროში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის მომსახურების მიწოდების პროცესში, სსო-ებს არ უნდა უწევდეთ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწყისებზე მუშაობის გაწევა.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ ხდება სახელმწიფოს მიერ სსო-ების დაქირავება მომსახურების გაწევის მიზნით;
- მცირდება სსო-ების დაქირავებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები.

## სტანდარტი 2.

სსო-ებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული და ობიექტური კრიტერიუმებით, განაწილება კი ხდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურის საშუალებით

სახელმწიფომ ეფექტურად და გამჭვირვალედ უნდა გამოიყენოს საჯარო რესურსები. სახელმწიფო დაფინანსების განაწილება უნდა განხორციელდეს თანაბარი ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით. ინფორმაცია განაცხადების მიღების, შერჩევის კრიტერიუმებისა და შედეგების შესახებ დროულად უნდა იქნას გამოქვეყნებული. სსო-ებს უნდა შეეძლოთ აქტიური მონაწილეობის მიღება სახელმწიფო დაფინანსების ციკლის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით, დაფინანსების პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესში. გარდა ამისა, დანერგილი უნდა იყოს მკაფიო და ადეკვატური მექანიზმები დანახარჯებისა და განაწილების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

## კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური და არამატერიალური მხარდაჭერა ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს.
2. კანონი ითხოვს სსო-ს წარმომადგენლების მონაწილეობას დაფინანსების პრიორიტეტებისა და გრანტის მიმღებთა შერჩევის პროცესში.
3. სსო-ებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო დაფინანსებასთან მიმართებაში, არსებობს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო და მიუკერძოებელი მექანიზმი.

### 1. სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური და არამატერიალური მხარდაჭერა ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს

ეფექტური პროცედურებისა და პრინციპების დასაწერად, რომლებიც სავალდებულო იქნება დაფინანსების გამცემი ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს საჯარო დაფინანსების პროცედურულ ჩარჩოს. წესებმა უნდა დაადგინოს დაფინანსების პრინციპები და კონკრეტული პროცედურული მოთხოვნები. ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს ძირითადი მოთხოვნების დაცვა მთავრობის ყველა ორგანოსა და უწყების მიერ.

საჭიროა არსებობდეს მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურა, რომლის საშუალებითაც ნაწილდება სსო-ებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება. სხვა საკითხებთან ერთად, პროცედურამ უნდა დააწესოს მოთხოვნა: დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ და ადგილობრივ მედიაში გამოქვეყნების შესახებ; შერჩევის მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმების ჩამოყალიბების შესახებ; შეთავაზების წარდგენისთვის სათანადო დროის გამოყოფის შესახებ; შერჩევის კრიტერიუმებისა და შერჩეული აპლიკანტების გამოცხადების შესახებ; განაცხადების ასლების პოტენციური აპლიკანტებისთვის გაგზავნის შესახებ; დაფინანსების ორგანოს მიერ აპლიკანტების კითხვებზე პასუხების გაცემის შესახებ. ამასთანავე, სსო-ები და სახელმწიფო ორგანოები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ მიღებულ/გამოყოფილ სახსრებზე, ხოლო ინფორმაცია დაფინანსების გადაწყვეტილების შესახებ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

თანასწორობის პრინციპი ნიშნავს, რომ ყველა სსო-ს უნდა ჰქონდეს დაფინანსების მიღების შანსი. ამავე დროს, შესაძლოა არსებობდეს საგანგებო მიზეზი გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდასაჭერად, მაგალითად, ორგანიზაციები, რომლებიც ორინტეგრირებულნი არიან სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე, ან კიდევ ადამიანის უფლებების დაცვაზე. თუმცა, პრივილეგირებული მხარდაჭერის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზუსტი, მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები/პროცედურები პროცესის წასამართად. ამგვარი კრიტერიუმები საჯაროდ უნდა იქნას გამოქვეყნებული.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არსებობს გამჭვირვალობისა და ობიექტურობის სამართლებრივი სტანდარტები სახელმწიფოს მიერ ფინანსური და არამატერიალური დახმარების გაწევის პროცესში; შესაბამისად, რესურსები თანაბრად არ არის ხელმისაწვდომი ყველა სსო-სთვის;
- კანონი არ განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის დეტალურ პროცედურას;
- სახელმწიფო დაფინანსების პროცედურის შესახებ არსებული რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და ობიექტური;
- არ არის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები;
- კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ სსო-ების ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო დახმარება და შეღავათები;
- კანონმდებლობა განსაზღვრავს სსო-ების საქმიანობის ვიწრო ჩამონათვალს, რომელთათვისაც განკუთვნილია სახელმწიფო შეღავათები.

**2. კანონი ითხოვს სსო-ს წარმომადგენლების მონაწილეობას დაფინანსების პრიორიტეტებისა და გრანტის მიმღებთა შერჩევის პროცესში.**

სახელმწიფო დაფინანსება უნდა გაიცეს სამართლიანი და გამჭვირვალე სატენდერო პროცესის შემდეგ, ხოლო ფინანსური მხარდაჭერის ან კონკრეტული ინიციატივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კოლეგიური ორგანოს მიერ. კოლეგიურ ორგანოში წარმოდგენილი უნდა იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, აგრეთვე შესაბამისი სფეროს სპეციალისტები. საუკეთესო შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ორგანოებს, სულ მცირე, უნდა ჰქონდეთ კოლეგიურ ორგანოში თანაბარი წარმომადგენლობა და ყველა გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ხმების უმრავლესობას.

მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სპეციალური დებულების გათვალისწინება. გრანტის გამცემი სახელმწიფო პირებს, მათ შორის, სამინისტროებს, ადგილობრივ თვითმმართველობას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დებულებები იმის შესახებ, თუ როგორ აწესრიგებენ ისინი ინტერესთა კონფლიქტებს და როგორ ახდენენ მათ თავიდან აცილებას. აღნიშნული წესები უნდა კრძალავდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესის მქონე პირების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამართლებრივი შეზღუდვები უნდა გავრცელდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა დაფინანსების თემატური სფეროების იდენტიფიცირების პროცესში არის გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო საგრანტო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი. სამართლებრივმა რეგულაციებმა უნდა მოითხოვოს სახელმწიფოს მიერ სსო-ებთან კონსულტაცია ბიუჯეტის დაგეგმვისა და მიმართულებების განსაზღვრის პროცესში. ეს შეიძლება გაკეთდეს ფორმალური კონსულტაციების ორგანიზების ან/და სსო-ებისგან მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციისა და მოსაზრებების შეგროვების გზით.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ იძლევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უფლებას დაფინანსებისთვის თემატური სფეროების განსაზღვრის ან გრანტის მიმღები პირების შერჩევის პროცესში;
- არ არსებობს კომიტეტის შემადგენლობაში სსო-ებისა და სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები;

**3. სსო-ებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო დაფინანსებასთან მიმართებაში, არსებობს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო და მიუკერძოებელი მექანიზმი**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება ერთ-ერთი გზაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ეფექტურობის შესაფასებლად. კანონმა უნდა უზრუნველყოს მკაფიო დებულებების არსებობა, თუ როგორ მოხდება სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული პროექტების შეფასება. სახელმწიფო დაფინანსების ყველა მიმღები ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში, თუ რა ფორმით ხდება დაფინანსების ათვისება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მექანიზმი არა მარტო პროექტებს, არამედ მთლიან პროგრამასაც აფასებდეს. არსებობს შემთხვევები, როდესაც წარმატებით ხორციელდება პროექტები, თუმცა პროგრამა ვერ აღწევს სასურველ მიზანს.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ ადგენს ნორმებსა და სტანდარტებს ეფექტური მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენის პროცედურა მარტივი და გამჭვირვალეა, პრცედურის შესახებ ინფორმაცია ფართოდ არის გავრცელებული, შერჩევის კრიტერიუმები კი საჯაროდ არის წინასწარ გამოცხადებული.</li> <li>2. სახელმწიფო მხარდაჭერა არ გამოიყენება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შეზღუდვის ან მათი საქმიანობის ხელშეშლის საშუალება.</li> <li>3. მთავრობა დროულად აქვეყნებს ინფორმაციას არჩევის შედეგებისა და პროექტის შედეგების შესახებ</li> </ol>

**1. სახელმწიფო დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენის პროცედურა მარტივი და გამჭვირვალეა, პრცედურის შესახებ ინფორმაცია ფართოდ არის გავრცელებული, შერჩევის კრიტერიუმები კი საჯაროდ არის წინასწარ გამოცხადებული**

სახელმწიფო დაფინანსების პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს განაცხადის წარდგენისა და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან სსო-ების დაფინანსებაში, უნდა გამოაქვეყნონ შესაბამისი ინფორმაცია (შერჩევის კრიტერიუმი, დაფინანსების ოდენობა, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.) ინტერნეტში. ინფორმაციის ფართოდ გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მედია საშუალებები, მათ შორის სსო მედია და სსო ელ-ფოსტის მისამართები. განაცხადისთვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადება არ უნდა უკავშირდებოდეს მნიშვნელოვან დანახარჯებს. განაცხადის ფორმა უნდა იყოს მარტივი; განაცხადის მთელი პაკეტი უნდა იყოს მარტივად მოსაზრადებელი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სათანადო დრო დაეთმოს წინადადების წარდგენას. განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ მცირე ხარვეზების შესწორების შესაძლებლობა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება არ ხდება დროულად;
- ინფორმაცია არ ვრცელდება ალტერნატიული რესურსების გამოყენებით (მედია, ინტერნეტი და ა.შ.);
- საკონსულტაციო შეხვედრები არ არის ხელმისაწვდომი;
- არ ხდება შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გამოქვეყნება;
- განაცხადის წარდგენის პროცედურა ბუნდოვანია და იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას.

**2. სახელმწიფო მხარდაჭერა არ გამოიყენება, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შეზღუდვის ან მათი საქმიანობის ხელშეშლის საშუალება**

სახელმწიფოს მიერ სსო-ებისთვის გაწეულმა მხარდაჭერამ არ უნდა შეზღუდოს მათი დამოუკიდებლობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დამოუკიდებლობას შესაძლოა შეექმნას საფრთხე, თუ სახელმწიფო ინსტიტუტი ცდილობს ჩაერიოს სსო-ს პროექტში ან სხვა საქმიანობაში. ასევე მიუღებელია დაფინანსების გამოყოფა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გააკეთებს ორგანიზაცია სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ პოზიტიურ თუ მხარდამჭერ განცხადებებს.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციებს „სთხოვენ“ მინისტრის მხარდამჭერი განცხადებების გაკეთებას;
- სსო-ები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ, ჩართულნი არიან არჩევნებში მმართველი პარტიის ან კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად.

**3. მთავრობა დროულად აქვეყნებს ინფორმაციას არჩევის შედეგებისა და პროექტის შედეგების შესახებ**

მნიშვნელოვანია, რომ განაცხადის წარდგენისა და შერჩევის პროცედურის შესახებ ინფორმაცია ყველასთვის ნათელი და ხელმისაწვდომი იყოს. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგების დროულად გამოცხადებას და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. კარგი პრაქტიკა აჩვენებს, რომ შერჩევისა და შედეგების გამოქვეყნების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. გასაჩივრების პროცედურები უნდა მოიცავდეს სსო-ებისთვის გამოსადეგ, ეფექტურ და ინსტიტუციონალურ საშუალებებს. თითოეულ ორგანიზაციას, რომელმაც წარადგინა საგრანტო განაცხადი, უნდა ჰქონდეს საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა შედეგების შეტყობინების შემდეგ გონივრულ ვადაში თუ, მაგალითად, სსო შენიშნავს, რომ მისი განაცხადის შეფასებისას ადგილი ჰქონდა პროცედურულ გადაცდომებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სსო-ების მიერ მოწოდებული ანგარიშების გამოქვეყნება. ისინი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის, განსაკუთრებით სხვა სსო-ებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, თუ როგორ მოხდა დაფინანსების გახარჯვა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ არის განსაზღვრული, თუ რა პერიოდში უნდა მოხდეს განაცხადების წარდგენის, პროექტების შერჩევისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება;
- არ ხდება შედეგების დროულად გამოქვეყნება;
- პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება.

### სტანდარტი 3.

#### სსო-ები ხელსაყრელი საგადასახადო გარემოთი სარგებლობენ

არაპირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა არსებითად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისა და შემდგომი განვითარებისთვის. ამდენად, სსო-ებისა და დონორებისათვის შექმნილი უნდა იყოს ხელსაყრელი საგადასახადო გარემო. საგადასახადო შეღავათები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სსო-ს შემოსავლების სხვადასხვა წყაროსთვის. სახელმწიფომ შესაძლებელია შეიმუშაოს დებულებები, რომლებიც საშუალებას მისცემს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მოიპოვონ საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი. თუ შესაძლებელია, სტატუსი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ნათელი და დაბალხარჯიანი პროცედურის მეშვეობით. ორგანიზაციები, რომლებიც მოიპოვებენ სტატუსს, შეძლებენ მიიღონ დამატებითი სარგებელი. თუმცა, მათზე არ უნდა გავრცელდეს მონიტორინგისა და შეფასების გამკაცრებული მოთხოვნები.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. კანონი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს გრანტებზე, შემოწირულობებზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, კონტრიბუციებზე და საწევრო შეტანატებზე, რომლებიც ხელს უწყობს არაკომერციულ საქმიანობას.
2. სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი ნათელი, მარტივი და დაბალხარჯიანი პროცედურის ფარგლებში.
3. საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მინიჭება ხდება განუსაზღვრელი ვადით ან გრძელვადიანი პერიოდით, რომლის განახლებაც მარტივად არის შესაძლებელი.

#### 1. კანონი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს გრანტებზე, შემოწირულობებზე, ეკონომიკურ საქმიანობაზე, კონტრიბუციებზე და საწევრო შეტანატებზე, რომლებიც ხელს უწყობს არაკომერციულ საქმიანობას

კანონმა უნდა უზრუნველყოს მკაფიო წესების არსებობა სსო-ების შემოსავლისადმი საგადასახადო მიდგომის შესახებ. შემოსავალი მოიცავს გრანტებს, ადგილობრივი და უცხოელი პირებისა და იურიდიული პირებისგან მიღებულ შემოწირულობებს, საწევრო გადასახადებს, შემოსავალს ეკონომიკური საქმიანობიდან, მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას და ა.შ. შემოსავალი სსო-ების ტრადიციული არაკომერციული წყაროებიდან, როგორცაა კერძო ან კორპორატიული შემოწირულობები, გრანტები და საწევრო გადასახადები არ უნდა დაექვემდებაროს მოგების ან კორპორატიულ გადასახადს. საგადასახადო კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებას აღნიშნული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

კარგი პრაქტიკაა სსო-ს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გადასახადისგან გათავისუფლება, იმ პირობით, რომ შემოსავალი მოხმარდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მისიის შემდგომ შესრულებას. თუ არ ხდება გადასახადისგან სრულად გათავისუფლება, კანონით უნდა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის დაბეგრვა დაბალი განაკვეთის გამოყენებით ან გადასახადისგან გათავისუფლება გარკვეული ზღვრის ქვემოთ.

საგადასახადო შეღავათები სსო-ებისთვის უნდა იყოს მარტივი და პირდაპირი. თუკი შეღავათების გამოსაყენებლად ძალზედ ბევრი პირობაა შესასრულებელი, ამან შესაძლოა სსო-ებს, განსაკუთრებით მცირე ზომის ორგანიზაციებს შეუქმნას სირთულეები შესაბამისობის კუთხით. სოციალურ მეწარმეობაში ჩართული სსო-ების დახმარების ასევე კარგი მექანიზმებია გადასახადების შემცირება, საშემოსავლოსგან გათავისუფლება, სოციალური გადასახადისგან გათავისუფლება და სხვა არაპირდაპირი დახმარებები.

კანონმა უფლება უნდა მისცეს სსო-ებს მოახდინონ თავიანთი აქტივების ინვესტირება და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება არაკომერციული მისიის შესასრულებლად.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საგადასახადო მიდგომა ზღუდავს სსო-ების შესაძლებლობას მიიღონ შემოსავალი გრანტების, შემოწირულობების, ეკონომიკური საქმიანობის, კონტრიბუციების ან საწევრო შენატანების მეშვეობით;
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი სრულად იბეგრება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციის არაკომერციული მისიის მისაღწევად.

**2. სსო-ებს შეუძლიათ მიიღონ საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი ნათელი, მარტივი და დაბალხარჯიანი პროცედურების გავლით**

სარეგულაციო მიდგომა საქველმოქმედო/საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მიღების მიმართ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსი“) შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. საქველმოქმედო/საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის შემოღების გზით, მთავრობა მიზნად ისახავს საერთო კეთილდღეობასთან დაკავშირებული გარკვეული აქტივობების წახალისებას. ამ სპეციალური სტატუსის მქონე ორგანიზაციები, როგორც წესი, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით ან სხვა პრივილეგიებით, რადგან მათი საქმიანობა სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის, თემისთვის ან/და საჭიროების მქონე პირებისთვის.

აღნიშნული სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულმა რეგულაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ რეგისტრაციის პროცესი ნათელი, სწრაფი და ნაკლებად ხარჯიანია. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს წესები, რომლებიც განსაზღვრავს საფუძველს ამგვარ სტატუსზე უარის თქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის. საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მისაღებად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაძლოა მოეთხოვოთ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა. პროცედურები და მოთხოვნები შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნის მარეგულირებელი სქემის მიხედვით. მიღებულ პრაქტიკად ითვლება დოკუმენტების მოთხოვნა, რომლებიც ადასტურებს შესაბამისობას საქმიანობის მოთხოვნებთან, შეიცავს ინფორმაციას საზოგადოებრივი სარგებლის აქტივობების შესახებ, ასევე საქმიანობაზე შეზღუდვების შესახებ. კანონით დადგენილი უნდა იყოს სარეგისტრაციო გადაწყვეტილების ვადა და იმ მიზეზები ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა გახდეს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. სსო-ები ყოველთვის უნდა სარგებლობდნენ გასაჩივრების უფლებით. საქართველოში არსებობს კარგი პრაქტიკის მაგალითი, რომლის მიხედვითაც სტატუსი ავტომატურად ენიჭება ორგანიზაციას, თუ პასუხისმგებელი პირი არ იღებს გადაწყვეტილებას ერთი თვის ვადაში.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი არ ითვალისწინებს საქველმოქმედო/საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მიღების შესაძლებლობას;
- კანონი არ განსაზღვრავს ამგვარი სტატუსის მოპოვების წესებსა და პროცედურებს და არ ადგენს სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ნორმებს;
- არ არსებობს ნათელი და ობიექტური წესები სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- არ არსებობს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები.

**3. საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მინიჭება ხდება განუსაზღვრელი ვადით ან გრძელვადიანი პერიოდით, რომლის განახლებაც მარტივად არის შესაძლებელი**

არსებობს სხვადასხვა მიდგომა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გააკონტროლოს საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მინიჭების საკითხი. პასუხისმგებელი მხარე შესაძლოა იყოს საგადასახადო ორგანო, დამოუკიდებელი კომისია ან სხვა სამთავრობო უწყება.

თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სტატუსის მინიჭება მოხდეს გონივრული ვადით. მაგალითად, გერმანიაში ადგილობრივი საგადასახადო ორგანოები ანიჭებენ სტატუსს და პასუხისმგებელი არიან ყოველ სამ წელიწადში დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებაზე<sup>33</sup>. საქართველოში სტატუსის მინიჭება ხდება განუსაზღვრელი ვადით, თუმცა საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციებს მოეთხოვებათ საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო ორგანოსთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სტატუსის მინიჭება არ ხდება გონივრული ვადით;
- შეუძლებელია სტატუსის განახლება.

## პრაქტიკა

ინდიკატორების პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. შესაძლებელია სსო-ებისთვის განკუთვნილი საგადასახადო შეღავათების პრაქტიკაში გამოყენება.</li> <li>2. საზოგადოებრივი სარგებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება არ აფერხებს სსო-ების საქმიანობას.</li> <li>3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ ექვემდებარება გაუმართლებელ საგადასახადო სანქციებს ან საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის გაუქმებას სახელმწიფო ორგანოების მიერ</li> </ol>

### **1. შესაძლებელია სსო-ებისთვის განკუთვნილი საგადასახადო შეღავათების პრაქტიკაში გამოყენება.**

სსო-ებისთვის განკუთვნილი საგადასახადო შეღავათების გამოყენება მარტივად უნდა იყოს შესაძლებელი. მეტისმეტად რთული მოთხოვნები შესაძლოა გახდეს სსო-ების დემოტივაციის მიზეზი. შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხოლოდ მცირე რაოდენობა ისარგებლებს დაწესებული შეღავათებით. გართულებული ადმინისტრაციული პროცედურის მაგალითია მოთხოვნა დიდი ოდენობით დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საგადასახადო შეღავათის მიღების პროცედურა ხანგრძლივია.

### **2. საზოგადოებრივი სარგებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება არ აფერხებს სსო-ების საქმიანობას**

საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსისა და შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული ორგანიზაციების მართვისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში ჩარევის მიზნით. ნეგატიური ჩარევის მაგალითები მოიცავს ანგარიშგების მკაცრი მოთხოვნების დაწესებას ან ინფორმაციის მოთხოვნას პერსონალის ხელფასების შესახებ.

საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციები არ წარმოადგენენ საჯარო ორგანიზაციებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუშაობენ საზოგადოების სასარგებლოდ. მათი თანამშრომლები ან გამგეობის წევრენი არ არიან საჯარო მოხელეები. აქედან გამომდინარე, სსო-ები და

<sup>33</sup> გერმანიის ფისკალური კოდექსი: [https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_ao/englisch\\_ao.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_ao/englisch_ao.html)

მათი თანამშრომლები არ უნდა იყვნენ ვალდებული შეასრულონ საჯარო დაწესებულებების ან საჯარო მოხელეების მიმართ არსებული მოთხოვნები.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მქონე სსო-ებს მოეთხოვებათ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება, ვიდრე კანონით არის გათვალისწინებული.

**3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ ექვემდებარება გაუმართლებელ საგადასახადო სანქციებს ან საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის გაუქმებას სახელმწიფო ორგანოების მიერ**

სახელმწიფო სანქციები საქველმოქმედო/საზოგადოებრივი სარგებლის სტატუსის მქონე სსო-ებზე შესაძლებელია დაწესდეს ანგარიშის წარუდგენლობის ან გარკვეული სამართლებრივი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. სახელმწიფო სანქციები, როგორც წესი, მოიცავს საგადასახადო შეღავათების დაკარგვას, სტატუსის შეჩერებას, უკიდურეს შემთხვევაში კი, სტატუსის შეწყვეტას. სტატუსის შეწყვეტამდე, უნდა მოხდეს ორგანიზაციების წინასწარი შეტყობინება, რათა მათ მიეცეთ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლებლობა. სტატუსი შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა ნაკლებად ინტრუზიული ღონისძიებები და არ დარჩება სხვა გამოსავალი სიტუაციის გამოსასწორებლად. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არსებობს დაუსაბუთებელი ჯარიმების დაკისრების შემთხვევები;
- არ არის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ეფექტური შესაძლებლობები;
- მონიტორინგი ხშირად ხორციელდება, შესაბამისი დასაბუთების გარეშე.

**სტანდარტი 4.**

**ბიზნესები და კერძო პირები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათე-ბით სსო-ბისადმი შემოწირულობებზე**

*სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კორპორატიულ და ინდივიდუალურ შემოწირულობებს სსო-ების კორპორატიული და ინდივიდუალური დონორების სასარგებლოდ საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით. გარდა ამისა, როგორც ბიზნეს სუბიექტებს, ისე ინდივიდუალურ პირებს უნდა შეეძლოთ შემოწირულობის ფარგლებში საგადასახადო დაქვითვებით მარტივად სარგებლობა. საგადასახადო მიზნებისთვის, გამოქვითვას უნდა დაექვემდებაროს როგორც ფინანსური, ასევე არამატერიალური შემოწირულობები.*

**კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. ხდება სსო-ების სასარგებლოდ ფინანსური და არამატერიალური შემოწირულობების წახალისება; წამახალისებელი ზომებით სარგებლობის პროცედურა ნათელი და მარტივია.
2. საგადასახადო გამოქვითვის ლიმიტები უზრუნველყოფს რეგულარული ჩუქების, მათ შორის, შემოწირულობის გადაცემის სტიმულირებას.

## **1. ხდება სსო-ების სასარგებლოდ ფინანსური და არამატერიალური შემოწირულობების წახალისება; წამახალისებელი ზომებით სარგებლობის პროცედურა ნათელი და მარტივია**

სსო-ების თავისუფლება მიიღონ შეწირულობა საქმიანობის ხელშესაწყობად განუყოფელია დონორების თავისუფლებისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, თუ რომელ სსო-ს გაუწევენ დახმარებას და რა მასშტაბით. სახელმწიფომ უნდა წახალისოს სსო-ებისთვის შემოწირულობების გადაცემა იმ მექანიზმების შექმნის გზით, რომლებიც სტიმულს მისცემს ბიზნესებსა და კერძო პირებს. წახალისების ფორმები, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია გამოქვეითების სახით - თანხის ოდენობის შემცირება, რომელსაც დაერიცხება კორპორატიული/ საშემოსავლო გადასახადი. საგადასახადო შეღავათის კიდევ ერთი ფორმა საგადასახადო კრედიტია. საგადასახადო კრედიტი საშუალებას აძლევს დონორს გამოაკლოს შეწირული თანხის ნაწილი გადასახადს. შედეგად მცირდება საგადასახადო ვალდებულება.

ინდივიდუალური და კორპორატიული შემოწირულობები უნდა იყოს ნებაყოფლობითი. დონორებს უნდა ჰქონდეთ ანონიმურად დარჩენის შესაძლებლობა; შემოწირულობის განსახორციელებლად არ უნდა იყოს საჭირო წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება. ასევე საჭირო არ უნდა იყოს შემოწირულობისთვის სახელმწიფოს ან სხვა ინსტიტუტის წინასწარი თანხმობა, გარდა მონაწილე მხარეების თანხმობისა. ყველა კერძო პირს თუ კომპანიას, მათ შორის უცხოურს, უნდა ჰქონდეს სსო-ებისთვის შემოწირულობის გადაცემის შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პირების მიერ თავიანთი მემკვიდრეობის სსო-ებისთვის გადაცემის ან საკუთარი სურვილით ფონდების დაფუძნების შესაძლებლობას.

ელექტრონული კომუნიკაციების განვითარების პარალელურად, ასევე გაიზარდა ფონდების საკრედიტო ბარათებით, სმს-ებით და სხვა ელექტრონული საშუალებებით მოძიების მნიშვნელობა. დონორებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, აირჩიონ შემოწირულობის ტრადიციული ან ახალი ფორმა, ნაღდი ფულით, საკრედიტო ბარათით, საბანკო გადარიცხვით თუ არამატერიალური სახით. ისეთი მექანიზმების გამოყენებამ, როგორცაა შემოწირულობის ან ქრაუდფანდინგის პლატფორმები, შესაძლოა შექმნას დამატებითი შესაძლებლობები. შესაბამისად, ისინი უნდა იყოს კანონით დაშვებული.

როგორც თანამშრომლებმა, ისე თვითდასაქმებულმა კერძო პირებმა, რომლებიც იღებენ შემოსავალს დამოუკიდებელი საქმიანობიდან, უნდა ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით შემოწირულობებთან მიმართებაში;

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- არ ვრცელდება საგადასახადო გამოქვეითვა/კრედიტი კორპორატიულ და ინდივიდუალურ დონორებზე;
- ანონიმური წყაროებიდან შემოწირულობები აკრძალულია ან მნიშვნელოვნად შეზღუდულია;
- შესაძლო შემოწირულობები განისაზღვრება ორგანიზაციებში ინდივიდუალური პირების წევრობით - ფიზიკურ პირებს ეძლევათ ფულის ან ქონების შეწირვის უფლება მხოლოდ იმ ორგანიზაციებზე, რომლის წევრებიც ისინი არიან;
- აკრძალულია სსო-ებისთვის შემოწირულობის გადაცემა ანდერძის საფუძველზე;
- საგადასახადო გამოქვეითვის მექანიზმი გართულებულია, რის გამოც ბიზნეს სუბიექტები თავს იკავებენ მისი გამოყენებისგან.

## **2. საგადასახადო გამოქვეითვის ლიმიტები უზრუნველყოფს რეგულარული ჩუქების, მათ შორის, შემოწირულობის გადაცემის სტიმულირებას**

დებულებები ბიზნეს სუბიექტების ან კერძო საქველმოქმედო პირების მიერ სსო-ებზე საშემოსავლო დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოწირულობების გაცემის შესახებ უნდა იყოს ყოვლისმომცველი. სსო უნდა შეეძლოს შეღავათიან დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოწირულობის მიღება დამატებითი ტვირთის გარეშე; ამგვარი შემოწირულობის განმახორციელებელ ბიზნეს სუბიექტს კი უნდა ჰქონდეს უფ-

ლება მოითხოვოს გამოქვეითვა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი ლიმიტი, თუ რა თანხა შესაძლოა გამოაკლდეს დასაბეგრ შემოსავალს უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, რათა წახალისოს რეგულარული შეწირულობა. ხელსაყრელი პირობაა რამდენიმე საგადასახადო წლის განმავლობაში დიდი შემოწირულობების გამოქვეითვა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- შემოწირულობების გამოქვეითვის ზღვარი დაბალია.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. ინდივიდუალურ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე.</li> <li>2. კორპორატიულ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე.</li> </ol>

**1. ინდივიდუალურ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე**

ინდივიდუალური პირების მიერ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მექანიზმი უნდა იყოს ნათელი და თანმიმდევრული. ის უნდა მოითხოვდეს მინიმალურ დროსა და რესურსებს. საჭირო დოკუმენტების მოძიება არ უნდა იყოს რთული დავალება.

მექანიზმი ასევე უნდა იყოს მარტივად გამოყენებადი, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალური პირების მიერ ხდება ფულადი სახსრების, საქონლის თუ მომსახურების მიწოდება. ადმინისტრაციული პროცედურა არ უნდა მოითხოვდეს რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებას, დონორებს კი არ უნდა უხდებოდეთ მძიმე პროცედურების გავლა. საგადასახადო გამოქვეითვების ან კრედიტების მისაღებად გადასახადის გადამხდელთა დაბალი მიმართვიანობა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ადმინისტრაციული პროცესი ძალიან რთულია.

იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც არ წარადგენენ ყოველწლიურ საგადასახადო დეკლარაციას, უნდა იყოს შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა მათი დამსაქმებლის მეშვეობით ან სხვა გზით. მსხვილი შემოწირულობების გამოქვეითვა უნდა იყოს შესაძლებელი რამდენიმე წლის განმავლობაში.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ადმინისტრაციული ორგანოები ფლობენ ფართო დისკრეციას, მათი გადაწყვეტილებები არ არის გამართლებული;
- საგადასახადო გამოქვეითვის მექანიზმი გართულებულია და პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

**2. კორპორატიულ დონორებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული საგადასახადო შეღავათებით ზედმეტი ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე**

ბიზნეს სუბიექტების მიერ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის პროცესი უნდა იყოს ნათელი, თანმიმდევრული. ის უნდა მოითხოვდეს მინიმალურ დროსა და რესურსებს. საჭირო დოკუმენტების მოძიება არ უნდა იყოს რთული დავალება.

მექანიზმი ასევე უნდა იყოს მარტივად გამოყენებადი, განურჩევლად იმისა, კომპანიის მიერ ხდება ფულადი სახსრების, საქონლის თუ მომსახურების მიწოდება. ადმინისტრაციული პროცედურა არ უნდა მოითხოვდეს რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებას, დონორებს კი არ უნდა უხდებოდეთ

მძიმე პროცედურების გავლა. საგადასახადო გამოქვითვების ან კრედიტების მისაღებად გადასახადის გადამხდელთა დაბალი მიმართვიანობა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ადმინისტრაციული პროცესი მეტისმეტად რთულია.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ადმინისტრაციული ორგანოები ფლობენ ფართო დისკრეციას, მათი გადაწყვეტილებები არ არის გამართლებული;
- საგადასახადო გამოქვითვის მექანიზმი გართულებულია და პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

**სტანდარტი 5.**

**კანონმდებლობა და პოლიტიკა ხელს უწყობს მოხალისეობას**

*მოხალისეობა საშუალებას აძლევს ადამიანებს წვლილი შეიტანონ საკუთარი თემების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს მოხალისეობა, მათ შორის, მოხალისეთა მუშაობის მასშტაბის მკაფიოდ განსაზღვრის გზით. კანონმა უნდა უზრუნველყოს მოხალისეთა და მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზატორთა უფლებებისა და ვალდებულებების რეგულირება. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოხალისეობის წამახალისებელი ზომების არსებობა და აღნიშნული საქმიანობისადმი პრაქტიკული დაბრკოლებების აღმოფხვრა.*

**კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. არსებობს ნებაყოფლობითი და მოხალისეობრივი მუშაობის მკაფიო განსაზღვრება; მასპინძელი ორგანიზაციები და მოხალისეები არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო სამუშაო ძალად.</li> <li>2. კანონმდებლობა არ ქმნის დამატებით ტვირთს და შეზღუდვებს მოხალისეების ჩართვის კუთხით.</li> <li>3. სახელმწიფო ხელს უწყობს მოხალისეობის განვითარებას პოლიტიკის, პროგრამებისა და ფინანსური მხარდაჭერის გზით.</li> </ol>

**1. არსებობს ნებაყოფლობითი და მოხალისეობრივი მუშაობის მკაფიო განსაზღვრება; მასპინძელი ორგანიზაციები და მოხალისეები არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო სამუშაო ძალად.**

მოხალისეობა შესაძლებელია გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით - სპონტანური, საგანგებო, ორგანიზებული, ფორმალური, ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული. მისი თვისებებიდან გამომდინარე, რთულია მოხალისეობის ყველა ფორმის რეგულირება. აქედან გამომდინარე, კანონმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მრავალფეროვნება. კანონით განსაზღვრული წესები არ უნდა ზღუდავდეს შესაძლებლობებს, რომლებიც ხელი უწყობს მოხალისეობრივი გარემოს ფორმირებას. გადამეტებულმა რეგულაციებმა შესაძლოა გამოიწვიოს მოხალისეთა ჩართულობის შეზღუდვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სპეციალურ შემთხვევებთან. მაგალითად, როცა ადამიანთა ჯგუფი გააღწევტს დაბინძურებული პარკის დასუფთავება, კანონმა არ შექმნას დაბრკოლებები, როგორცაა კონტრაქტების ხელმოწერა.

ეროვნულმა კანონმდებლობამ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უნდა განსაზღვროს მოხალისეობა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მოხალისეობრივი საქმიანობის იდენტიფიცირება. ამავე დროს, მოხალისეობრივი ღონისძიებებისთვის აუცილებელია საკანონმდებლო და ფისკალური რეგულაციების უზრუნველყოფა და რაც მთავარია - თანამშრომლებისა და მოხალისეების ერთმანეთის-

გან მკაფიოდ გამოიყვანა. სამართლებრივი განმარტებების არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მოხალისეების მიმართ იმავე მიდგომების გამოყენება, როგორც ხელფასიანი თანამშრომლების მიმართ. კანონი უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოხალისეებისა და მასპინძელი ორგანიზაციების დაცვას. აღნიშნული წესები უნდა შეიცავდეს განმარტებებს, უფლებებსა და მოვალეობებს, საგადასახადო საკითხებსა და სხვა სახის შეღავათებს, პასუხისმგებლობის წესებს და ა.შ.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ხდება მოხალისეების დიფერენცირება თანამშრომლებისგან;
- კანონი ზღუდავს არაფორმალური ან საგანგებო მოხალისეობის შესაძლებლობებს

**2. კანონმდებლობა არ ქმნის დამატებით ტვირთს და შეზღუდვებს მოხალისეების ჩართვის კუთხით**

სამართლებრივი ჩარჩო არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს, თუკი ის ადგენს ლიმიტებს და აფერხებს ნებაყოფლობით საქმიანობას. ეფექტური სამართლებრივი ჩარჩო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოხალისეობრივი ღონისძიებებისთვის, რომლებიც საჭიროებს ყოველდღიურ ჩართულობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გრძელვადიან მოხალისეებზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებს სხვადასხვა კანონები, მათ შორის შრომის კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობა, პასუხისმგებლობის კანონები და სხვა. პოტენციურ პრობლემას შესაძლოა წარმოადგენდეს შრომის კანონმდებლობის დარღვევა, მოხალისეობრივი დროის დაბეგვრა, უმუშევრობის შეღავათების დაკარგვა, პასუხისმგებლობის საკითხები, სახიფათო პირობებში მოხალისეობრივი საქმიანობა, მოხალისეების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის არქონა. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ასევე უნდა ითვალისწინებდნენ საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების მიერ მოხალისეობის გაზრდას და უცხო ქვეყნის მოხალისეების სამართლებრივ დაცვას საკუთარ ქვეყანაში.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მოხალისეთა ჩართვისთვის საჭიროა წერილობითი კონტრაქტის გაფორმება;
- მოხალისეთა კომპენსაცია ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს;
- კანონმდებლობა არ არის ხელსაყრელი უცხოელი მოხალისეების ჩართვის კუთხით.

**3. სახელმწიფო ხელს უწყობს მოხალისეობის განვითარებას პოლიტიკით, პროგრამებითა და ფინანსური მხარდაჭერით**

სახელმწიფო პოლიტიკამ და პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს მოხალისეობრივი საქმიანობის დაცვა და ხელშეწყობა. მოხალისეობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის სახელმწიფო პოლიტიკის მიღება ეფექტური საშუალებაა ამ მიმართულებით სახელმწიფო მიდგომისა და ზომების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. როდესაც არსებობს პოლიტიკა, შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული გადაწყვეტილებების მიღება ერთჯერადად. ყოვლისმომცველი პოლიტიკის არსებობა ასევე მეტყველებს სახელმწიფოს ინტერესზე მოხალისეობის მიმართ და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას საზოგადოებაში.

სახელმწიფოს (თავისი პოლიტიკის ან კანონმდებლობის მეშვეობით) შეუძლია მოხალისეების წახალისება. ეს შეიძლება მოიცავდეს ჯანმრთელობის დაზღვევას ან სოციალურ დაცვას, მოხალისეობასთან დაკავშირებული ანაზღაურებადი ხარჯების (მგზავრობა, განსახლება, მივლინება და ა.შ.) საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას და სხვა.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფოს არ აქვს მოხალისეობის განვითარების პოლიტიკა და/ან პროგრამები;
- კანონი არ ითვალისწინებს მოხალისეების წახალისების საშუალებებს.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
1. სსო-ები არ აწყდებიან დაბრკოლებებს მოხალისეების ჩართვის პროცესში, მათ შეუძლიათ ჩართონ უცხოელი მოხალისეები ან გაგზავნონ მოხალისეები საზღვარგარეთ შეზღუდვების გარეშე.
2. მოხალისეობის დროს მიღებული გამოცდილება აღიარებულია სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ, როგორცაა დამსაქმებლები, უნივერსიტეტები და ა.შ. მოხალისეობის წამახალისებელი მექანიზმების გამოყენება დანერგილია პრაქტიკაში და აღიარებულია სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ, როგორცაა: დამსაქმებლები, უნივერსიტეტები და ა.შ.

### 1. სსო-ები არ აწყდებიან დაბრკოლებებს მოხალისეების ჩართვის პროცესში, მათ შეუძლიათ ჩართონ უცხოელი მოხალისეები ან გაგზავნონ მოხალისეები საზღვარგარეთ შეზღუდვების გარეშე

მოხალისეებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საზოგადოების პოზიტიურ ცვლილებებში როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სსო-ებს უნდა შეეძლოთ მოხალისეების ჩართვა სახელმწიფოსგან წინასწარი თანხმობის გარეშე. არ უნდა იყოს დაწესებული სავალდებულო ფინანსური მოთხოვნები, როგორცაა დაზღვევა, სოციალური უსაფრთხოების გადასახადი და ა.შ., თუ ეს არ არის შეთანხმებული სსო-სა და მოხალისეებს შორის.

მოხალისეთა შესაძლებლობები არ შეიძლება შემოიფარგლოს ეროვნულ დონეზე. სსო-ებს არ უნდა შეექმნათ პრაქტიკული დაბრკოლებები მოხალისეთა გაგზავნისა და მიღების მიზნით საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამყარების პროცესში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ქვეყნებს შორის მოხალისეობის ხელშესაწყობად არის ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს ფორმირება. გაწეული ხარჯების ანაზღაურება, როგორცაა მგზავრობა, საცხოვრებელი და სხვა ხარჯები, არ უნდა დაიბეგროს ხარჯების წარმოშობის ქვეყანაში ან მასპინძელ ქვეყანაში. გარდა ამისა, დოკუმენტაციებთან დაკავშირებული მოთხოვნები ტვირთად არ უნდა დააწვეს ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ მოხალისეებს. ასევე არ უნდა მოხდეს მათი დამატებითი შემოწმება მთავრობის მიერ.

#### მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- ადამიანის უფლებათა დამცველ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აქვთ მოხალისეების ჩართვის შესაძლებლობა;
- შეუძლებელია მოხალისეებისთვის ხარჯების ანაზღაურება;
- სსო-ებს არ შეუძლიათ უცხოელი მოხალისეების ჩართვა;
- მოხალისეების ჩასართავად საჭირო დოკუმენტაცია მეტისმეტად რთულია;
- თითქმის ვერცერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვერ ახერხებს უცხოელი მოხალისეების ჩართვას.

### 2. მოხალისეობის წამახალისებელი მექანიზმების გამოყენება დანერგილია პრაქტიკაში და აღიარებულია სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ, როგორცაა: დამსაქმებლები, უნივერსიტეტები და ა.შ.

არსებობს უამრავი სარგებელი, რომელიც მოაქვს მოხალისეობას თემებისა და საზოგადოებისთვის. აქედან გამომდინარე, მოხალისეობის დროს მიღებული გამოცდილება უნდა იქნას აღიარებული სხვადასხვა ინსტიტუტის, მათ შორის, თავად სახელმწიფოს მიერ. მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონეზე მოხალისეობის აღიარება. თავად მოხალისეები უნდა გრძნობდნენ დაფასებას მათ მიერ გაწეული ძალისხმევის გამო. ამავე დროს, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინტერესშია, მოხალისეებს ჰქონდეთ დამაკმაყოფილებელი და სასარგებლო გამოცდილება. მოხალისეობის

ადიარებისა და წახალისების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შედეგად - მაგალითად, მოხალისეების მიერ უნივერსიტეტის კრედიტების მოპოვება გამოცდილების სანაცვლოდ - შესაძლოა გაიზარდოს მოხალისეობის მსურველ პირთა რაოდენობა. არსებობს სხვა მაგალითებიც: სახელმწიფო მოხალისეობრივ სამუშაოს ადიარებს, როგორც არაფულად კონტრიბუციას სახელმწიფო გრანტების გაცემის დროს, საგანმანათლებლო პროცესში მოხალისეობა სტანდარტული კურიკულუმის ნაწილია, სახელმწიფო ინსტიტუტები აჯილდოებენ მოხალისეებს და სხვა დაწესებულებებს (როგორებიცაა არაკომერციული ორგანიზაციები, ბიზნესები), რომლებსაც საქმიანობაში ჩართული ჰყავს მოხალისეები; საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, სადაც მოხალისეობის ცნების პოპულარიზაცია ხდება.

#### მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- მოხალისეობა არ არის პოპულარული ან ადიარებული;
- შეუძლებელია მოხალისეობრივი გამოცდილებით უნივერსიტეტის კრედიტების მოპოვება.

#### შესაბამისი რესურსები

- OSCE/ODIHR- ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 190, 218;
- ევროპის საბჭო, წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ (1994);
- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია მოხალისეობის შესახებ, A/RES/56/38 (10 იანვარი 2002)
- ევროპის საბჭო, წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (94)4 მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ (მიღებული 1994 წელს);
- ევროპის საბჭო, მოხალისეების სტატუსისა და როლის გაუმჯობესება, როგორც საპარლამენტო ასამბლეის კონტრიბუცია მოხალისეთა საერთაშორისო წელს 2001 (პროექტი), დოკუმენტი 8917, 2000 წლის 22 დეკემბერი, [http://www.seeyn.org/files/4/6\\_Voluntarism\\_and\\_public\\_institutions.pdf](http://www.seeyn.org/files/4/6_Voluntarism_and_public_institutions.pdf), 203-205;
- გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A/HRC/23/39 (2013 წლის 24 აპრილი)
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007) 14 ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, მუხლი 76-77 (მიღებული 10 ოქტ. 2007), მუხლი 6, 8, 14, 50, 57, 58, 59, 60, 61.
- კითხვარი - მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულ პირობებში, შემუშავებული COVID 19-ის კონტექსტში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლების მომხსენებლის მიერ.

# სფერო 10.

## სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობა

### სტანდარტი 1.

სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და მათ განვითარებას

სსო-ები მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან ქვეყნის განვითარების საქმეში. ამრიგად, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა სოციალურ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას და ურუნველყოს მათი რეგულირება მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების გამოყენებით. გარდა ამისა, სსო-ებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სახელმწიფო სტრატეგიულად უნდა მიუდგეს სსო-ებთან თანამშრომლობას და ხელი შეუწყოს სექტორის განვითარებას. ეს მოიცავს სსო-ებთან თანამშრომლობისა და მათი მონაწილეობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტების მიღებას, ასევე სსო-ების ჩართულობითა და მონაწილეობითი პროცესის შედეგად კონკრეტული სამოქმედო გეგმების გაწერას. ამგვარი დოკუმენტები უნდა იქნას ეფექტურად განხორციელებული. უნდა მოხდეს მათი რეგულარულად მონიტორინგი და შეფასება.

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
1. მიღებულია და კანონმდებლობაში დანერგილია პოლიტიკის დოკუმენტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებისა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის შესახებ.
2. პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მიზნებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს, განხორციელების ვადებს, შეფასების პროცედურებს და ფინანსურ წყაროებს.

### 1. მიღებულია და კანონმდებლობაში დანერგილია პოლიტიკის დოკუმენტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარებისა და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის შესახებ.

სახელმწიფომ უნდა შექმნას პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ქმნის მყარ საფუძველს თანამშრომლობისთვის და ხელს უწყობს მიმდინარე დიალოგ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის. აღნიშნული დოკუმენტები ხაზგასმით აღწერს ვალდებულებებს, როლებს, პასუხისმგებლობებსა და პროცედურებს თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. ისინი შესაძლოა წარმოადგენდეს ორმხრივ შეთანხმებას პარლამენტთან ან მთავრობასთან, სტრატეგიულ დოკუმენტებს, თანამშრომლობის შესახებ ოფიციალურ პროგრამებს, ან ცალმხრივ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავს საჯარო უწყების კონკრეტულ ვალდებულებებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით.

### მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- არ არსებობს სამართლებრივი აქტები ან პოლიტიკა სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის ან სსო-ების განვითარების მხარდაჭერის შესახებ.

**2. პოლიტიკის დოკუმენტები მოიცავს სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მიზნებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს, განხორციელების ვადებს, შეფასების პროცედურებს და ფინანსურ წყაროებს**

პოლიტიკის დოკუმენტები სსო-ებთან თანამშრომლობისა ან/და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის შესახებ არ უნდა შემოიფარგლოს პრინციპების დეკლარაციით; იგი ასევე უნდა მოიცავდეს კონკრეტულ პროგრამებს და განსაზღვრავდეს განხორციელების ვადებს, მიზნებს, საქმიანობას, პასუხისმგებელ ორგანოებს და ფინანსურ წყაროებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პოლიტიკის ფარგლებში კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი მიზნების ჩამოყალიბებას და ქმნის საფუძველს განხორციელების შესაფასებლად. მაგალითად, მოლდოვაში, 2018-2020 წლების სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ ვადებს და აქტივობებს სსო-ებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგს:**

- სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და არ მოიცავს კონკრეტულ გაზომვად აქტივობებს;
- პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობას, მაგრამ არ ადგენს ვადებს ან არ განსაზღვრავს პასუხისმგებელი ორგანოს განხორციელებისთვის.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ადგენს პოლიტიკის დოკუმენტებს თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ;</li> <li>2. პოლიტიკის დოკუმენტები იწერება პრაქტიკაში და გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე;</li> <li>3. სახელმწიფო გამოყოფს საკმარის რესურსებს პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვის მიზნით.</li> <li>4. პოლიტიკის დოკუმენტების დანერგვისას, ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი და შეფასება; ხდება გაკეთებული დასკვნების გათვალისწინება.</li> </ol>

**1. სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ადგენს პოლიტიკის დოკუმენტებს თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ**

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას, სახელმწიფო ორგანოებმა პროცესში უნდა ჩართონ სსო-ების ფართო სპექტრი - მცირე თუ დიდი ზომის, ეროვნული თუ ადგილობრივი. გარდა ამისა, მათ უნდა უზრუნველყონ სსო-ების ჩართვის მრავალფეროვანი მექანიზმების არსებობა. პროცესში წარმოდგენილი უნდა იყვნენ განსხვავებული შეხედულებების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის, მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი სუბიექტები. დოკუმენტის ერთობლივი შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ყველაზე ინკლუზიური მექანიზმია. ონლაინ კონსულტაცია არ არის საკმარისი ეფექტური მონაწილეობისთვის; საჭიროა პირისპირ შეხვედრების, საჯარო ფორუმებისა და სემინარების გამართვა. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი პოზიციის პირისპირ წარმოდგენისა და დაცვის შესაძლებლობა. ასევე საჭიროა კანონპროექტის შემდგომი შესწორებული ვერსიების შესახებ კონსულტაციების გამართვა, ვიდრე არ მოხდება საბოლოო ტექსტის ფორმულირება.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ან სახელმწიფოსა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია ერთპიროვნულად სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ;

- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა შემოიფარგლება რამდენიმე სსო-თი, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან ან აქვთ კავშირი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

## **2. პოლიტიკის დოკუმენტები ინერგება პრაქტიკაში და გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე**

სსო-ს განვითარებისა და სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკა, სტრატეგიები და კანონქვემდებარე აქტები ეფექტურად უნდა იქნას პრაქტიკაში გადატანილი. პოლიტიკის დოკუმენტებმა ჭეშმარიტი გავლენა უნდა იქონიოს სსო-ების მონაწილეობასა და განვითარებაზე. პოლიტიკის დანერგვა არ არის თვითმიზანი - ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს სსო-ებს წარმოაჩინონ დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და გავლენა იქონიონ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ეფექტური დანერგვა ასევე გულისხმობს, რომ პოლიტიკის დოკუმენტის გამოყენება ხდება სსო-ების საკმაოდ დიდი რაოდენობის მიერ და ის წარმოადგენს საფუძველს თანამშრომლობის ინიციატივებისთვის. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებასთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ნდობის ამაღლებას. გარდა ამისა, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სსო-ები ჩართვა პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვის პროცესში.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- პოლიტიკის დოკუმენტი სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის შესახებ არ გამოიყენება პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
- მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკა და სტრატეგია, მთავრობა თავს იკავებს სსო-ებთან თანამშრომლობისგან და/ან გამოხატავს ნეგატიურ დამოკიდებულებას სექტორის მიმართ.
- ხელისუფლება არ იღებს რაიმე ზომას დოკუმენტში მითითებულ ვადაში პოლიტიკის დანერგვის მიზნით.

## **3. სახელმწიფო გამოყოფს საკმარის რესურსებს პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვის მიზნით**

სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გამოყოფს პოლიტიკის ეფექტური დანერგვისთვის აუცილებელი ადამიანური და ფინანსური რესურსები. ეს კი ნიშნავს სხვადასხვა ინსტიტუტში კონკრეტული პირების განსაზღვრას, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ მთავრობასა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის პროცესს. საჭიროა მოხდეს აღნიშნული თანამდებობის პირების შესაძლებლობების განვითარებისა და ტრენინგების სათანადოდ დაფინანსება. გარდა ამისა, დაფინანსება უნდა იქნას გამოყოფილი დაინტერესებული სსო-ების ფართო სპექტრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით (მათ შორის, ონლაინ საკომუნიკაციო არხებით და პირისპირ შეხვედრებით).

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტები;
- პოლიტიკის დოკუმენტების კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ მოხელეებს არ აქვთ საჭირო კომპეტენცია

## **4. პოლიტიკის დოკუმენტების დანერგვისას, ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი და შეფასება; ხდება გაკეთებული დასკვნების გათვალისწინება**

სახელმწიფომ მონიტორინგი უნდა გაუწიოს თანამშრომლობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარ-

რების შესახებ პოლიტიკის დანერგვას, რათა შეაფასოს მისი ეფექტურობა და გამოიყენოს გაკეთებული დასკვნები პოლიტიკის დასახვეწად და პრაქტიკული განხორციელების გასაუმჯობესებლად. მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს ყოველწლიურ ანგარიშებს პოლიტიკის დანერგვის შესახებ, საჯარო მოსმენებს, მონიტორინგის სპეციალურ კომიტეტსა და სხვა. მონიტორინგის აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას თანამშრომლობის ღონისძიებების გატარების მნიშვნელობისა და შინაარსის შესახებ. მონიტორინგი და შეფასება უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან ორგანოების ჩართულობით და სსო-ების მონაწილეობით. მონიტორინგის მეშვეობით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციების შესახებ შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის პოლიტიკის მონიტორინგისთვის არც ერთი ღონისძიება არ არის ინიცირებული, ან მონიტორინგი არ არის რეგულარული;
- სახელმწიფო-სსო-ს თანამშრომლობის პოლიტიკის მონიტორინგი ფორმალურია და არ ითვალისწინებს სსო-ების ჩართულობას.

**სტანდარტი 2.**

**სახელმწიფოს დანერგილი აქვს სპეციალური მექანიზმები სსო-ებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით**

საჯარო ხელისუფლებასა და სსო-ებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მრავალი ქვეყნის მიერ შემუშავებულ იქნა თანამშრომლობის სხვადასხვა მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს დიალოგის გაღმავლებას, ჩართულობის გაძლიერებას და სამოქალაქო სექტორის განვითარების სურვილის გამძაფრებას. შესაძლო მექანიზმებია: სსო-ების საკონტაქტო პირი თითოეულ სამინისტროში ან ცენტრალურ საკოორდინაციო ორგანო; სსო-ებისა და საჯარო ხელისუფლების ერთობლივი სტრუქტურები, როგორცაა მრავალპარტიული საბჭოები ან კომიტეტები; ექსპერტებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანიზაციების ერთობლივი სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა დონეზე. სსო-ებს უნდა ჰქონდეთ ამ სამთავრობო მექანიზმებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა დიალოგისა და კონსულტაციის წარმართვისთვის. საკონსულტაციო მექანიზმებში წევრების გამჭვირვალე შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს. მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული წინადადებები უნდა იქნას გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. დიალოგისა და თანამშრომლობის ფარგლებში, საჯარო საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების ფუნქციონირებისა და გამჭვირვალობის ძირითადი პრინციპები რეგულირდება კანონით.</li> <li>2. საკონსულტაციო ორგანოებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები ნათელი და ობიექტურია, შერჩევის პროცედურა კი - გამჭვირვალე.</li> </ol>

## **1. დიალოგისა და თანამშრომლობის ფარგლებში, საჯარო საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების ფუნქციონირებისა და გამჭვირვალობის ძირითადი პრინციპები რეგულირდება კანონით**

საკონსულტაციო ორგანოები უნდა შეიქმნას კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავს თანამშრომლობის როლს, უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ორგანოების როლი არ უნდა იყოს მხოლოდ დეკლარაციული. ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების ჩამოყალიბების უფლება. უზრუნველყოფილ უნდა იქნას საზოგადოებრივი საბჭოებისა და საკონსულტაციო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა. ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ ფართოდ და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ონლაინ (მაგალითად, საკონსულტაციო ორგანოს ყველა გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ორგანოს ვებ-გვერდზე) და ოფლაინ რეჟიმში.

საზოგადოებრივი საბჭოები და/ან საკონსულტაციო ორგანოები, რომელთა მიზანია სსო-ებთან თანამშრომლობის გაძლიერების და მათი განვითარების ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა, უნდა დაფუძნდეს კანონების ან დადგენილი წესების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს თანამშრომლობის როლს, უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ორგანოების როლი არ უნდა იყოს მხოლოდ დეკლარაციული. მაგალითად, აღნიშნულ მექანიზმად შესაძლოა გამოყენებული იქნეს საკონსულტაციო ორგანო ან საბჭო, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე, ან სახელმწიფო ორგანო ან დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც ჩართულია სამოქალაქო საზოგადოების საკითხებში და ა.შ. უზრუნველყოფილი უნდა იქნას საზოგადოებრივი საბჭოებისა და საკონსულტაციო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა. ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ ფართოდ და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ონლაინ (მაგალითად: საკონსულტაციო ორგანოს ყველა გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ორგანოს ვებ-გვერდზე) ისე ოფლაინ სივრცეში.

სახელმწიფო ორგანომ, რომელიც აფუძნებს საზოგადოებრივ საბჭოს და საკონსულტაციო ორგანოს, უნდა უზრუნველყოს ამ უკანასკნელის გამართული ფუნქციონირება შესაბამისი ფართისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყოფით.

### **მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- დიალოგისთვის და თანამშრომლობისთვის სახელმწიფო ორგანოები არ ქმნიან საჯარო საბჭოებსა და / ან სხვა საკონსულტაციო ორგანოებს სამართლებრივი რეგულაციის არარსებობის გამო;
- მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს აქვს უფლება დიალოგისთვის და თანამშრომლობისთვის შექმნას მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო;
- არ არსებობს საკონსულტაციო ორგანოს საქმიანობის მარეგულირებელი წესები;
- კანონი ნათლად არ განსაზღვრავს საკონსულტაციო ორგანოების უფლებამოსილებას;
- არ არსებობს რეგულაცია, რომელიც მოითხოვს საკონსულტაციო ორგანოს გადაწყვეტილებების ან სხვა საქმიანობის გამოქვეყნებას ან ონლაინ განთავსებას;
- კანონი არ ითვალისწინებს საკონსულტაციო ორგანოს სხდომებში საზოგადოების მონაწილეობას და/ ან მონაწილეობითი სხდომების ჩატარება რთულია.

## **2. საკონსულტაციო ორგანოებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები ნათელი და ობიექტურია. შერჩევის პროცედურა კი - გამჭვირვალე**

სსო-ების შერჩევის პროცესი უნდა იყოს ნათელი. ის უნდა შეიცავდეს კონკრეტულ კრიტერიუმებსა და წევრების შერჩევის ეტაპებს. განსაზღვრული უნდა იყოს კანდიდატისთვის უარის თქმის დასაბუთებული მიზეზები, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში - გარანტიები, ისევე როგორც დებულებები მარგინალიზებული ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შერჩევის პროცესის ყოველი ეტაპი უნდა

იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, მათ შორის, ინტერნეტის საშუალებით. უფრო მეტიც, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წევრების შერჩევის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა. შერჩევის პროცესი უნდა იყოს გათვალისწინებული ნორმატიული აქტით - კანონით ან რეგულაციით. მნიშვნელოვანია, რომ სსო-ები თავად იღებდნენ მონაწილეობას ამგვარი რეგულაციის შემუშავებაში.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონმდებლობა შეიცავს საჯარო საბჭოში ან სხვა საკონსულტაციო ორგანოში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტების არასრულ ან შეუსაბამო ნუსხას;
- კანონმდებლობა შეიცავს შერჩევის კრიტერიუმებს, რომლებიც არ არიან ნათელი და გასაგები;
- კანონმდებლობა შეიცავს კანდიდატის უარყოფის საფუძვლების არასრულ ჩამონათვალს.

**პრაქტიკა**

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. საკონსულტაციო ორგანოების ჩამოყალიბება გამჭვირვალე პროცესია და ხორციელდება როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.</li> <li>2. სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანოს გადაწყვეტილებები.</li> <li>3. ყველა დაინტერესებულ სამოქალაქო ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო ორგანოების მუშაობაში.</li> </ol>

**1. საკონსულტაციო ორგანოების ჩამოყალიბება გამჭვირვალე პროცესია და ხორციელდება როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით**

საკონსულტაციო ორგანოების დაფუძნებისას, საჯარო ხელისუფლებამ უნდა დანერგოს გამჭვირვალე კრიტერიუმები სსო-ების შერჩევის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ შერჩევის მექანიზმი მარტივად გასაგები იყოს საზოგადოებისთვის. მთავრობამ მკაცრად უნდა დაიცვას დადგენილი პროცედურული ეტაპები და არ გამოხატოს პრეფერენციული მიდგომა გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. უფრო მეტიც, კანონმა უნდა დაუშვას საკონსულტაციო ორგანოების ჩამოყალიბება როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. საკონსულტაციო ორგანოში წევრი სსო-ების შერჩევა და დანიშვნა უნდა მოხდეს მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- საკონსულტაციო ორგანოების წევრების შერჩევის პროცედურა არ ქვეყნდება საჯარო პლატფორმებზე;
- საკონსულტაციო ორგანოების წევრებს არ გააჩნიათ ცოდნა შესაბამის დარგში;
- არ ხდება შერჩევის პროცედურის და/ან შერჩევის შედეგების საზოგადოებისთვის გამჟღავნება

**2. სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანოს გადაწყვეტილებები**

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას, სახელმწიფო ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საკონსულტაციო ორგანოების გადაწყვეტილებები, მათ შორის კრიტიკული მოსაზრებები. საკონსულტაციო ორგანოების გადაწყვეტილებები ლეგიტიმურად უნდა იქნას აღიარებული. თუ სახელმწიფო ორგანოები არ გაითვალისწინებენ საკონსულტაციო ორგანოს გადაწყვეტილებებს, მათ უნდა წარმოადგინონ დასაბუთებული ახსნა-განმარტება.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კანონი, რომელიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფლებებსა და მოვალეობებზე, მიიღება საზოგადოებრივი საბჭოს მონაწილეობის გარეშე;
- სახელმწიფო ორგანო უგულებელყოფს საკონსულტაციო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთების გარეშე.

**3. ყველა დაინტერესებულ სამოქალაქო ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო ორგანოების მუშაობაში.**

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული სსო საზოგადოებრივ საბჭოში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით, მკაფიო და სამართლებრივად სავალდებულო წესების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარგინალიზებული ან დისკრიმინაციული პირებისა და ჯგუფების მონაწილეობა, როგორცაა ქალები და გოგონები, მკვიდრი ხალხი, უმცირესობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. უნდა შემუშავდეს მუდმივი მექანიზმები ზემოაღნიშნული კატეგორიების საკონსულტაციო ორგანოებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, შეხვედრის ადგილის ფიზიკური ხელმისაწვდომობის ჩათვლით.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეძლონ საკონსულტაციო ორგანოებში მონაწილეობის მიღება თანასწორ საფუძველზე და ჰქონდეთ წვდომის ერთი და იგივე უფლება. პროცედურები, რომლებიც ზღუდავს განსახილველი თემების რაოდენობას, უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ გამონაკლის პირობებში და ლეგიტიმური მიზნებისთვის.

**მოცემული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- კონკრეტულ სფეროში მოქმედ სსო-ებს (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე) არ შეუძლიათ სსო-ს განვითარების საბჭოში მონაწილეობის მიღება;
- სსო-ები, რომელთა არჩევაც არ მოხდა საკონსულტაციო ორგანოს შემადგენლობაში, არ არიან ინფორმირებული ორგანოს გადაწყვეტილებების შესახებ ან ისინი მთლიანად გარიტული არიან საბჭოს საქმიანობიდან.

**შესაბამისი რესურსები:**

- OSCE/ODIHR - ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 2015, მუხლი 183-86, 189.
- ევროპის საბჭო და ECNL, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობა: ევროპის საბჭოში სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თავი V, თავი VI, მუხლები 1, 2.2 (2016 წლის მაისი).
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ, CM (2017)83 (მიღების თარიღი: 27 სექტემბერი 2017), მუხლი 15;
- ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM / Rec (2007) 14 ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ (მიღებულია 10 ოქტ 2007);
- ევროპის საბჭო, ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსის ფუნდამენტური პრინციპები, მუხლი 74-78
- ევროპის საბჭო, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისთვის კარგი პრაქტიკის კოდექსი, CONF/PLE(2009)CODE1 (მიღებულია 2009 წლის 1 ოქტომბერს INGO- ს კონფერენციის მიერ), თავი IV.iii, მუხლი 4;
- ეუთოს რეკომენდაციები საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაერთიანების მონაწილეობის გაძლიერების შესახებ, ვენა (2015 წლის 15-16 აპრილი), № 3-11, 27;

- OHCHR სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფოებისთვის საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლების ეფექტური განხორციელების შესახებ, A/HRC/39/28 (სექტემბერი 2018), მუხლი 19 (h), 56, 58
- 1999 სტამბულის ეუთოს ვალდებულება, მუხლი 27
- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლების დაცვა, ხელშეწყობა და განხორციელება ადამიანის უფლებათა მოქმედი კანონმდებლობის კონტექსტში: საუკეთესო პრაქტიკები, გამოცდილება, გამოწვევები და მათი გადალახვის გზები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, A/HRC/30/26 (23 ივლისი 2015)
- ევროპული კომისია, სახელმძღვანელო პრინციპები არასახელმწიფო აქტორების განვითარების დიალოგებსა და კონსულტაციებში მონაწილეობის შესახებ, DG Development (2004 წლის ნოემბერი) თავი III, მუხლი 3.1.2.

## სფერო 11 - ციფრული უფლებები

### სტანდარტი 1.

ციფრული უფლებები დაცულია და ციფრული ტექნოლოგიები შეესაბამება ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტებს.

ციფრული უფლებები მოიცავს ყველა ადამიანთა ძირითად უფლებებს, რომლებიც ციფრულ სამყაროშიც განხორციელებადია. იმის მიუხედავად რომ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, აზრისა და გამოხატვის, ასევე ინფორმაციის თავისუფლების, შეკრებისა და ასოცირების თავისუფლებაზე, ციფრულ უფლებებს გაცილებით ფართო შინაარსი აქვთ. მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა, სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოდ ყოფნის უფლებები, სამართლიანი სამართალწარმოებისა და უფლებების აღდგენის მექანიზმის ქონის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ასევე ძალიან რელევანტურია და შეიძლება ციფრული ტექნოლოგიების პროცესში რისკის ქვეშ დადგეს. ტექნოლოგიების მოწყობის, შექმნისა და გამოსაყენებლად ჩაშვების პროცესი - განსაკუთრებით ახლად წარმოშობილი ტექნოლოგიების, მაგალითად ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სისტემები - როგორც წესი სამართლებრივი ვაკუუმის გარემოში მიმდინარეობს, რამეთუ სახელმწიფო რეგულაციათა უმრავლესობა ეფექტურია მხოლოდ რეალური (ოფლაინ) სამყაროსთვის. ციფრული ტექნოლოგიები ხშირად ვითარდება ადამიანის ძირითად უფლებათა გათვალისწინების გარეშე, ან უარეს შემთხვევაში მათი დარღვევით (მაგალითად მაგ., მასობრივი ბიომეტრიული მეთვალყურეობა).

### კანონმდებლობა

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. კანონმდებლობით გარანტირებულია უსაფრთხო და ქმედითი ონლაინ გარემო და ციფრულ უფლებათა განხორციელების მექანიზმები.</li> <li>2. ციფრული უფლებების შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა ეფუძნება კანონიერების, ლეგიტიმურობის, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებს</li> <li>3. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება (მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატური სისტემების) ხდება ადამიანის ძირითად უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში</li> </ol>

## 1. კანონმდებლობით გარანტირებულია უსაფრთხო და ქმედითი ონლაინ გარემო და ციფრულ უფლებათა განხორციელების მექანიზმები.

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და ხელსაყრელი ონლაინ გარემო. ეს ნიშნავს, რომ ყველას აქვს წვდომა ინტერნეტზე და შეუძლია ციფრული პლატფორმების სრულად გამოყენება. ადამიანებს უნდა შეეძლოთ გამოიყენონ ინტერნეტი და ციფრული ინსტრუმენტები თავიანთი უფლებების განსახორციელებლად, აზრის გამოხატვის, საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის და ა.შ. მაგალითად, ყველას უნდა მიეცეს უფლება თავისუფლად განათავსოს ყველასთვის ხელმისაწვდომი კონტენტი (მომხმარებლის გენერირებული კონტენტი ან „UGC“) ზიანის შიშის გარეშე.

იმისათვის, რომ ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი უფლებების თავისუფლად გამოყენება, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ნებისმიერი კანონმდებლობის - რომელიც გავლენას მოახდენს ამგვარ უფლებათა განხორციელებაზე - სიცხადე, რომელიც არ იძლევა ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მაგალითად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კიბერდანაშაულის შესახებ, - ან ციფრულ სფეროსთან დაკავშირებული სხვა სისხლისსამართლებრივი - კანონები მხოლოდ იმგვარ უკანონო ქმედებებს ეხება, რომლებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული. შინაარსის გათვალისწინებით, ზოგიერთი კიბერდანაშაულთან დაკავშირებული კანონი, (განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში განსათავსებელი მასალების შესახებ, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა მასალების განათავსების შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოთა უპატივცემულობის, შეურაცხყოფის, სახელმწიფოს მეთაურის ცილისწამებისა და უხამსი ან პორნოგრაფიული შინაარსის გამო, შეიძლება ზედმეტად ზღუდავდეს ადამიანის გარკვეულ უფლებებს, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლებას. სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის ეფექტური და ყოვლისმომცველი კანონები, რათა დაიცვან სსო-ები და სხვა მომხმარებელთა ონლაინ მონაცემები არასათანადო შეგროვების, დამუშავების, გადაცემის, გაყიდვის ან შენახვისგან. სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ ან, სულ მცირე, აღკვეთონ დისტანციური ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სისტემების გამოყენება (მაგ. სახის ამოცნობის და სხვა მასობრივი ბიომეტრიული მეთვალყურეობის შემთხვევები), რათა სსო-ები და აქტივისტები გათავისუფლდნენ ციფრული მეთვალყურეობისგან.

სოციალური მედიის კომპანიებს ("SMC"), რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პლატფორმებს ან შუამავლებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მასპინძლობენ ან აძლევენ მესამე მხარის კონტენტს, უნდა მიეცეთ უფლება თავისუფლად იმუშაონ. პლატფორმები ზოგადად დაცული უნდა იყოს მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტისთვის პასუხისმგებლობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წახალისებენ პრობლემური კონტენტის ამოღებას, რომელიც სხვაგვარად ლეგალურია და დაცულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით. ამასთან, კანონებმა არ უნდა მოითხოვონ სოციალური მედიის კომპანიებს სიძულვილის ენისა და სხვა უკანონო შინაარსის წაშლა ძალიან მოკლე დროში (მაგ. რამდენიმე დღეში ან საათში), რადგან ამან შეიძლება ადვილად გამოიწვიოს ზედმეტად ფართო ცენზურა. SMC-ებს უნდა ჰქონდეთ გამჭვირვალობის ვალდებულებები ეროვნული კანონმდებლობით და უნდა გააჩნდეთ გასაჩივრების ინკლუზიური სისტემები, რათა მომხმარებლებმა შეძლონ შიდა კონტენტის მოდერაციის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალება და სასამართლო ზედამხედველობა სოციალური მედიის პლატფორმებზე მომხმარებელთა უფლებების დარღვევისთვის, მაგალითად, როდესაც პლატფორმების გადაწყვეტილებები არღვევს პიროვნების უფლებას გამოხატოს საკუთარი თავი ან მიიღო ინფორმაცია.

სოციალურ მედია კომპანიებს ("SMC"), რომლებსაც, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ათავსებენ ან ქმნიან მესამე მხარისთვის კონტენტის შექმნის შესაძლებლობას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პლატფორმებს ან შუამავლებს, უნდა მიეცეთ თავისუფლად მუშაობის უფლება. პლატფორმებს არ უნდა ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში წახალისდება მათ მიერ „პრობლემური“ კონტენტის აღების/წაშლის პროცესი, რომელიც პრობლემურობის მიუხედავად კანონიერია და დაცულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით.

ამასთან, კანონით არ უნდა იყოს მოთხოვნილი სოციალური მედია - კომპანიების მხრიდან სიძულვილის ენისა და სხვა უკანონო შინაარსის მასალების წაშლა ძალიან მოკლე დროში (მაგ. რამდენიმე დღეში ან საათში), რადგან ამან შეიძლება დაამკვიდროს ზედმეტად ფართო ცენზურა. SMC-ებს უნდა ჰქონდეთ გამჭვირვალედ საქმიანობის ვალდებულება და გააჩნდეთ შიდა გასაჩივრების ინკლუზიური სისტემები, რათა მომხმარებლებმა შეძლონ კონტენტის მოდერაციის შესახებ გადაწყვეტილებების მათ სისტემაშივე გასაჩივრება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ეფექტური და ხელმისაწვდომი მართმსაჯულება სოციალური მედიის პლატფორმებზე მომხმარებელთა უფლებების დარღვევის საქმეებისთვის, მაგალითად, როდესაც პლატფორმის გადაწყვეტილებები არღვევს პირთა უფლებას გამოხატოს საკუთარი თავი ან მიიღო მისთვის სასურველი ინფორმაცია.

**ადნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სსო-ებმა, ბლოგერებმა ან აქტივისტებმა უნდა მიიღონ ნებართვა მთავრობისგან, იმისთვის რომ განათავსონ მასალები ინტერნეტში.
- სახელმწიფოების მიერ ნებადართულია სათვალთვალო ტექნოლოგიების შეზღუდვა ან დაურეგულირებელი მუშაობა ან/და სათვალთვალო პროგრამების სსო-ებისა და აქტივისტების სამეთვალყურეოდ გამოყენება.
- სახელმწიფოები ზღუდავენ სათვალთვალო ტექნოლოგიების გამოყენებას, მაგრამ ამგვარ აკრძალვებთან და შეზღუდვებთან დაკავშირებით უშვებენ ბევრ გამონაკლისებს ეროვნული უსაფრთხოების, საზღვრის კონტროლის ან ანტიტერორისტული კანონებიდან გამომდინარე.

**2. ციფრული უფლებების შეზღუდვის ნებისმიერი შემთხვევა ეფუძნება კანონიერების, ლეგიტიმურობის, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებს**

ვინაიდან ციფრული უფლებები არის ადამიანის ძირითადი უფლებების შემადგენელი, მათზე ვრცელდება ადამიანის ძირითად უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციიდან გამომდინარე პრინციპები. ეს ნიშნავს, რომ მთავრობა, შეზღუდვების დაწესებისას ხელმძღვანელობს კანონიერების, ლეგიტიმურობის, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებით. ამიტომ, ციფრული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიდან გამომდინარე, ხოლო კანონი საკმარისად მკაფიო უნდა იყოს იმისთვის, რომ ადამიანებმა გაიგონ, რა კონკრეტული ქმედება განიხილება როგორც დარღვევა (განჭვრეტადობა/განსაზღვრულობის პრინციპი). მთავრობამ არ უნდა დაუშვას ციფრული უფლებების ბუნდოვანი და ზედმეტად ფართო ფორმით ჩამოყალიბებული შეზღუდვების არსებობა (მაგ., ბიომეტრიული ინფორმაციის ან მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის გამოყენებასთან დაკავშირებით სოციალური მედიის პლატფორმებზე). ციფრული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ან სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მაგალითად, მიზნის ნაწილში "ექსტრემიზმსა" ან "ტერორიზმზე" ზოგადი მითითებები იშვიათად თუ აკმაყოფილებს ლეგიტიმური მიზნის კრიტერიუმს.

ციფრული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ - ეს ნიშნავს, რომ მაშინაც კი, თუ შეზღუდვები ეფუძნება კანონს და ემსახურება რეალური პრობლემის გადაჭრას, აუცილებელია რომ უფლებები იზღუდებოდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებიც ეს ობიექტურად არის საჭირო ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, სოციალური მედია კომპანიებისა და პლატფორმების მიმართ მონაცემთა მიწოდებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ დაყენებული მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს გამჭვირვალობის კრიტერიუმს და იყოს ვიწრო შინაარსის, ასევე უნდა არსებობდეს ამ თემასთან დაკავშირებული საკითხის გასაჩივრების ეფექტური საშუალებები. ასევე, სსო-ების ან მათი წარმომადგენლების მონაცემების შეგროვება ან დამუშავება ციფრული ტექნოლოგიების (მაგ., ხელოვნური ინტელექტის მართვის სისტემები) გამოყენებით უნდა მხოლოდ შეზღუდულად, აუცილებელი მიზნებისთვის. მონაცემთა გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა უნდა იყოს შეზღუდული დროში, მოცულობაში და იყოს დაცული მათში სხვა პირთა ჩარევისგან. უფრო მეტიც, სიძულვილის ენის ან ექსტრემალური შინაარსის გამო ონლაინ კონტენტის შეზღუდვისას, SMC-

ებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავიდან აიცილონ არაპროპორციული ზემოქმედება ისედაც მარგინალიზებულ ჯგუფებზე, როგორცაა ქალები/გენდერ არაბინარული პირები და ამა თუ იმ რასის წარმომადგენელი ჯგუფები.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მთავრობები იღებენ კანონებს, რომლებიც მათ ანიჭებს ონლაინ სივრციდან კონტენტის სრულად წაშლის უფლებას, ასევე სსო-ების ვებსაიტების დაბლოკვის ან სსო-ს წარმომადგენლების ონლაინ პლატფორმებიდან ჩამოშორების შესაძლებლობას.
- ეროვნული უსაფრთხოების, საზღვრის კონტროლის ან კონტრტერორისტული კანონები აძლევენ მთავრობას შესაძლებლობას, მათ მიერ მონაცემების მიღებაზე დაყენებული მოთხოვნები არ იყოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების შესაბამისი, იმ პირობებში, როდესაც დაინტერესებულ მომხმარებელს არ აქვს ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია ან უფლებაში აღდგენის შესაძლებლობა.
- კანონები იძლევა ბიომეტრიული მონაცემების მასობრივი შეგროვებისა და გამოყენების შესაძლებლობას ფართო სპექტრის მიზნებისთვის, მათ შორის მეთვალყურეობისთვის.
- მონაცემები რომლებიც გროვდება ერთი მიზნით, ხელახლა გამოიყენება სხვა მიზნებისთვისაც (მაგ. ეროვნული საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული კანონები იძლევა მონაცემების შეგროვების უფლებას COVID-19-ის შემთხვევათა გამოვლენის მიზნით და ეს მონაცემები მოგვიანებით, სხვა მიზნით გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს).

**3. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება (მათ შორის ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატური სისტემების) ხდება ადამიანის ძირითად უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში**

განვითარებადმა ტექნოლოგიებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ციფრული უფლებების განხორციელებაზე. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონები, რომლებიც არეგულირებენ ტექნოლოგიების იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ზემოქმედებს ისინი ადამიანის უფლებებზე ან რა რისკებს იწვევს მათთვის. უნდა არსებობდეს ადამიანის ძირითად უფლებებზე მავნე ზემოქმედების პრევენციის გარანტიები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი ზემოქმედების რისკი განსაკუთრებით მაღალია (მაგ., სამართალდამცავი ორგანოები, საზღვრის კონტროლი, ეროვნული უსაფრთხოება, მართლმსაჯულება). სახელმწიფომ უნდა შემოიტანოს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების კვლევის სავალდებულო წესი (HRIA), რომელიც ხელოვნური ინტელექტის შემქმნელებსა და დეველოპერებს ავალდებულებს სერვისებისა და პროდუქტების ზემოქმედების ხარისხის მუდმივ შემოწმებასა და კონტროლს, პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (დიზაინი, განვითარება, დანერგვა, მოვლა/შენარჩუნება). ტექნოლოგიები, რომლებიც ფუნდამენტურად შეუთავსებელია ადამიანის უფლებებთან (მაგ. მასობრივი ბიომეტრიული მეთვალყურეობა, როგორცაა დისტანციური ბიომეტრიული იდენტიფიკაცია სახის ამოცნობით) უნდა აიკრძალოს.

მონაცემთა დაცვის კანონების მეშვეობით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სსო-ებსა და დაინტერესებულ ჯგუფებს აქვთ ცოდნა არსებული ტექნოლოგიების შესახებ და თანახმანი არიან მათი მონაცემების შესაგროვებლად ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების ან უფლებათა გადამეტების შემთხვევაში უნდა არსებობდეს უფლებებში აღდგენის ეფექტური მექანიზმები. ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში კანონებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური ხარისხის გამჭვირვალობა.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ტექნოლოგიები გამოიყენება ადამიანის უფლებების გათვალისწინების გარეშე, მაგალითად არ ტარდება ზემოქმედების კვლევა (HRIA) ან არ ხდება სამოქალაქო საზოგადოებისა და იმ ჯგუფების არსებითად პროცესში ჩართვა, რომლებზეც მოცემულს ექნება ზეგავლენა.
- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული და სხვა რელევანტური კანონები ადეკვატურად არ არეგულირებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ სისტემებს, ამგვარად, სსო-ებსა და

შესაბამის ჯგუფებს არ აქვთ ინფორმაცია, რომ ისინი ექვემდებარებიან AI სისტემას, ასევე არ აქვთ რაიმე საშუალება მოცემულის გასაპროტესტებლად.

## პრაქტიკა

ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით
<p>1. კიბერდანაშაულთან, დეზინფორმაციასთან, სიძულვილის ენასთან/ძალადობის წაქეზებასთან და ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები არ გამოიყენება ციფრულ უფლებათა არამართლზომიერად შესაზღუდად.</p> <p>2. სახელმწიფო უწყებები არ მიმართავენ იმგვარ ზომებს, როგორც არის მობილური ტელეფონის სიგნალის გათიშვა, ინტერნეტის მოქმედების შეწყვეტა/შენელება სისტემის გათიშვა ან ციფრულ საშუალებებთან წვდომის შეზღუდვა ინდივიდთათვის ციფრული უფლებების გამოყენების პროცესში ხელის შესაშლელად.</p> <p>2. სახელმწიფო უწყებები არ იყენებენ ტექნოლოგიებს იმისთვის, რომ გააჩუმონ, დაზვერონ ან შეაფიქროვონ სამოქალაქო საზოგადოებები, ადამიანის უფლებათა დამცველები, აქტივისტები, პროტესტანტები მათი ონლაინ აქტივობების ფარგლებში, ასევე არ ბლოკავენ და აუქმებენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა კუთვნილ ბლოგებსა და ვებ-გვერდებს იქ განთავსებული მასალების წაშლის მიზნით.</p> <p>3. 4. სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი აწარმოებს ძირითადი უფლებების განხორციელების პროცესზე მუდმივ დაკვირვებას/შეფასებას, მათ შორის გავლენების შეფასების გზით და შეაქვთ სიცხადე ციფრული ტექნოლოგიების შექმნის, განვითარებისა და ჩაშვების პროცესში, ასევე ერთვებიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და პოტენციურ ზემოქმედების ჯგუფებთან დიალოგში კონსულტაციის მიღების მიზნით, მანამ სანამ მოხდება ტექნოლოგიათა ჩაშვება.</p>

### 1. კიბერდანაშაულთან, დეზინფორმაციასთან, სიძულვილის ენასთან/ძალადობის წაქეზებასთან და ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები არ გამოიყენება ციფრულ უფლებათა არამართლზომიერად შესაზღუდად.

სახელმწიფოებისთვის კიბერდანაშაულის, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის/ძალადობის წაქეზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები არ უნდა გახდეს ციფრული უფლებების არათანაზომიერად შეზღუდვის საბაზი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმები მნიშვნელოვანია ონლაინ სივრცისა და ციფრული უფლებების დასაცავად, მათმა ბოროტად გამოყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა და ნეგატიურად იმოქმედოს ზემოქმედების ქვეშ მყოფთა ციფრულ უფლებებზე. ბევრი ტერმინი, როგორცაა დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა, არ არის განსაზღვრული საერთაშორისო კანონმდებლობით და ტერმინთა ფართო ინტერპრეტაცია გამოიყენება მთავრობების მიერ სახელმწიფო შეზღუდვების გასამართლებლად. პრაქტიკაშიც არსებობს ბევრნაირი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოები კიბერდანაშაულის, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის/ძალადობის წაქეზებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ მექანიზმებს ციფრული უფლებების შესაზღუდად იყენებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობის შემოღება ან სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა (და აგრესორი სახელმწიფოების წინააღმდეგ ზომების მიღება) ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ციფრული უფლებების შეზღუდვის არგუმენტად, მათ შორის სოციალური მედიის დაბლოკვის ჩათვლით.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- მთავრობები სოციალურ მედია - კომპანიებს (SMC) ავალებენ სისტემატურად დაბლოკონ იმ სსო-ების მიერ მოქმედებული მასალები, რომლებსაც ისინი საფრთხედ მიიჩნევენ.
- მთავრობები ან კომპანიები კიბერდანაშაულის, დეზინფორმაციის, სიძულვილის ენის/ძალადობის წაქეზების ან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს იყენებენ რათა

გვერდი აუარონ სამართლებრივ პროცესების, გამჭვირვალობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაინტერესებული მხარეების პროცესში ჩართვას.

**2. სახელმწიფო უწყებები არ მიმართავენ იმგვარ ზომებს, როგორც არის მობილური ტელეფონის სიგნალის გათიშვა, ინტერნეტის მოქმედების შეწყვეტა/შენელება სისტემის გათიშვა ან ციფრულ საშუალებებთან წვდომის შეზღუდვა ინდივიდთათვის ციფრული უფლებების გამოყენების პროცესში ხელის შესაშლელად.**

ინტერნეტზე წვდომა ფუნდამენტურია ადამიანის უფლებების ონლაინ სივრცეში განსახორციელებლად, ხოლო ინტერნეტის გამორთვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებს, რადგან მოცემული ზომა ვერ იქნება პროპორციული. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერ შეძლებენ მუშაობას, თუ არ ექნებათ ინტერნეტზე წვდომა. ინტერნეტის გამორთვა შეიძლება განიმარტოს, როგორც ინტერნეტის ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების განზრახ შეფერხება, რაც მათ ხდის მიუწვდომელს/ფაქტობრივად გამოუსადეგარს კონკრეტული ზონის ფარგლებში ან მოსახლეობის კონკრეტული ნაწილისთვის. ეს ხშირად ხდება ინფორმაციის ნაკადზე კონტროლის მოსაპოვებლად და კრიტიკის, ან ძირითადი უფლებების განხორციელების შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. ინტერნეტის სრული გამორთვა ყველაზე ექსტრემალური შემთხვევაა. სხვა, დაკავშირებული ზომები შეიძლება მოიცავდეს ინტერნეტის შენელებას ან მობილურში ინტერნეტ-კავშირის გაწყვეტას. ასეთ დროს სახელმწიფოები და სატელეკომუნიკაციო კომპანიები ზღუდავენ მობილურ კავშირს აქტივისტების/საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტური კომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად (განსაკუთრებით საზოგადოებრივი შეკრებების დროს) ან იყენებენ მობილური ტელეფონების ტრაფიკზე დამჭერ მოწყობილობებს აქტივისტების თვალთვალისთვის (მაგ. IMSI დამჭერები რომლებიც გამოიყენება აღმასრულებელი ორგანოების ან ხელოვნური ინტელექტის სააგენტოების მიერ). ინტერნეტის გამორთვა ან შენელება ხშირად არაპროპორციულად მოქმედებს რისკის ქვეშ მყოფ პირებზე, როგორცაა ჟურნალისტები, აქტივისტები და პოლიტიკური დისიდენტები. არის მაგალითები, როდესაც სახელმწიფოები წყვეტენ ინტერნეტთან წვდომას არჩევნების, საპროტესტო აქციების ან სასკოლო გამოცდების დროს.

**ამ ინდიკატორის დარღვევა შეიძლება გულისხმობდეს:**

- მთავრობები იყენებენ ეროვნული უსაფრთხოების დაცვას ან დანაშაულის აღკვეთას, როგორც საბაზს ინტერნეტის გამორთვის ან შენელების გასამართლებლად.
- მთავრობები უწყებებს მკაცრ მოთხოვნებს სატელეკომუნიკაციო კომპანიებს ან ახდენენ მათზე ზეწოლას ინტერნეტის გათიშვის მიზნით, ლიცენზიების, ნებართვების ან ავტორიზაციის შეწყვეტის მუქარით.
- მთავრობები ცდილობენ დაბლოკონ კონკრეტული ინსტრუმენტები, რათა თავიდან აიცილონ ონლაინ შეკრებები ან კრიტიკული გამოსვლები.

**3. სახელმწიფო უწყებები არ იყენებენ ტექნოლოგიებს იმისთვის, რომ გააჩუმონ, დაზვერონ ან შეავიწროვონ სამოქალაქო საზოგადოებები, ადამიანის უფლებათა დამცველები, აქტივისტები, პროტესტანტები მათი ონლაინ აქტივობების ფარგლებში, ასევე არ ბლოკავენ და აუქმებენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა კუთვნილ ბლოგებსა და ვებ-გვერდებს იქ განთავსებული მასალების წაშლის მიზნით.**

სახელმწიფო ინსტიტუტები არ ესხმიან თავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებს ტროლინგის, დოქსინგის ან კიბერთავდასხმების გზით. სსო-ებსა და აქტივისტებს შეუძლიათ ჩაერთონ ონლაინ აქტივობებში ზეწოლის ან დაპატიმრების შიშის გარეშე. ონლაინ აქტივობების მაგალითებია სოციალური მედიის პლატფორმებზე კონტენტის შექმნა/გენერირება (მაგ., ტექსტი, ფოტოები, ვიდეო, აუდიო და ა.შ.), სხვა აქტივისტების ან ჟურნალისტების მასალების გაზიარება, საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენება კომუნიკაციის, საგანმანათლებ-

ლო შეხვედრების/ტრენინგების ჩატარების ან შეკრებების გასაადვილებლად რაც შედის შეკრების თავისუფლებაში (მაგ. Zoom-ის Skype-ის ან სხვა მსგავსი პლატფორმები ან სოციალური კომუნიკაციისთვის გამოსადეგი აპლიკაციები, როგორცაა WhatsApp, Signal ან Telegram). სსო-ებსა და აქტივისტებს შეუძლიათ იმუშაონ სახელმწიფოს ციფრული მეთვალყურეობის გარეშე. სამოქალაქო საზოგადოება არ ექვემდებარება ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მომუშავე ბიომეტრიულ იდენტიფიკაციას (მაგ., სახის ანალიზის ტექნოლოგიები, მათ შორის სახის და ემოციის ამოცნობა, პროგნოზირებადი პოლიცია), spyware/malware ან ციფრული მეთვალყურეობის სხვა ფორმებს. ასევე, SMC-ები უზრუნველყოფენ მომხმარებელთა უფლებას განათავსონ მასალები ონლაინში მათი ვინაობის გამჟღავნების გარეშე, ანონიმურობის დაცვას. მონაცემთა შეგროვება დაყვანილია მინიმუმამდე, რადგან პირადი ინფორმაციის შეგროვებამ (განსაკუთრებით სენსიტიური მონაცემები, როგორცაა ბიომეტრია) შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანების ონლაინ აქტივობებში მონაწილეობას. ამან შეიძლება დამლუპველი გავლენა იქონიოს ონლაინ გამოხატვის თავისუფლებაზე და რისკები შეუქმნას სამოქალაქო აქტივისტების უსაფრთხოებას. სახელმწიფო ინსტიტუტები მოქმედებენ გამჭვირვალედ, როდესაც სოციალური მედია- კომპანიებისგან / ციფრული პლატფორმებისგან ითხოვენ ინფორმაციის ან მასალების წაშლას.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფოები ყიდულობენ და/ან იყენებენ სათვალთვალო ტექნოლოგიას აქტივისტების ან სსო-ების წარმომადგენლების მონიტორინგის, იდენტიფიკაციისა და მიზნობრივი მიზნებისათვის.
- სახელმწიფო წარმომადგენლები ეწევიან ცილისწამების კამპანიებს აქტივისტების ან სსო-ების წინააღმდეგ სოციალურ მედია-პლატფორმებზე (იქნება ეს მათი ვინაობის გამოაშკარავების გზით, ყალბი ანგარიშების გამოყენებით თუ ანონიმურად)
- სახელმწიფოები ზეწოლას ახდენენ ტელე-საკომუნიკაციო კომპანიებზე, რათა მათგან მიიღონ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები.
- სახელმწიფოები ადგენენ იმ პირთა „სიებს“, რომელთა სოციალურ აქტივობას აკვირდებიან, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შესახებ აცნობონ აღმასრულებელ (თავისუფლების აღმკვეთ) ორგანოებს.

**4. სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორი აწარმოებს ძირითადი უფლებების განხორციელების პროცესზე მუდმივ დაკვირვებას/შეფასებას, მათ შორის გავლენების შეფასების გზით და შეაქვთ სიცხადე ციფრული ტექნოლოგიების შექმნის, განვითარებისა და ჩაშვების პროცესში, ასევე ერთვებიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და პოტენციურ ზემოქმედების ჯგუფებთან დიალოგში კონსულტაციის მიღების მიზნით, მანამ სანამ მოხდება ტექნოლოგიათა ჩაშვება.**

გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების მეორე სვეტი ადგენს კომპანიების პასუხისმგებლობას ჩაატარონ ადამიანის უფლებების სათანადო გამოკვლევა, რათა თავიდან აიცილონ ან შეამსუბუქონ მათი საქმიანობიდან, მომსახურებიდან, პროდუქტის გამოყენებიდან თუ მომხმარებელთან დამყარებული ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერი უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებებზე. ეს პროცესი მოიცავს ადამიანის უფლებებზე ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედების შეფასებას, აღმოჩენების ინტეგრაციასა და მათ მიხედვით მოქმედებას, უკუკავშირზე დაკვირვებასა და მუდმივ კომუნიკაციას იმის შესახებ, თუ როგორ გადაიჭრება ამგვარი ზეგავლენიდან გამომდინარე პრობლემები. გამჭვირვალედ საქმიანობა აუცილებელია იმ საფრთხეების აღმოსაჩენად, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის უფლებებზე და წარმოადგენს პირველ გადადგმულ ნაბიჯს ანგარიშვალდებულ პირთათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ტექნოლოგიური განვითარების პროცესში გამჭვირვალობამ შეიძლება მიიღოს მრავალგვარი ფორმა და განსხვავდებოდეს ტექნოლოგიის ტიპისა და მისი სასიცოცხლო ციკლის სტადიის მიხედვით (მაგ. დიზაინი, განვითარება, ტესტირება, განთავსება, მოვლა/შენახვა). კომპანიებმა და მთავრობებმა, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის უფლე-

ბების ზემოქმედების შეფასებას, უნდა გამოაქვეყნონ ძირითადი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პროცესთან/მეთოდოლოგიასთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან, მიგნებებთან და დასკვნების ინტეგრაციასთან მათ საქმიანობაში/პროდუქტებში. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ქვეყნდება ადრესატებს მიეწოდოს ისე, რომ იგი ხელმისაწვდომი და გასაგები იყოს დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრისთვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. ადამიანის უფლებებზე ტექნოლოგიებიდან/მომსახურებიდან გამომდინარე ზემოქმედების შეფასებისას, კომპანიამ ან სახელმწიფო ინსტიტუტმა უნდა გაიაროს კონსულტაცია სსო-ებთან და დაზარალებულ ჯგუფებთან. ეს ჩართულობა უნდა იყოს მუდმივი, გამჭვირვალე და საშუალებას აძლევდეს დაინტერესებულ მხარეებს არსებითად მიიღონ მონაწილეობა პროცესში (მათ შორის, მათთვის რესურსების მიწოდებით და მონაწილეობის შესაძლებლობების გაძლიერებით/ტრენინგებით).

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ტექნოლოგიების დანერგვას წინასწარ HRIA-ს ჩატარების გარეშე.
- HRIA-ს ჩატარებას სსო-ებისა და დაზარალებული ჯგუფების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე და/ან HRIA-ს შედეგების გამოუქვეყნებლობა
- HRIA-ს ჩატარება და აღმოჩენების უფლებებელყოფა უფრო ფართო დიზაინის, განვითარების ან დანერგვის პროცესში
- არაზუსტი, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება ან შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა.

**სტანდარტი 2.**

**სახელმწიფო ქმნის ციფრული უფლებების შეუფერხებელი გამოყენების პირობებს**

ნეგატიური ვალდებულების გარდა, „არ მიაყენოს ზიანი“ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულებები, უზრუნველყონ უსაფრთხო და ინკლუზიური გარემო (როგორც ოფლაინ, ასევე ონლაინ), სადაც სსო-ებს, აქტივისტებს, ჟურნალისტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. ციფრულ უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას ან პრაქტიკის დამკვიდრებისას, სახელმწიფოებმა უნდა ჩართონ ყველა დაინტერესებული მხარე, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამოქალაქო საზოგადოებას, დაზარალებულ და მარგინალიზებულ ჯგუფებს. სახელმწიფოებმა ციფრული უფლებების დარღვევის შემთხვევებისთვის უნდა ჩამოაყალიბონ ეფექტური და ხელმისაწვდომი გასაჩივრების მექანიზმები. ეს მოიცავს საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომლის საფუძველზეც ტექნოლოგიური კომპანიები პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთ საქმიანობაზე, სერვისებსა და პროდუქტებზე, ასევე უზრუნველყონ კორპორატიული პასუხისმგებლობის არსებობა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. სხვა საკითხები, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია დაკავშირებულია ციფრული უთანასწორობის გადალახვასთან, ძირითად უფლებებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობასთან, რაც დაეხმარება სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას, უზრუნველყოფს უსაფრთხო და ღია ონლაინ სივრცის დაცვას თვალთვალის, შვეიწროებისა და შეურაცხყოფისაგან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაცემების დაცვას.

**კანონმდებლობა**

ინდიკატორები კანონმდებლობის თვალსაზრისით
<ol style="list-style-type: none"> <li>1. სახელმწიფო უზრუნველყოფს ინტერნეტის ღიაობას, ხელმისაწვდომობასა და მიწვდომადობას.</li> <li>2. სახელმწიფო ქმნის დამოუკიდებელი, ეფექტური, რესურსებით ადეკვატურად აღჭურვილი, და მიუკერძოებელი მარეგულირებელი მექანიზმების გარანტიებს, ასევე უზრუნველყოფს უფლებათა აღდგენის ეფექტური მექანიზმების არსებობას ციფრულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში.</li> </ol>

## **1. სახელმწიფო უზრუნველყოფს ინტერნეტის ღიაობას, ხელმისაწვდომობასა და მიწვდომადობას**

ინტერნეტზე წვდომის უფლება ფუნდამენტურია ადამიანის უფლებების ონლაინ განხორციელებისთვის, განსაკუთრებით გამოხატვის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებისთვის რაზეც არსებობს პირდაპირი მითითება კანონში. ყველას უნდა ჰქონდეს გარანტირებული ღია, ხელმისაწვდომი და მიწვდომადი ინტერნეტი. ეს ნიშნავს წვდომას მსოფლიოში გამოყენებად ინტერნეტზე (და არა ქვეყნის მასშტაბით მოდიფიცირებულ ვერსიაზე). ღია ინტერნეტის არსებობა ნიშნავს, რომ ვებ-გვერდებს შეუძლიათ იმუშაონ თავისუფლად, ქსელის ნეიტრალიტეტის ფარგლებში. მათ არ უნდა ექმნებოდეთ ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებისგან (ISP) რაიმე დაბრკოლება. ამის გარდა, ინტერნეტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა რეგიონს უნდა ჰქონდეს ინტერნეტზე წვდომა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული ღარიბი, სოფლად არსებული ან განვითარებადი რეგიონებისთვის. ინტერნეტი უნდა იყოს იაფი ან უფასო, განსაკუთრებით ღარიბი ან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე პირებისთვის. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. პოზიტიურად შეფასდება, თუკი სახელმწიფოები ფინანსურად დაუჭერენ მხარს სსო-ებსა და მარგინალიზებულ ჯგუფებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ინტერნეტის საბაზრო ღირებულების დაფარვა. სატელეკომუნიკაციო ოპერატორებსა და კომპანიებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად მუშაობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- მთავრობები სატელეკომუნიკაციო კომპანიებს აკისრებენ ზედმეტ შეზღუდვებს და/ან ქვეყნის დიდ ტერიტორიებზე არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტ ინფრასტრუქტურა, რათა იქ მოქმედ სსო-ებს არ ჰქონდეთ ინტერნეტზე წვდომა.
- ქსელის ნეიტრალიტეტის კანონები აფერხებს ღია და სწრაფ ინტერნეტს, რაც ზოგიერთ ვებ-გვერდს უპირატესობას ანიჭებს სხვებთან შედარებით.

## **2. სახელმწიფო ქმნის დამოუკიდებელი, ეფექტური, რესურსებით ადეკვატურად აღჭურვილი, და მიუკერძოებელი მარეგულირებელი მექანიზმების გარანტიებს, ასევე უზრუნველყოფს უფლებათა აღდგენის ეფექტური მექანიზმების არსებობას ციფრულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში.**

სახელმწიფო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სსო-ებისა და აქტივისტებისთვის უფლებებში აღდგენის ეფექტურ და ხელმისაწვდომ მექანიზმებს, მათ შორის, ატარებენ ტრენინგებს და გამოყოფენ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია ამგვარ მექანიზმთა გამოსაყენებლად. სსო-ებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრონ მათი ციფრული უფლებების ნებისმიერი დარღვევა. გასაჩივრების პროცედურა უნდა იყოს მკაფიო და მარტივი. გასაჩივრების საფასური უნდა იყოს გონივრული და არ ქმნიდეს დაბრკოლებას. პასუხისმგებელმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დროული ანაზღაურება, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ნებისმიერი ტიპის ზიანის ანაზღაურებას.

### **აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ანაზღაურება/უფლებებში აღდგენა შემოიფარგლება მხოლოდ რეალურ სივრცეში დამდგარი ზიანით/ჩადენილი დარღვევით და გამორიცხავს იგივეს ონლაინ.
- კომერციული საიდუმლოების, ინტელექტუალური საკუთრების, ეროვნული უსაფრთხოების, სისხლის სამართლის ან საიმპერაციო კანონები გამოიყენება, რათა სისტემატიურად შეფერხდეს მართლმსაჯულება ციფრული უფლებებისთვის.

## პრაქტიკა

### ინდიკატორები პრაქტიკის თვალსაზრისით

1. სახელმწიფო მონაწილეობს ღია და ინკლუზიურ დიალოგში ყველა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებებთან ციფრულ ტექნოლოგიებთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკური დოკუმენტების შედგენის პროცესში.
2. სახელმწიფო ინსტიტუტები თავად ახორციელებენ ან აფინანსებენ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული წინააღმდეგობების გადალახვას, მათ შორის განათლების, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობის და ა.შ. გზით.
3. სახელმწიფო იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს ადამიანის ძირითად უფლებათა განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

### 1. სახელმწიფო მონაწილეობს ღია და ინკლუზიურ დიალოგში ყველა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებებთან ციფრულ ტექნოლოგიებთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული პოლიტიკური დოკუმენტების შედგენის პროცესში.

ეროვნული ტექნიკური პოლიტიკისა და კანონების შემუშავებისას, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა გადამწყვეტია, რათა ციფრული ტექნოლოგიები და ტექნიკური სამართალი/პოლიტიკა იყოს უფლებებზე დაფუძნებული და ხელს უწყობდეს ყველას ინტერესებს, განსაკუთრებით დარღვევების რისკის ქვეშ მყოფებს. ეს მოითხოვს დაზარალებულთა და მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვას ტექნიკური პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებულ ყველა მსჯელობაში.

სახელმწიფოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება იმ სსო-ებთან მუშაობას, რომლებიც ტრადიციულად არ საქმიანობენ ციფრული უფლებების მიმართულებით, მაგრამ, მათ შორის, წარმოადგენენ ქალთა ინტერესებს და არა-ბინარულ პირებს, რასიფიცირებულ ადამიანებს, LGBTQI+, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბავშვებსა და მოხუცებს და სოფლად მცხოვრებ ან სუსტი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე პირებს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ადეკვატური რესურსების გამოყოფა (როგორც დაფინანსების, ასევე შესაძლებლობების განვითარების/ტრენინგის თვალსაზრისით) თემის წარმომადგენლებისა და სსო-ებისთვის, რათა მოხერხდეს პროცესში მათი მონაწილეობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული უფლებების სექტორში, სადაც შეინიშნება „ცოდნის დეფიციტი“ და ბევრი აქტივისტი არ არის მზად ტექნიკურ პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად.

#### აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:

- ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კანონების ან პოლიტიკის დოკუმენტების მიღება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე, მათ შორის ამისთვის სახელმწიფო დროის ან რესურსების არ გამოყოფა.
- დოკუმენტებზე ან ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია მრავალმხრივი მონაწილეობისთვის.
- კორპორატიული აქტორების ან ისედაც ძლიერი პოზიციის მქონე ორგანიზაციების ხელშეწყობა ნაკლები რესურსების მქონე ორგანიზაციებთან შედარებით.

### 2. სახელმწიფო ინსტიტუტები თავად ახორციელებენ ან აფინანსებენ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული წინააღმდეგობების გადალახვას, მათ შორის განათლების, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის, ციფრული წიგნიერების ხელშეწყობის და ა.შ. გზით.

სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს თავისი მოქალაქეებისა და სსო-ების ციფრული უნარების ჩა-

მოყალიბებაზე. ისინი ატარებენ ტრენინგებს ციფრული უსაფრთხოებისა და ციფრული წიგნიერების შესახებ მოქალაქეებისთვის და სსო-ებისთვის. ისინი აფინანსებენ სსო-ებს, მათ შორის მათ, ვინც ტრადიციულად არ მუშაობს ციფრულ უფლებებზე, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა გაციფრულებისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში. ასევე, სახელმწიფოები უზრუნველყოფენ აღჭურვილობას, მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინტერნეტთან წვდომას სსო-ებისთვის, რომლებსაც არ აქვთ რესურსი/საშუალება მოცემულის დამოუკიდებლად შესაძენად. ეს მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასაც, რომელიც საჭიროა ჰაკერების, თვალთვალის ან კიბერშეტევების თავიდან ასაცილებლად.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- სახელმწიფოები არ იღებენ ზომებს, რათა უზრუნველყონ ინტერნეტზე წვდომა ყველასთვის
- სახელმწიფოები ურთიერთობენ მხოლოდ ტექნოლოგიურად განვითარებულ რეგიონებთან
- სახელმწიფოები იყენებენ ციფრულ აღჭურვილობას, რომელიც მომხმარებლებს/საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უქმნის კიბერ-თავდასხმების საფრთხეს ან იყენებენ პროგრამებს მათზე ზედამხედველობის მიზნით (მაგ. ჯაშუშური/მავნე პროგრამები)

**3. სახელმწიფო იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს ადამიანის ძირითად უფლებათა განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.**

ზოგიერთი ადმინისტრაციული სერვისის გაციფრულება შეიძლება იყოს გამოსადეგი, თუ ალტერნატიული საშუალებები არსებობს, და ეს არცერთ სსო-ს არ აყენებს უარეს მდგომარეობაში/აგდებს საფრთხეში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა COVID-19-ის პანდემიის დროს, როდესაც შეზღუდულია შეკრებები და ურთიერთობები. ადმინისტრაციული სერვისების გაციფრულების მაგალითებია ელექტრონული პეტიციები, სსო-ების რეგისტრაციისთვის დოკუმენტების ელექტრონული წარდგენა, ელექტრონული კომუნიკაცია ფოსტით ან ვიდეოკონფერენციით, ონლაინ საჯარო რეესტრები ან ინფორმაციის ონლაინ ხელმისაწვდომობა.

პირადი ინფორმაციის შეგროვება/გამჟღავნება, რომელიც აუცილებელია ამ ციფრული ინსტრუმენტების შემუშავებისთვის ან გამოსაყენებლად, საფრთხეს არ უქმნის ადამიანის უფლებების განხორციელებას ან აქტივისტების, სსო-ების და ა.შ. უსაფრთხოებას. დაზარალებული ჯგუფების მონაცემები, განსაკუთრებით მგრძობიარე მონაცემები, სრულად უნდა იყოს დაცული.

**აღნიშნული ინდიკატორის დარღვევას წარმოადგენს შემდეგი:**

- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების სათანადო გათვალისწინების გარეშე ან ისე, რომ გამოირიცხოს კონკრეტული სსო-ები ან მარგინალიზებული ჯგუფები.

**შესაბამისი რესურსები**

- <https://www.ohchr.org/EN/Issues/FreedomOpinion/Articles19-20/Pages/Index.aspx>
- <https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24736>
- <https://www.ohchr.org/Documents/Issues/Terrorism/Use-Biometric-Data-Report.pdf>
- A/HRC/41/41 - სპეციალური მომხსენებლის 2019 წლის ანგარიში მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ
- A/HRC/46/37 (2021) სპეციალური მომხსენებლის ანგარიში კონფიდენციალურობის უფლების შესახებ („ხელოვნური ინტელექტი და კონფიდენციალურობა და ბავშვების კონფიდენციალურობა“)
- A/HRC/39/29 (2018) კონფიდენციალურობის უფლება ციფრულ ეპოქაში, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში
- A/HRC/RES/32/13 - 32/13. ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია ინტერნეტში ადამიანის უფლებების ხელშეწყობის, დაცვისა და სარგებლობის შესახებ, 2016 წლის 1 ივლისი

- A/71/53 - ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 32/31 სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შესახებ, 2016 წლის 1 ივლისი
- A/HRC/47/L.22 ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 47/22 (2021) ინტერნეტში ადამიანის უფლებების ხელშეწყობის, დაცვისა და სარგებლობის შესახებ
- A/HRC/47/L.12/Rev.1 უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 47/12 (2021), ახალი და განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები და ადამიანის უფლებები
- A/HRC/47/L.1 ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 47/1 (2021), სამოქალაქო საზოგადოების სივრცის რეზოლუცია
- A/RES/71/199 - გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 71/199 კონფიდენციალურობის უფლების შესახებ ციფრულ ეპოქაში, 2016 წლის 19 დეკემბერი
- A/RES/73/173 - გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 73/173 ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მათ შორის მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებები, 2018 წლის 17 დეკემბერი.
- A/HRC/17/27 - სპეციალური მომხსენებლის ანგარიში აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, ფრენკ ლა რუ, 2011 წლის 16 მაისი.
- A/HRC/38/35 - სპეციალური მომხსენებლის ანგარიში აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, 2018 წლის 6 აპრილი
- ზოგადი კომენტარი No. 34 (2011), მუხლი 19: აზრისა და გამოხატვის თავისუფლებები
- ზოგადი კომენტარი No37 (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21)
- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის რეკომენდაცია (2019) „ხელოვნური ინტელექტის ამოღება: 10 ნაბიჯი ადამიანის უფლებების დასაცავად“ CM/Rec(2020)1 - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2020)1 წევრ სახელმწიფოებს ალგორითმული სისტემების ადამიანის უფლებების ზემოქმედება, 2020 წლის 8 აპრილი
- ევროპის საბჭო, 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, გაიდლაინები სახის ამოცნობის შესახებ (2021 წ.)
- გაეროს სპეციალური მომხსენებლების ერთობლივი განცხადება, „ციფრული უფლებები: გასაღები ინკლუზიური და გამძლე სამყაროსთვის“, RightsCon 7-11 ივნისი 2021 წ.

# დანართი

## ტერმინთა განმარტებები

დანართში თავმოყრილია ის ძირითადი ტერმინები და კონცეფციები, რომლებიც გამოყენებულია სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტში და მის განმარტებით შენიშვნებში.

### ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტის სისტემები არის ალგორითმზე დაფუძნებული ტექნოლოგიები, რომლებიც შექმნილია კომპეტენტურ ფიზიკურ ან ვირტუალურ გარემოსთან ურთიერთქმედების, მისი ანალიზის, კორელაციების გამოსახვისა და შემეცნებითი ამოცანების შესასრულებლად, როგორცაა პროგნოზების, რეკომენდაციების შემუშავება ან გადაწყვეტილებების მიღება. ხელოვნური ინტელექტის სისტემები შექმნილია იმისთვის, რომ იმუშაოს და მიაღწიოს ადამიანის მიერ განსაზღვრულ მიზნებს ადამიანის ჩარევისგან დამოუკიდებლად (ჩარევის სხვადასხვა ხარისხით.) AI-ზე დაფუძნებული სისტემები შეიძლება იყოს მხოლოდ პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული, ვირტუალურ სამყაროში მოქმედი (მაგ. ხმის ასისტენტები, გამოსახულების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, საძიებო სისტემები, მეტყველების და სახის ამოცნობის სისტემები) ან AI შეიძლება იყოს ჩაშენებული აპარატურულ მოწყობილობებში (მაგ. მოწინავე რობოტები, ავტონომიური მანქანები, დრონები ან ინტერნეტის აპლიკაციები).

### ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა (AML) არის პროცედურების, კანონებისა და რეგულაციების კომპლექტი, რომელიც მიზნად ისახავს უკანონო ან/და კრიმინალური ქმედებების მეშვეობით ინდივიდუალური პირების ან ჯგუფის მიერ შემოსავლის გენერირების თავიდან აცილებას, შეფერხებას ან აღმოფხვრას.

### ავტორიზაცია და შეტყობინება

ავტორიზაცია არის ხელისუფლების ორგანოების აქტი, რომელიც ანიჭებს ორგანიზაციებს მშვიდობიანი შეკრების გამართვის ნებართვას (წარმოდგენილი წერილობითი ფორმით). შეტყობინება არის მომავალი შეკრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ორგანოებისთვის და არ წარმოადგენს ნებართვის მოთხოვნას. (OSCE/ODIHR ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, დანართი C).

### ცენზურა

სიტყვის, საზოგადოებრივი კომუნიკაციისა თუ სხვაგვარი ინფორმაციის ჩახშობა, ან ნებისმიერი სხვა აქტივობა, რომელიც აფერხებს ინფორმაციისა და იდეების გადაცემას მათთვის, ვისაც სურს მათი მიღება, იმ მიზეზით, რომ ამგვარი მასალა ითვლება სადავოდ, მავნედ, სენსიტიურად ან არასასიამოვნოდ მთავრობის ან კერძო დაწესებულების მიერ.

### სამოქალაქო საზოგადოება

ადამიანებისა და ორგანიზებული, ნაკლებად ორგანიზებული თუ არაფორმალური ჯგუფების ერთობა, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას, ან გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს ადამიანის უფლებათა დარღვევების, კორუფციისა და სხვა გადაცდომების შესახებ, ან კიდევ აკეთებენ კრიტიკულ კომენტარებს. ამგვარი ორგანიზებული ან ნაკლებად ორგანიზებული ჯგუფები შესაძლოა მოიცავდეს პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს, რელიგიურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს. (ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ, CM (2017) - 83 საბოლოო (მიღებული 2017 წლის 27 სექტემბერს), მუხლი 2).

### **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (სსო)**

სსო-ები წარმოადგენს ნებაყოფლობით თვითმმართველ ორგანოებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც დაარსებულია მათი დამფუძნებლების ან წევრების არსებითად არაკომერციული მიზნების მისაღწევად. ისინი მოიცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ისევე როგორც ამ პირთა ჯგუფების მიერ შექმნილ ორგანოებსა და ორგანიზაციებს. ისინი შესაძლოა იყოს ან არ იყოს წევრობაზე დაფუძნებული. სსო შესაძლოა იყოს არაფორმალური ორგანო ანკიდევ ორგანიზაცია, რომელსაც აქვს იურიდიული სტატუსი. ისინი შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ, მაგალითად, ასოციაციების, ფონდების, არაკომერციული კომპანიების სახით ან კიდევ სხვა ფორმით, რომელიც აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს. სსო-ების მონიტორინგის ინსტრუმენტი არ ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე, რელიგიურ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებზე. *(ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2007)14 ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, მუხლი 76-77 (მიღებული 10 ოქტ 2007), მუხლი 1-3).*

### **სსო-ები და დაკავშირებული პირები**

სხვადასხვა კატეგორიის პირები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ სსო-ებთან და შესაძლოა დაზარალებულნი იყოს სსო-ებზე გათვლილი სახელმწიფო კანონებისა და პრაქტიკის შედეგად. დაკავშირებულ პირთა ჯგუფი შესაძლოა მოიცავდეს თანამშრომლებს, წევრებს, გამგეობის წევრებს, მოხალისეებს, დონორებს, მხარდამჭერებს და სსო-ებთან კავშირის მქონე სხვა პირებს.

### **სამოქალაქო მონაწილეობა**

საჯარო ხელისუფლების მიერ კერძო პირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობა განსხვავდება პოლიტიკური საქმიანობისგან პოლიტიკური პარტიების პირდაპირი ჩართულობის თვალსაზრისით და ბიზნეს ინტერესებთან დაკავშირებული ლობირებისგან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობა შესაძლოა გამოხატული იქნას სხვადასხვა ფორმით; მათ შორისაა: ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციების, დიალოგის გამართვა და აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. *(ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისათვის, CM (2017)-83 საბოლოო (მიღებული 2017 წლის 27 სექტემბერს), მუხლი 2 და მუხლი 19).*

### **კონსულტაცია**

ინიციატივის ფორმა, რომლის ფარგლებში საჯარო ხელისუფლება სთხოვს სსო-ებს აზრის გამოხატვას პოლიტიკის კონკრეტული თემის ან განვითარების შესახებ. კონსულტაციები, როგორც წესი, მოიცავს ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სსო-ების ინფორმირებას და კომენტარების, შეხედულებებისა და შენიშვნების მიღებას. *(ევროპის საბჭო, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტური პრაქტიკის კოდექსი, CONF / PLE (2009) CODE1 (მიღებული 2009 წლის 1 ოქტომბერს UNGO- ს კონფერენციის მიერ), მუხლი IV.i.2)*

### **ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა**

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა (CTF) არის პროცედურების, კანონებისა და წესების ერთობა, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორისტული აქტების, ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების დაფინანსების ხელშეშლას, შეწყვეტას და შეჩერებას. (FATF რეკომენდაციები - საერთაშორისო სტანდარტები ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2012)).

### **ქრაუდფანდინგი**

ქრაუდფანდინგი არის ფულადი სახსრების მოძიების ინსტრუმენტი დიდი რაოდენობის ადამიანებისგან ონლაინ პლატფორმების გამოყენებით. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას პროექტების, სსო-ებისა და ბიზნესების დასაფინანსებლად. დამფინანსებლებისა და პროექტის მფლობელების შეთავსება ხდება

ელექტრონული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. (წინადადება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს ქრუდფანდინგის ევროპული პროვაიდერებისთვის (ECSP), COM (2018) 113 საბოლოო, მუხლი 3).

### კიბერდანაშაული

კიბერდანაშაული მოიცავს დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც ჩადენილია ონლაინ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. ევროკავშირი ქმნის კანონებს და მხარს უჭერს ოპერატიულ თანამშრომლობას ასევე არასაკანონმდებლო ქმედებებითა და დაფინანსებით. კიბერდანაშაული არის საკითხი, რომელიც შეიძლება კლასიფიცირდეს სამი ფართო განმარტების სახით: (1) დანაშაულები, რომლებიც ხდება ინტერნეტში, როგორცაა თავდასხმები ინფორმაციულ სისტემებზე ან ფიშინგი (მაგ., ყალბი საბანკო ვებ-გვერდები პაროლების მოთხოვნით, რაც უზრუნველყოფს წვდომას დაზარალებულთა საბანკო ანგარიშებზე); (2) ონლაინ თაღლითობა და გაყალბება: ფართომასშტაბიანი თაღლითობა შეიძლება განხორციელდეს ონლაინ ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორცაა პირადობის მოპარვა, ფიშინგი, სპამი და მავნე კოდი; (3) არალეგალური ონლაინ კონტენტი, მათ შორის ბავშვებზე სექსუალური ძალადობის მასალები, რასობრივი სიძულვილის გავრცელება, ტერორისტული აქტების წაქეზება და ძალადობის, ტერორიზმის, რასიზმისა და ქსენოფობიის წაქეზება. დანაშაულის მრავალი სახეობა, მათ შორის ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, გადავიდა ინტერნეტში ან გაადვილდა ონლაინ. შედეგად, სისხლის სამართლის გამოძიებების უმეტესობას აქვს ციფრული კომპონენტი. (წყარო: [https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/cybercrime\\_en](https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/cybercrime_en))

### მონაცემთა დაცვა

მონაცემთა დაცვა არის ცალკეული პირის, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის თუ ორგანიზაციის ნაწილის პირადი მონაცემების დაცვა. მონაცემთა დაცვის უფლება გამომდინარეობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფრო ზოგადი უფლებიდან. ადამიანის უფლებათა რამდენიმე ხელშეკრულება განსაზღვრავს მონაცემთა ცალკეულ კატეგორიებს და ადგენს მათი დამუშავების წესებს (მაგ. ევროპის საბჭოს კონვენცია 108 პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების და დაცვის შესახებ; ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები პირადი მონაცემების დაცვისა და საზღვრებს მიღმა პერსონალური მონაცემების გაცვლის შესახებ).

### გადაწყვეტილების მიღების პროცესი

პოლიტიკის დოკუმენტის, სტრატეგიის, კანონის ან რეგულაციის ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე განვითარება, მიღება, განხორციელება, შეფასება და რეფორმირება; ან ნებისმიერი პროცესი, რომლის ფარგლებში ძალაუფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე ან გარკვეულ სეგმენტზე. (ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ, CM (2017)-83 (მიღებული 2017 წლის 27 სექტემბერს), მუხლი 2.

### ცილისწამება

ცილისწამება არის სამოქალაქო დანაშაული (დელიქტი ან კანონდარღვევა), რომელიც ჩადენილია ერთი პირის მიერ სხვა პირის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, მათ შორის, გარკვეულ გარემოებებში, „იურიდიულ პირთა“ წინააღმდეგ. ცილისწამება უარყოფით გავლენას ახდენს პირის რეპუტაციაზე ან სახელზე. რეპუტაცია უკავშირდება არა თვითშეფასებას, არამედ პირის შეფასებას სხვების მიერ. ამდენად, ცილისწამების აქტი მოიცავს ცრუ ან გაუმართლებელ განცხადებას, რომლებიც ეხება სხვა ადამიანს და ზიანს აყენებს მის რეპუტაციას საზოგადოების ფართო წრის თვალში. განცხადება შესაძლოა მოიცავდეს ბრალდებას, მტკიცებას, სიტყვიერ შეტევას ან ქმედების სხვა ფორმას. ამგვარი განცხადება შესაძლოა გაკეთდეს ზეპირად ან წერილობით; შესაძლოა მიიღოს ვიზუალური გამოსახულების, აუდიო, ხმების და გარკვეული მნიშვნელობის მქონე მეთოდის სხვა ფორმა; შესაძლოა იყოს განცხადება, რომელიც გადაიცემა რადიოში ან ტელევიზიაში ან ქვეყნდება ინტერნეტში; ან შესაძლოა იყოს ელექტრონული კომუნიკაცია. (Tarlach McGonagle (2016) გამოხატვის თავისუფლება და ცილისწამება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესწავლა, ევროპის საბჭო, გვ.14).

## დემონსტრაცია

დემონსტრაცია წარმოადგენს შეკრებას ან მსვლელობას, რომლის დროსაც მონაწილეები გამოხატავენ საკუთარ აზრს. *(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, დანართი C). კონტრ-დემონსტრაციები, ასევე ცნობილი, როგორც პარალელური ოპოზიციური შეკრებები, წარმოადგენს შეკრების ერთ-ერთ ფორმას, რომლის დროსაც მონაწილეები გამოხატავენ პარალელურ შეკრებაში გამოთქმული შეხედულებებისგან განსხვავებულ პოზიციებს. კონტრ-დემონსტრაციის გამართვის უფლება არ გულისხმობს სხვების უფლებების შელახვის შესაძლებლობას. (OSCE/ODIHR- ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, მუხლი 4.4).*

## ციფრული უფლებები

ციფრული უფლებები არის ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც გამოიყენება ციფრულ სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი ძირითადად კეთდება კონფიდენციალურობის, აზრის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე, ციფრულ უფლებებს გაცილებით დიდი ფარგლები აქვს. მაგალითად, თანასწორობის, სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი დაცვის უფლება, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ასევე ძალიან აქტუალურია და ხშირად რისკის ქვეშაა დაყენებული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას.

## ციფრული განხეთქილება

ტერმინი „ციფრული განხეთქილება“ აღნიშნავს უფსკრულს ინდივიდებს, ოჯახებს, ბიზნესსა და გეოგრაფიულ ზონებს შორის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე, რომლებიც წარმოიშობა როგორც ინფორმაციისა და ტექნოლოგიებზე წვდომის, ისე ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ეს ტერმინი ასახავს განსხვავებებს ქვეყნებისა და რეგიონების მასშტაბით, დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის და მათ შიგნით. (წყარო: OECD)

## ციფრული შუამავლობით შეკრება

ციფრული შუამავლობით შეკრება არის ერთზე მეტი ადამიანის შეკრება კონკრეტული მიზნებისთვის, რომელიც ხდება ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ან მხარდაჭერით: მაგალითად, მობილური ტელეფონების, ინტერნეტ სერვისების, სოციალური მედიის ან სხვა ციფრული პლატფორმების მეშვეობით. არც ისე შორეულ წარსულში, „მშვიდობიანი შეკრების“ ტრადიციული განმარტება მოიცავდა მხოლოდ ინდივიდების ფიზიკურ შეკრებებს პროტესტის, ზეიმის ან სოციალურ/რეკრეაციულ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, დღესდღეობით სულ უფრო და უფრო განვითარებადმა ციფრულმა სამყარომ შექმნა ახალი საშუალებები ასეთი ორგანიზებისთვის. თუნდაც ახალი ვირტუალური სივრცეები მათი მხარდაჭერისთვის. ჩვენ შეგვიძლია დავყოთ ციფრული შუამავლობით შექმნილი ასამბლეები, როგორც: (1) ციფრულად ჩართული: მიმდინარეობს ფიზიკურ სივრცეში, მაგრამ ხე:შეწყობილია ციფრული ტექნოლოგიების (კერძოდ ინტერნეტის მიერ), რადგან ისინი წინასწარვე განიხილება, ორგანიზებული და გავრცელებულია სოციალურ(ონლაინ) სივრცეში; (2) ციფრულზე დაფუძნებული: მიმდინარეობს მთლიანად ვირტუალურ სივრცეში (ჩვეულებრივ ინტერნეტში); (3) ჰიბრიდი: ორივეს ელემენტებით. მაგალითად, ისინი ორგანიზებულია სოციალური მედიის საშუალებით და ტარდება როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე ონლაინში ან დაწყებულია ფიზიკურ სივრცეში, მაგრამ გრძელდება ონლაინ ან პირიქით და ა.შ. (წყარო: ECNL)

## დისკრიმინაცია

ევროპული კონვენციის თანახმად, კონვენციით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა ვრცელდება ნებისმიერ პირზე, დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობასთან კავშირის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ადგილის ან სხვა სტატუსის მიხედვით. (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე -14 მუხლი). დისკრიმინაციის პრინციპი კრძალავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დისკრიმინაციას. პირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს აქტებს ან რეგულაციებს, რომლებიც ქმნიან უთანასწორობას, ხოლო

არაპირდაპირი დისკრიმინაცია მოიცავს აქტებს ან რეგულაციებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით არ ჩანს დისკრიმინაციული, პრაქტიკაში იწვევს არათანასწორ მოპყრობას. (OSCE/ODIHR-ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 123).

### თანასწორობა

ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების სექტორებს შორის თანასწორობა გულისხმობს სამართლიან, გამჭვირვალე და მიუკერძოებელ მიდგომას, რომლის ფარგლებში თითოეული სექტორის რეგულირება ხდება შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. (გაეროს სპეციალური მომხსენებლის თემატური ანგარიში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, A/70/266 (4 აგვ. 2015), გვ 17). თანასწორი მოპყრობა გულისხმობს თითოეული სექტორებისადმი პროპორციულ მიდგომას, მათი თავისებურებების გათვალისწინებით.

### სიძულვილის ენა

გამოხატვის ყველა ფორმა, რომელიც ხელს უწყობს, ახალისებს, ამართლებს ან ახდენს რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის ან შეუწყნარებლობის საფუძველზე სიძულვილის სხვა ფორმების გავლევას. მათ შორის არის: არატოლერანტობა აგრესიული ნაციონალიზმისა და ეთნოცენტრიზმის საფუძველზე, დისკრიმინაცია და მტრობა ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 30 ოქტომბერს მიღებული რეკომენდაცია No. R(97)20 წევრი სახელმწიფოების მიმართ „სიძულვილის ენის შესახებ“, რეკომენდაციის დანართი No. R (97) 20).

### სიძულვილის ენა (სამნაწილიანი ტესტი)

გამოხატვის თავისუფლების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განცხადება კვალიფიცირდება „სიძულვილის ენის“ შემცველად, თუ ის შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ექვსპუნქტიან ტესტს:

1. განცხადების კონტექსტი: მაგალითად, განცხადება გაკეთდა საჯარო თუ დახურული შეხვედრის დროს? როგორი იყო სოციალური და პოლიტიკური ვითარება განცხადების გაკეთებისა და გავრცელების დროს?
2. სპიკერი: მაგ. როგორი იყო სპიკერის სტატუსი, პოზიცია ან მდგომარეობა საზოგადოებაში? იყო თუ არა სპირეკი ორგანიზაციის წევრი?
3. განზრახვა: მაგალითად, სპიკერის დაუდევრობა და უგუნურება არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ განცხადება შეიცავდა „სიძულვილის ენას“;
4. შინაარსი და ფორმა: მაგ. რამდენად იყო განცხადება პროვოკაციული და პირდაპირი? რა არგუმენტებს ეყრდნობოდა იგი?
5. მასშტაბი: მაგალითად, განცხადება იყო საჯარო? განცხადება გავრცელდა შეზღუდულ გარემოში თუ იყო ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის? განცხადების გასავრცელებლად, რა საშუალებები იყო გამოყენებული (ბროშურა, მედია, ინტერნეტი და ა.შ.)? რამდენად დიდი იყო აუდიტორია?
6. ზიანის საფრთხე, გარდაუვალობა: მაგალითად, იყო თუ არა მოსალოდნელი განცხადება გადაზრდილიყო სამიზნე ჯგუფის წინააღმდეგ რეალურ ქმედებაში? აღნიშნული კრიტერიუმი უნდა იქნას გათვალისწინებული იმის მიუხედავად, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, არ არის აუცილებელი სიძულვილის ან ძალადობის ფაქტი რეალურად მოხდეს წამაქეზებელი განცხადების შედეგად, თუკი აშკარად სახეზეა ამგვარი ქმედების ცალსახა განზრახვა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის წლიური ანგარიში, A/HRC/22/17/Add.4).

### შეკრებების დროს პოლიციის ქმედებებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

შეკრებების დროს პოლიციის ქმედებებმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უფლებების რეალიზებას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. პოლიციის ქმედებები უნდა ეფუძნებოდეს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობისა და

დისკრიმინაციის პრინციპებს და იცავდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. სახელმწიფო ვალდებულებაა მიიღოს გონივრული და სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაცულობა ფიზიკური შეურაცხყოფის ან სხვა სახის საფრთხეებისგან. (OSCE/ODIHR- ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების შესახებ, მუხლი 5.3).

### **ადამიანის უფლებათა მიმართ სათანადო გულმოდგინება**

ადამიანის უფლებათა მიმართ სათანადო გულმოდგინების გამოჩენის პროცესი არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ზემოქმედების წყაროთა იდენტიფიცირებას, პრევენციას, შერბილებას და იმის გარკვევას, თუ როგორ უმკლავდებიან ბიზნეს წარმომადგენლები მათ ზემოქმედებას ადამიანის უფლებებზე (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები, სახელმძღვანელო პრინციპი 15(ბ)).

### **ადამიანის უფლებათა ზემოქმედების შეფასება**

HRIA შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს პროექტებისა და აქტივობების, ადამიანის უფლებებით სარგებლობის პროცესზე, უარყოფითი ეფექტების იდენტიფიკაციას, გაგებას, შეფასებასა და განხილვას სამოქალაქო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მნიშვნელოვანი მონაწილეობით.

### **ლობირება**

ლობირება გულისხმობს კონკრეტული ინტერესების გატარებას საჯარო სამსახურთან კომუნიკაციის გზით. ეს არის სტრუქტურირებული და ორგანიზებული ქმედების ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენას. (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისთვის ლობირების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების თაობაზე, რომელიც მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2017 წლის 22 მარტს, მინისტრთა მოადგილეების 1282-ე სხდომაზე). პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ლობირება განსხვავდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისგან, რადგან ის უკავშირდება ბიზნეს ინტერესებს.

### **ქსელის ნეიტრალიტეტი**

ქსელის ნეიტრალიტეტი არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ინდივიდებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი და თანაბარი წვდომა ყველა მასალასა და აპლიკაციაზე თანაბრად, წყაროს მიუხედავად, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერების მიერ კონკრეტული ონლაინ სერვისების ან ვებსაიტების გაპრჩევოს გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც კომპანია, რომელიც გაკავშირებთ ინტერნეტთან, ვერ აკონტროლებს იმას, თუ რას აკეთებთ ინტერნეტში. (წყარო: Public Knowledge)

### **მშვიდობიანი შეკრება**

ერთზე მეტი ადამიანის არამალადობრივი შეკრება კონკრეტული მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული მიზნით, მაგრამ ასევე ჯგუფური სოლიდარობის ან იდენტობის დადასტურების განზრახვით ან გასართობი, კულტურული, რელიგიური ან კომერციული მიზნებისთვის. ტერმინი „მშვიდობიანი“ უდრის „არამალადობრივს“. დაცულია მხოლოდ მშვიდობიანი შეკრებები. შეკრებაზე „ძალადობა“ ჩვეულებრივ გულისხმობს მონაწილეთა მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებას სხვების მიმართ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება ან სიკვდილი, ან ქონების სერიოზული დაზიანება. სხვა ქცევა, როგორცაა უბრალო ბიძგი და წაქეზება ან მანქანის ან ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ან ყოველდღიური საქმიანობის შეფერხება, არ წარმოადგენს „ძალადობას“. აქედან გამომდინარე, ტერმინი „მშვიდობიანი“ ასევე უნდა მოიცავდეს ქცევას, რომელმაც შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს, და თუნდაც ქცევას, რომელიც დროებით აფერხებს, ხელს უშლის ან ართულებს მესამე მხარის საქმიანობას. (OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი

შეკრების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 1.2-1.3; HR კომიტეტის გენერალური კომენტარი 37 21-ე მუხლზე, ICCPR, პუნქტი 15)

### **აუცილებლობა და პროპორციულობა**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ შესაძლოა შეზღუდოს ადამიანის უფლებები გარკვეულ გარემოებებში, მან ყოველთვის უნდა წარმოადგინოს ადეკვატური დასაბუთება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს სამ ძირითად კითხვას იმის დასადგენად, თუ რამდენად გამართლებულია ჩარევა. კითხვები ეხება შემდეგს: (1) ღონისძიება გათვალისწინებული იყო კანონით, (2) მისი მიზანი იყო აღიარებული სახელმწიფო ინტერესების დაცვა და (3) ის აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამგვარი საჭიროების არსებობის განსაზღვრისას, ყურადღება უნდა მიექცეს საქმის კონკრეტულ ფაქტებს და მოცემულ ქვეყანაში ამ დროს არსებულ გარემოებებს. სახელმწიფო ქმედება ასევე უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი ფაქტების შეფასებას. პროპორციულობის მოთხოვნა ან დოქტრინა აღნიშნავს, რომ საჭიროა ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესებსა და ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ინტერესებს შორის. შესაბამისად, ჩარევა უნდა იყოს მინიმალურად ინტრუზიული საჭირო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. *(ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, A24)*. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ რუტინულად არ დააწესოს შეზღუდვები. სამართლებრივი შეზღუდვების საყოველთაოდ გამოყენება გადამეტებულია და, სავარაუდოდ, არღვევს პროპორციულობის ტესტს, რადგან არ ახდენს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებას. *(OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, მუხლი 2.4)*

### **პოლიტიკური საქმიანობა**

არ არსებობს პოლიტიკური საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის კუთხით. კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაძლოა ერთმანეთისგან განასხვავებდეს პოლიტიკურ საქმიანობასა და სხვა სახის აქტივობებს, რომლებიც შესაძლოა საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმიანობად განისაზღვროს. ვიწრო განმარტებით, პოლიტიკური საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, არჩევნებში კანდიდატის რეგისტრაციას, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნების პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებას, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, საჯარო თანამდებობაზე კანდიდატების ან კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი პოლიტიკური საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს: კანონმდებლობაზე გავლენის მოხდენის მცდელობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვას, ლობირებას, კამპანიის წარმართვას მწვავე საკითხებზე, ცნობიერების ამაღლებას აქტუალურ თემებზე, არჩევნების მონიტორინგს, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას და სახელმწიფო ორგანოების ქმედებების კრიტიკას. *(ევროპის საბჭოს არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია, არასამთავრობო ორგანიზაციათა პოლიტიკური საქმიანობის მარეგულირებელი კანონი, OING კონფერენცია, (2014) 2, მუხლი 32, 34)*.

### **საჯარო ორგანო**

აღმასრულებელი, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ორგანო ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის პირები, რომლებიც ასრულებენ აღმასრულებელ ან ადმინისტრაციულ ფუნქციებს. *(ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისთვის, CM (2017) -83 (მიღებული 2017 წლის 27 სექტემბერს), მუხლი 2)*.

### **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ნებისმიერი პირის ფუნდამენტური უფლება, არ მოხდეს თვითნებური ჩარევა მისი ცხოვრების, ოჯახის, სახლისა თუ მიმოწერის ინტიმურ ასპექტებში, ასევე არ განხორციელდეს თავდასხმა მის სახელსა და რეპუტაციაზე. ყველას აქვს უფლება კანონით იქნას დაცული ამგვარი ჩარევებისა თუ თავდასხმებისგან. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ასევე მნიშვნელოვანია პირების მიერ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვისთვის, დისკრიმინაციის ან განსჯის შიშის გარეშე. კერძო პირებისა და ორგანიზაციებისთვის პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის ყოველგვარი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და პროპორციული. შეზღუდვა უნდა იცავდეს ბალანსს სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვასთან მიმართებაში. (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მუხლი 17).

### სამართლებრივი დაცვის მექანიზმი

სამართლებრივი დაცვის მექანიზმები წარმოადგენს ადმინისტრაციულ და სასამართლო პროცესებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერი ქმედების გასაჩივრებას ან გადახედვას, რომელიც გავლენას ახდენს გაერთიანებების შექმნაზე და წესდების ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაზე. (ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 36)

### რესურსები

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სსო-ებს ესაჭიროებათ რესურსები - ანუ დაფინანსება და სხვა სახის მხარდაჭერა საჯარო თუ კერძო სექტორის მხრიდან. ტერმინი „რესურსი“ არის „ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს: ფინანსურ გადარიცხვებს (მაგალითად, შემოწირულობები, გრანტები, კონტრაქტები, სპონსორობა და სოციალური ინვესტიციები); სასესხო გარანტიებსა და სხვა სახის ფინანსურ დახმარებას ფიზიკური და იურიდიული პირებისგან; არამატერიალურ დახმარებას (მაგალითად, კონტრიბუცია საქონლის, მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის, ინტელექტუალური და უძრავი ქონების სხვა სახით); მატერიალურ რესურსებს (მაგალითად, საოფისე მოწყობილობები და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანადგარები); ადამიანურ რესურსებს (მაგალითად, ანაზღაურებადი პერსონალი და მოხალისეები); საერთაშორისო დახმარებას და სოლიდარობას; არასასურველი ჩარევის გარეშე მოგზაურობისა და კომუნიკაციის უნარს; სახელმწიფო დაცვით სარგებლობის უფლებას. რესურსები ასევე მოიცავს საჯარო და კერძო დაფინანსებას, საგადასახადო შეღავათებს (მაგალითად, შემოწირულობების წასახალისებლად საშემოსავლო გადასახადებს ან კრედიტებს), არამატერიალურ სარგებელსა და ასოციაციის კუთვნილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე გაერთიანებისთვის განკუთვნილ სხვა სარგებელს (მაგალითად, შემოსავალი ინვესტიციებიდან, იჯარიდან, ეკონომიკური საქმიანობიდან და ქონებრივი ტრანზაქციებიდან). (OSCE/ODIHR-ვენეციის კომისია ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, 201-ე პუნქტი).

### SLAPP

სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ (SLAPP) არის სამართლებრივი შევიწროების ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს იმათ დაშინებას და საბოლოოდ გაჩუმებას, ვინც საუბრობს პოლიტიკურ ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე. SLAPP-ებს, როგორც წესი, მიმართავენ კერძო მხარეები (მაგ., კორპორაციები, მაგნატები და ა.შ.) ან სახელმწიფო/მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი პირადი უფლებამოსილებით და აქვთ გავლენა რწალისტებზე, აქტივისტებზე, აკადემიკოსებსა და სსო-ებზე.

### სპონტანური შეკრება

სპონტანური შეკრება ზოგადად განიხილება, როგორც შეკრება შემთხვევის, ინციდენტის, სხვა შეკრებისა თუ განცხადების საპასუხოდ, როდესაც ორგანიზატორს (ერთო ორგანიზატორის შემთხვევაში) არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას წინასწარი გაფრთხილების სამართლებრივი ვადა, ან როდესაც შეკრებას საერთოდ არ ჰყავს ორგანიზატორი. ამგვარი შეკრებები ხშირად იმართება გამომწვევი მოვლენიდან უახლოეს დროში, რადგან დაგვიანებამ შესაძლოა შეასუსტოს შეტყობინების მნიშვნელობა. როდესაც მართლხელა დემონსტრანტს უერთდება სხვა პირი ან პირები, ღონისძიება უნდა განიხილოს, როგორც სპონტანური შეკრება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სპონტანური“ არ გამოიცხადებს შეკრების ორგანიზატორის არსებობას, სპონტანური შეკრებები ასევე მოიცავს შეხვედრებს იდენტიფიცირებადი ორგანიზატორის გარეშე. ამგვარი შეხვედრები შემთხვევითია, ისინი ეწყობა მაშინ, როცა პირთა ჯგუფი იკრიბება კონკრეტულ ადგილას, წინასწარი რეკლამირების ან მოწვევის გარეშე. (ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, პმუხლი 115 და 126-127).

### სახელმწიფო დაფინანსება

სახელმწიფო დაფინანსება არის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების ფორმა, რომლის გამოყოფა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცენტრალურ და/ან ადგილობრივ დონეზე. პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება ხორციელდება პირდაპირი საბიუჯეტო მხარდაჭერის უზრუნველყოფით, მაგ. გრანტები, სუბსიდიები, მომსახურების გაწევა ან მესამე მხარის გადახდების (ვაუჩერების მექანიზმი) უზრუნველყოფა. არაპირდაპირი დაფინანსება სახელმწიფოსგან გარკვეული საგადასახადო შეღავათების მინიჭებას ეხება. ის ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს „პროცენტული მექანიზმის“ სახით, როდესაც გადასახადის თითოეულ გადამხდელს შეუძლია პირადი საშემოსავლო გადასახადის გარკვეული პროცენტი გამოუყოს მის მიერ შერჩეულ კვალიფიციურ ბენეფიციარს.

### სტიგმატიზაცია

პირის მიმართ უსამართლო მოპყობა, საჯაროდ მისი განსჯის გზით (განმარტება კემბრიჯის Advanced Learner's Dictionary & Thesaurus-ის მიხედვით). სტიგმატიზაცია შესაძლოა მოიცავდეს მკვეთრ რიტორიკას, რომელიც აცხადებს, რომ სსო-ები უცხოური ზეგავლენის ინსტრუმენტია და რომ მათი მიზანია სახელმწიფოსთვის ძირის გამოთხრა. სტიგმატიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს დისკრიმინაციის მრავალი და გამწვავებული ფორმები, ასევე ძალადობის ხილული და უხილავი ფორმები, რომლებიც აფერხებს სსო-ების მიერ საქმიანობის წარმართვას უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოში. (გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ, A / HRC / 38/34 (2018 წლის 13 ივნისი) და A / HRC / 34/52 / Add.3)

### გამჭვირვალობა

სამოქალაქო საზოგადოების კონტექსტში, გამჭვირვალობა გულისხმობს ღიაობის დონეს, ინფორმაციის გამჟღავნებასა და გავრცელებას სამოქალაქო ორგანიზაციების ღირებულებების, პროცესებისა და პროცედურების შესახებ (CIVICUS (2014) სამოქალაქო საზოგადოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება: თვითრეგულირების ინიციატივების სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 8). ღიაობა და გამჭვირვალობა არსებითად მნიშვნელოვანი ელემენტებია ანგარიშვალდებულების და საზოგადოებრივი ნდობის დამყარებისთვის. სახელმწიფომ არ უნდა მოითხოვოს ასოციაციებისგან ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, მაგრამ უნდა მოიწონოს და ხელი შეუწყოს მას. (OSCE/ODIHR-ვენეციის კომისია, ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, მუხლი 224).

### მოხალისეობა

მოხალისეობა არის არაანაზღაურებადი, ნებაყოფლობითი სამუშაო, როცა ფიზიკური პირები საქმიანობას ეწევიან ორგანიზაციის მეშვეობით ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. მოხალისეებს შეუძლიათ ისარგებლონ მოხალისეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების (ნებაყოფლობითი, სატრანსპორტო ხარჯებისა და სატრანსპორტო ხარჯების და ა.შ.) ანაზღაურებით, აგრეთვე მიიღონ ჯილდო, ჰონორარი ან მსგავსი აღიარება გაწეული მოხალისეობრივი საქმიანობისთვის. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ამ ტიპის აღიარებამ არ უნდა იმოქმედოს პირის მოხალისედ აღქმაზე (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მოხალისეთა საქმიანობის შეფასების სახელმძღვანელო, 2011, მუხლი 3.5).

### მამხილებელი პირი

ნებისმიერი პირი, რომელიც აფიქსირებს ან ამჟღავნებს ინფორმაციას სამუშაო ურთიერთობების კონტექსტში, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, საზოგადოებრივი ინტერესის მიმართ არსებული საფრთხის ან ზიანის შესახებ (ევროპის საბჭო, რეკომენდაცია CM/Rec (2014)7 მამხილებელი პირების და განმარტებითი მემორანდუმის დაცვაზე, განმარტებები).

[www.csometer.info](http://www.csometer.info)

